



# პეცხე

675 / 3-ე  
1974

13

ენისა და  
ლიტერატურის  
სერია

1.1974

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ენისა და ლიტერატურის განყოფილება

---

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
Отделение языка и литературы

თბილისი-1974 ТБИЛИСИ



# ՄԱՇՈՒՆԵ

ՎԵՍՏՆԻԿ

Серия  
яЗык а и  
литературы

1.1974

# გაცნე

ენისა და  
ლიტერატურის  
სერია

165  
11974

ქურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
ალ. გვანარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი,  
შ. ძიციგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Бирамидзе А. Г. (редактор),  
Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (заместитель редактора),  
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი  
Ответственный секретарь Г. А. Глonti

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-24-07 ტელეფონ

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.11.74; შეკვ. 2944; ანაწყოების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
ჭაღალდის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16.80; საალრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 14.78; უფ 00839; ტირაჟი 1500.

ფასი 1 მან.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



შ ი ნ ა რ ს ი

წიგნი

ა. აბრამიშვილი, სატირა და იუმორი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში . . . . .	7
დ. კობიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი მეტაფორისა და სიტყვის განმარტებისათვის	20
მ. ქავთარია, XVII—XVIII სს. ქართული პიმნოგრაფიის ისტორიიდან . . . . .	30
ბ. სინარულიძე, ამინდის რიტუალი და პოეტური შემოქმედება . . . . .	43
ი. ბაგლოთი, ნართული ეპოსის გენეზისის პრობლემისათვის . . . . .	57
ნ. ცოფურაშვილი, ითიკის შედგენილობისათვის . . . . .	71
ნ. მელიქიშვილი, ძველ ქართულ ლექციონართა ტექსტოლოგიური ანალიზი (ხუთ- წიგნულის მიხედვით) . . . . .	90
ი. კიკნაძე, დიალექტიზმები ეკატერინე გაბაშვილის პროზაში (ფონეტიკურ და გრამატიკულ თავისებურებათა ფონზე) . . . . .	106
პ. ცხაღაია, ნა-პრეფიქსის ფუნქციისათვის მთიანი სამეგრელოს ანთროპოტოპონი- მებში . . . . .	117
მ. მოღვაძე, ზოგიერთი ტიპის პიბრიდული სიტყვათწარმოების შესახებ პინდი ენაში . . . . .	125
მ. ჯიქია, მორფმათა კონსტრუირებული მიმდევრობების რანგობრივი სტრუქტურა თურქულში . . . . .	132
ნ. დოლიძე, დუტუ მეგრელის პუბლიცისტური შემკვიდრეობა . . . . .	141

ცნობები და შენიშვნები

თ. ნატროშვილი, ბ. ჯაფარიძე, ცდა ერთი თარლის დადგენისა . . . . .	151
---	-----

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. ჩართოლანი, პანს ფოგტის „ქართული ენის გრამატიკა“ . . . . .	166
პ. ფალავა, სპარსული ლიტერატურის 150 წლის ისტორია . . . . .	178

მეცნიერთა იუბილე

ა. ბარამიძე, გიორგი ჯიბლაძე . . . . .	183
ო. ცპიტინიშვილი, რამდენიმე სიტყვა პროფესორ ვლადიმერ მინორსკის შესახებ . . . . .	188

## О Г Л А В Л Е Н И Е

### С Т А Т Ь И

Э. АБРАМИШВИЛИ, Сатира и юмор в творчестве Нико Лордкипанидзе . . . . .	7
Д. КОБИДЗЕ, О толковании некоторых метафор и слов «Вепхисткаосани» . . . . .	20
М. КАВТАРИЯ, Из истории грузинской гимнографии XVII—XVIII вв. . . . .	30
К. СИХАРУЛИДЗЕ, Ритуал погоды и поэтическое творчество . . . . .	43
Ю. ГАГЛОЯТИ, К проблеме генезиса нартского эпоса . . . . .	57
Н. ЦОПУРАШВИЛИ, К составу «Итики» . . . . .	71
Н. МЕЛИКИШВИЛИ, Филологический анализ древнегрузинских лекционных (по пятикнижию) . . . . .	90
И. КИКНАДЗЕ, Диалектизмы в прозе Екатерины Габашвили . . . . .	106
П. ЦХАДАИЯ, О функции префикса — на в антропотопонимах горной Самегрело . . . . .	117
М. МОДЕБАДЗЕ, О некоторых типах гибридного словообразования в языке хинди . . . . .	125
М. ДЖИКИЯ, Ранговая структура конструированных последовательностей мор- фем в турецком . . . . .	132
Н. ДОЛИДЗЕ, Публицистическое наследие Дуту Мегрели . . . . .	141

### С О О Б Щ Е Н И Я И З А М Е Т К И

Г. ДЖАПАРИДЗЕ, Т. НАТРОШВИЛИ, Об уточнении одной даты . . . . .	151
---	-----

### К Р И Т И К А И Б И Б Л И О Г Р А Ф И Я

Н. ЧАРТОЛАНИ, «Грамматика грузинского языка» Ганса Фогта . . . . .	166
К. ПАГАВА, История персидской литературы за 150 лет . . . . .	178

### Ю Б И Л Е И У Ч Е Н Ы Х

А. БАРАМИДЗЕ, Георгий Джигладзе . . . . .	183
О. ЦКИТИШВИЛИ, Несколько слов о проф. Владимире Минорском . . . . .	188



### წ მ რ ი ლ მ ბ ი

ჟღისო აბრამიშვილი

სატირა და იუმორი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში

(„რუმბი“ და „ფეოდალები“)

სატირულსა და იუმორისტულ ნაწარმოებებში, ეპიკური და ლირიკული თხზულებებისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივი მოვლენებისა თუ პიროვნებათა უარყოფითი, მანკიერი, მახინჯი თუ სხვა მხარეები კომიკურობის ასპექტშია მოცემული. ამ სახის ნაწარმოებებში აქცენტირებულია სასაცილო, ისაა წინ წამოწეული და სხვა დანარჩენი მის ირგვლივ არის კონცენტრირებული. ამიტომ სატირულსა და იუმორისტულ ნაწარმოებებში, ეპიკურთან შედარებით, რომელშიაც ჩვეულებრივ ტოლფასოვნადაა განხორციელებული როგორც „დადებითი“, ისე „უარყოფითი“, უფრო ერთგვაროვანი მასალა დამუშავებული.

გარდა ამისა, განსხვავებით ეპიკურისაგან, სატირულსა და იუმორისტულ ნაწარმოებებში ავტორის დამოკიდებულება განსასახიერებელი ობიექტისადმი სრულიად თვალნათლივ ჩანს და ამდენად მწერლის მსოფლმხედველობაც უფრო ცხადად იკვეთება. უკვე ის გარემოება, რომ მას სწორედ „ეს“ მიაჩნია უარყოფითად, უვარგისად თუ დაცინვის ღირსად და არა სხვა რაღაცა, აშკარად მიუთითებს მის იდეურ ტენდენციებზე. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ეპიკური გვარის თხზულებები არ იძლეოდეს მათ ავტორთა მსოფლმხედველობრივი პოზიციების წვდომის შესაძლებლობას. „Каждое произведение беллетристики, — წერს სალტიკოვ-შჩედრინი, — не хуже любого ученого трактата выдает своего автора со всем его внутренним миром»<sup>1</sup>.

მწერლის პიროვნება და მისი იდეურ-მორალური მრწამსი მეტ-ნაკლებად უთუოდ ყველა ნაწარმოებში ჩანს, მაგრამ ისიც შემჩნეულია, რომ ეპიკურ თხზულებათა ავტორები ცხოვრების მშვიდი დამკვირვებლის როლში გამოდიან. ისინი დასამუშავებელი მასალისადმი ბოლომდის ინარჩუნებენ უკიდურეს ობიექტურობას და ცდილობენ ნაწარმოების მოქმედების მსვლელობაში ჩაურევლად ისეთ აუღელვებელ და ზომიერ ტონში გადმოსცენ თავიანთი სათქმელი, რომ რაც შეიძლება ნაკლებად გამოამყლავნონ საკუთარი მიდგომა. ამ მანერით წერდნენ გამოჩენილი კლასიკოსები: ტოლსტოი, სტენდალი, ზოლა, ბროსპერ მერიმე და სხვანი. წერის ამდაგვარი მანერა იყო ძირითადად დამახასიათებელი ჩვენ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძისათვისაც.

სატირულსა და იუმორისტულ ნაწარმოებებში, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ავტორის შეფასებითი დამოკიდებულება განსასახიერებელი საგნისად-

<sup>1</sup> М. Е. Салтыков - Щедрин, Полн. собр. соч., т. VIII, стр. 117.

23957

ს ა ტ ა რ თ ვ ე ლ ო ს  
 პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ის  
 ე რ ო ვ ნ ე ლ ი



მი სრულიად აშკარაა. უკვე ის, რომ ამ სახის თხზულებებში საგანგებოდ არის გამაზვილებული ყურადღება დასამუშავებელი ობიექტებისა თუ მოვლენების უარყოფით მხარეებზე, ნიშნავს იმას, რომ ამ თხზულებათა ავტორები კრიტიკულად არიან განწყობილნი იმისადმი, რასაც ისინი ახორციელებენ.

მანკიერების კრიტიკული მხილება ეპიკურ თხზულებებშიაც შეიმჩნევა, მაგრამ სატირულსა და იუმორისტულ ნაწარმოებებში მოცემული კრიტიკა საგრძნობლად განსხვავდება იმ კრიტიკისაგან, რასაც ეპიკურ თხზულებებში აქვს ადგილი. სატირულსა და იუმორისტულ ნაწარმოებებში კრიტიკა ემოციურ ხასიათს ატარებს. ეს ემოციურობა კი თხზულებაში ავტორის მიერაა შეტანილი. ის არა მარტო ხაზს უსვამს და წინ წამოსწევს განსასახიერებელი ობიექტის უვარგისობას, არამედ დასცინის, აბუჩად იგდებს და ამ გზით კომიკურ პლანში წარმოგვიდგენს მას. ამის გამო ავტორის აქტიურ-ემოციური დამოკიდებულება დასამუშავებელი მასალისადმი აშკარად ჩანს. ამ გაგებით, სატირული და იუმორისტული თხზულებები სუბიექტურობით ხასიათდება, სუბიექტურობით ხასიათდება მაშინაც კი, როდესაც ავტორი თავს იკავებს ყოველგვარი შეფასებითი მსჯელობისაგან.

სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებთა სპეციფიკა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი გულისხმობს მკითხველის განსაკუთრებულ აქტიურობასაც, რომელიც თავის გარეგან გამოხატულებას სიცილში უნდა პოუვებდეს. აღმქმელის სიცილი მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად მარჯვედ იყენებს მწერალი იუმორს თავისი მიზნის მისაღწევად.

ისიც საგულისხმოა, რომ, ჩვეულებრივ, სატირულსა და იუმორისტულ ნაწარმოებებში დედააზრი მზა სახით როდია მოცემული. ამ ხასიათის თხზულებათა მიზანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რთული შედგენილობისაა, ორფენოვანია: ერთი მხრივ, მის უშუალო და კონკრეტულ ამოცანას „უარყოფითის“ გამომზეურება შეადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, იმ „დადებითის“ წარმოჩენა, რომელიც ამ „უარყოფითის“ იქით იმალება. მწერლის მიერ ნეგატიურად მინიშნებულ იდეალებს მკითხველი თვით უნდა ჩასწვდეს. საერთოდ, სატირული და იუმორისტული ნაწარმოებები ქვეტექსტების გარეშე არც იკითხება, რაც, თავის მხრივ, მკითხველის შემოქმედებითი ფანტაზიის აუცილებელ აქტივირებაზეა გაანგარიშებული. ასე რომ, ამ ხასიათის თხზულებები მოითხოვენ არა მარტო ავტორის, არამედ მკითხველის გონებრივ სიმახვილესა და მაქსიმალურ აქტიურობასაც.

სატირულ და იუმორისტულ ნაწარმოებთა მიზანდასახულობასთან დაკავშირებით ისიც აღსანიშნავია, რომ მიუხედავად თავისი ასეთი შენიღბული ხასიათისა, ის ამავე დროს განსაკუთრებული სიცხადითაც გამოირჩევა. მიზანი ამ სახის ნაწარმოებებში ცხადადაა გამოკვეთილი იმის გამო, რომ ნიშანში ამოღებულ ობიექტს ავტორი სრულიად დაუფარავად ებრძვის დაცინვის, აბუჩად აგდებისა თუ გაკიღვა-გაკიცხვის გზით. კომიკურ პლანში დახატული საგნები თუ მოვლენები კი უკვე თავისთავად კარნახობს მკითხველს მწერლის განზრახვას და იდეურ მიმართულებას. ამგვარად, სატირულ და იუმორისტულ თხზულებათა მიზანი გარკვეული იდეის შემცველია და ამიტომ ის არა მარტო თვალსაზრისით, არამედ განსაკუთრებული სიმახვილითაც გამოირჩევა. მიზანდასახულობის ამდაგვარი სიმკვეთრითაა სწორედ გაპირობებული სატირულ და იუმორისტულ თხზულებათა აუცილებელი ემოციური ასპექტი.

ემოციათა წარმოქმნის მთავარ წყაროს ამ ხასიათის ნაწარმოებებში კომიზმი წარმოადგენს. როგორც სატირულ, ისე იუმორისტულ თხზულებებს საფუძვლად აუცილებელი კომიკური სიუჟეტი უდევს, რომელიც, თავის მხრივ, როგორც წესი, კომიკურ კონფლიქტზეა აგებული. საზოგადოდ, ამ ხასიათის ნაწარმოებებში პირველ რიგში ისეთი ხერხებია გამოყენებული, რომ მკითხველში სიცილი გამოიწვიოს. სიცილი წარმოადგენს ორივე მათგანისათვის მიზნის მიღწევის მთავარ საშუალებას. ეს არის სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებთა ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანი, რომლითაც იგი ემიჯნება როგორც ეპიკურ, ასევე ლირიკულ თხზულებებს.

კომიკურობის განიტენსივების მიზნით სატირულ და იუმორისტულ თხზულებათა ავტორები საგანგებოდ არჩევენ არა მარტო კომიკურ სიუჟეტს, არამედ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, სათანადო მხატვრულ ხერხებსაც, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გონებამახვილობა და ენამოსწრებულობა. ამ უკანასკნელთ მიზნად მთლიანად როგორც სატირულ, ისე იუმორისტულ თხზულებათა ტექსტი: გონებამახვილობასა და ენამოსწრებულობას ეყრდნობა არა მარტო ავტორისეული რემარკები, არამედ მოქმედ პირთა რეპლიკებიცა და დიალოგებიც. ამის გამო სატირულ-იუმორისტული თხზულებები ემოციურ დატვირთულობასთან ერთად დინამიკურობითაც გამოირჩევა, რადგან გონებამახვილობაცა და ენამოსწრებულობაც გარკვეული სისწრაფისა და ლაკონიურობის გარეშე არ წარმოიდგინება. „Остроумие, — შენიშნავს მ. მენდელსონი, — не терпит вялости“<sup>2</sup>.

ამგვარად, თავი რომ მოვუყაროთ ზემოთ ნათქვამს, შეიძლება დავასკვნათ: სატირული და იუმორისტული თხზულებები ერთგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ განსასახიერებელი ობიექტის მიმართ. ორივესათვის ამოსავალს ისეთი კრიტიკა წარმოადგენს, რომელიც დაცინვას შეიცავს. მასალა მთლიანად ავტორის შეფასებით ასპექტშია დამუშავებული და ამდენად როგორც სატირული, ისე იუმორისტული ნაწარმოებები მწერლის სუბიექტურ-ემოციური თვალთახედვისა და მისი მსოფლმხედველობრივი ტენდენციების გამოვლენაა. როგორც სატირულ, ისე იუმორისტულ ნაწარმოებებში დედააზრი ნეგატიური სახითაა წარმოდგენილი. ამავე დროს ორივე მათგანში მიზანი დაკონკრეტებულია და ემოციური იდეის მატარებელი.

არსებით თვისებათა ასეთი დამთხვევის გამო, ლიტერატურათმცოდნეობაში სატირასა და იუმორს ერთმანეთთან კავშირში განიხილავენ, თუმცა ამავე დროს მათ განმასხვავებელ თვისებაზეც მიუთითებენ. ჩვეულებრივ, სატირასა და იუმორს ერთმანეთისაგან მხატვრულად დასამუშავებელი მასალისადმი განსხვავებული დამოკიდებულების საფუძველზე გამოყოფენ. გავრცელებული აზრის თანახმად, სატირა მწვავე დაცინვაა, ის დაუზოგავად და გამეტებით ებრძვის ობიექტს, ხოლო იუმორში ისეთ შერბილებულ დაცინვას ვულისხმობენ, რომელშიაც ავტორის სიმპათია და თანაგრძნობა განსასახიერებელი საგნის მიმართ გარკვევით ჩანს<sup>3</sup>.

<sup>2</sup> М. О. Мендельсон, Американская сатирическая проза XX века, М., 1972, стр. 21.

<sup>3</sup> Л и п с, Философия в систематическом изложении, СПб., 1909, стр. 387; И. К о н и, Общая эстетика, перевод Самсонова, 1921, стр. 20—209; Р. М ю л л е р-Ф р е й н ф е л ь с, Поэтика, Харьков, 1923, стр. 7; Н. П о с е л о в, Теория литературы, Учпедгиз, 1940, стр. 128; Л. Т и м о ф е е в, Теория литературы, Учпедгиз, 1945, стр. 71.

სატირისა და იუმორის ბუნების უფრო ღრმა ანალიზი მოცემულია გრ. კიკ-ნაძის წიგნში „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ სატირისა და იუმორის ტრადიციულად აღიარებულ განსაზღვრებას „პირველ ყოვლისა ის ნაკლი ახასიათებს, რომ იგი ვერ მიუთითებს იმაზე, თუ რა არსებითი ნიშანი ასხვავებს ურთიერთისაგან სატირასა და იუმორს. „სიმკაცრისა“ და „სიმწვავის“ ხარისხის ცნება ამ შემთხვევაში არ გამოდგება ობიექტურ კრიტერიუმად, რადგან იმის მიხედვით, თუ ვინ არის მკითხველი, დაცინვის სიმკაცრე ირხვევა და ის, რაც ერთს მკაცრ დახასიათებად, ე. ი. სატირად შეიძლება მიიჩნდეს, მეორემ შეიძლება ნაკლებ მკაცრ, ლმობიერ დახასიათებად, ე. ი. იუმორად ჩათვალოს. ამგვარად, თუ ტრადიციული განსაზღვრებიდან გამოვალთ, იძულებული ვავხდებით, რომ ერთი და იგივე ნაწარმოები მივიჩნიოთ ხან სატირულად და ხან კი იუმორისტულად. ამიტომ, ჩვენის აზრით, სატირისა და იუმორის ტრადიციული განმარტება დამაკმაყოფილებელი არ არის; ეს განსაზღვრება ვერ გვაწვდის სახელმძღვანელო პრინციპს მათ შორის არსებული განსხვავების გამოსამწეურებად“<sup>4</sup>.

დასახელებული წიგნის ავტორმა გამოძებნა ისეთი კონკრეტული ნიშანი, რომელიც არსებითად განასხვავებს სატირას იუმორისაგან. ეს ნიშანივე იძლევა ახსნას იმისას, თუ რატომ მიმართავენ ისინი, კომიზმის წარმოქმნის ერთგვარი ხერხების პარალელურად, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მხატვრულ საშუალებებსაც. სატირაში, როგორც ამას მკვლევარი აღნიშნავს, „თავს არ იჩენს დიფერენცირებული დამოკიდებულება, მაგალითად, ქცევისა და ადამიანის მიმართ, თვისებასა და თვისების მატარებელი პიროვნების მიმართ. შეუსაბამო, დასაგმობი თუ სასაცილო მსჯელობა და მოქმედება სატირიკოსისათვის სრულიად საკმაო საბუთია, რათა სასაცილოდ აიგდოს და დაგმოს მთლიანად ადამიანი“<sup>5</sup>.

სწორედ ამის გამო სატირულ ნაწარმოებში მწერლის დამოკიდებულება დასამუშავებელი ობიექტისადმი აგრესიულ და გამწვავებულ ხასიათს ატარებს. მან მთლიანად უნდა მოსპოს და გაანადგუროს ის, რასაც იგი ასახიერებს. სატირული თხზულების ავტორი უკიდურესად უკომპრომისოა. მწერლის ასეთი შეურიგებელი განწყობილება ხდება ამოსავალი იმისა, რომ დასაციანი ობიექტისა თუ მოვლენის სიმახინჯე სატირულ ნაწარმოებებში უმეტესად ძალზე გამუქებულად და თვალმისაცემადაა წარმოდგენილი. სატირიკოსი საგანგებოდ ეძებს ბრძოლის ისეთ საშუალებებს, რომ რაც შეიძლება მეტი სიმძაფრე მისცეს თავის ნათქვამს და ამით მომაკვნილებელი ლახვარი ჩასცეს მიზანში ამოღებულ ობიექტს. ამიტომაც, რომ ამ სახის ნაწარმოებებში ხშირად მიმართავენ გადაპარებებს, ფანტასტიკურობას, გროტესკს, ფაქტებისა და მოვლენების საგანგებო დეფორმირებასა და ჰიპერბოლიზაციას. „Сатирический образ, — წერს ლ. ტიმოფევი, — это образ гротескный, — в котором сдвинуты жизненные пропорции. В силу этого, он и вызывает смех, хотя бы этот смех и переходил вслед за тем в негодование...“<sup>6</sup>.

აღსანიშნავია, ისიც, რომ სატირული ნაწარმოების მოქმედი პირები მკაფიო ინდივიდუალობით ხასიათდებიან. ისინი თავიანთი უარყოფითი, ბუნებრი-

<sup>4</sup> გ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1972, გვ. 20—21.  
<sup>5</sup> იქვე, გვ. 24—25.  
<sup>6</sup> Л. Тимофеев, Основы теории литературы, М., стр. 405.

ვობის საზღვარს გადაცილებული მახინჯი თვისებების გამო „არაჩვეულებრივი-ბი“ არიან. ეს „არაჩვეულებრივობა“ რომ უბიძგებს მათ ჩაიდინონ ასევე „არა-ჩვეულებრივი“ საქმეები. ამიტომ სატირულ ნაწარმოებში განსახიერებული ამბავიკა და პერსონაჟებიც უმეტესად გაცეცხისა და მოულოდნელობის გრძნობას იწვევენ მკითხველში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ სახის თხზულება-თა განსაკუთრებულ ემოციურობაზე.

რამდენადმე განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე იუმორისტულ ნაწარმოებებში. აქ უკვე, როგორც გრ. კიკნაძე აღნიშნავს, „დიფერენცირებულ-ლი დამოკიდებულება დამყარებული ადამიანსა და მის ქცევას შორის. უკანასკნელი გარჩეულია თვით ადამიანისაგან. ეს ქცევა არ არის მიჩნეული ისეთ ქცევად, რომელიც მთლიანად მოიცავს და ფარავს ადამიანს. ამიტომ ამ შემთხვევაში მხოლოდ ქცევა არის დაცინვის ობიექტი და არა საერთოდ ადამიანი“<sup>7</sup>.

იუმორისტული თხზულების ავტორი არც ერთ შემთხვევაში არ ისახავს მიზნად ობიექტის მთლიან განადგურებას. ის მასში კიცხავს მხოლოდ იმ თვისებას, რომელიც მას არ მოსწონს. ამიტომ იგი არ შეიძლება ისეთ მკაცრსა და დაუნდობელ დამოკიდებულებას ამჟღავნებდეს განსახიერებელი მოვლენისა თუ ობიექტის მიმართ, როგორც ამას ადგილი აქვს სატირულ ნაწარმოებში. უფრო მეტიც, ხშირად იუმორისტი თავისი გმირისადმი სიმპათიურადაა განწყობილი და ამიტომ მის დაცინვაში თანაგრძნობაც გარკვევით ჩანს. ბელინსკის თქმით, შეიძლება გიყვარდეს ადამიანი, პატივსაც კი სცემდე მას, მაგრამ მაინც დასცინოდეს<sup>8</sup>. ხოლო დოსტოევსკი დონ კიხოტისა და დიკენსის პიკეიკის შესახებ წერდა: „... из прекрасных лиц в литературе христианской, стоит всего законченее Дон Кихот. Но он прекрасен единственно потому, что в то же время и смешон. Пиквик Диккенса... тоже смешон и тем только и берет. Является сострадание к осмеянному и не знающему себе цены прекрасному — а, стало быть, является симпатия и в читателе. Это возбуждение сострадания и есть тайна юмора“<sup>9</sup>.

ეს თანაგრძნობა, რომ ანელებს დაცინვის სიმწვავეს იუმორისტულ ნაწარმოებებში და ანიჭებს მას სრულიად თავისებურ მიზიდველობას. სწორედ ამიტომ, რომ იუმორის არსებით ნიშანს დიფერენცირებული მიდგომა წარმოადგენს და ამდენად რთულ ფსიქოლოგიურ განწყობილებას გულისხმობს, იუმორი კაცობრიობის ისტორიის უფრო შემდგომი დროის მონაპოვარია და ლიტერატურის განვითარების უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს. თავისი ბუნებით ის ფილოსოფიური ხასიათისაა და ამავე დროს იშვიათი გრაციოზულობით, პიკანტურობითა და დახვეწილობით გამოირჩევა.

იუმორისტი გარკვევით გრძნობს თავის უპირატესობას იმ მოვლენასთან შედარებით, რომელსაც ის დასცინის, მაგრამ დასაციინი თვისებისა თუ ქცევის ჩამდენ პიროვნებას ის არ გამოჰყავს წონასწორობიდან. ადამიანური სისუსტეები კი არ აბოროტებს, არამედ სიბრალულის გრძნობას იწვევს მასში. ამ სახის ნაწარმოებებში ავტორი, ასე ვთქვათ, გაორებულია: ის, ერთი მხრივ,

<sup>7</sup> გრ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1972, გვ. 31—32.

<sup>8</sup> В. Белинский, Полн. собр. соч., т. X, стр. 245.

<sup>9</sup> М. Достоевский, Письма, II, стр. 71.

კენწლავს, მსუბუქად ჩხვლეტს განსასახიერებელ ობიექტს, ხოლო, მეორე მხრივ, თითქოსდა უყვავებს მას და ეფერება. დასამუშავებელი მასალისადმი ასეთი განსხვავებული დამოკიდებულების გამო იუმორისტი მხატვრული განსახიერების სხვა ხერხებს მიმართავს: სატირიკოსის მსგავსად, ის კი არ ამუქებს საგანგებოდ საღებავებს, არამედ ზომიერებისა და ობიექტურობის ფარგლებში თავსდება. საგულისხმოა, რომ ჩერნიშევსკის შეხედულებით, სატირა არ ზრუნავს ობიექტურობის შენარჩუნებისათვის, მისი აზრით, სატირის მიერ შექმნილი სურათები უტრირებულია, იუმორი კი შორსაა მხატვრის ფანტაზიებისაგან, ის ცხოვრების გარკვეული მოვლენებისა და სიტუაციების სინამდვილით ასახვის შედეგია<sup>10</sup>.

მართლაც, კლასიკურ იუმორისტულ თხზულებებში მასალა მხოლოდ ამდაგვარადაა დამუშავებული. მათში შეუფერავად, რეალისტურადაა ასახული ცხოვრების სინამდვილე, რომელიც, ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კომიზმის ამოუწურავ წყაროდ გვევლინება“. „Он (იგულისხმება კომიზმი) во-круг нас и даже в самих нас“<sup>11</sup>. სატირული ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, იუმორისტულში სრულიად ჩვეულებრივი, ყოფითი ამბებია დახატული. მათში მონაწილე მოქმედი პირებიც შეიძლება სრულიად ჩვეულებრივი და უბრალო ადამიანები იყვნენ. იუმორისტული პერსონაჟები არ გამოირჩევიან განსაკუთრებულად მდაბიო, უარყოფითი თვისებებით. ამის გამო ამ ხასიათის ნაწარმოებებში ხშირად წინააღმდეგობა ძალზე შესუსტებულია. მათში თითქოს ყველაფერი კანონზომიერად და ბუნებრივობის ფარგლებში ვითარდება.

სატირამ და იუმორმა შესაძლებელია თავისი განხორციელება პოვოს ყველა ლიტერატურულ ჟანრში (ვგულისხმობთ წმინდა სატირულ-იუმორისტულ თხზულებებს), მაგრამ მათ ბუნებას, ვფიქრობთ, კომედიური ჟანრი ყველაზე უფრო მეტად შეესატყვისება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ ხასიათის ნაწარმოებების ცენტრში „უარყოფითის“ ასახვაა მოქცეული. ეს „უარყოფითი“ კი არ შეიძლება არსებობდეს თავისთავად, განყენებულად. ის რაღაცის ან ვიღაცის თვისება უნდა იყოს. ამიტომ ამ „უარყოფითი“ ნიშნის მატარებელი მოვლენისა თუ ობიექტის ჩვენების გარეშე მწერალი ვერ შეიძლება თავისი ჩანაფიქრის რეალიზაციას. დასაცინი საგნის რაც უფრო მეტ დეტალებზე შეჩერდება ის და რაც უფრო თვალსაჩინოდ წარმოაჩენს იმას, რასაც იგი ებრძვის, მით უფრო სრულად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას. ასეთი თვალნათლივი ჩვენებისა და დანახვის საუკეთესო საშუალებას კი კომედია წარმოადგენს, ჟანრი, რომელიც, მსგავსად სატირული და იუმორისტული თხზულებებისა, მთლიანად კომიკურ კონფლიქტს ემყარება და რომელიც ამავე დროს სცენისათვისაა განკუთვნილი. დასაცინი ობიექტის საჯარო სანახაობად გადაქცევა მწერალს ეხმარება, რათა თავისი ემოციური იდეის შემცველი მიზანი განსაკუთრებული სიმახვილით მიიტანოს საზოგადოებამდე.

რაც შეეხება პროზისათვის განკუთვნილ ჟანრებს, სატირული და იუმორისტული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი თვისებების გამო (მასალის გარკვეული შემოფარგულობა, სატირულ-პრობლემური ერთიანობა, მიზნის

<sup>10</sup> Н. Чернышевский, Полн. собр. соч. т. 3, стр. 18, 132.

<sup>11</sup> В. Белинский, Полн. собр. соч., т. VIII, стр. 69.

გამოკვეთა, დინამიკურობა და ემოციურობა) ისინი შესაძლებელია წარმატებით განხორციელდნენ ნოველასა და მოთხრობაში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სატირა თავის სრულყოფას ნოველაში უფრო უნდა პოულობდეს. ეს ქანრი მეტ შესაძლებლობას იძლევა, რათა სატირისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ემოციური სიმძაფრე სათანადოდ იქნეს გამოხატული. იუმორი კი თავისი ორმაგი ბუნების გამო, ერთი მხრივ, მიილტვის ნოველისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, მოთხრობისაკენ. გამახვილებული მიზანი, მასალის შეკუმშულობა, კონცენტრირება ერთ რაღაცაზე, დინამიკურობა და ემოციურობა მას ნოველისაკენ ეზიდება, ხოლო შესუსტებული წინააღმდეგობა, გაუბრალოებული, ემოციურ სიმწვავეს მოკლებული გრძობები, ავტორის შედარებით თავშეკავებული დამოკიდებულება დასამუშავებელი მასალისადმი, მისი ზომიერი და ზოგჯერ ნეიტრალური ინტონაციაც კი მას მოთხრობისაკენ უბიძგებს. ამიტომაც ხშირ შემთხვევაში იუმორისტული ნაწარმოებები გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ ნოველასა და მოთხრობას შორის.

საზოგადოდ, ემოციურად დატვირთული თხზულებები უმეტესად მცირე ქანრში თავსდება, რადგან ემოციური ეფექტის მიღება, ჩვეულებრივ, დროის მცირე მონაკვეთში ხდება. მაგრამ ეს არ გამოირიცხავს სატირისა და იუმორის განხორციელების შესაძლებლობას რომანშიაც (შესანიშნავი სატირული ნაწარმოებები: „გარგანტუა და პანტაგრუელი“, „გულივერის მოგზაურობა“, „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, „История одного города“, „Золотой теленок“, „Двенадцать стульев“ და სხვანი, ქანრობრივი თვალსაზრისით, რომანებს წარმოადგენენ).

რაც შეეხება ნიკო ლორთქიფანიძეს, იუმორისტული და სატირული თხზულებების წერისას, ის სწორედ მცირე ქანრზე ჩერდება, კერძოდ, მოთხრობასა და ნოველაზე. წმინდა სატირული ხასიათის ნაწარმოებები ნ. ლორთქიფანიძეს მხოლოდ ორი აქვს: „რუმბი“ და „ქაღალდის კაცი“, სატირული ტენდენციები შემჩნევა აგრეთვე „თავის წერილშიც“, რომელშიაც ამავე დროს ლირიზმიცაა განხორციელებული, ხოლო „ფეოდალები“, „ბუმბერაზი“, „უპისკოპოსი ნადირობაზე“, „აზნაურ დედარიძეების ქარაგმა“, „ოდელია დელია“, „სოფლის აშვიკი“, „კბილთხარაძე“ და „თქვენ რომ გათხოვდებით“ წმინდა იუმორისტული თხზულებებია. მსუბუქი იუმორის ელფერი გადაჰკრავს აგრეთვე ნ. ლორთქიფანიძის შესანიშნავ ლირიკულ მინიატურას „ბებრები“.

მასალას ამ ხასიათის თხზულებებისათვის ნ. ლორთქიფანიძე სინამდვილიდან იღებს. მწერლის დაცინვის, აბუჩად ადგებისა თუ გაკილეა-გაკენწვლის ობიექტები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. კომიკურ ასპექტში გვიხატავს ის სასამართლოს უსამართლობას, მღვდელმსახურთა ქარაფშუტობას, მეზნაურ ცხოვრებას, დალატს ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში, ადამიანთა სიხარბეს, უვიცობას, სისულელეს, მანერულ, მაღალფარდოვანი სიტყვებით, ლაპარაკს და მათ, ვინც ცდილობს ისტორიის გაყალბებას. ეს არის ის, რასაც ებრძოდა მწერალი თავისი მაღლიანი კალმით ერის საკეთილდღეოდ.

იუმორისტულ პლანში საკითხების გაშუქება, როგორც ჩანს, შემოქმედების დასაწყისშივე იზიდავდა ნ. ლორთქიფანიძეს. ჯერ კიდევ 1911 წელს მწერალმა შექმნა მცირე ქანრის ნაწარმოები „რუმბი“, რომელშიაც მან იმთავითვე გამოამქლავა ბრწყინვალე სატირულ-იუმორისტული ნიჭი. ეს უკანასკნელი გამოვლინდა როგორც კომიკური შინაარსის მქონე მასალის შერჩევაში, ისე იმ

მხატვრულ ხერხებში, რომელთა მომარჯვებით მან შეძლო იუმორისტულად გადაეწყვიტა თავისი ჩანაფიქრი.

მწერლის მიზანს ამ ნაწარმოებში შეადგენს, მკითხველს დაანახვოს არა არჩევულებრივ ემოციათა მქონე პიროვნებების სულიერი სამყარო და მათი თავისებური ხედვრი ამ ქვეყნად, როგორც ეს ლირიკული ხასიათის თხზულებებშია, არამედ განასახიეროს ისეთი პატარა სულის ადამიანები, რომლებიც ყოველგვარ წვრილმანში თავიანთი გამორჩენის წყაროს ეძებენ და საამისოდ არავითარ დამამცირებელ საშუალებას არ თაკილობენ.

ამ კონკრეტული ჩანაფიქრის ხორცშესახსმელად მწერალი საგანგებოდ ჩერდება ნოველაზე, რომელიც თავისი უანრული სპეციფიკის გამო საშუალებას აძლევს მას მეტი სიმახვილით მიიტანოს მკითხველამდე ნაწარმოების მიზანდასახულობა. როგორც ყველა სახის ნოველას, „რუმბსაც“ ახასიათებს მკაფიოდ გამოხატული მიზანი, შეკუმშული მისალა, ფაბულა და სიუჟეტი, თხზულების ყველა შემადგენელი კომპონენტის ერთ ფოკუსში თავმოყრა, განუწყვეტელი დაძაბულობა და ეფექტურობის სიმაღლემდე აყვანილი ემოციურობა. მაგრამ, ლირიკული ნაწარმოებისაგან განსხვავებით, აქ დაძაბულობისა და ემოციურობის მისაღწევად მწერალი პირველ რიგში კომიზმს მიმართავს. კომიკურია ამ თხზულების ფაბულა, სიუჟეტი და მეტ-ნაკლებად ამ ნაწარმოების ყველა პერსონაჟი.

დავა ღვინის რუმბის თაობაზე წარმოადგენს ამ ნოველის ფაბულის ჩანასახს, გულს, რომელშიაც უკვე გარკვევით ჩანს ავტორის სატირული ტენდენციები და რომლის საფუძველზედაც ის აგებს კომიზმით სავსე ფაბულას: თავადმა არჩილ მინერიძემ და აზნაურმა ფილიპე თამლაძემ სანახევროდ ნაყიდი მოზვერი დაკლეს, საუკეთესო ნაჭრები შუაზე გაიყვეს, დანარჩენი კი საზიაროდ გაყიდეს. ამასთანავე შეთანხმდნენ: საზიაროდვე გაეკეთებინათ მოზვრის ტყავისაგან რუმბი. რუმბის გაკეთებაში ფილიპეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მიუხედავად ამისა, მან არჩილს თანამოზიარის უფლებები წაუყენა და, როცა თავადმა ის მტკიცე უარით გაისტუმრა, ფილიპემ საჩივარი შეიტანა ხონის სასამართლოში. როგორც ვხედავთ, მწერალი მხატვრული განსახიერებისათვის საგანგებოდ არჩევს ისეთ მასალას, რომელიც თავიდანვე ნოყიერ ნიადაგს ქმნის ე. წ. ყოფითი კომიზმის წარმოსაქმნელად.

კომიზმის გაძლიერებას ემსახურება „რუმბში“ აგრეთვე თხზულების თავისებური აღნაგობაც. ამ ნაწარმოების შენებას, მსგავსად „თავსაფრიანი დედაკაცისა“, მწერალი ეპიგრაფით იწყებს: „ეს ნამდვილი ამბავია; გუნდა-ლაზოსტაკით მხოლოდ წარბ-წამწვამი შეგვუღებე და ლოყებზე ოდნავ ფერ-უმარილი წაფუსვი“. ისე, როგორც „თავსაფრიან დედაკაცში“, „რუმბშიაც“ ეპიგრაფის მთავარ მიზანს შეადგენს, დაარწმუნოს მკითხველი, რომ ნაწარმოებში ასახული ამბავი სინამდვილეში მომხდარი ფაქტია. მაგრამ მიუხედავად მიზანდასახულობის ასეთი თანხედომისა, ამ ნოველათა ეპიგრაფები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. განსხვავება შეიმჩნევა პირველ რიგში მწერლის ინტონაციაში: „თავსაფრიანი დედაკაცის“ ეპიგრაფი ღრმა ლირიზმითაა აღბეჭდილი. მისი ყოველი სტრიქონი იმ ზომამდის სევდიან და ამაღლელებელ ტონშია დაწერილი, რომ მკითხველიც, მისდა უნებურად, ნაწარმოების დასაწყისშივე სევდიან განწყობილებაზე დგება. „რუმბის“ ეპიგრაფს კი მსუბუქი იუმორის ელფერი გადაჰკრავს. ასე რომ, მწერალი ამ შემთხვევაშიაც ნაწარმოების პირველსავე საფეხურზე ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას მხატვრულად დასა-

მუშავებელი მასალისადმი და ამით შესატყვის განწყობილებას უქმნის მკითხველსაც. ეს იუმორით სავსე ინტონაცია მიჰყვება შემდეგში მთელ ნოველას მის ფინალურ წინადადებად.

ნოველის ძირითადი ტექსტი (ეპიგრაფის გარეშე) დაყოფილია ექვს მცირე ზომის მონაკვეთად, რაც კომპოზიციურად თითქოს არავითარ თავისებურებას არ ქმნის. სინამდვილეში კი „რუმბის“ სწორედ კომპოზიციას, რომ იქცევეს ყურადღებას და განასხვავებს მას ნ. ლორთქიფანიძის სხვა ნოველებისაგან. ჩვეულებრივ, ნ. ლორთქიფანიძის ნოველებს ერთი ამბავი უდევს საფუძვლად, „რუმბში“ კი, შეიძლება ითქვას, ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და ამავე დროს დასრულებული ამბავია მოცემული: აქედან ერთი, ის, რომელიც რუმბის გარშემო იშლება, წამყვანია, ხოლო მეორე, რომელიც ნოველის პირველ მონაკვეთშია მოთავსებული, ასე ვთქვათ, იმ „ძირითადის“ პრელუდიაა, გასაღები და თუმცა იგი ნოველის ცენტრალურ სიუჟეტურ ბირთვს უშუალოდ არ ერწყმის, მაინც ნაწარმოების მიზნის გამოკვეთას ემსახურება. ამიტომ ისიც იმავე ფოკუსში ხვდება, რომელშიაც ამ ნოველის სხვა დანარჩენი კომპონენტებია თავმოყრილი.

ტექსტის მიხედვით, ამ „მეორე“ ამბავს მოუთხოვრებს ქალაქიდან ახლად ჩამოსული აზნაური ფილიპე თამლაძე წირვაზე შეყრილ თანასოფლელებს. მსმენელებს შორის თავადი არჩილ მინერაძეცაა.

შემთხვევას, რომელსაც ფილიპე გადმოსცემს, ძირითადად ორი პერსონაჟი წარმართავს: სასამართლოს მოხელე — გიორგი ვაშლობაშვილი და ყოფილი სამხედრო პირი — ივანე სანდამაშვილი. მოქმედება ხდება ქუთაისში, „მწვანე ბაზარზე“, სადაც გიორგი და ივანე ერთმანეთს ედავებიან. დავის ობიექტი ამჯერად ნესვია.

„დამდგარა ეს ჩვენი „პრისუსტივეს ჩლენი“, — იწყებს თხრობას ფილიპე, — და ეჩხუბება ივანე სანდამაშვილს, ხომ იცნობ, „ოტსტავნი კაპიტანია“ ის კაცი. გიორგი ყვირის: „მე მეტი ფული მოგეცი და მეტიც მერგებოა“. სანდამაშვილი კი გაიძახის: „შენ უკეთესი ნაჭრები მიგაქვს და უნდა დაკმაყოფილდეო“. მარა, არ მოგეცა ჭირი, არც ერთი არ ჩუმდება.

— რას იყოფდენ? — ვერ მოითმინა არჩილმა.

— რას და... თურმე ერთი ნესვი ეყიდა სანდამაშვილს. იმ დღეს წვეთულება ჰქონდა. სწორეთ, როცა ნესვს ართმევდა მეხილეს, შემოსულყო გიორგი. გიორგის ეთქვა: „ვაი, რომ კარგი ნესვები აღარ არისო!“ სანდამაშვილს თავაზით მოეხსენებია: „სანახევროდ იყოს ეს ჩემი ნაყიდი ნესვიო“. „რა მიეციო?“ — უკითხავს ვაშლობაშვილს. — „სხუთი შაური“, — უბასუხნია სანდამაშვილს. „ა, მიირთვი თორმეტი კაპიკი“. — „თორმეტი რატომ, ჩემი ნაყიდი შენ გითავაზე; შენ ცამეტი მიეცი და მე თორმეტს მიეცემო“. იყიდეს. სანდამაშვილმა თორმეტი კაპიკი მისცა, ვაშლობაშვილმა ცამეტი. მეხილეს უთხრეს: „გაჭერი შუაზე“. მეხილემ გაჭრა, მაგრამ მეტ-ნაკლები გამოვიდა. არც ერთი არ უთმობდა. უფროსს მოაჭრეს და უმცროსს დაამატეს სართად, მაგრამ ახლა ამან გადაიწონა, მაშინ აქეთურს მოჭრეს. მეხილე იცინოდა და განგებ პატარა ნაჭრებს კი არ აკლებდა, რომ მეორესთვის დაემატებია, არამედ დიდს ნაჭრებს ჩამოთლიდა. ორად გაჭრილი ნესვი ახლა თითქმის ლავამივით დათალეს.

ბოლოს მორიგდნენ. სანდამაშვილს ბიჭი ჰყავდა კალათით. ვაშლობაშვილმა კი მთელი ეს ხროვა პატარ-პატარა ნაჭრებისა ქალაქში გამოახვია და წაიღო. მთელი ბაზარი იცინოდა. ყველაზე უფრო სანდამაშვილი, რადგან დარწმუნე-



ბული იყო, რომ ვაშლობაშვილი გააცურა, ცუდი ნაჭრები და ნაკლები შეატყუა“.

როგორც ვხედავთ, ფილიპეს მიერ გადმოცემული ამბავი იმდენად დასრულებულ ხასიათს ატარებს, რომ ის შესაძლებელია დამოუკიდებელ ნაწარმოებადაც კი მივიჩნიოთ, კერძოდ, მინიატურულ ნოველად. რომელსაც შეიძლება ითქვას, ამ ქანრისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი გააჩნია. ამგვარად, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ტექსტის ძირითად ნაწილში, ასე ვთქვათ, მთავარ ნოველაში საგანგებოდაა ჩასმული მეორე, ძალზე მცირე ზომის ნოველა, როგორც თითქოსდა მისი მოდელი ანალოგიური თემატიკით, მიზანდასახულობითა და ამავე დროს მსგავსი კომიკური სიუჟეტით.

ასეთი ხასიათის „ჩანართები“ არ უნდა იწვევდეს მკითხველის ყურადღების გაფანტვას. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ის, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ერთი სულის ამოთქმით იკითხება, ხოლო მეორეც, მისი მომთხრობიца და ყველაზე აქტიური მსმენელიც ნოველის წამყვანი პერსონაჟები არიან. გარდა ამისა, მკითხველის ყურადღების კონცენტრირებას აქ ხელს უწყობს ის, რომ ფილიპეს მონათხრობის შემდეგ მწერალი დაუყოვნებლივ კრავს ნაწარმოების ძირითად ტექსტის სიუჟეტურ კვანძს: თავადი არჩილა და აზნაური ფილიპე იღებენ გადაწყვეტილებას, საზიაროდ იყიდონ მოზვერი.

ამ მომენტიდან ნოველის ცენტრში ეს ორი პიროვნებაა — ფილიპე და არჩილი. გიორგი ვაშლობაშვილი და ივანე სანდამაშვილი სამუდამოდ ჩამოდიან სცენიდან, მაგრამ მკითხველს ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვს ის ინციდენტი, რომელიც ამ პირებს შეემთხვათ და ახლა ის შინაგანად გრძნობს, რომ „მწვანე ბაზარზე“ მომხდარი ამბავი სიგნალია იმისა, რომ არჩილიცა და ფილიპეც ისეთსავე საქციელს გაიმეორებენ. მკითხველის ეს მოლოდინი, როგორც ამას თხზულების შემდგომი მსვლელობა გვიჩვენებს, საკვებით მართლდება. ასე რომ, ე. წ. მოულოდნელობის ხერხს, რომელსაც ხშირად იყენებენ ნოველისტები, განსაკუთრებით სატირული ნოველის შექმნისას, ნ. ლორთქიფანიძის ამ ნაწარმოების სიუჟეტურ განვითარებაში ვერ ვხედავთ.

ნაწარმოების მეორე მონაკვეთში დაძაბულობა შედარებით სუსტია: თავად არჩილ მინერძიქესა და აზნაურ ფილიპე თამლაძეს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა კვლავ გრძელდება. მათ მშვიდობიანად გაიყვეს დაკლული მოზვერის ხორცი და ახალი გადაწყვეტილება მიიღეს: საზიაროდ გააკეთონ მოზვერის ტყავისაგან ღვინის რუმბი და საზიაროდვე მოიხმარონ ის.

ნოველის მესამე მონაკვეთის პირველსავე სტრიქონებში კი უკვე აშკარა ხდება, რომ შეტყევა არჩილსა და ფილიპეს შორის გარდუვალა. ტექსტში ვკითხულობთ:

„გავიდა ერთი კვირა, არჩილმა ხან უთხრა, ხან შეუთვალა: მოუხერხობთ რამე ტყავსო, მაგრამ ფილიპე პასუხს არ აძლევდა. ასე გავიდა კიდევ ერთი კვირა. არჩილმა ტყავი გააკერვინა და კიდევ შეუთვალა: — ტყავი შეკერილია, დაკუპვრა და გაქონვა სჭირია და შემომიღეჭი ხარჯებშიო, მაგრამ არც ამას არ მიაქცია ყურადღება ფილიპემ.“

ამას შემდეგ კი არჩილს ფილიპესათვის აღარაფერი შეუტყობინებია“.

ნოველის ამ აბზაცში უკვე ცხადად იკვეთება აზნაურ ფილიპეს სახე, მისი თადლითობა და უპირობა. მკითხველი ახლა კი ნათლად ხვდება, რომ ფილიპე თამლაძე სულიერი ძმია იმ გიორგი ვაშლობაშვილისა და ივანე სანდამაშვილისა,

რომლებმაც უსაშველო დაეაბტეხეს ერთი ნესვის გამო და რომლებსაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ თვით ფილიპე ასე გესლიანად დასცინოდა. ჩქარა მკითხველი საესებით რწმუნდება ამაში. მწერალი სწრაფად შლის თხზულების სიუჟეტურ ქარგას და იმავე მონაკვეთში, სულ რამდენიმე წინადადების შემდეგ, ცოცხლად წარმოგვიდგენს თავად არჩილ მინერიძისა და აზნაურ ფილიპე თამლაძის პირველ შეტაკებას: ფილიპე მოითხოვს არჩილისაგან, ათხოვოს მას რუმბი ხუთი თვით.

ფილიპეს უტიფრობას არჩილი გესლიანი რეპლიკებით უპასუხებს. მწარე და ავადებულ სიტყვა-პასუხში არც ფილიპე ჩამორჩება. პირველი შეტაკება მთავრდება ფილიპეს მუქარით: „დაგიჯენ ფასად, არჩილ, ჩემს გალანძღვას, თუ კაცი ვყოფილვარ!“ ასე თანდათანობით ამზადებს მწერალი ნიადაგს მომავალი კომიკური სცენის წარმოსადგენად.

ისე, როგორც ყველა ნოველაში, „რუმშიაც“ დაძაბულობა მზარდ ხასიათს ატარებს. დამოკიდებულება თხზულების წამყვან პერსონაჟებს შორის საგრძნობლად რთულდება. მეზობელთა უსიამოვნება აშკარა მტრობაში გადადის: ფილიპე ხონის სასამართლოში უჩივის არჩილს. თხზულების ეს ადგილი, კერძოდ მეოთხე მონაკვეთი, კომიკურობის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. მწერლის იუმორისტული ნიჭი აქ სრულიად ამოუწურავი ჩანს. მხედველობაში გვაქვს პირველ რიგში ფილიპეს მიერ შედგენილი საჩივარი, რომელშიაც ავტორი კომიზმის გასაძლიერებლად ნაირ-ნაირ საშუალებებს მიმართავს და თანაც ისე მარჯვედ ხმარობს მათ, რომ ნაწარმოების ამ ადგილმა შეუძლებელია, მკითხველში გულიანი სიცილი არ აღძრას.

თამლაძის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი განცხადება ასე გამოიყურება:

„ყოველი ტერიტორიაზე ადამიანის ერთადერთს ნუგეშს მაღალ გონიერებით სავსე ხონის მისამართლეს.

თავად არჩილს მინერიძის მიერ დაჩაგრულის და აკლბულის აზნაურ ფილიპე თამლაძის უმორჩილეს მონის თხოვნა და ვედრება.

ვის უნდა მივმართო ავლადილებისაგან გაცლილმა, ყოველ წუთში სიკვდილის მომლოდინემ, თუ არა თქვენ, მფარველო და მოსარჩლეო შევიწროებულ სულთაო.

მეფე გაჯილდოვებს და ღმერთი გლოცავს, რადგან არ მოსულა თქვენს წინაშე არც კვირვი, არც კეთროვანი, რომელიც არ გაგვიკითხოს თქვენ.

ასეთი თქვენი სათნოება მამამაცებს მოგმართოთ თქვენ თხოვნითა უმორჩილესითა, რათა დაზიაროთ გარეწარ სულისაგან, თავად არჩილ მინერიძისაგან.

კაცი ესე ღიღინ დაობლებისა ჩემისა, არა საშუალებას, სატანის მიერ შთაგონებულსა, არ უარყოფს, რათა მაგნოს. ხშირად სიცოცხლეცა კი ჩემი ბეწვზედა კიდია.

როს ბავში ვიყავ, მოგახსენებდათ აწ განსვენებული დედაჩემი, თქვენი უმორჩილესი მონა-მოახლე, მიპირებდა, თურმე, თავადი იგი აკვანში ჩაჩრბობას; ამა მიზნის აღსასრულებლად ქაჩა და სწია ჯვარი ჩემს კისერზე დაკიდებული; საბედნიეროდ ჩემდა და თავად არჩილ მინერიძის თვალის დასამსებათ, ძაფი ჯვარისა გაწყდა და თავადი იგი წაიქცა. გონება თქვენი, ყოვლისა გამჭვრეტი, ადვილად მიხვდება, თუ რაოდენი სიმძლავრე ჩემდამი სუფევდა თავად მინერიძის გულში, თუკი მიიღებთ მხედველობაში, რომ ბავში მთელი დღე ამის შემდეგ ტიროდა.

ყმაწვილობასა ჩემსა თავადი არჩილ და მე ერთად ვცურავდით და ფეხი თვისი მარჯვენა დამკრა თავში და, როცა მე ჩავიყურეყუმალე, მორთო ღრიალი, რათა მისთვის არ დაებრალებათ ცოდვა კენისა, ახლოს იყვნენ გულკეთილი გლეხები, რომელთაც გადამარჩინეს ღვთის სადიდებლათ, თქვენდა მოსამსახურეთ, მეფის ერთგულათ და თავადი არჩილ მინერიძის გასახეოქო.

როს შეველ ასაკოვნებაში და — ვითხოვ თქვენს წინაშე თავხედობისათვის ბოდის — ყოველი მშობელი სიძეთ მნატრობდა და ყოველი ქალი ქმრათ, ზემორე დასახლებული თავა-

დი გადაწყვიდა, მისი მამიდამშვილი მზითვანი ქალი შემერთო. ქალი ესე ვათხოვების ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა და შთავარდი ქერივობისა მწუხარებაში და კაეშანში.

რათ შევაწუხო გარდათვლითა ყოველი ბოროტმოქმედებათა, რომელიც მიიღო ჩემდამი თავადმა არჩილმა, მაღალი გონიერება თქვენი; გარნა მეხსიერებასა ჩემსა არ ძალუძს არ მოიგონოს კიდევ ერთი ბელზებელისებური განზრახვა მისი: შარშანდელ საშინელ თოვლ-წვიმა-ქარზე მეტყველიანი თვალნი თქვენი წაიკითხადენ ვაზეთსა შინა წერებულსა, ხოლო ჩვენ, მონათა თქვენთა, ვიგრძენით ზურგზედა ჩვენსა ზედა და თავზედა ჩვენსა და ამა საშინელს დროსა, როცა თვით ცხოველსაც კი შეიწყალებდა კაცი, თავადმა არჩილმა გადმოუკვალა მის ეზოში მყოფ ადიდებულ ღელეს ჩემს ეზოსაკენ და აავსო წყალმან მან მღვრიემ, ტალახიანმა აივანი ჩემი, რომელზედაც თვით ნეტარსენებულის სოლომონ დიდის ფეხებიც კი დასველებულა ქვიშით, სილით, ფიჩხით და ათასი ვაი-ვაგლახით.

ბოლოს და ბოლოს ვთხოვ თქვენს აღმატებულებაზე უფრო აღმატებულს გონების სიწმინდეს და სიფაქიზეს, ჩამოართვათ ზემორებსენებულ თავადს არჩილ მინერიძეს ჩემო რუმბი და ჩამაბართო მე, და ამით ადადგინოთ დათრგუნვილი უმანკოება ჩემი, რასა შინა მოწიწებით ხელს ვაწერ, და, რადგან მან წერა არ იცოდა, მის მაგიერ ხელს ვაწერთ...“

განცხადების შინაარსისა და ფორმის ასეთი შეუსაბამობა: უკიდურესი ალოგიკურობა, გამოხატული საოცრად მაღალფარდოვან სტილში, ბრჭყვიალობრჭყვიალა სიტყვებითა და ძველი ქართული ენის დამახინჯებული ნორმებით, გამოგონილი, შეთითხნილი ფაქტების ჰიპერბოლიზაცია, გადაქარბებული, სრულიად შეუფერებელი ხობა-დიდების შესხმა ხონის მოსამართლისადმი, თავად არჩილის დასახვა „სატანად“, ხოლო საკუთარი თავის წარმოდგენა „უმანკო“ პიროვნებად და „უტოდველ კრავად“, საზოგადოდ, ასეთი გამომზეურება ფილიპეს ყველა მანკიერი თვისებისა (გონებრივი ჩამორჩენილობა, სრული უცილობა, წარმოუდგენელი გაუტანლობა, სიცრუე და უკიდურესი მლიქვნელობა) — ყველაფერი ეს ერთად გულწრფელ სიცილს იწვევს მკითხველში და ანიჭებს მას ესთეტიკურ კმაყოფილებას.

თხზულების დასასრულისაკენ ნ. ლორთქიფანიძეს აქცენტი რამდენადმე სასამართლოზე გადააქვს. ახლა მისი დაცინვისა და გაკივვის მთავარ ობიექტს ვეჭილები, მოხელეები და, საზოგადოდ, მთელი იმდროინდელი სასამართლო აპარატი შეადგენს. ელვისებური სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს სულ უფრო და უფრო კომიკური სიტუაციები.

სასამართლო მთელი „სერიოზულობით“ შეუდგა ფილიპეს მიერ აღძრული საქმის გარჩევას. დაინიშნა „განჩინების“ დღე. თავადი არჩილი სასამართლოზე არ გამოცხადდა. დაინიშნა მეორედ და ახლა არჩილმა დაბეჭითებით მოითხოვა საქმის ადგილობრივი გამოძიება, რათა დაემტკიცებინა, ერთი მხრივ, ის, რომ ფილიპეს ეზოში მას წყალი არ შეუშვია, ხოლო, მეორე მხრივ ის, რომ რუმბი მხოლოდ მისი გაკეთებული იყო. ამ უკანასკნელის დასამტკიცებლად იგი მოწმეებად ასახელებდა მეკუბარეს, „მეჭონეს“ და გამკერავს.

ამის შემდეგ ტექსტი მთლიანად ავტორისეული რემარკებისაგან შედგება. მხოლოდ ერთი რეპლიკა და არავითარი დიალოგები. მიუხედავად ამისა, ნაწარმოების დინამიკურობა ამით ოდნავადაც არ მცირდება. მოქმედების სიუჟეტური ხაზი აჩქარებით მიემართება დასასრულისაკენ. ძალზე შეკუმშული და საოცრად მოქნილი ფრაზებით მწერალი ახერხებს პატარ-პატარა აბზაცებში წარმოადგინოს არაჩვეულებრივად მძაფრი კომიკური სიტუაციები და ამასთანავე მწარე ირონიით დასცინოს ერთდროულად მრავალ სულ სხვადასხვა ჯურის, წოდებისა თუ თანამდებობის პირს.

„კეთილსინდისიანები, ნაცვალი, მამახალისი, ორი თუ სამი მოწმე ჩაფარი, თარქმანი, მწერალი და მოპრიგებელი მოსამართლე, ზოგიერთი ოცი-ორმოცი ვერსის მანძილიდან მოსუ-

ლი, სამი თუ ოთხი საათი უვლიდნენ ყოფილ ნადვარებს, რომელსაც ვითომცდა წაელვოს თამლაძის ეზო და გაეფუჭებინოს თვით ის აივანი, რომელზედაც ერთხელ სოლომონ დიდს დაედგა მოწყალე ფეხები.

ერთი კვირის შემდეგ ზონის სასამართლო სავსე იყო მომჩივან-მოპასუხებით, მოწმეებით და, რაც უფრო სასაცილო იყო, ხახამი, მოლა, ტერტერა და მღვდელი ერთად იჯდნენ და მუსაი-ფობდნენ: მათ უნდა დაეფიცებიათ მოწმეები; მეკუპრე ებრაელი იყო, ტყავის მკერავი — თათარი, მექონე — სომეხი და დანარჩენი მოწმეები — მართლმადიდებელი ქრისტიანები. მოსამართლე, ცოტა არ იყოს ამ საქმით გაბოროტებული, გესლიანად ფიქრობდა, სხვა საქმეებს სანამ არ მორჩებოდა, ამ საქმისათვის არ მიეყო ხელი და, თუ მოსახერხებელი იქნებოდა, მეორე დღისათვისაც გადაედგა\*.

მეორე დღეს კი მოსამართლის დადგენილების თანახმად, ფილიპეს აეკრიალა თავისი უფლებების გავრცელება რუმზზე, ხოლო არჩილს მიესაჯა 7 დღით პატიმრობა განგებ თამლაძეების ეზოში ღვარის გაშვებისათვის.

ფილიპემაც და არჩილმაც ეს დადგენილება ოლქის სასამართლოში გაასაჩივრეს. სამოქმედო ასპარეზზე ახლა თავთავიანთი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ნაფიცი ვეჭილეები გამოდიან. „ამათ უკვე აინტერესებდათ — როგორც ამბობდნენ და როგორც გასამრჯელოს იღებდნენ, — წერს მწარე ირონიით ნ. ლორთქიფანიძე, — პრინციპიალური მხარე უფლებებისა“. ხოლო თუ რამდენად „პრინციპიალური“ და „სამართლიანი“ აღმოჩნდა საოლქო სასამართლოს მოსამართლე, ამაზე შესანიშნავად მეტყველებს თვით მის მიერ გამოტანილი დადგენილება: „მიეცეს თამლაძეს ნახევარი ფასი მოზვერის ტყავის — ოთხი აბაზი და 3 კაპიკი, ხოლო საქმის საწარმოებელი — 176 მან. და 24 კაპ. ხარკები დაადგეს თავად არჩილს“.

გაბოროტებულმა არჩილმა საქმე პალატაში გადაიტანა. პალატამ დაარღვია დადგენილება და საქმე კვლავ ოლქის სასამართლოში გადაგზავნა. ამჯერად მინერტიემ გაიმარჯვა. „ორას ცხრა მანეთი და ცხრა შაური საქმის საწარმოები მიაჰვდეს თამლაძეს“. ხოლო ამ უკანასკნელმა ისე გალანდა არჩილი და სასამართლოს ბოქაული სახლის აღწერის დროს, რომ ამის შემდეგ დაიწყო მეორე „დაუსრულებელი ამბავი“.

როგორც ვხედავთ, ამ ნოველას სრულიად სადა სიუჟეტი აქვს. ამბავი იშლება ყოველგვარი ლიტერატურული ინტრიგებისა და მოულოდნელობის გარეშე. დიალოგები კი მასში რამდენადმე ძუნწადაა მოცემული. მიუხედავად ამისა, ეს ნოველი გარკვევით გამოირჩევა თავისი მძაფრი ემოციური დატვირთულობით. მაგრამ „რუმბისაგან“ გამოწვეული ემოციები აშკარად განსხვავდება იმ ემოციებისაგან, რასაც მკითხველი ნ. ლორთქიფანიძის ლირიკული ნოველებიდან იღებს. „თავსაფრიანი დედაკაცი“, „ტრაგედია უგმიროდ“. „მთვარიანი ღამის ჩრდილში“, „გული“, „ესეც თქვენ!“ მკითხველში მიიმე და სევდიან განცდებს იწვევს, მაშინ როდესაც „რუმბის“ კითხვისას ადამიანი განუწყვეტლივ იცინის. იუმორისტული ნიჭი აძლევს ნ. ლორთქიფანიძეს საშუალებას, შეიტანოს ნაწარმოებში ემოციათა ისეთი დიდი ნაკადი, რომ მისი ტალღების სიძლიერეს მკითხველი განუწყვეტლივ გრძნობდეს\*.

\* დასასრული შემდეგ ნომერში.

ღ ა ვ ი თ კ ო ბ ი ძ მ

„წვეხისტყაოსნის“ ზოგიერთი მეტაფორისა და სიტყვის  
განმარტებისათვის

1947 წელს რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ორგანოში (ლიტერატურული ძიებანი, III) ჩვენ დავბეჭდეთ წერილი „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან“ (გვ. 203—223). იგი ეხებოდა რუსთველისა და ნიზამის ურთიერთობისა და თეიმურაზ პირველის ლიტერატურული წყაროების საკითხებს.

აღნიშნულ წერილში დასმულ პრობლემებს ბევრი მკვლევარი გამოეხმაურა. მათგან შეიძლება დავასახელოთ კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, კ. ჭიჭინაძე, მ. მამაცაშვილი, კ. დანელია და სხვები. ამათგან ზოგი თეიმურაზის ლიტერატურულ წყაროებზე ჩვენს მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა დააინტერესა, ზოგიც კი — რუსთველის მეტაფორების განმარტებამ. კამათი ამ უკანასკნელის შესახებ დღემდე გრძელდება.

ჩვენ ზოგადად დავახასიათეთ ნიზამისა და რუსთველის პოეტური მეტყველების თავისებურებანი, ვცადეთ ამ ორ უდიდეს პოეტს შორის არსებული განსხვავების დაძებნა და მისი ხასიათის განსაზღვრა. ჩვენ ვწერდით: „თუ ნიზამი მხატვრული თქმების, სახეების მრავალფეროვნებაში იძირება და ხშირად ამის გამო, შინაარსის მსვლელობას ანელებს, რუსთველი, პირიქით, იჩქარის ამბავს. მხატვრული სახე „ვეფხისტყაოსანში“ ამბის დინების განუყრელი, ორგანული ნაწილია“ (გვ. 209).

ამის ცხადსაყოფად ჩვენ პოემიდან შემდეგი ადგილი წარმოვადგინეთ:

ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირს ხმითა შეენიერითა,  
ყორანსა ვაძვლევს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა;  
ვახეთქა ლალი, გათლილი ანდამატისა კვერითა,  
მუნთ წყარონი გამოჩნდეს, ძოწსა გამსვავსე ფერთა (1342).

ამ სტროფში, როგორც ვხედავთ, ერთადაა თავმოყრილი შესანიშნავი შედარება-მეტაფორები; ამ თვალსაზრისით იგი პოემაში არსებულ ყველა სტროფისაგან გამოირჩევა. მასში აღწერილია ავთანდილის ტირილი.

ავთანდილმა ტარიელს ნესტან-დარეჯანის წიგნი და რიდე მიუტანა. მისმა გულმა მეტისმეტ ლხენას ვედარ გაუძლო; იგი დაბნედილი დაეცა, თვალები დახუჭა, სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარა ჰქონდა. ავთანდილს ტარიელი მკვდარი ეგონა და ტირილი მორთო.

ჩვენ ვწერდით: „პირველი სტრიქონის მომდევნო სტრიქონები, სადაც თავს იყრის წარმტაცი პოეტური სახეები, ერთი და იმავე სურათის ნაირსახეობებს კი არ წარმოადგენს (როგორც საერთოდ ნიზამის პოეტურ მეტყველებას ახასია-

თებს), არამედ ერთ მთლიანობაში მოვლენის (ამ შემთხვევაში ავთანდილის მწუხარება-ტირილის) განვითარების სხვადასხვა საფეხურის დამხატველად გამოდის. რუსთველს ყოველთვის სინათლე შეაქვს პოეტური თქმის, სახის გამოკვეთაში; ზემოწარმოდგენილ უკანასკნელ სამ სტრიქონს რომ წინ არ უსწრებდეს სტრიქონი „ავთანდილ დაჰდა ტირილად, ტირს ხმითა მშვენიერთა“, რამდენადმე ძნელი გასაგები იქნებოდა, რომ აქ ყო რ ა ნ ი თ მ ა ა, ბ რ ო ლ ი ს ჰ ე რ ი — თ ი თ ე ბ ი, ლ ა ლ ი — ს ა ხ ე, ა ნ დ ა მ ა ტ ი ს კ ვ ე რ ი — მ უ შ ტ ი, ხოლო ძ ო წ ი ს ფ ე რ ი წ ყ ა რ ო ნ ი კ ი მ უ შ ტ ი თ გახეთქილ სახიდან მოდენილი ს ი ს ხ ლ ი“ (გვ. 209—210).

სტროფში წარმოდგენილი მეტაფორების გახსნა იმიტომაც ვცადეთ, რომ მათ გულდასმით არავინ შეხებია. მოსალოდნელი იყო, რომ მოყვანილ სტროფს ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარი, პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე განიხილავდა, მაგრამ მაშინ მის ნაწერებში ასეთი რამ არ აღმოჩნდა. შეიძლება ისიც აღვნიშნოთ, რომ სტროფში წარმოდგენილი მეტაფორების ჩვენებური გაგება სხვებმაც გაიზიარეს.

ეურნალ „მნათობში“ (1952, № 10, გვ. 152—155) გამოქვეყნებულ რეცენზიაში, რომელიც ალ. ბარამიძის „ნარკვევების“ III ტომს მივუძღვევით, კვლავ შევეხეთ აღნიშნულ მეტაფორებს, კერძოდ, „ყორნისა“ და „ბროლის ჰერის“ შესახებ შემდეგს ვწერდით: „ხომ შეიძლება ყორანი თვალებად იქნეს გაგებული და ბროლის ჰერი ცრემლებით აბრწყინებულ წამწამებად?“ (გვ. 154)<sup>1</sup>.

ჩვენ „ყორნისა“ და „ბროლის ჰერის“ გაგების ასეთი ვარიანტი დაუშვით, მაგრამ მისთვის მხარი არ დავიჭერია, რადგანაც იგი დიდ დაბრკოლებებს აწყდება. ზემოთ წარმოდგენილი წინადადება და მასში გამოთქმული აზრი იმიტომ გავიხსენეთ, რომ მკვლევარი ალექსი ჭინჭარაული, რომელიც აღნიშნულ მეტაფორებს შეეხო (მაცნე, 1973, № 2, გვ. 95—107), მას კ. ჭიჭინაძეს მიაწერს. მასვე მიაწერს „ბროლის ჰერის“ თითებად განმარტებასაც (გვ. 99), რაც ჩვენ გვეკუთვნის და რასაც კ. ჭიჭინაძე თავის დროზე შეებრძოლა კიდევ<sup>2</sup>.

ალ. ჭინჭარაული აჩქარებულა. ჩვენი აზრით, აჩქარების მიზეზითაა გამოწვეული ისიც, რომ საკითხის კვლევის ისტორიის გადმოცემისას იგი ქრონოლოგიას არ იცავს.

საინტერესო ის არის, რომ საბოლოოდ ალექსი ჭინჭარაული ყველა მკვლევარს, ვინც კი ოდესმე საანალიზო მეტაფორებს შეხებია, ერთ ჭვავში ათავსებს, მათი „მოსაზრება გასაზიარებელი არ არის თუნდაც იმიტომ, რომ მკვლევრებს ჰ ე რ ი ხ ა ნ დ ლ ე ვ ა ნ დ ე ლ ი მ ნ ი შ ვ ე ნ ლ ო ბ ი თ ე ს მ ი თ, ხ ა ნ კ ი დ ე ვ დ ა ჰ ე რ ი ს მ ნ ი შ ვ ე ნ ლ ო ბ ი თ ი“ (გვ. 99), აცხადებს ის.

სხვა მკვლევრებზე რომ არაფერი ვთქვათ, მიძნელდება ავხსნა, თუ რას ემყარება მკვლევარი, საიდან გამოაქვს მას ასეთი დასკვნა ჩვენი მოსაზრებების შესახებ, საიდან ჩანს, რომ მე ჰ ე რ ი თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ვ ა გ ე ბ ი თ მ ე ს მ ის და არა ძველით?

<sup>1</sup> აღნიშნული რეცენზია შემოკლებული სახით გამოქვეყნდა ჩვენს წიგნში „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, II, 1969, გვ. 288 — 292.

<sup>2</sup> იხ. მისი წერილი „ვეფხისტყაოსნის“ ორი ადგილის გაგებისათვის, ეურ. „მნათობი“, 1953, № 4, გვ. 141—115. აღნიშნული წერილი ვადაბეჭდა მისი სტატიების კრებულში: რუსთაველი და მისი პოემა, 1960, გვ. 125—194.

„ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო სტროფში, რომ მე ჭერი ძველი გაგებით მესმოდა, ეს იყო იმის მიზეზი, რომ პასუხი არ გავეცი კონსტანტინე ჭიჭინაძეს, რომელიც „მნათობში“ დაბეჭდილ ჩვენს წერილს გამოეხმაურა და მომდევნო წელს იმავე ჟურნალის მეოთხე ნომერში მოათავსა წერილი, რის შესახებაც ეს-ეს არის ვისაუბრეთ.

კ. ჭიჭინაძე კითხულობს: რით ჰგავს ხელის თითები ჭერს? თვითონვე უბასუხებს — სრულიად არაფრითო. ჭერი მას, როგორც აღინიშნა, ახალი გაგებით ესმის, კერძოდ, მისი აზრით, იგი ამ შემთხვევაში არის ადამიანის სხეულის დასრულება, მისი სარქველი, ანუ ჭერი. ამგვარად „ბროლის ჭერი“ რუსთაველის მეტაფორაში ნიშნავს არა ხელს თითებით, როგორც ა. ბარამიძე და დ. კობიძე ფიქრობენ, არამედ თავის ზემო ნაწილს შუბლითურთ (გვ. 114—115, რუსთველი და მისი პოემა, გვ. 194). ჭერის მისეული გაგება სხვებმაც გაიზიარეს.

კ. ჭიჭინაძემ სამართლიანად მიგვითითა, რომ პოემის ამ ადგილას ანდამატის კვერი მუშტის მეტაფორა არ არისო, რაც ჩვენ გავიზიარეთ. „ბროლის ჭერი“ თითებად განმარტებისას ჭერის ძველი გაგება (მრგვალი ხე, სარი და სხვა მისთანანი) გვქონდა მხედველობაში, რაც მთელ რიგ დიალექტებში დღემდე დავიწყებული არ არის. თუ გნებავთ, ეს იყო იმის საფუძველიც, რომ ამ მეტაფორის ახსნის მეორე ვარიანტი (ცრემლებით აბრწყინებული წამწამები) დაეუშვით. ამ უკანასკნელს დიდად არ დამორებია კ. დანელია, რომელიც „ყორანსა“ და „ბროლის ჭერს“ შეეხო<sup>3</sup> და არც ალ. ჭინჭარაული, რომელმაც იგივე მეტაფორები განიხილა.

ჭერის ძველი გაგებიდან თუ გამოვალთ (და, ცხადია, აქედან უნდა გამოვიდეთ), მსგავსება თითებსა და ერთმანეთზე მიჯრდილ ჭერს შორის აშკარაა. ასე რომ, შეუძლებელი არაა რუსთველს თითების მეტაფორად „ბროლის ჭერი“ ეხმარა.

მკვლევარ ალექსი ჭინჭარაულს მიუგნია მაგალითები (ვისრამიანსა და სხვა წყაროებში), „სადაც ბროლი ხელს (თითებს, მკლავებს) უკავშირდება“ (გვ. 100), მაგრამ იგი ქალის თითებს ან მკლავებს ეხებაო და ფიქრობს, რომ არც რუსთველი გამოიყენებდა ბროლს ავთანდილის (ვაჟკაცის) თითების მეტაფორადო (გვ. 100).

უნდა აღინიშნოს, რომ როცა პოეტი სხეულის რომელიმე ნაწილს, ან მთელ სხეულს ბროლს ადარებს, ეს შესაძარბელი ობიექტის სისუსტეს კი არ აღნიშნავს, არამედ სხეულის, ან რომელიმე მისი ნაწილის (სითეთრის, ელვარების, ბრწყინვის) გამოსახატავადაა გამოყენებული.

მხატვრულ მწერლობაში არის შემთხვევები, როცა დიდი და უძლეველი გმირების თითები ბროლსაა შედარებული. ასე, მაგალითად, ირანული ეპოსის დიდი გმირი ნარიმანი „უთრუთიან-საამიანში“ ასეა აღწერილი:

„ტანი მაღალსა საროსა ხესა უჯუნდა, პირი და დაწვისა ელვარება ყირმიზსა ვარდასა უჯუნდა, თვალნი მოციწარესა ხესა ნარვისსა უჯუნდა, მისისა მკერდისა სიბრტყე ორისა პილოსა ოდენი იყო, მკლავები ჩანარის ხესა უჯუნდა, თითები ბროლისა დათლილსა ქუასა უჯუნდა“ (ხელნაწერი H—921).

ამ აღწერილობის მიხედვით ჩანს, რომ ნარიმანს, რომელიც ომში გოლიათებს ამარცხებდა, დევებსა და გეშაპებს ანადგურებდა, ბროლის თითები ჭყო-

<sup>3</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტექსტის განმარტებისათვის, ჟურ. სკოლა და ცხოვრება 1962, № 2, გვ. 79—81.

ნია. ვასაგებია, რომ „ბროლის თითები“ გმირის სინაზის, მისი სისუსტის აღმნიშვნელი შედარება არ არის და თუ რუსთველმა იგი ავთანდილისათვის (ეპიკოსისათვის) გამოიყენა, ამისათვის პოეტს წუნს ვერ დავდებთ.

„ვეფხისტყაოსანში“ სხვაგანაც არის თითები ბროლს შედარებული: გიშრისა ტევრსა მოჰფოცხდა ბროლისა საფოცხელია (1623,4). აქ გიშრის ტევრი თმაა და ბროლის საფოცხელი თითები მკლავითურთ. შეიძლება გვითხრან: იგი რუსთველის გამგრძელებელს ეკუთვნისო. შესაძლებელია ასეც იყოს. მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ გამგრძელებელმა უკეთ იცოდნენ რუსთველის პოემა, მისი პოეტური ენა, ვიდრე დღეს ჩვენ ვგვისმის. „ბროლის საფოცხელის“, როგორც თითების მეტაფორის ავტორი უთუოდ იცნობდა რუსთველის მეტაფორას „ბროლის ჭერს“ და მისი წაბადვით შექმნა იგი.

მკვლევარი ალექსი ჭინჭარაული „ბროლის ჭერის“ ნაცვლად „გიშრის ჭერს“ გვთავაზობს, რომელიც მისივე ჩვენებით მხოლოდ ერთ XVII—XVIII საუკუნეთა ხელნაწერში (S—4499) იკითხება:

ყორანსა კაგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს გიშრისა ჭერითა.

„თუ ამ წაკითხვას მივიღებთო — ამბობს ის — „ყორანი“ შავი თვალები (თვალწარბი) იქნებოდა, ხოლო „გიშრის ჭერი“ — შავი წამწამები და ეს მეტაფორა ზემოვანხილულთ დაუდგებოდა კვერდზე. კერძოდ, ეს სტრიქონი თითქმის ზუსტი განმეორება გამოვიდოდა 1230-ე სტროფის მეორე სტრიქონის: „ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა“. მაშინ სადავო სტრიქონის შინაარსი ასე უნდა გაგვეგო: ავთანდილი შავ თვალებს („ყორანს“) ხშირ-ხშირად ახელს („კაგლეჯს“, შდრ. „ნუშნი გააპნა“), აფრთხობს შავი წამწამების („გიშრის ჭერის“) დაქნევით, დაფახულებით“ (გვ. 100).

ასეთ გაგებას წინ მთელი რიგი დაბრკოლებები ეღობება: 1) ის გარემოება, რომ „გიშრის ჭერი“ მხოლოდ ერთი, ისიც მოგვიანო დროის, ხელნაწერის წაკითხვაა, თავისთავად მის სისწორეში ეჭვების აღმძვრელია. 2) არც ერთ დიდ პოეტს, მით უმეტეს რუსთველს, არც ერთ შემთხვევაში თვალის გახელა (ახელა) „კაგლეჯა“ სიტყვით არა აქვს გამოხატული. თვალების კაგლეჯას შეიძლება გარდაუვალი სიბრმავე მოყვეს, რასაც პოეტი მის გმირს არ უსურვებდა. „ვეფხისტყაოსანში“ თვალების ახელისათვის (გაღებისათვის) ძირითადად ორი სიტყვაა გამოყენებული: ახმა (ახვმა) და ამართვა:

თვალნი აახვნა, მიეცა ძალი ზე წამოჯდომისა (1316, 2),

შეჭხედნის, თვალნი ამართნის, შავ-თეთრი ელვა ჰკრთებოდა (1352, 2).

გაგლეჯა გახელას არასოდეს არ უდრის. გლეჯა — გაგლეჯა სიტყვას რუსთველი ყოველთვის თმის, ან თმისა და წვერის წეწვისა და ბღღვნის გამოსახატავად იყენებს:

იგი ტევრი გაეხშირა და ნავლეჯსა მათსა თმისა (223,1);

ქალი ტირს და მკერდსა იცემს, თმისა — ტევრსა გაიგლეჯდა (226,2);

ღვას მონანი ნატირებნი, დაეგლიჯათმა და წვერნი (828,2);

საყელონი ვარდიხიენეს, თავი სრულად გაეგლეჯა (868,3);

გაყარნეს ტირილითა, პირსა ხოყით, თმათა გლეჯით (950,1);

თავსა იცემდეს, იგლეჯდეს, თმა-წვერსა გაიყრიდესა (1447, 3);

თმა გაეგლიჯა, გაყარა, დაწვი ცრემლითა აესია (1590,2)



ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ გლეჯა, გაგლეჯა სიტყვები ყოველთვის თმასა და წვერს უკავშირდება, მათ გაბღღენას გამოხატავს და არა თვალის გახეულას ან წამწამების დაფახვას.

3) პოეტური თვალსაზრისით შეუძლებელია გაგლეჯა სიტყვა გააპნა (ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა), გააპნის (ვარდი გააპნის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჟვირვალი), ან გააპნის (გალიმდის, ძოწნი გააპნის, კბილთაგან ელვა კრთებოდა) სიტყვებს გაეუთანაბროთ.

„გააპნა“ სიტყვის ნაცვლად პოეტს რომ „გაგლეჯა“ გამოეყენებინა ნუშისფერი, ძოწისფერი ან ვარდისფერი ბაგეების გახსნის დასახატავად, მაშინ სადღა იქნებოდა ის სინაზე და სილამაზე, რაც ამ ტაეპებშია ჩაქსოვილი.

პოეზიაში, როცა საქმე მხატვრული მეტყველების საკითხს ეხება, იშვიათად არ გვხვდება ისეთი შედარება-მეტაფორები, რომელთა გაგება მხოლოდ გრძნობით შეიძლება და სხვა რაიმე საშუალება მათი განცდისა და აღქმისათვის არ არსებობს. რუსთველის ზოგიერთი მეტაფორა და მხატვრული სახეც ამ კატეგორიას განეკუთვნება.

4) ჩვენი აზრით, მკვლევარი სურათს ნათლად არ წარმოგვიდგენს: „შავ თმას გაგლეჯს და ბროლის თითებით აფრთხობსო, ძალიან ბუნდოვანი ფრაზა: დაფრთხობა შეიძლება ცოცხლისა ან გასულიერებულისა. გაგლეჯილი თმის გასულიერება (ცოცხალი არსებისათვის, ყორნისათვის შედარება) და მისი ფრთხობა მეტაფორულადაც შეუძლებელიაო“, წერს იგი (გვ. 101).

თუ რუსთველის სტრიქონებს უფრო ჩაუუკვირდებით, დავინახავთ, რომ ყორანზე მთელი თმის შედარებული (ყორანსა გაჰგლეჯს...) და არა გაგლეჯილი თმის ავთანდილი გაგლეჯილ თმას კი არ იგლეჯდა, არამედ საერთოდ თმას, რომლის მეტაფორად რუსთველს და აღმოსავლეთის ხალხთა სხვა პოეტებსაც (ფირდოუსის, გორგანის, ნიზამის და სხვებს) ძირითადად ყორანი აქვთ გამოყენებული. თმის (ყორნის) გლეჯა და მისი (ყორნის) დაფრთხობა, როგორც ცოცხალი არსების, ბროლის თითებით ხდებოდა და არა სხვა საშუალებით. ასე რომ, გაგლეჯილი თმის გასულიერებასთან, მისი ცოცხალ არსებასთან (ყორანთან) შედარება თავისთავად იხსნება. ვიმეორებთ, მთელი თმის ცოცხალ არსებასთან — ყორანთან შედარებული და ასეთ ვითარებაში ზმნისათვის გაჰგლეჯს საარვისო ქცევა სავსებით მართებულია. აქედან ცხადია, რომ ბროლის თითებით აფრთხობსო, თავზე არსებულ თმაზეა (ყორანზე) ნათქვამი და არა გაგლეჯილ თმაზე.

არის თუ არა „ვეფხისტყაოსანში“ სხვა შემთხვევაშიც ყორანი თმის მეტაფორად გამოყენებული? არის. ამას ღაღადებენ შემდეგი მაგალითები:

მეც ვიცი, ჩემსა ხელ-მკმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია (965,3).

მას ესევა ქალი მნათობი, მზისაცა უფრო მზიანი,

კბილ-მარგალიტი, ტან-ალეა, ლაწვ-ბადაჩუ, ყორანთ-მიანი (1583, 3, 4).

ჩანს, რომ „ყორნის ბოლო“ და „ყორანი“ ამ ტაეპებში თმის დასადარებლად წარმოდგენილი.

5) დაბრკოლება ისიც არის, რომ ალექსი კინჟარაულს ამ სტროფში გამოყენებული სიტყვა „ყორანი“ შავი თვალების (თვალ-წარბის) მეტაფორად გაუგია. მართალია, პოემაში არის შემთხვევები, როცა წამწამები სიშავის გამოსახატავად ყორნის ბოლოს ან ფრთებსაა შედარებული:

ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰზრის ყორნისა ბოლო-ფრთათა (46,4).

ლონე წამწმისა ხშირისა, ყორნის ფრთებრ ნაფუშაისა (1265,4)

და სხვ. მაგრამ თვალების მეტაფორად ყორანი ჯერ არსად შემხვედრია. იგი მეტისმეტად უხეში შედარება იქნებოდა რუსთველისათვის, რომელიც თვალებს „მელნის ტბებად“ და „მელნის მორევედ“ გვიხატავს. ასე რომ, თვალე-ბი — ყორანი დავიწყებას უნდა მიეცეს.

ჩვენ ზემოთ აღმოსავლური პოეზიის დიდი წარმომადგენლები ფირდოუსი, გორგანი და ნიზამი მოვიხსენიეთ. რუსთველიც აღმოსავლური პოეზიის წარმომადგენელია. ზოგიერთ მკვლევარს ეს გარემოება მის დამცირობად მიაჩნია და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს მთელი ძალით დასავლეთისაკენ ეწევა. რუსთველის პოემას ევროპაში არაფერი ესაქმება; „ვეფხისტყაოსანი“ აღმოსავლურ, კერძოდ, ქართულ ქარგაზეა გამოჭრილი. ქართული პოეზია სპარსულთან შედარებით კი დიდ ფსიქოლოგიურ სხვაობას გვიჩვენებს. ეს სხვაობა ჩანს არა მარტო თხზულების სიუჟეტის გაშლა-განვითარებაში, არამედ მხატვრული აზროვნების თავისებურებასა და პოეტური მეტყველების ახალი გზების ძიებაში, რაც უცხო და მიუწვდომელია მუსულმანური, კერძოდ, ირანული სამყაროსათვის. ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპარსული პოეზია მდარეა და დაბალ დონეზე დგას. პირიქით. ირანელი პოეტები დიდი პოეტები არიან, რომელთა სიმღერებმა საუკუნეები გადმოლახეს.

რუსთველის ლიტერატურულ ეპოქაში საგმირო ან სატრფიალო-სამიჯნურო პოემები იწერებოდა. რა თქმა უნდა, ამ პოემებს შორის საერთო მომენტების არსებობა სადავო არ არის, მაგრამ საკითხავი ის არის, თუ რა ხასიათისაა ეს მომენტები და რა როლს ასრულებს ის პოეტის შემოქმედებაში.

სპარსულთან შედარებით, როცა რუსთველის პოეზიის სხვაობაზე ვლაპარაკობთ, ერთ საკითხს გვინდა შევეხოთ, მით უმეტეს, რომ მისთვის რუსთველოლოგებს ჯერ სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ. ეს გახლავთ სატრფიალო არსების — ქალის გარეგნობის, მისი სილამაზის აღწერის სხვადასხვა გზები და მეთოდები, რასაც სპარსულენოვანი პოეტები და რუსთველი მიმართავენ.

ასე, მაგალითად, „ვისო რამინის“ ავტორს გორგანის<sup>4</sup> ვისის აღწერისას შემდეგი აქვს ნათქვამი:

(ვისის) ნიკაპი ვაშლია და ორი ძუძუ — ორი ბროწეული (გვ. 28).

მისი ტანი გლვარებაა, მისი სახე (ერთმანეთში შერეული) რძე და ლვინია, თაფლია მისი ბაგეები (გვ. 29).

მისი ბაგე და ზილფი ორგვარი წვიმაა:

შაქრისმფრქვეველია ეს (ბაგე) და მუშკია კი ის (ზილფი) (გვ. 29).

ნიზამის პოემაში შირინის აღწერისას შემდეგს ვკითხულობთ:

ორი ძუძუ, ვით ორი ვერცხლის ბროწეული ახალ-ახალი (გვ. 94);

ლალისაგან (შირინის ბაგეთაგან) კოცნის პასუხი არ აღსდგება

(ე. ი. კოცნით არ ვიპასუხებს) იმიტომ, რომ თუ ლალს (ბაგებს)

გახსნის, მარგალიტები (კბილები) გადმოცვივა (გვ. 94).

ათასობით ახალგაზრდათა გულისდამტყვევებელია,

ბაგე და ასი ათასი კოცნა (ტბილი), როგორც ყანდი (გვ. 95).

ლოყები მისი, ვითა ასკილი და ზილფები ასკილსურნელოვანი,

ბაგე მისი ტბილი და სახელიც მის ტბილი (შირინი) (გვ. 96).

<sup>4</sup> ესარგებლობთ მ. მ ა ჰ ჯ ბ ის გამოცემით, თეირანი, 1959.

<sup>5</sup> ესარგებლობთ ბაქოში გამოცემული ტექსტით, 1960.

შირინის მხეველებზე ნათქვამია:

პირი მათი ვიწრო და ტკბილი, ვითა შაქარი,  
ტკბილსურნელებით ამბრზე დიდად უმჯობესი (გვ. 97).

ისპანელი მზეთუნახავის შაქარის აღწერისას ტკბილ ბაგეებზე საუბრის შემდეგ პოეტი ამბობს:

ის, ვინც მას ერთი ღამით გულში ჩაიკრავს,  
ვერასდროს იმ ღამეს ვერ დაივიწყებს (გვ. 485).

„ლეილ-მაჯნუნისანი“ კი ნიზამი უფრო თავდაჭერილია. აქ ამისმაგვარი სახეები არ გვხვდება. პლატონური სიყვარული, რაც ამ პოემაშია გადმოცემული, რასაც სხვათა დავალებით უმღერა პოეტმა, არ მოითხოვდა თავლივით ტკბილ ბაგეებზე ფიქრს. ნიზამიმ, როგორც თვითონ ამბობს, თქმულბა გალექსა და ოდნავი გადახვევა ამბის გადამახინჯებას გამოიწვევდა.

დიდი ფირდოუსის გრძნობებიც კი დაუტყვევებია ზოგჯერ ასეთ სურათებს: იგი მკერდს ვერცხლს ადარებს და ძუძუებს ბროწეულის ნაყოფს: მის ვერცხლის მკერდზე ბროწეულის ორი ნაყოფი ამოზრდილაო, ამბობს ის როდაბეს (ქართ. როდამი) სილამაზის აღწერისას. სითეთრის გამოსახატავად მთელი მისი ტანი სპილოს ძვალსაა შედარებული: თავიდან ფეხებამდე სპილოს ძვლის მსგავსია, სახით სამოთხეა და სიმაღლით — სოქი (ფულერსი, 150).

წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ სპარსულენოვან პოეტებთან ნიკაპი ვაშლს, ძუძუ ბროწეულს, ბაგეები თაველსა და შაქარ-ყანდს, ლოყები ასკილს ან რძისა და ღვინის ნარევის, ხოლო მკერდის, ან მთელი სხეულის სითეთრე ვერცხლს, ზოგჯერ სპილოს ძვალსაა შედარებული.

რუსთველის პოეზია შორსაა ასეთი შიშველი სახეებისაგან. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს არც ერთი გმირის სახე გემოს გამომატველი სიტყვებით არ დაუხატავს. მისი გმირების სიყვარული მაღალია და ჰაეროვანი, ერთმანეთისადმი სწრაფვა დიდი და ფაქიზი გრძნობებითაა ამოძრავებული და არა შაქარივით ტკბილი ბაგეებით ან ვერცხლოვან მკერდზე აკოკრებული ძუძუებით.

რუსთველს ყანდი სიტყვა მხოლოდ ერთხელ აქვს გამოყენებული, მაგრამ არა ბაგეების „სიტკბოს დასახატავად“. ყანდი რუსთველის ეპოქაში მთელ აღმოსავლეთში მისრეთიდან (ეგვიპტიდან) ვრცელდებოდა და იგი ძვირფას ძღვენს წარმოადგენდა. დიდ პოეტს საადი შირაზელს (XII—XIII საუკ.) „ბუსთანში“ ნათქვამი აქვს:

შირაზის ნახვის როცა ტკბილი დამიღდა ეამი,  
გამოვეშურე სამშობლოსკენ რუმით და შამით.  
თან ვწუხდი დიდად: ბაღ-ბუსთანი მიგლია ვრცელი,  
მეგობრებისკენ კი მოვდივარ ცარიელ ხელით.  
გულში ვთქვი: ყ ა ნ დ ი მისრეთიდან მოაქეთ დიდებით, —  
უძღენან მეგობრებს ის საჩუქრად გულდამშვიდებით.  
არ მომაქვს ყ ა ნ დ ი, მაგრამ მაინც არ ვაღდექ განზე,  
მომაქვს ლექსები და სიტყვები უტკბესი ყ ა ნ დ ზ ე.  
ყელი დაიტკბო, იგი ყ ა ნ დ ი არ არის, იგრძენ,  
ვადატანილი ქალაღზეა სატკბო და სიბრძნე.<sup>6</sup>

საადის სიტყვებიდან ჩანს, რომ ყანდი დიდად ფასობდა; იგი მისრეთიდან საჩუქრად მოჰქონდათ მეგობრებთან. აღმოსავლეთის პოეტები, როგორც ვნა-

<sup>6</sup> ს ა ა დ ი, ბუსთანი, თბილისი, 1964, გვ. 32.

ხეთ, მის სიტკბოს ბაგეების ამბორს ადარებენ. „ვეფხისტყაოსანში“ კი ყანდი სხვა დანიშნულებით არის გამოყენებული. რუსთველს არც ერთი შემთხვევა არა აქვს ბაგეების თაფლზე ან შაქარზე შედარებისა. მისი გმირის სახე ყოველთვის მაღალი პოეტური ხელოვნებით არის შემკული. ბაგეები ხან ვარდს, ხან ძოწსა და ლალს, კბილები მარგალიტს, სახე მინას, სათს ან ბროლს, თმა ყორანსა და მუშკსაა შედარებული.

არც ერთი შემთხვევა არ არის სხეულის ან მკერდის სითეთრის გამოსახატავად ვერცხლის ან სპილოს ძვლის შედარებად გამოყენებისა. ქართველ პოეტს მეტაფორებად ცივი საგნების ხმარება ეუცხოება. მისი მხატვრული სახე საესეა სიცოცხლით, მგრძნობელობით და დიდ ემოციებსაც იწვევს.

ყოველივე ეს უნდა აიხსნას იმ ფსიქოლოგიური სხვადასხვაობით, რაც საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა ისტორიულ პირობებში მყოფ ქართველ და ირანელ ხალხებში მუშავდებოდა. ფსიქოლოგიური სხვადასხვაობით აიხსნება თვით პოემებისა და ლირიკული ლექსების ფორმების სხვადასხვაობაც. ასე, მაგალითად, სპარსული ლიტერატურის კლასიკურ ხანაში პოემებისათვის უარყოფილია სტროფული სისტემა, თუკი ის ქართულისათვის აუცილებელია. სპარსული პოემები ორსტრიქონიანი ლექსებით (მესნევი) არის დაწერილი (aa bb cc dd...). სპარსულ ლირიკულ პოეზიაში გაბატონებულია სალექსო ფორმა ყაზალი (aa ba ca da...). მისი გადმოღების ცდას ქართულშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ აღნიშნული ფორმისათვის სასიცოცხლო ნიადაგი არ იყო შემზადებული. რუსთველის პოეზიაზე აღზრდილმა ქართველმა ყაზალის ფორმა ვერ შეითვისა; იგი ჩვენში ვერ განვითარდა და მალე დაიწყებას მიეცა.

რუსთველის მიერ დახატული ქალი ეს არის უმანკობით სავსე, მაღალი არსება, რომლის მიმართ გმირებს მაღალი გრძნობები ამოძრავებთ. რუსთველის მიერ დახატული სიყვარული უმანკო და ჰაეროვანია.

მეცნიერებაში დადგენილია ის გარემოება, რომ რუსთველი ღრმა მცოდნეა აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული პოეზიისა; მისთვის ძვირფასია მასში გამოყენებული შედარება-მეტაფორები, მაგრამ იგი მისი მიმდევარი არ არის.

რუსთველის მხატვრული ფერების, პოეტური ენისა და შედარება-მეტაფორების თავისებურებათა სიდიადის გაგება მართა ქართული პოეზიის მონაცემებით არ არის შესაძლებელი. ეს ცალკე თემაა, რასაც სხვა დროს შევხებით.

უ ს ტ ა ს რ ა. „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სიტყვა უ ს ტ ა ს რ ა, ახალ გამოცემაში — ოსტასრა. კლასიკური ხანის სხვა ძეგლებში იგი არ იკითხება. სულხან-საბა ორბელიანს, არც ნიკო და დავით ჩუბინაშვილებს აღნიშნული სიტყვა ლექსიკონში შეტანილი არა აქვთ. რუსთველის პოემაში იგი მხოლოდ ერთხელაა გამოყენებული:

რაცა ვითხარ, ჩემ მაგიერ როსტანს ჰჯადრე, მიედ სრასა;  
თავმან მისმან, ფცით გიტყვი შენ, ვაზირსა, უ ს ტ ა ს რ ა ს ა:  
არ შემიპყრობს, არ დადგები, თუ შემიპყრობს, მაქნეგს რასა?  
მიშეუე რა, გული ცეხულმან არ დამიჭრას, არა სრასა! (737).  
ავთანდილი სთხოვს ვეზირს, თან ასი ათას ოქროს ფულს შეჰპირდება, რათა მან ერთგვარი მოციქულობა გაუწიოს როსტევან მეფესთან ტარიელთან მეორედ გამგზავრების ნებართვის თაობაზე. ჩანს, ვეზირი გავლენიანი პირია და დარბაზის (სასახლის ანუ სრის) ყოველგვარი საიდუმლოების მცოდნე:

ეტყვის: „შენი დამალული დარბაზს არა არ იქნება“ (732,2).

იუსტინე აბულაძის განმარტების მიხედვით უსტასრა სასახლის უფროსს, სახლთუხუცესს, დიდ ვეზირს ნიშნავს<sup>7</sup>. მკვლევარს იგი თურქულ-სპარსულ სიტყვად მიაჩნია.

რუსთველის დაბადების 750 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოცემაზე თანდართულ ლექსიკონში, რომელიც შემდეგ მთელ რიგ გამოცემებს დაურთეს, იუსტ. აბულაძე იმავე განმარტებებს იმეორებს: სასახლის უფროსი, სახლთუხუცესი, დიდი ვეზირი.

აკაკი შანიძე, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი შეადგინა<sup>8</sup>, უსტასრას ასე განმარტავს: მეფის სასახლის გამგე, სახლთუხუცესი.

ჩვენი აზრით, უსტასრა (ოსტასრა) ორი სიტყვის შეერთების ნიადაგზეა მიღებული. პირველია უსტა (ოსთა) უსთად იგივე ოსთად, რაც მასწავლებელს, მოძღვარს, აგრეთვე ხელოსანს ნიშნავს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სიტყვა *ostat, ustat* ორივე ფორმით დასტურდება საშუალო სპარსულში, კერძოდ, ფალაურში ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობებით. როგორც ჩანს, ფალაურიდან იგი კლასიკურ სპარსულსა და არაბულ ენებში შეკრილა, საიდანაც ის თურქულენოვან ხალხებშიც გავრცელებულია. ასე, მაგალითად, იგი თურქულ, უზბეკურსა და აზერბაიჯანულ ენებში უსტა ფორმითაა დამკვიდრებული.

უსტა სიტყვა დასავლეთ საქართველოშია უფრო გავრცელებული და ხუროს, ხის შენობის მშენებელს აღნიშნავს. შესაძლებელია იგი თურქული გზით იყოს შემოსული, მაგრამ წარმოშობით, როგორც ვნახეთ, თურქულად არ ჩაითვლება. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ახალი გამოცემა, რომელიც რუსთველის დაბადების 800 წლისთავს მიეძღვნა, უსტასრას ნაცვლად ოსტასრას კითხულობს, რაც, ჩვენი აზრით, უფრო სწორი წაკითხვაა. საქართველოში აღნიშნული სიტყვის ფალაურ-სპარსული ორი ფორმიდან მხოლოდ ერთია (ოსტატ-ი) უფრო გავრცელებული, ვიდრე თურქული (უსტა). როგორც ჩანს, პოეტის ლექსიკაშიც ამ გარემოებაზეა ყურადღება მიქცეული.

სიტყვა სრა კი, როგორც ცნობილია, სპარსულია და ქართულშიც სასახლის მნიშვნელობით იხმარება. ირკვევა, რომ უსტასრა და ოსტასრა **სასახლის მოძღვარს** ნიშნავს. იგი რომ ვეზირიცაა, ამას ტექსტიც გვიკარანახებს (ფიცით გეტყვი შენ, ვაზირსა, უსტასრასა), მაგრამ მისი „დიდი ვეზირობის“ შესახებ ვერაფერს ვიტყვი. შესაძლებელია, სასახლის მოძღვრის ფუნქციებში სახლთუხუცესის ფუნქციებიც შედიოდა და პირიქით. გასარკვევია აგრეთვე, თუ ოსტასრა (უსტასრა) „ეზოის მოძღვართან“ რა კავშირში იმყოფება.

ს რ ა ს ა. ამავე სტროფში ჩვენ გვხვდება სიტყვა ს რ ა ს ა:

მიშველ რა, გული ცეცხლმან არ დამიჭრას, არ ს რ ა ს ა!

იგი პირველი სტრიქონის სარიტმოდ სიტყვის სრასა-ს ომონიმად გამოდის. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონებში ის განმარტებული არ არის და რატომღაც არც მის სიმფონიაშია შეტანილი (სრა-ში თუ აერიათ).

<sup>7</sup> იხ. „ვეფხისტყაოსნის“ იუსტ. აბულაძისეული მეორე გამოცემის ლექსიკონი, თბილისი, 1926. გადაბეჭდილია „რუსთველოლოგიურ ნაშრომებში“, თბილისი, 1967, გვ. 268—355.

<sup>8</sup> იგი თან ერთვის 1957 წლის გამოცემას, რომელსაც აღ. ბარამიძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე ხელმძღვანელობდნენ.

ჩვენი აზრით, აღნიშნული სიტყვა აქ სერა, სერვის მნიშვნელობითაა გამოყენებული და დაჭრის სინონიმს წარმოადგენს: გული ცეცხლმან... არა სრასა. უნდა ნიშნავდეს: გული ცეცხლმან არ დაკაწროს, არ დასეროსო (იგულისხმება „ჩემი გული“).

კერძო შენიშვნა. მკვლევარ ალექსი ჭინჭარაულს ჭერები სიტყვის ვარიანტებისა და მათ მნიშვნელობათა ძიებისას მხედველობიდან გამორჩენია ქორთხი, რაც საბას განმარტებით არის „მდინარისაგან ქვიშა შეყრილი“; ნიკო ჩუბინაშვილით კი — „მდინარისაგან შეყრილი ქვიშა და რიყე, ესევე ჰქვიან საათაბაგოში მდინარესა, რომელიც ერთვის შავს ზღვასა“.

აქვე შევნიშნავთ, რომ სიტყვა „რიყე“, რომელიც „ვეფხისტყაოსანშიც“ იხმარება, ქართული წარმოშობის არ უნდა იყოს. იგი სპარსულში დასტურდება „რִיغ“ ფორმით და ქვიშას, ღორღს, ხრეშს აღნიშნავს.

აღნიშნული სიტყვა თუ ქართულში კლასიკური სპარსულიდანაა შემოსული, რუსთველის ეპოქაში რეგი უნდა გვქონოდა (შეადარეთ რუსული река). დიალექტებში შესაძლებელია მოიპოვებოდეს ფორმები რეყ, რეხ (შდრ. ქართული ჭე-რეხი).

მკვლევარს აღნიშნული აქვს სკვითურ თუ ირანულ სიტყვა kard-თან (დანა, ხმალი, ხანჯალი) დაკავშირებული ქართული ტერმინები (გვ. 105). აღნიშნული სიტყვა საშუალო ირანულ ენებში გვაქვს. იგი კლასიკურსა და თანამედროვე ენაშიც დანის მნიშვნელობით იხმარება. ქარდთან დაკავშირებით აღ. ჭინჭარაულს სხვადასხვა დიალექტებიდან საკმაო მაგალითები აქვს მოხმობილი (დაქარდული და სხვა მისთანანი).

მკვლევართან ჩვენ ამ მხრივ სადავო არაფერი გვაქვს, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, მას ამ სიტყვის შესახებ ჩვენი მოსაზრებაც გაეთვალისწინებინა.

ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ ჩვენ ვწერდით: „ამავე სიძნელეებთან არის დაკავშირებული სკვითური ელემენტების ძიების საკითხი ქართულში. ვსარგებლობთ შემთხვევით და ერთი სკვითურად აღიარებული სიტყვის შესახებაც მოგახსენებთ. ეს არის სიტყვა „ქარდ“. კლასიკურსა და თანამედროვე სპარსულში ის ნიშნავს დანას; ტაჯიკურში წარმოითქმის, როგორც ქორდ, ოსურში ისევე როგორც სპარსულში (ქარდ) და ნიშნავს „მახვილს“, „ხმალს“ (мея). სიტყვა, როგორც ჩანს, წარმოშობით სკვითურია karta (ხმალი), ავესტ. karota იმავე მნიშვნელობით.

გვაქვს თუ არა ეს სიტყვა ქართულში? სალიტერატურო ძეგლებში მისი არსებობა დადასტურებული არ არის. დიალექტურ გამოთქმაში კი გვაქვს. მაგალითად, დასავლეთში იტყვიან დაქარდ-ულიო (დაქარდვა), რაც ნიშნავს დახოკილს, დაკაწრულს, დანით დასერილს და სხვ.“<sup>9</sup>.

<sup>9</sup> იხ. დავით კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, 1969, გვ. 323.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ)

მისილ ქავთარია

XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან

4. ბესარიონ ორბელიშვილის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა

XVII—XVIII საუკ. გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედება მეტად მრავალმხრივი იყო. იგი იყო კარგი აგიოგრაფი, პოლემისტი, ლიტურგისტი და ჰიმნოგრაფი. ამავე დროს, მის პრაქტიკულ საქმიანობასაც არ ჩაუვლია უკვალოდ ჩვენს ისტორიაში. ბესარიონი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა დავით გარეჯის უდაბნოში მწიგნობრობის საქმეს და ასევე წლების განმავლობაში ეპყრა ხელთ ქართული ეკლესიის საჭე.

ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება, პრაქტიკული მოღვაწეობა და აგიოგრაფიული შემოქმედება მეტ-ნაკლები მოცულობით შესწავლილია და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი<sup>1</sup>. მაგრამ ამას ვერ ვიტყვიტ ბესარიონის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ. ბესარიონ ორბელიშვილის ჰიმნოგრაფიის დახასიათება მხოლოდ ზოგადი მითითებებით ამოიწურება.

ცნობილი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის სიტყვით, ბესარიონ ორბელიშვილის კალამს ეკუთვნის შემდეგი საგალობლები: 1) „კანონი საგალობელი მღვდელ-მთავრისა...“, 2) კანონი საგალობელი საუფლოჰსა კუართისა. ნაწილი პირველი“. ამავე ავტორისავე მითითებით, ორივე დასახელებული კანონი დაბეჭდილია სადღესასწაულოში<sup>2</sup>.

კ. კეკელიძემ პლ. იოსელიანის ცნობას დაუმატა კიდევ ერთი საგალობელი. ესაა „კანონი-საგალობელი პირველმოწამისა რაჟდენისა“<sup>3</sup>.

მაშასადამე, ჯერ კიდევ წინა ავტორთა მიერ განისაზღვრა და დადგინდა, რომ ბესარიონ ორბელიშვილის კალამს ეკუთვნის სამი ჰიმნოგრაფიული კანონი. მართლაც, ხელნაწერთა მონაცემების შესწავლამ დაადასტურა ეს ციფრი და მხოლოდ ერთი იამბიკო დაუმატა ლუარსაბ მეფის შესახებ. ანტონ I კათალიკოსი ბესარიონ ორბელიშვილის ჰიმნებს დიდ შეფასებას აძლევს თავის „წყობილისიტყვაობაში“. განსაკუთრებით იგი გამოყოფს ერთს: „ბესარიონის ქმნილი კანონი კუართის, არს სულით თქმული“.

1 მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1959 წ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. I<sup>4</sup>, გვ. 349—354.

<sup>2</sup> ანტონ I წყობილისიტყვაობა, 1853 წ. გვ. 217. შენიშვნა. ამავე ავტორის აზრით, ბესარიონს ეკუთვნის სვინაქსარი და ისტორიული მოთხრობა კუართისა საუფლოსა, დაბეჭდილი სადღესასწაულოში (იხ. გვ. 149)“ აქ პლ. იოსელიანი აშკარად ცდება. სადღესასწაულოში დასტამებული სვინაქსარი (შეადარ. ხელნაწერი S-1464) ეკუთვნის ანტონ I კათალიკოსს და არა ბესარიონს.

<sup>3</sup> მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 63.

საგალობელი მღვდელმთავრისა მიძღვნილია ისე წილკნელისადმი, რომლის ხსენებას ქართული ეკლესია დღეს 2 დეკემბერს დღესასწაულობს.

ისე წილკნელი ე. წ. ასურელ მამათა გუნდს ეკუთვნოდა. მაშასადამე, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა VI საუკ. პირველ ნახევარზე მოდის, მაგრამ მის შესახებ XVII—XVIII საუკუნეებამდე ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული ლიტერატურა არ შექმნილა, ისევე როგორც ბევრ სხვა დანარჩენზეც და აგიოგრაფები კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ იოანე ზედაზნელისა და შიო და ევაგრეს ცხოვრებებში გაბნეული ცნობებით. ისიც აღსანიშნავია, რომ საგანგებო ხსენების დღე ძველად მას არ ჰქონია. რა თქმა უნდა, ამანაც შეუწყოა ხელი, რომ ისე წილკნელზე დამოუკიდებელი განგება იმ თავითვე არ შექმნილა.

XVII—XVIII სს. როგორც კი ქართული ეკლესიის მესვეურებმა იწყეს საეკლესიო კალენდრის რეფორმა, ისე წილკნელის ხსენების დამოუკიდებელი დღეც განაწესეს. ამ პერიოდიდან გაჩნდა ისე წილკნელის მოღვაწეობის ამსახველი ვრცელი აგიოგრაფიული საკითხავი, სვინაქსარული ცხოვრება და საგალობლებიც. ვაკეთდა ლიტურგიისათვის საძირო განგება.

ისე წილკნელის შესახებ ვრცელი თხზულება დაწერა ბესარიონ ორბელიშვილმა, თხზულების სათაურია „დაძინება წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა ისე წილკნელ ეპისკოპოსისა საკურველთმოქმედისა, რომელი იყო ერთი ათორმეტთა მამათაგანი, რომელნი შუამდინარით მოიწინეს“. თხზულება ავტოგრაფის სახითაა ჩვენამდე მოღწეული (S—3269).

დასახელებული თხზულება ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა<sup>4</sup>. ბესარიონის თხზულებას ე. წ. ასურელ მოღვაწეთა საქმიანობის ისტორიის შესწავლაში, რა თქმა უნდა, რაიმე ახალი არ შეაქვს, მაგრამ იგი როგორც ლიტერატურული მოვლენა, ფრიად საყურადღებოა. ბესარიონ ორბელიშვილს ხელთ არ ჰქონია იმაზე მეტი ცნობები, რაც დღეს ჩვენთვისაც არ იყოს ხელმისაწვდომი. იგი იყენებს იოანე ზედაზნელისა და შიო და ევაგრეს ცხოვრებებს. ბესარიონს უკლებლივ ამოუღია ყველა ის ეპიზოდი, რომელიც ისეს შეეხება და რომლებიც ასურელ მამათა ცხოვრებებშია გაბნეული<sup>5</sup>.

ბესარიონ ორბელიშვილი მარტო ვრცელი ცხოვრების დაწერით არ შემოფარგლულა. მას შეუთხზავს ისე წილკნელზე საგალობელი — კანონი სათაურით „კანონი მღვდელმთავრისა“ და როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, ისე წილკნელზე სვინაქსარული ცხოვრებაც.

ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრება შეისწავლა და გამოაქვეყნა ენრიკო გაბიძაშვილმა წიგნში — „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“<sup>6</sup>. ავტორის დასკვნით, ისე წილკნელის სვინაქსარული საკითხავი დაწერილია XVIII საუკ. პირველ ათეულში. აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლის ავტორობის საკითხს ე. გაბიძაშვილი საერთოდ არ ეხება. იგი მხოლოდ თხზულებას სწავლობს და არკვევს მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

<sup>4</sup> ღამატების სახით დაჯეროეთ ჩვენ სადისერტაციო ნაშრომს 1959 წ.

<sup>5</sup> მ. ქ ა ე თ ა რ ი ა, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (საკანდიდატო. დისერტაცია), 1959, გვ. 57—60.

<sup>6</sup> წიგნი მ-4, სვინაქსარული რედაქციები (XI—XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, 1968. ქვემოთ ყველგან „ძეგლები“ IV პირველი გამოცემა ეკუთვნის მ. საბინინს.



ჩვენი ვარაუდით, ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრება ეკუთვნის ბესარიონ ორბელიშვილის კალამს. შევეცდებით დავასაბუთოთ ჩვენი მოსაზრება, ვინაიდან მას გარკვეული კავშირი აქვს ისეს საგალობელთან.

ურთიერთობა ბესარიონ ორბელიშვილის ვრცელ თხზულებასა ისე წილკნელის შესახებ (ამ შემთხვევაში ბესარიონის ავტორობა უეჭველია) და სვინაქსარს შორის და მათი მიმართება ძირითად წყაროსადმი (ე. წ. ასურელ მამათა საკითხავებისადმი) ნაწილობრივ გარკვეულია ე. გაბიძაშვილის მიერ დასახელებულ წიგნში. ავტორის აზრით „ბესარიონის თხზულებისა და სვინაქსარული ცხოვრების ტექსტობრივმა შედარებამ გვიჩვენა, რომ ეს ორი თხზულება ერთმანეთზე არაფრით არ არის დამოკიდებული. ნათლად ჩანს, რომ მათ სხვადასხვა წყაროებით უსარგებლიათ: სვინაქსარულ ცხოვრებას შიო მღვიმელის შემოკლებული ცხოვრებით, ხოლო ბესარიონს — შიო მღვიმელის მეტაფრასტული ცხოვრებით. ამ ქვეშეშარბებაში ექვეის შეტანა შეუძლებელია. თუკი ეს ორი ძველი ერთმანეთთან გარკვეულ სიახლოვეს იჩენს ზოგადი და კერძო დეტალების გადმოცემაში, ეს მხოლოდ მათი წყაროების ურთიერთდამოკიდებულებით აიხსნება“<sup>7</sup> (ხაზი ჩემია. — მ. ქ.).

ამ კატეგორიული განცხადების, თავისთავად ზოგადად სწორის, მიუხედავად, ჩვენ მაინც შეგვაქვს ეჭვი და ვფიქრობთ, რომ ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების ტექსტის ავტორი (ჩვენი აზრით ბესარიონ ორბელიშვილი) ერთ-ერთ წყაროდ იყენებს სწორედ ბესარიონ ორბელიშვილის მიერ დაწერილ ვრცელ თხზულებას. მაშასადამე, სვინაქსარული ცხოვრება მარტო შიო მღვიმელის შემოკლებულ ცხოვრებაზე არაა დამოკიდებული. ისეს ვრცელი ცხოვრების ძირითადი წყარო რომ შიო მღვიმელის ცხოვრებათა რედაქციებია — ეს ჩვენ ჯერ კიდევ 1959 წელს მიუვითეთეთ და აღვნიშნეთ. მართლაც, თანახმად ე. გაბიძაშვილისა, ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების ავტორი უპირატესად იყენებს შიო მღვიმელის ცხოვრების მოკლე რედაქციას, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში იგი მარტო მით არ კმაყოფილდება. მოვიტანთ სათანადო ნიმუშებს და ამით, ცხადია, ე. გაბიძაშვილის ზემოთ მოტანილი კატეგორიული მტკიცება რამდენადმე შერბილდება. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ თვით ბესარიონი, ე. ი. ვრცელი ცხოვრების ტექსტი, ხშირად ეყრდნობა შიო მღვიმელის ცხოვრების მოკლე რედაქციასაც და, მაშასადამე, ისე წილკნელის ცხოვრების როგორც ვრცელი რედაქციის, ასევე სვინაქსარულისათვისაც წყარო ერთია. ნათქვამის დამადასტურებელ მაგალითებს ჩვენ ქვემოთ მოვიტანთ, აქ კი ვიტყვით, რომ ე. გაბიძაშვილის დაბეჯითებითი მტკიცება, რომ ისე წილკნელის ცხოვრების ვრცელი რედაქცია (ბესარიონის შრომა) მხოლოდ შიო მღვიმელის ცხოვრების მეტაფრასულ რედაქციას ეყრდნობა, რამდენადმე კორექტივს თხოვლობს. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები.

1) შიო მღვიმელის ცხოვრების ორივე რედაქციაში მოთხრობილია, რომ ქართლის კათალიკოსმა შეიპყრა ისე და აკურთხა წილკნის ეპისკოპოსად. წილკნის ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე იყო აგებული. ამის შემდეგ მოკლე რედაქციაში გაშლილია მსჯელობა, რომელიც მეტაფრასულ ტექსტში არ არის.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 229.

შიოს მოკლე ცხოვრება	ბესარიონის ვრცელი თხზულება	ისეს სვინაქსარული წამება
<p>„შ, ყოვლად წმიდაო ღმრთის-მშობელო მარიამ, კურთხეულ არს ნაყოფი შეცლისა შენისა და კურთხეულ არს სახელი წმიდა დიდებისა მიისისა, რამეთუ ჭუეყანისაგანნი ვიყვენით და აწ შენ მიერ ზეცისა ანგელოზთაგან ვიშახრებით და შენ მიერ უბრწუნეობა და ცხოვრება საუკუნოა მოვიგეთ. ამისათჳს შეუნის, რათა საყდარსა დიდებისა შენისაა წმიდანი და სულითა ვანაოლებულნი კაცნი იყვენენ ზედამდგომელად ტაძრისა შენისა და ამისთჳსცა გამოჩრეულ იქმნა ღირსი ესე წმიდაჲ ისე...“<sup>8</sup></p>	<p>„ხოლო მან [კათალიკოზმან] წარავლინა იგი საყდარსა წილკანისასა, რომელსა შინა დამტკიცებულ არს ეკლესიაჲ ყოვლად უბიწოსა მის დედოფლისა ჩუენისა ღმრთის-მშობლისა, რომელმან ერთ სამწყსო ყო ცა და ჭუეყანაჲ, ანგელოზნი და კაცნი, რომელმან დაქსნა შუა კედელი იგი მტერობისა და კაცნი ღმერთსა და აგო და შვილებისა პატრისა ღირს მიჩინა, რომელმან თანანადები იგი პირველისა მამისა გარდაიქადა, რამეთუ ადამ უღედაკაცოდ შვა, ხოლო ამან უბიწომან უმამაკაცოდ მამაკაცი შვა, რომელ არს ქრისტე, უფალი ღმერთი და კაცი. უქცეველად ამის ყოვლისა მიზეზ იქმნა ყოვლად უბიწო იგი დედოფალი, რომლისა ტაძარი ერწმუნა ამას...“<sup>9</sup></p>	<p>„ხოლო იძულებით აიძულა კათალიკოზმან პყრობა მის ეკლესიისა ღმრთისმშობლისა, ქრისტეს დედისა მის, რომელი შუამდგომელ ექმნა ღმერთსა და კაცთა და კაცებისა ბუნებაჲ შეაერთა, მის დედისა, რომელმან თანანადები დედა[?] გარდაიქადა, რომელ მამთა ვალი თანაედედა, რამეთუ ადამ თვნიერ მამაკაცისა დედაკაცი შვა, ხოლო ამან ქალწულმან თვნიერ მამაკაცისა კაცი შვა, რომელმან მოაქცია ნათესავი თჳსი უბრწუნელად და სიხარული დიდი ჩუენ მოგუმაღლა“<sup>10</sup>.</p>

ბესარიონის თხზულებასა და ისეს სვინაქსარულ ცხოვრებას შორის (რომელიც ჩვენი აზრით ასევე ბესარიონს ეკუთვნის) კავშირი, ურთიერთდამოკიდებულება აშკარაა. როგორც არ უნდა იყოს მათ შორის მიმართება, იგი ეწინააღმდეგება, ე. გაბიძაშვილის ზემოთ დამოწმებულ მოსაზრებას.

2. შიო მღვიმელის ცხოვრებათა არც ერთ რედაქციაში არაა აღწერილი მდინარე ქსნის მქენივარება. მხოლოდ ბესარიონის ვრცელ თხზულებაში და სვინაქსარულ ტექსტშია ლაპარაკი.

**ბესარიონი**

**სვინაქსარი**

„მორჩილ ექმნა მდინარე იგი მძაფრი და წინადაუღვრომელი“.

„იციო ყოველთა სიმძაფრე მდინარის მის“.

მდინარის სახელი — ქსანი მხოლოდ ამ ორ ტექსტში გვხვდება. მღვიმელის ცხოვრებაში იგი დამოწმებული არაა.

ბესარიონი, მართალია, ძირითად წყაროდ იყენებს შიო მღვიმელის ცხოვრების ვრცელ რედაქციას, მაგრამ არის შემთხვევა, რომ მისი წყარო შიოს ცხოვრების მოკლე რედაქციადაა. შიო ცხოვრების მოკლე რედაქციაში აბიზონისა და ისეს სასწაულების შემდეგ მოთხრობილია ეპიზოდი, რომელიც ჩვენი აზრით გამოყენებულია ბესარიონის თხზულებაში.

<sup>8</sup> ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, I, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, 1955, გვ. 88—89.

<sup>9</sup> ხელნაწერი S—326<sup>9</sup>, 257v.

<sup>10</sup> ე. გ. ბ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ძეგლები, IV, გვ. 400.

3. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1

### შიოს ცხოვრების მოკლე რედაქცია

„ემა დიდებულ საკრველო, რამეთუ კაცთა მიწისაგანთა წყალნიცა დაემორჩილებიან! ერთი ჰაერთა წარმოადგინებს მსახურად და მეორე ცეცხლისა ბუნებასა დაშრეტს და წარსდევნის მკურავლებასა მისსა, სხუაჲ წყალსა და მიწისა ბუნებასა დაიმორჩილებს. ამას ყოველსა ზედვიდეს და ღმერთსა აღიდებდეს ყოვლით კერძოვე“<sup>11</sup>.

### ბესარიონის თხზულება

„ესრეთ აღიდებს ღმერთი მადიდებელთა თვსთა, ესრეთ დაუმორჩილებს ბუნებათა და ნივთთა მორჩილთა და ნების-მყოფელთა თვსთა, ვითარცა ამთ ნეტართა დაუმორჩილნა ოთხნივე ნივთნი: ჰაერი, ცეცხლი, წყალი და მიწა, რომლისა მიერ და რომლისა შორის არს და იქცევის გრძობადი ესე ყოველი, რამეთუ ერთმან მან საკრველმან კაცმან განტევებითა შიქისათა ჰაერი მორჩილ თვსა ყო... ხოლო მეორემან მან ბუნებაჲ იგი ცეცხლისა მოტყინარისა ნუგეშთა ზედა ტვრთვთა არა შემწყველ, არამედ ცუარ საკურნებელ ქმნითა ყრმათა.“

მთ წმიდათა ემსგავსა... ხოლო ამან საკრველმან კაცმან ნივთნი ორნი მორჩილ თვსთა ყო. ვიტყვ უკუშ მიწასა და წყალსა“<sup>12</sup>.

მსგავსი ეპიზოდი შიო მღვიმელის ცხოვრების ვრცელ რედაქციაში მიახლოებული ვარიანტიც კი არაა წარმოდგენილი, ხოლო მსგავსება ციტირებულ სტრიქონებს შორის კი აშკარაა. ამ მაგალითის შემდეგ შეიძლება ვიარაუდოს კაცმა, რომ ბესარიონის თხზულების ერთი ეპიზოდი სათავეს შიოს მოკლე ცხოვრებაში იღებდეს. შიოს ცხოვრების ორივე რედაქციაში მოთხრობილია სასწაული ნაკვერცხალთან დაკავშირებით. მაგრამ მხოლოდ მოკლე რედაქციაში ნათქვამია თუ რომელი ხელით შეასრულა მან ეს სასწაული. „მოილო ნაკურცხალს და დაიკრიბა ნებსა ზედა მარჯუენესა შიშველსა და დაასხა საკუშვეველი“. ბესარიონის თხზულებაშიც დასახელებულია „მარჯუენე თვისი შიშული“.

ამ მაგალითებიდან აშკარა ხდება, რომ 1) ბესარიონი თავის თხზულებაში იყენებს შიო მღვიმელის ცხოვრების მოკლე რედაქციას (ვრცელის გვერდით); 2) ბესარიონის თხზულება — ისე წილკნელის მეტაფრასული ცხოვრება — ერთ-ერთი წყაროა ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრებისა, რომელსაც ჩვენ ასევე ბესარიონ ორბელიშვილის კალამს ვაკუთვნებთ.

ამ დასკვნებიდან თავისთავად დგება საკითხი ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების ქრონოლოგიის შესახებ. კ. კეკელიძე ერთ-ერთ თავის შრომაში თვლიდა, რომ მ. საბინინის მიერ გამოქვეყნებული ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრება შედგენილია სულ უკანასკნელ ხანებში<sup>13</sup>. ე. გაბიძაშვილს მიაჩნია, რომ სვინაქსარული საკითხავი უფრო ადრეულია, ვიდრე ბესარიონის თხზულება. ავტორის აზრით, ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრება „ისეს შესახებ შექმნილი პირველი დამოუკიდებელი თხზულება უნდა იყოს“ 1718—1724 წლებში შექმნილი. ამ დებულების დასამტკიცებლად ე. გაბიძაშვილს ერთ-ერთ არგუმენტად გამოყენებული აქვს ისე წილკნელის ხსენების დღის გადატანა 18 აგვისტოდან 2 დეკემბერზე. ავტორი ამ შემთხვევაში ეყრდნობა კ. კეკელიძეს, რომელიც თავის მხრივ მ. საბინინს იყენებს, და

<sup>11</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 122.

<sup>12</sup> S—3269, 260r—v.

<sup>13</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. I, თბილისი, 1956, გვ. 20. შენ. 1. ივულისხმებოდა X VIII ს. მეორე ნახევარი.

თვლის, რომ ეს ფაქტი, ე. ი. ხსენების დღის გადატანა, უნდა მომხდარიყო XVIII საუკ. პირველსავე წლებში<sup>14</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს რეფორმა ადასტურებს, რომ მას არაფერი აქვს საერთო ისე წილკნელის სვინაქსარულ ცხოვრებასთან, რომ იგი ვერ გამოდგება საკითხავის ქრონოლოგიის განსასაზღვრავად.

ისე წილკნელის ხსენების დღედ, როგორც ე. გაბიძაშვილსაც აქვს თავის წიგნში აღნიშნული, ხელნაწერები ორ რიცხვს მიუთითებს. ერთი ჯგუფი უჩვენებს 18 აგვისტოს, ხოლო მეორე 2 დეკემბერს. ამ გადანაცვლებას თავისი გამართლება ჰქონდა. კ. კეკელიძის აზრით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს მოხდა იმ მიზეზით, რომ „მეთვრამეტე საუკუნემდის დეკემბრის 2 საქართველოს ეკლესია დღესასწაულობდა პეტრე მაიუმელის ხსენებას. მეთვრამეტე საუკუნის პირველ წლებში ის გამოირიცხეს წმინდანთა ხარისხიდან, როგორც მონოფიზიტი, და 2 დეკემბერს, ეს გარემოება რომ ხალხს მინცდამაინც თვალეში არ მოხვედროდა, გადმოიტანეს ისე წილკნელის ხსენება 18 აგვისტოდან“<sup>15</sup>. კ. კეკელიძე ეყრდნობა ანტონ კათალიკოზის შემდეგ ფრაზას: „ჩემსავე ყოფასა საქართულსოა შინა, იყო რომელიმე მიზეზი, ვითარმედ შეჰსცვალეს, და დეკემბრისა თთვსა ბ დააწესეს იგი“<sup>16</sup>. ანტონის ეს ცნობა, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია, მაგრამ ჩვენი ფიქრით, ეს რეფორმა არ უნდა მომხდარიყო XVIII საუკ. 40-იან წლებზე ადრე (ამ დროს ანტონი საქართველოშია). ვნახოთ ხელნაწერების მონაცემები. ისე წილკნელის ხსენება ადრეულ ხელნაწერებში ყველგან 18 აგვისტოსაა და მხოლოდ სადღესასწაულოს ანტონ კათალიკოზისეულ რედაქციაშია წარმოდგენილი 2 დეკემბერს (ზემოთ მოტანილი ანტონის სიტყვები, სწორედ მისი რედაქციის სადღესასწაულოს წინასიტყვაობიდანაა). მეორეც თვით პეტრე ქართველის ხსენება ხელნაწერებში ქრება სწორედ გვიან. 2 დეკემბერსაა მისი ხსენება A—472-ში (1700 წლის ხელნაწერი), A—366-ში (1714 წ. ხელნაწერი), A—515-ში (1733 წ. ხელნაწერი), A—393-ში (1736 წლის ხელნაწერი), A—151-ში (1740 წლის ხელნაწერი), A—152-ში (1742 წლის ხელნაწერი), H—970-ში (1742 წ. ხელნაწერი), A—1093 (1756 წლის ხელნაწერი) და XVIII ს. შემდეგ ნუსხებში H—1087, Q—627, S—3952, Q—1053 და სხვ.<sup>17</sup>. დასახელებულ ხელნაწერთაგან A—151 ასახავს ანტონის სადღესასწაულოზე მუშაობის პირველ ეტაპს, როცა იგი ჯერ კიდევ საქართველოშია, ხოლო A—1093 კი ალექსი მესხიშვილის რედაქციისაა, რომელიც რამდენიმე წლით წინ უსწრებდა ანტონის შრომის მეორე რედაქციას და გამოხატავდა საქართველოში მომუშავე ლიტურგისტთა აზრს. მესხიშვილის შრომა რამდენადმე კონკურენციასაც კი უწევდა ანტონის სადღესასწაულოს. ორივე ამ ხელნაწერში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პეტრეს ხსენება 2 დეკემბერსაა, ხოლო ისე წილკნელისა კი 18 აგვისტოს (A—151-ში ხსენება არაა საერთოდ). მაშასადამე, თუ ხელნაწერების ამ მონაცემებიდან ამოვალთ, XVIII საუკუნის 50-იან წლებამდე პეტრე ქართველის ხსენება 2 დეკემბერსაა, ხოლო ისე წილკნელისა კი

<sup>14</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, გვ. 182,4 ქ. 1.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> ანტონის სადღესასწაულოს წინასიტყვაობის ტექსტი გამოქვეყნებული აქვს კ. კეკელიძეს დასახელებულ გამოცემაში.

<sup>17</sup> ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მთელი წყება ხელნაწერებისა პეტრეს ხსენებას 3 დეკემბერზე დებს. იხ. H—342 (1661 წ. ხელნაწერი), A—456, A—911, Q—646, Q—1160 და სხვ.

18 აგვისტოს. აქედან გამომდინარე, ეს არგუმენტი ისე წილენელის სვინაქსარული საკითხავის პირველადობის შესახებ არ გამოდგება. თვით ე. ვაბიძაშვილი სამართლიანად წერს, რომ საკითხავი რომ 1718 წლამდე არსებულობდა, იგი აუცილებლად A—425-ში მოხვდებოდა. მაგრამ რაკი მან სვინაქსარის პირველადობა აღიარა, ამიტომ ზედა საზღვარი 1724 წლით განსაზღვრა. ჩვენი აზრით, მართლაც შეიძლება ისე სვინაქსარი ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ჩაჯდეს, მხოლოდ ჩვენ ქრონოლოგიურად უფრო ადრეულად ვათარილებთ ისე ვრცელ ცხოვრებას, რომელიც ბესარიონს ეკუთვნის და რომლითაც უსარგებლია, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სვინაქსარის შემდგენელს.

ბესარიონ ორბელიშვილს მივაკუთვნებთ ჩვენ ისე წილენელის სვინაქსარულ საკითხავს. ბესარიონს დაუწერია, ჩვენი აზრით, როგორც ვრცელი თხზულება ისე შესახებ, ასევე საგალობელი (ეს დადასტურებულია მრავალ წყაროში) და სვინაქსარული საკითხავიც, ე. ი. შეუდგენია მთელი განგება.

ბესარიონ ორბელიშვილი საგალობელში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ისე საქმიანობას მთიულთა ქრისტიანობაზე მოქცევაში. „ესე მამა და მოძღუარი ჩუენი ისე გამოჰკრთა ათორმეტთა შორის მამათა, ვითარცა მთიები ბრწყინვალე, და ამის მიერ იცნეს გზა ჰეშმარიტი ყოველთა მათ მთიულთა და აღიდებენ ქრისტესა ღმერთსა“... ეს მომენტი ყოველ გალობაშია აღნიშნული.

საგალობელში ისმის პატრიოტი ავტორის ღაღადისი. „მტერი იგი მომსრულელი მორწმუნეთა ქართუშლთან მისრენ და დაანთქს სიღრმესა შინა ზღვსასა“; „დღეს განათლდების ეკკლესია წილკანისა ჰებთთა შენითა და განშუშნდების საზღაური ქართლისა და არე იგი მთიულთა“... ბესარიონი არც ღვთისმშობლის წილხედომილობის ლეგენდას ივიწყებს: „ნათელი ბრწყინუალებისა შენისა მოგუფინე მონათა შენთა, დედაო და ქალწულო, შენ მიერ წილად ხდომილთა მორწმუნეთა ქართუშლთა...“ ეს მოტივი საერთოდ იყო XVIII საუკუნის პინოგრაფებში პოპულარული. თვით ბესარიონი იმეორებს მას „საუფლო კუართის საგალობელში“ „ეიერ წილად ხდომილი შენი ქართუშლნი გაქებთ, დედაოფალო წმინდაო...“ ასევე იესე ერისთავი 1659 წლის კახეთის აჯანყების მეთაურთა საგალობელში წერს: „ტაძარო ქრისტესო, შეუტყვეველო ზღუდეო ქრისტეანეთაო, და საკუთარო მფარველო და მოღუაწეო ქართველთა ერთაო, მეოხ გუეყავ წინაშე ძისა შენისა“... (უგალობდითსა).

საგალობელში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ისე წილენელის სასწაულების გადმოცემას. განსაკუთრებით პატივშია სასწაული მდინარე ქსანთან დაკავშირებით: „აღვრ ექმნა კუჭრთხი შენი მდინარესა მას ქსანსა, წინამძღურებითა შენითა და მიუძღუანე ეკკლესიასა შენსა ნებთა შენითა...“ ცხადია, ეს ეპიზოდი ვრცელ ცხოვრებაში სათანადო სისრულით არის გადმოცემული და იგი შედარებულია მოსეს სასწაულთან მეწამულის ზღვასთან. ამ შედარების შემდეგ ბესარიონი წერს: „ხოლო საქმე ესე უცხო, საკრველისა ამის კაცისა მიერ ქმნილი, ვიდრე აღსასრულამდე ჰგის და ახარებს ყოველთა მხილველთა“... რადგანაც ავტორის რწმენით „ესე სასწაული არა უდარეს არს სასწაულსა მას მოსეს მიერ ქმნილსა ზღუაჲა მას ზედა მეწამულსა“.

ბესარიონის ავტოგრაფში (S—3269) ისე წილენელის საგალობელი მთლიანად წარმოდგენილი არ არის. არის მხოლოდ 5 გალობა, მე-7, 8, 9 აკლია. კანონის გადამწერს მე-6 გალობის შემდეგ დაუწყია სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი, დაუწერია სათაური და ტექსტის ორი სტრიქონი, მაგრამ რატომღაც

შემდეგ შეუწყვეტია, ხოლო ადგილი — მთელი ფურცელი, რომელზედაც უნდა დაწერილიყო საკითხავი და საგალობლის ნაწილი, გაუშვია. თქმა იმისა, რომ გადამწერს არ ჰქონდა საჭირო მასალა, გაპირდება, რადგანაც გადასატანი სიტყვა „ნერგი“ ჩვეულებრივად მიუწერია წინა ფურცლის კიდეზე, ხოლო მეორე ფურცელზე კი ტექსტი აღარ გაუგრძელებია.

ბესარიონ ორბელიშვილის კალამს ეკუთვნის საგალობელი რაყდენ პირველმოწამის შესახებ. რაყდენი ქართველ წმინდანთა გუნდში პირველ მოწამედ ითვლება.

ჰაგიოგრაფიულ-პიზნოგრაფიული მასალა პირველმოწამის შესახებ XVIII საუკუნემდე არ შექმნილა. მხოლოდ ბოლო წლებში გაირკვა, რომ თხზულება „წამება და ღვაწლი წმინდისა დიდისა მოწამისა რაყდენისი, რომელ იწამაჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისათა, სპარსთა მიერ ქართლს, სოფელსა შინა წრომს“<sup>18</sup> XVIII საუკუნის დასაწყისის ძეგლია და არა XII საუკუნის<sup>19</sup>. ავტორს — ბესარიონ ორბელიშვილს გამოუყენებია რაყდენზე არსებული მრავალი ლიტერატურული ძეგლი, რაც აკად. კ. კეკელიძეს მითითებული აქვს კიდევ<sup>20</sup>.

მასასადამე, რაყდენ პირველმოწამის შესახებ ბესარიონ ორბელიშვილს დაწერილი აქვს როგორც ვრცელი, მეტაფრასული ხასიათის აგიოგრაფიული თხზულება, ასევე პიზნოგრაფიული კანონიც. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რატომღაც სვინაქსარული თხზულება რაყდენის შესახებ არ დაწერილა საერთოდ, ყოველ შემთხვევაში, ჯერ გამოვლენილი არ არის.

ბესარიონ ორბელიშვილს თავისი ჰაგიოგრაფიული კრებულისათვის დაწერილ თხზულებებს შორის პირველად რაყდენის „წამება“ შეუქმნია. ეს ჩანს უპირველეს ყოვლისა, კრებულის იმ თავდაპირველი სახიდან, რომელიც ჩვენ ამ ათიოდე წლის წინ აღვადგინეთ. მეორეც, თვით ძეგლის შესავალი — წინასიტყვაობა გაკეთებულია ისე, რომ იგი გათვალისწინებულია ბესარიონის ყველა თხზულებისათვის.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვრცელ თხზულებაზე ადრე ბესარიონს დაუწერია კანონი რაყდენ პირველმოწამეზე, თუმცაღა, სხვა შემთხვევაში იგი ასე არ იქცევა. ბესარიონის საგალობელი შესულია (1713 წელს გადაწერილ ხელნაწერში A—130), ხოლო ვრცელი „წამება“ კი მხოლოდ შედარებით მოგვიანო ხელნაწერში (S—3269) ჩნდება პირველად. ამდენად ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი დგება არა „წამებასა“ და საგალობელს შორის ურთიერთობაზე, არამედ საგალობლისა და „წამების“ ურთიერთობის შესახებ.

ბესარიონ ორბელიშვილის ჰაგიოგრაფიული თხზულება ფაქტების გადმოცემის დროს ძირითადად „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებს იყენებს და ავრცობს მას. და რადგანაც ჭუანშერის თხზულებაში რაყდენზე ბევრი რამ

<sup>18</sup> გამოქვეყნებულია, მართალია, შეცდომებით, მ. ს ა ბ ი ნ ი ს მიერ, იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 169—179. შემოკლებულად ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია ტ. I, 241—246.

<sup>19</sup> მ. კ ა ე თ ა რ ი ა, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1959, გვ. 87—93; შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 351.

<sup>20</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, იქვე.

ნათქვამი არაა, ამიტომ ავტორი მეტაფრასტული მწერლობისათვის დამახასიათებელ ენაწყლიანობას უთმობს დიდ ადგილს. ამავე დროს, იყენებს გადმოცემებს რაქდენის შესახებ.

რაქდენის ხსენებას ქართული ეკლესია 3 ავეისტოს დღესასწაულობს. ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობა იძლევა ამ დღეს. მხოლოდ ერთადერთი გამონაკლისია პარიზის ლექციონარი, რომელიც რატომღაც იძლევა ივნისის 25-ს<sup>21</sup>. რაქდენის სახელი პირველად XI საუკ. ხელნაწერშია დადასტურებული. XI საუკუნის სვინაქსარში (A—97) აშიაზე ტექსტის ხელით მიწერილია 3 ავეისტოს გასწვრივ. „წმ. მოწამე რაქდენისი, რომელი იყო სპარსი და იქმნა ქრისტიანე და იწამა ცეცხლის მსახურთა მიერ სოფელსა წრომს“ (285r). ამ ცნობას მეტ-ნაკლები სხვაობით იმეორებს მომდევნო პერიოდის ხელნაწერები, ძირითადად სვინაქსარები. მაგ. Ier. 80 (XII—XIII სს. ხელნაწერი), რომელსაც ასევე მხოლოდ მინაწერი დაუცავს (გვ. 411). 1756 წლის ხელნაწერში კი წერია: „წმ. მოწ. რაქდენისა, რომელ პირველ მოგვ იყო და ქრისტიანე იქმნა და იწამა სპარსთა მიერ ქართლს, სოფელს წრომს“ (ფ. 479).

ამ მოკლე ჩანაწერის მეტ ხელნაწერებში რაქდენის შესახებ არაფერი არაა ცნობილი და სავარაუდოა რომ არც იყო. მასზე არც XVIII ს. დაწერილა სვინაქსარული ცხოვრება, ეს კი თავისთავად აუხსენელი ფაქტია, რადგანაც ამ პერიოდში ხელახლა შედგა ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარები ისეთ პირებზეც კი, რომელთა შესახებ ადრეც არსებობდა სვინაქსარული საკითხავები.

როგორც ჩანს, რაქდენზე ძველად არც საგალობელი ყოფილა და მხოლოდ XVIII ს. დაწერა ბესარიონ ორბელიშვილმა.

ზემოთ მოტანილი მოკლე ჩანაწერის გავლენა ბესარიონის თხზულებაზე პირდაპირ იგრძნობა. თავისთავად ეს ცნობაც, რომლის ფიქსაცია XI საუკუნეში მოხდა, მხოლოდ გადმოცემებს ეყრდნობა.

საგალობელი რაქდენ პირველმოწამეზე საინტერესოა პირველ რიგში იმით, რომ იგი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ბესარიონის მეტაფრასულ თხზულებას და ეს უკანასკნელი მასზეა დამოკიდებული. ვნახოთ სათანადო საილუსტრაციო ნიმუშები:

### საგალობელი

#### ა) მესმასა

„შეგქედეს კელით და ფერკით უღმრთოთა მათ, ნეტარო, და ძვრის მოქმედებრ მიგცეს საპყრობილესა მართალი, უსჯულოთა უჯარის მყოფელთა...“

გუემასა მისენა კორციი თჳსნი მოწამემან რაქდენ და ითრედეს უწყლოდ უღთონი იგი, ვითარცა რა მკეცი ნადირებრ განბჳრვიდეს ღირსაა მის...“

მოვიდნეს კაცი ღვთისმსახური, ქრისტეს მორწმუნენი, და გამოითხოვეს მოწამე ქრისტესი მძლავრისა მისგან საპყრობილით თავის მღებებითა...“

### მეტაფრასი

„... მერმე შეკრეს კელით და ფერკით და რკინით მაგრა შექედილი საპყრობილესა ბნელსა შეაყენეს, თჳნიერ ყოვლისა ნუგეშისცემისა“ (საბინინი, გვ. 174).

„მაშინ მოვიდეს მთავარი ქართუშლთანი, რომელნიცა მაშინ სპარსთა თანა მისრულ იყვნეს. ევედრებოდეს მეფესა მას უღმრთოსა გამოყვანებად წმიდისა მის საპყრობილით და ეტყოდეს ჩუენ თავს მღებ ვექმნეთ რაქდენს ახოვნსა...“ (გვ. 175).

<sup>21</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Rt VIII, № 3, (III) გვ. 600. მე-18 საუკ. ხელნაწერში. H—2335-ში შეცდომით მითითებულია 3 იელისი, რაც ანგარიშგასაწევი არაა.

## ბ) დაღატყავსა

„რაჟამს მოვიდა შენ ზედა, სანატრელო რაჟედენ, სიმრავლე უსჯულოთა მათ სპარსთა მკედართა, ხოლო შენ მსგავსად მკსნელისა არქუ მათ, ვითარმედ, რომელსა-იგი მეძიებთ — აჰა, მე ვარ რაჟედენ. მაშინ შეგიპყრეს, ღირსო, უწყალოდ და გცემდეს თავსა შენსა.“

გეტყოდა შენ მეუღლე შენი, სანატრელო, ვითარცა იგი ოდენსმე იობ, უარპყავ ქრისტე და ჰმონე სჯულსა პირველსა, რათა არა მოჰკედმე უწყალოდ უსჯულოთაგან. ხოლო შენ, ღირსო, ყოვლადვე არა შეიწყნარე სიტყვა მისი.

არქუ შენ დედაკაცსა მას, რომელი გეტყოდა აღსარებად სჯულსა ცეცხლის მსახურთასა, განმეყენე ჩემგან და წარვედ, უგუნურო მართლუჯუნე ეშმაყო, და მაცთუნებ მე, ვითარცა პირველ აღამ ევაჰ...“

## ბ) უგალობდითსა

„... და ესრეთ ეტყოდმე უსჯულოსა მას მძლავრსა, რასა მიაძღულებდე გებად ცეცხლითა და მზესა, არა უარ-ვეყო მე ქრისტე ღმერთი.“

„ხოლო იგინი [რახმი] შეემთხვივნეს წმიდასა მას და ვერ იცნეს იგი მის ფრიალისა შეურაცხებისაგან და მის ზედა შემთხვეულთა სატანჯულოთაგან და ჰკითხავდეს მას, თუ სადა არს რაჟედენ... ხოლო იგი მიუგებდა, ვითარმედ მე ვარ რომელსა თქუენ მიუძიებთ. მყის შეიპყრეს უღმრთოთა მათ ჰცემდეს თავსა მისსა უწყალოდ არგნებითა, შეპყრეს და ესრეთ წარიტყეს...“ (გვ. 176).

„მერმე... აღიძრა მეუღლე მისი მსგავსად პირუელისა მის დედისა, განაზრახებდა წმიდასა მას და იტყოდა: რად ესრე განვიწირავს ცხოვრება თვისი და მივიციემიეს თავი შენი სიკუდილად და ჩუენცა სრულიად ოხერ და ობოლ გვეყოფ. ერწლი ბრძანებასა მათსა და იხსენ თავი შენი და ჩუენცა, რათა არა ბოროტად მოკუდე შენ... ხოლო ესმა რა ზრახება ესე წმიდასა მას მეუღლისაგან თვისისა, მიხედა მკისნარედ, გულისწყრომით და ეტყოდა: რად ესრეთ ბოროტისა განმზრახ მექნები!

ჰი, დედაკაცო, ვითარცა ევა, ანუ ვითარცა ცოლი იგი იობისი, რათამცა მისმინე შენი და ვიქნემცა ვითარცა აღამ... ნუ იყოფიან ესე ჩემდა სმენად სიტყუათა შენთა... (გვ. 175—176).

„ხოლო წმიდაჲ იგი მიუგებდა: რასა მიაძღულებთ, უსჯულნო, ცხოველისა ღუთისა დატეგებად, რომელმან დაბადა ცა და ქუეყანა...“ (გვ. 177).

საილუსტრაციო ნიმუშები, ვვიქრობთ, საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ბესარიონის მეტაფრასულ თხზულებაში ჰარბადაა გამოყენებული საგალობლის მონაცემები. ბესარიონ ორბელიშვილი — ავტორი „წამებისა“ და ჰიმნოგრაფიული კანონისა ეერთი და იგივე ცნობებს ამუშავებს ორივე ძეგლში. საგალობელშიც და წამებაში სპეციალური მსჯელობაა იმის შესახებ, რომ რაჟედენი პირველმოწამეა ჩვენში. „რაჟედენს, ერთობით მორწმუნენო, ყოველნი პატივის-ცემდეთ, ქრისტეს აღმასრულებელსა და პირველსა მოწამესა ქართველთასა...“ განსაკუთრებით ვრცლადაა ამის შესახებ საუბარი „წამებაში“.

რაჟედენ პირველმოწამის საგალობლის ტექსტი შედგენილობის მხრივაც იწვევს ინტერესს. იგი დაცულია შემდეგ ხელნაწერებში A—130 (ძველი ნუმერაციით H—820), A—111, S—3269, A—170, A—1093, A—176, H—2077, S—1464 და სხვ. ქრონოლოგიურად ყველაზე ძველია A—130, სამწუხაროდ, ხელნაწერს აკლია საგალობლის ბოლო.

დასახელებულ ხელნაწერებში საგალობლის ტროპართა რაოდენობა ერთნაირი არაა. ამ მხრივ განსაკუთრებულ თავისებურებას ამქლავნებს ანტონის ნუსხა S—1464.



წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ რაყდენის საგალობლის ღმრთისმშობლისანი (ცალკეულ გალობათა ბოლო ტროპარი) ბესარიონს არ ეკუთვნის. ისინი ჯერ კიდევ X საუკუნეში ხელნაწერებშია დადასტურებული<sup>22</sup>. ისიც საგულისხმოა, რომ A—130 ღმრთისმშობლისანი არც ერთ გალობას არ აქვს, მხოლოდ ორ შემთხვევაში მიწერილია დასაწყისი სიტყვები. ანტონ კათალიკოსისა და ალექსი მესხიშვილის სადღესასწაულოებში კი ღმრთისმშობლისანის განსხვავებული ტექსტებია წარმოდგენილი, ე. ი. თუ ბესარიონი იღებს მზამზარეულ ტექსტს, ანტონი და ალექსი თვით თხზავენ და ურთავენ. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ანტონთან ცალკეული ტროპარები ბესარიონის საგალობლისა გამოტოვებულია, ნათელი გახდება, რომ ბესარიონის ტექსტს შემდეგი პერიოდის ავტორ-რედაქტორთაგან გადაკეთება-დამატება განუცდია. ამავე დროს, როგორც მესხიშვილი, ასევე ანტონიც უმატებენ მცირე ფორმის საგალობლებს და ამით ავსებენ განგებას. ამ ფაქტის ერთგვარი გამოძახილი უნდა იყოს 1742 წლის მოსკოვში გადაწერილი ხელნაწერის (A—152) გადამწერის პეტრე ებიტაშვილის შენიშვნა: „ამისი საგალობელი დედანში არ იყო. ვინ იცის იპოთ, ადგილი გამიშვია“ (350v).

რაყდენის საგალობელში, ბესარიონის სხვა საგალობელთაგან განსხვავებით, ვრცლად არის წარმოდგენილი ფაქტები რაყდენის შესახებ, იმდენად ვრცლად, რომ იგი ამ თვალსაზრისით საერთოდ გამოირჩევა XVIII ს. საგალობლისაგან. ეს შეიძლება იმიტომაც აიხსნას, რომ რადგანაც სვინაქსარული საკითხავი რაყდენზე არ არსებობდა, ამიტომ საგალობელს რამდენადმე მიიხრცა უნდა შეევესო ეს ხარვეზი.

ისე წილკნელისა და რაყდენ პირველმოწამის საგალობლები დაწერილია ერთ ხმაზე (კმა და გ<sup>ო</sup>), ამიტომ ავტორი ზოგჯერ ერთსა და იგივე ძღისპირებს იყენებს. მე-5, მე-6 და მე-7 გალობების ძღისპირნი ორივე საგალობლისათვის ერთია. თუმცადა საგალობლის შინაგანი რიტმი და დინამიკა ერთმანეთისაგან განსხვავდება. საგალობელში ისე წილკნელზე გაცილებით მეტია პოეტურობა და შინაგანი ექსპრესია.

S—3269 ხელნაწერში ბოლომდე არც რაყდენის საგალობელია წარმოდგენილი, აკლია მე-9 გალობა. არსებულ ტექსტს მოსდევს ვრცელი ცხოვრება. საგალობელში არც მცირე ფორმის საგალობლებია ჩართული. ამიტომ საფიქრელია, რომ მოგვიანო დროის ხელნაწერებში დაცული იყოსი და იბაკო ბესარიონის კალამს არ ეკუთვნის. A—130-ის, S—3269 ხელნაწერების მონაცემებს უქერს მხარს A—111 ხელნაწერიც.

ბესარიონის პოეტური მემკვიდრეობიდან ანტონ კათალიკოსი საგანგებოდ გამოჰყოფს სვეტიცხოვლის გალობას და „წყობილისიტყვაობაში“ აღნიშნავს: „ბესარიონის ქმნილი კანონი კუარათის

არს სულით თქმული, ღუთის-მეტყუშლ რიტორებრი...“ (სტრ. 666). მართლაც, „კანონი კუარათის“ დიდი პოეტური აღმადგენით დაწერილი საგალობელია. იგი გავრცელდა და თითქმის ყველა ლიტურგიულ წიგნშია წარმოდგენილი. თავისთავად თემა საგალობლისა მიმზიდველია და ამანაც განაპირობა საგალობლის პოპულარობა.

<sup>22</sup> იხ. ელ. მეტრეველი, ძღისპირნი, ვი. 175, 178, 183, 184, 187 და სხვ. მხოლოდ მეშვიდე გალობის ღმრთისმშობლისა ვერ პოულობს შესატყვისს.



საგალობლის ლეიტმოტივი, ისე როგორც ბესარიონის მთელი შემოქმედებისა, პატრიოტიზმია, ქართული ეკლესიის სადიდებელია. ოსტატურად არის გამოყენებული ლეგენდა საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის შესახებ. ბესარიონის აზრით, ქართული ეკლესიის ღონე და ძალი, ნათელი და ხივი ღვთისმშობლის მადლითაა შთაგონებული. ამიტომ „ნუ დასცხრები მეოხებად შენ წილხვდომილთა ქართველსა ერსა მოფენად ზეცით, მშვიდობა და წყალობა“. ხოლო მადლიერი მრევლი აღავლენს ლოცვას: „ერი წილხვდომილნი შენი, ქართველნი გაქებთ, დედოფალო წმინდაო, რომელმან იგი შენ წილ მოავლინე მოციქულნი ნინო და მან განგვანათლა ჩუჴნ უკვდავებისა ნათლითა, ყოვლად წმინდაო“ (გალობა ზ. მე-4 ტროპარი).

ნინოს ცხოვრებათა რედაქციებში (თითქმის ყველაში) აღწერილია კუართის ამბავი. ჩვენი მწიგნობრები დიდ ადგილს უთმობენ ამ მითს. „მოქცევაჲ ქართლისაჲჲ“ ავტორი მიუთითებს, რომ კუართი „წილით ჰხუდა ჩრდილოთა, მცხეთელთა“<sup>23</sup>. ლეონტი მროველი დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ „კუართი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა. წარმოიღო ელიოზ, და მიიღო მცხეთას...“<sup>24</sup> არსენის რედაქცია და მისი პერიფრაზიც დასტურ აცხადებენ, რომ „მოხუდა წილითა კუართი უფლისა ჩუჴნისა ელიოზს“...<sup>25</sup>

ბესარიონს თავის საგალობელში, ცხადია, აქცენტი სწორედ ამ ფაქტზე აქვს გადატანილი. ერთი მხრივ, წილხვდომილობის ლეგენდა, მეორე მხრივ, კუართის ჩამოტანის მითი — არის სწორედ ის ქარგა, რომელზედაც იშლება საგალობელი.

ბესარიონი კუართის ეპიზოდს ვფიქრობ ნინოს ცხოვრების ე. წ. პერიფრაზული რედაქციიდან იღებს.

„და ვითარცა მოიწია იერუსალიმს [ელიოზ], შეკრებულ იყო ერი ჰურიათა დაემტკიცა ჯუარცუმჲა ქრისტჴსი. ხოლო არა სადა ეზიარა განზრახვასა მათსა, არამედ შორს იღვა იგი და მისთანანი იგი. და მოვიდეს იგინი ხილვად იესუჲსა, ვითარცა — იგი წერილ არს სახარებასა შინა, ვითარამედ: «იყვნეს ვინმე წარმართაგანნიცა, რომელი აღმოსრულ იყვნეს იერუსალიმად დღესასწაულსა მას...» ესენი იყვნეს ელიოს და მისთანანი წარმართთაგან მოსრულნი. ხოლო ვითარცა აღესრულა ნეფსი ვნებაჲ მაცხოვრისაჲ, მიხუდა წილითა კუართი უფლისა ჩუენისა ელიოზს, ვითარცა წერილ არს: «გინყუეს სამოსელი ჩემი და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი»<sup>26</sup> და ა. შ.

ბესარიონი საგალობელში ცხადია, ასე დეტალურად არ გადმოსცემს იესუს სამოსლის დანაწილების ბედს, მაგრამ სახარების უკვე დამოწმებული ადგილის ციტირებით დაახლოებით ამავე სიტუაციას წარმოადგენს. იგი წერს: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კუართსა ზედა ჩემსა განაგდეს წილი“, რომელი მიქსოვა დედამან ჩემმან, ვითარცა თქვეს პირველად წინასწარმეტყუელთა და აწ მივმადლე ქართველთა მადიდებელად ძალსა ჩემსა“. ამ ტროპარში პირველი სტრიქონი მათეს 27 თავის 35-ე მუხლია. სწორედ ეს ადგილია ნინოს ცხოვრების პერიფრაზულ რედაქციაში დამოწმებული.

ბესარიონის საგალობელი დაწერილია მეოთხე ხმაზე. თითოეული გალობა

<sup>23</sup> აიგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, გვ. 112.

<sup>24</sup> ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 60—61.

<sup>25</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, გვ. 226.

<sup>26</sup> იქვე.

ოთხი ტროპარისაგან შედგება (მეოთხე ღმრთისმშობლისა). ავტორი ოსტატურად იყენებს ძლისპირის პოეტურ ფაქტურას, ასევე ოსტატურად იყენებს ღმრთისმშობლის სადიდებელ ტროპარებსაც. იგი არ ერიდება სტერეოტიპულ ფრაზების გამეორებასაც კი (რაჟდენის საგალობელში იგი უცვლელად იყენებდა მათ).

#### ღმრთისმშობლისა

„გიხაროდეთ, უქორწინებლო სძალო, დედაო უბიწო, რომელმან შევ ღმერთი ქორციოთა და აწ კადნიერება გაქუს შენ მისა მიმართ, ნუ დასცხრები მარადის მეოხებად ჩუენ ყოველთა, რომელი შენდა მოვილტით ყოვლად ქებულო“<sup>27</sup>.

#### ბესარიონი (მესმასა)

„გიხაროდენ, უქორწინებლო სძალო, დედაო ყოველთა შემოქმედისა ღმრთისაო, რამეთუ შენ მიერ მოვილეთ ჩუენ ყოველთა ნათელი და ლხინება და ვლადადებთ, რამეთუ არავინ არს წმინდა შენებრ კაცთმოყუარე“.

როგორც წესი, ბესარიონი შთელ საგალობელში მიმართავს რეფრენს. ყოველ გალობას (გამონაკლისია IV და V გალობა) თავისი რეფრენი აქვს, რომელიც, თავის მხრივ, ძლისპირიდანაა აღებული. რეფრენი მეტ ემოციურობას და ექსპერსიას მატებს საგალობელს.

საგალობელში არცთუ იშვიათია მოხდენილი მხატვრული სახეები („ვითარცა მზისა თვალი. გამოგვბრწყინეა კუართი“. „ღდეს მივევლინა ქართველთა ერსა ზაფხული მადლისა“ და სხვ.), პოეტური გამოთქმები და შედარებები.

ბესარიონ ორბელიშვილის საგალობლები XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის მნიშვნელოვანი პოეტური ძეგლებია. ავტორი ლოგიკურად აგრძელებს სასულიერო პოეზიის ტრადიციებს და იმ ეროვნულ-პატრიოტულ განწყობილებას, რომელიც XVIII საუკ. დამდეგს ჩამოყალიბდა ჩვენში. ბესარიონ ორბელიშვილის მთელი შემოქმედება — პროზაც და პოეზიაც ამ განწყობილების ანარეკლია.

<sup>27</sup> ელ. მეტრეველი, ძლისპირნი, გვ. 107.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

### ქენის სინარულიძე

## ამინდის რიტუალი და პოეტური შემოქმედება

ამინდის რიტუალი და ამ რიტუალთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები თუ თქმულებანი ცნობილია ყველა ხალხში. მისი სათავე შორეულ წარსულშია. იგი ისევე ხნოვანია, როგორც მეურნეობის უძველეს სახეთა ჩანასახები. ამდენად მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ აგრარული პოეზიის, არამედ — მთლიანად სიტყვიერი თუ მუსიკალური ხელოვნების ისტორიული ბედის გასათვალისწინებლად. ბუნების ტყვეობაში მყოფი ადამიანი მთლიანად დამოკიდებული იყო ამინდზე. ეს გარემოება ასახულია ქართულ ხალხურ ნათქვამში: „დარნი მუშაობდნენ და მუშები იკვებდნენ“<sup>1</sup>. არსებობისათვის ბრძოლაში — იყო ეს ნანადირევის მოპოვება, მიწათმოქმედება, ტყის მრეწველობა თუ სხვა ადამიანმა აღრე იგრძნო ხელსაყრელი ამინდის სიკეთე. პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანმა აუცილებლად მიიჩნია ხელსაყრელი ამინდის გამოთხოვა სხვადასხვა წესის შესრულებით. ამ წესებთან დაკავშირებული იყო სიტყვიერი და მუსიკალური შემოქმედება. ფლორისა და ფაუნის სხვაობის მიუხედავად მსოფლიოს ხალხთა ამინდისათვის განკუთვნილი რიტუალები და მასთან დაკავშირებული სიტყვიერება თუ მუსიკა ზოგად ხაზებში მსგავსია. ვამბობთ ზოგად ხაზებში, თორემ, თითოეული ხალხის რიტუალი და მასთან დაკავშირებული პოეზია თუ მუსიკა ეროვნულ-სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. ამ გარემოებას გამოხატავს ხალხური ნათქვამი: „Что город, то норы; что деревня, то обычаи; что подворье, то поверье“<sup>2</sup>.

ისიც ცნობილია, რომ წარმართულ ხანაში შექმნილი ბევრი წესი გვიან ქრისტიანულ სარწმუნოებას შეერწყო და ღვთისმსახურების თავისებურ ფორმად იქცა. ამინდის რიტუალისა და მასთან დაკავშირებული პოეზიის ხასიათი და შინაარსი არსებითად თვით ამინდით — გვალვით ან წვიმიანობითა და სეტყვით იყო განსაზღვრული. ეს რიტუალი და ლექსსიმღერები მიძღვნილია ღვთაებათადმი, რომელნიც ამინდის გამგებად ითვლებოდნენ. წარმართული პანთეონის რთულ კომპლექსში ცა-ღრუბლის ან ტაროსის ღვთაება, საფიქრებელია, აღრე უზენაესი უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია გენეტიკურად ამავე ღვთაებას უკავშირდებოდეს მნათობთა თაყვანისცემაც. ტაროსი და წლის ბრუნვა ხომ ურთიერთკავშირშია. ადამიანი აკვირდებოდა წლის ბრუნვისათვის მნათობთა მნიშვნელობას. ყოველივე ეს წარმოსახულია პოეტურ შემოქმედებაში. პოეტური შემოქმედება იძლევა იმის საბუთს, ვიფიქროთ, რომ ტაროსის ღვთაების ბევრი ატრიბუტი ნაყოფიერებისას შეერწყო. ამიტომაც არაიშვიათ შემთხვე-

<sup>1</sup> ქართული ხალხური სიტყვიერება, წიგნი 1, ეჭვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რღაჟციით, გვ. 454.

<sup>2</sup> И. Снегирев, Русские простонародные праздники и суеверные обряды. Выпуск I, Москва, 1837, გვ. 6.

ვაში მათი ერთიმეორისაგან განცალკევება ძნელდება. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, ისტორიკოსის პროკოფის ცნობა იმის თაობაზე, რომ დუნაის სლავები უზენაეს ღვთაებად და სამყაროს გამგებლად ელვა-ქუხილის შემოქმედს მიიჩნევდნენ. ისინი თავჯანს მდინარეებს, ნიშებს და სხვა სულელებს სცემდნენ<sup>3</sup>. სამყაროს გამგებელ უზენაეს ღვთაების სამყოფი, რა თქმა უნდა, ზეცა იყო. ამით უნდა აიხსნას ამინდის რიტუალის მაღალ მთაზე კოშკთან, ნიშთან თუ ეკლესიასთან შესრულება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართული — კერძოდ სვანური, ხევსურული, თუშური და სხვ. წესები. ქვემო სვანეთში, ჩოლურის თემში გადანაშთის სახით ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი ამინდისათვის განკუთვნილი ხატარაშობა. ხატარაშობა დიდ ღლეობად ითვლებოდა. სრულდებოდა თებერვალში — სოფელ თეკალის ზემოთ, მაღალ მთაზე ეკლესიასთან. ეკლესიასთან სრულდებოდა მავიური თოხნა. ეკლესიიდან გამოასვენებდნენ ხატს და სოფელში ჩაასვენებდნენ<sup>4</sup>.

ხევსურეთში ცა-ღრუბლის გამგელ პირიმზე, წმ. გიორგი, ან თამარ დედოფალი ითვლებოდა. სეტყვა-ხორხოშელას ნიში მაღალ მთაზეა სოფ. ჩირდილში. ხალხის რწმენით პირიმზეს „დევი ყავს მონად და როცა ხალხი დააშავებს რასმე, ღვთისაქენ გაეშურება. იქ ხორხოშელას და სეტყვას აჰკიდებს გოდრებით ზურგზედ დევსა და მოჰფენს მთელს არემარეს“. ნ. ხიზანაშვილს აღნიშნული აქვს: „... პირიმზე დიდს პატივდიდებაშია. ... სეტყვა-ხორხოშელას ასაცილებლად მთელს ხევსურეთში ცალკე ღლეებს უქმობდნენ: პარასკევს, შაბათს და ორშაბათს“. სეტყვის თავიდან ასაცილებლად პირიმზისადმი მიძღვნილი რიტუალი ივნისის პირველ რიცხვებში სრულდება<sup>5</sup>. ახალმოპოვებული ხევსურული მასალებით ამინდის რიტუალს, რაკი იგი მაღალ მთაზე სრულდება, საწვეროს უწოდებენ. მას საელაოც ეწოდება. სოფელ დათვისში მთაზე მდგარ ნიშთან — კოშკთან საკლავითა და ლუდით მიდიან დასტური და სოფლის მცხოვრებნი. რიტუალი სრულდება მანამდე, სანამ ყანა მუხლს აიყრის, საწვეროს რიტუალთან არის დაკავშირებული ხევსურეთში სამი დღის უქმე<sup>6</sup>. ამ დღეობაზე სალოცავ ადგილს მთის წვერზე დაკლავდნენ ციკანს, მოხარშავდნენ და შეჰამდნენ. რაც დარჩებოდათ, ნიშის კოშკის თავზე ტოვებდნენ. ციკანის ნაწლავებს და სხვა შიგნეულებს წვრილად დაკვავდნენ და მთის მეორე მხარეს გადაფანტავდნენ. ხალხის რწმენით ამგვარი მოქმედებით სოფელს სეტყვისაგან დაიცავდნენ. ამინდის ხევსურული რიტუალის პროფილაქტიკური ხასიათი, ე. ი. ამინდის მიუხედავად მისი შესრულება ივნისში ყანის მუხლის აყრამდე, უძველესად მიგვაჩინა: მსოფლიოს მრავალ ხალხში სიცოცხლის წყაროდ აღიარებულ ადრინდელ წარმართულ ღვთაებებს ილია წინასწარმეტყველი შეენაცვლა. ასეთები იყვნენ სლავური პერუნი, სკანდინავური ფიორგენი და სხვ.<sup>7</sup> ორივე ამ და სხვა ღვთაებებს ჩვენის აზრით, თავისში ითავსებს ქართული მზე. ამას გვაფიქრებინებს ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, რაზედაც ქვემოთ იქნება მსჯელობა. ტაროსის რიტუალის მაღალ ადგილას ე. ი. ცა-ღრუბლებთან ახლოს შესრულების თვალსაზრისით საგულისხმოა ვახუშტის ცნობა იმის

<sup>3</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>4</sup> მოქმელი 81 წლის არღევან ჯამბერიძე. სოფ. თეკალი, 17. VII—70 წ.

<sup>5</sup> ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 70—71.

<sup>6</sup> ცნობა მოგვაწოდა მასწავლებელმა მიხეილ არაბულმა, 25. II—1972.

<sup>7</sup> И. Снегирев. Русские простонародные праздники, Вып. I, гв. 10, 17—18.

თაობაზე, რომ თუშებს „... აქუსთ კლდე დიდი და მაღალი, და დღესა ილია წინასწარმეტყველისასა მივლენ და შესწირავენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა, და თაყვანსცემენ კლდესა მას, და რა იგი ესმის კლდისა მისგან, სწამთ უმეტეს ყოვლისა იგი“<sup>8</sup>. თუშების ეს ჩვეულება ცა-ღრუბლის ღვთაების საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოდ მიიჩნია ივანე ჯავახიშვილმა<sup>9</sup>. ვახტანგ კოტეტიშვილს აღნიშნული აქვს, რომ მანგლისის მთაში, სოფ. ახოტილას თავზე არის „მამიდაის ქვა“. იგი „ამინდთან არის დაკავშირებული. გვალვისა თუ დიდი წვიმიანობის დროს, დღესაც ამ ქვისკენ მიემართება პროცესია, და ლოცვა-ვედრებით ან მხარს უბრუნებენ ქვას, ან ასწევენ და დასწევენ. თითონ ქვას კი ადამიანის ფიგურის კონტურები აქვს“<sup>10</sup>. ამინდის რიტულს ქართლ-კახეთსა, იმერეთსა და აჭარაში ლაზარობასა და გონჯაობას უწოდებდნენ<sup>11</sup>. ლაზარე და გონჯა, როგორც ვახაგთ, იხსენიება მრავალ ლექს-სიმღერაში. ქვის ფიგურასთან ამინდის რიტუალის შესრულება დადასტურებულია კახეთშიც. კახურ რიტულში საგულსხმო პატრიოტული და კლასობრივი მომენტები. ყვარლის რაიონში გონჯაობა დაკავშირებულია ადგილობრივი ხასიათის ვარიანტებად ცნობილ საისტორიო თქმულებასთან. იგი შორეული ანალოგია მითისა და ფენასა და აპოლონის შესახებ. თქმულებით როცა კახეთს მტერი შემოესია, მოსახლეობა ტყეს შეეხიზნა. გაქცეულთა შორის გოგოლაშვილის ქალიც ყოფილა. მას თან ჰყოლია აკვანში მწოლარე ბავშვი. ქალი დაღლილა. როცა მტერი მიახლოვდა, დაუჩოქია და ღმერთს შევედრებია: „თათრის ხელში ნუ ჩამაგდებ, ქვად მაქციეო“. ღმერთს შეუწყნარებია მუდარა, ქალი ბავშვიანად გაუქვავებია. იქაური მცხოვრებნი ახლაც აჩვენებენ სოფ. საბუეს ბოლოს ქვებს, რასაც ქალ-ქვას უწოდებენ. უამინდობის დროს ქალთა ჯგუფი მიდიოდა ამ ქვასთან, მათთან მიყავდათ ერთი რომელიმე გოგოლაშვილის ქალი. ქალი ქვას ხელს დაჰკრავდა და მიმართავდა: „ამყე მამილო“. ქვას გადააბრუნებდნენ, წყალში ჩააგდებდნენ და იტყოდნენ: „ღმერთო, წვიმა გვადირსეო“ ან „ღმერთო, მზის თვალი გვადირსეო“, შემდეგ ფეხშიშვლები მიდიოდნენ სოფელში, მიჰქონდათ თოჯინა-გონჯა და შემხვედრთ წუწავდნენ<sup>12</sup>.

ამასთან დაკავშირებით გვაგონდება სლავური ბაშ და ბაშიხი-ცხენ-ქვად წოდებული — ორი დიდი ქვა. ამ ქვებს მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ღვთაებებს უკავშირებენ — ბაშ და ბაშიხს სწირავდნენ ცხენს. საქონლის ცუდი გამრავლების შემთხვევაში ქვების ირგვლივ სრულდებოდა მაგიური ხენა<sup>13</sup>. სვანური ხატარაშობისას, როგორც ითქვა, ხელსაყრელი ამინდის გამოთხოვის დროს სრულდება მაგიური თონხა. ასეთი მსგავსება იმის მაჩვენებელია, რომ წარმართული პანთეონის რთულ კომპლექსში ერთიმეორესთან არის გადაჯაჭვული ტაროსის, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ღვთაებათა ფუნქციები. გერმანიაში, სკანდინავიის ქვეყნებში და სხვ. ღვთაებათა დმი მსხვერპლის შე-

<sup>8</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 105.

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1928, გვ. 71—72.<sup>1</sup>

<sup>10</sup> ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934, გვ. 302.

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79; ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ნარკვევები, I, 1958, გვ. 365.

<sup>12</sup> ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ნარკვევები, I, გვ. 365.

<sup>13</sup> И. Снегирев, Русские простонародные праздники, Вып. I, гв. 10, 15—16.

წირვა დიდ ქვებთან ხდებოდა<sup>14</sup>. სლავურ მოდგმებში ღვთისმსახურებას ადგილი ჰქონდა ე. წ. სამსხვერპლო ქვებთან, მდინარეთა და ტბათა ნაპირებთან, ხიდელებთან, მთებზე და ა. შ.<sup>15</sup>.

იმერეთსა და გურიაში ამინდის რიტუალს კოხინჯრობას უწოდებენ<sup>16</sup>; საგულისხმო ივანე ჭავჭავაძის მოსაზრება ტაროსის ღვთაება ვობის თაობაზე<sup>17</sup>. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავლად არის შემორჩენილი ამინდის რიტუალის ნიშნები. მათი აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა. ტაროსის ღვთაება და ამინდის რიტუალი ადრე იქცა მკვლევართა დაკვირვების საგნად: ამ საკითხებზე არსებობს მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა<sup>18</sup>. ამ ლიტერატურის მიმოხილვა ახლა ჩვენს მიზანს არ შეადგენს. ჩვენ არც რიტუალის ყოველმხრივ კვლევას ვისახავთ მიზნად. იგი ეთნოგრაფიის სფეროს განეკუთვნება. პოეტურ ტექსტებზე დაკვირვების პროცესში უნდა წარმოჩნდეს მათი ადგილი წარმართული პანთეონის რთულ კომპლექსში. ვითვალისწინებთ იმასაც, რომ დაკვირვების ობიექტად აღებული ტექსტები გაუგებარი იქნება ეთნოგრაფიული ყოფის გარეშე.

ამინდის გამოთხოვის სიმღერებიდან საქართველოში გავრცელებული იყო და გადანაშთის სახით ახლაც გვხვდება ლაზარე და გონჯა. ქართლ-კახეთსა, იმერეთსა და აჭარაში, როგორც ითქვა, ამინდის რიტუალს ლაზარობას ან გონჯაობას უწოდებენ. ეს იყო ქალთა კარნავალი. სიმღერის ანუ დიდების ტექსტი ვედრებაა ტაროსის ღვთაებისადმი. ვედრების შინაარსი ამინდითაა განსაზღვრული. გვალვის შემთხვევაში კარნავალის მონაწილენი მღეროდნენ:

ახ, ლაზარე, ლაზარე,  
ცას ღრუბელი მოჰგვარე!  
ღმერთო, მოგვეც ცის ნამი,  
ალარ გვინდა მზის თვალი!  
ღმერთო, მოგვე ტალახი,  
ალარ გვინდა გორახი!

წვიმიანობის დროს კი დიდების ტექსტი ასე იცვლებოდა:

ახ, ლაზარე, ლაზარე,  
ცას ღრუბელი აჰყარე!  
ალარ გვინდა ცის ნამი,  
ღმერთო მოგვე მზის თვალი!  
ალარ გვინდა ტალახი,  
ღმერთო მოგვე გორახი!

ქართლში ჩაწერილ ამ ტექსტებს თავისი საკუთარი მელოდია აქვს<sup>19</sup>.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 80.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 22, 80 და სხვ.

<sup>16</sup> ქ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ზოგიერთი ავტარული წესჩვეულება XIX საუკუნის დასავლეთ საქართველოში. „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები“, თბ., 1968, გვ. 76—79. გურამ შარაძის ცნობით გურიაში კოხინჯარა/კოხნაჯარა ნიშნავს დამქნარ, დანაოქებულ დედაბერს.

<sup>17</sup> ივ. ჭ ა ვ ა ზ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71—74.

<sup>18</sup> И. Снегирев, Русские простонародные праздники и суеверные обряды. Вып. I, 1837, № 1, 1838, III, 1838, Вып. IV, 1839. Е. В. Аничков, Весенняя обрядовая песня на Западе и у славян, ч. I, СПб, 1903, ч. 2, 1905; ივ. ჭ ა ვ ა ზ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, წ. 1, გვ. 71—74; ვახტ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 316—320 და სხვ.

<sup>19</sup> გრ. ჩ ხ ი ე ვ ა ძ ე, ქართული ხალხური სიმღერა, ტ. I, 1960, გვ. 184.

ამინდის ვედრების ტექსტთა მთელი ციკლია მოსული ჩვენამდე. ერთი, შედარებით, ახალჩაწერილი ვარიანტი ლაზარობის ტექსტისა ასეთია:

ლაზარ მოდგა კარსაო,  
 აზრიალებს თვალსაო,  
 მიდგა, მოდგა მხარესა,  
 დამსგავსა მთვარესა,  
 ა, ელია, ელია,  
 შენთვის რა მიწყენია,  
 ერთი თხა და ციკანი  
 შენთვის მომირთმევია,  
 აღარ გვინდა გორახი,  
 ღმერთო, მოგვეც ტალახი!<sup>20</sup>

მეორე ვარიანტის მოქმედის — ლაზარობის მონაწილე ქალის ცნობით „სიმღერის შემსრულებლები ქალები ფეხშიშველები თოჯინითა და სანთლით ხელში დადიოდნენ კარდაკარ და აგროვებდნენ სანოვავეს, შეაბამდნენ გუთანში ქალებს. გუთანს წყალში შეიტანდნენ და მოგროვილი სანოვავით გადიხდნენ სამღვთოს“<sup>21</sup>. უამინდობისას წყლის მაგიური ხვნის ჩვეულება ცნობილი იყო სხვა ხალხშიც<sup>22</sup>. გონჯაობის მონაწილე კახელ მოქმედთა ცნობით ვინც კარნავალის მონაწილეთ არ დაასაჩუქრებდა, მას ოჯახის „განიავების“ მიზნით ეზოში გონჯას შეუვადებდნენ<sup>23</sup>. კარნავალის მონაწილეთაგან გონჯას სახელით სურსათ-სანოვავით დასაჩუქრების მოთხოვნაა ასახული გასული საუკუნის 70-იან წლებში სვანეთში ჩაწერილ ტექსტში<sup>24</sup>.

მასალათა შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით საგულისხმოა აგრეთვე გასულ საუკუნეში ჩაწერილი ტექსტი:

გონჯას წყალი შემოვასხი,  
 ვარღო-მანანას!  
 ღმერთო, წვიმა მოიყვანე,  
 ვარღო-მანანას!<sup>25</sup>

გონჯასთვის წყლის მაგიური მისხურება გვაფიქრებინებს, რომ იგი (გონჯა — ქ. ს.) იგივეა, რაც პოლონური და სილეზიური მარქანა, ისლანდიური მარა, ინგლისური ნიგტ-მარე, ჩეხური მორუსი და ა. შ.<sup>26</sup>. მარქანას, რის განსახიერებაცაა ჩალის ღერო, ქალის სამოსით (ასეა ქართული გონჯაც — ქ. ს.) 7 მარტს წყალში ჩაძირავდნენ სიმღერით:

„Смерть вьется по заборам, ища себе поживы“<sup>27</sup>.

<sup>20</sup> მოქმელი მაცვალა ამირხანაშვილი, ჩაწერილი ჩვენს მიერ სოფ. ვალავანში (მცხეთის რ.)- 1949 წ. ქართული ხალხური სიტყვიერება ქრესტომათია, I, შეადგინა, შესავალი წერილი, განმარტებითი ბარათები და შენიშვნები დაურთო ქს. სიხარულიძემ, 1956, გვ. 49—50.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>22</sup> И. Снегирев, Русские народные праздники, I, გვ. 14, 16, 50, 51, 204; III, გვ. 156.

<sup>23</sup> ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, I, 1958, გვ. 366.

<sup>24</sup> ჩამწერი გაბრ. ნიქარაძე. იხ. პეტრე უშიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1937, გვ. 378, № 113<sup>5</sup>.

<sup>25</sup> ჩაწერილი სოფ. წვევი სევ. გაჩეილაძის მიერ. ხალხური სიტყვიერება, წ. I, ეჭვთ. თაყაიშვილის რედ., გვ. 21.

<sup>26</sup> И. Снегирев, Русские протонародные праздники, III, стр. 8—12.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 8.



ქართული დიდების ტექსტებიც მსოფლიოს ხალხთა მასალებთან ერთად აღსტურებენ იმას, რომ ელია წინასწარმეტყველი უზენაეს ღვთაებას პერუნს შეენაცვლა. ვახტ. კოტეტიშვილს აღნიშნული აქვს: „— შავი ცხენები და ეტლი ღრუბელთ-ბატონის ატრიბუტია. ჩვენი ელია ასეთი ეტლით გადაივლის ხოლმე ცის კამარას. „ვენაცვალე ეტლით დადის, ძვირად ადგამს დაბლა ფეხსო“. ასეთივე წარმოდგენა ჰქონდათ პერუნის შესახებაც“<sup>28</sup>.

ქართველი ხალხის უძველესი რწმენით ელია წინასწარმეტყველის ეტლით მოგზაურობა ცაზე ჭექა-ქუხილს გამოსცემს<sup>29</sup>. ნაყოფიერებისა და ტაროსის ღვთაებათა საკითხთა წრეში უნდა იქნეს შესწავლილი მითოსი ცხენისა და ზღვის (საერთოდ წყლის — ქ. ს.) კავშირზე. ცხენისა და ზღვის კავშირის რწმენა ცნობილია მსოფლიოს მრავალ ხალხში<sup>30</sup>. ეს რწმენა ასახულია თქმულებაში ამირანის შესახებ. ივანე ჯავახიშვილმა ციური ბინადარი, ცეცხლის მფრქვეველი მუზარადიანი მამა კამარ-ქეთუსი მართებულად მიიჩნია ღრუბელთ-უფალად<sup>31</sup>. თქმულების ვარიანტებით კამარ-ქეთუს მამა და მისი ლაშქარი ქმნის ამინდს — კოკისპირულ წვიმასა თუ ქარიშხალს<sup>32</sup>. ფშაველთა რწმენით წვიმა ყამარის დედის ცრემლებია. ქართული მასალები ამინდის რიტუალთან დაკავშირებულ პოეტური შემოქმედების მრავალ საყურადღებო საკითხს აღძრავს. ყველაფერი ეს სისტემატურ-ხანგრძლივ ძიებას მოითხოვს. ერთი კი აშკარაა — საქართველოში, ისე როგორც მსოფლიოს სხვა ხალხში, ხალხურ რწმენაში შეერთდა წარმართული პანთეონის სხვადასხვა — კერძოდ ტაროსის, ნაყოფიერებისა თუ მიწათმოქმედების და მესაქონლეობის ღვთაებათა ფუნქციები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი ჩანს წლის ბრუნვასთან დაკავშირებულ ლექსებსა და სიმღერებს შორის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული სიცხადით შეიმჩნევა ზეპირსიტყვიერების ერთი თავისებურება — პოეტურ უნართა გენეტიკური კავშირი. გაზაფხულისა და ზამთრის ბრძოლის ინსცენირებას, ზამთრის განდევნის, გაზაფხულის პირველ წვიმასთან შეხვედრის, პირველ მასთან შეხვედრის და სხვ. ჩვეულებებს ადგილი ჰქონდა საქართველოშიც. ამაზე მეტყველებენ ლექსების ციკლები წელიწადის დროებზე, ამინდზე, მიმართვები მნათობთადმი, ქარისა თუ წვიმისადმი და სხვ. ამ ციკლების ზოგი ლექსი ქრისტიანულ დღესასწაულს შეუერთდა, ზოგი ახლა უკვე წესს მოწყვეტილია და სახუმარო ხასიათი აქვს. მნიშვნელოვანი ნაწილი ამგვარი ლექსებისა საბავშვო რეპერტუარშია დამკვიდრებული. სასიმღერო ტექსტში სხვადასხვა რიტუალისა თუ წესის ნიშნების თვალსაზრისით საინტერესოა სააღდგომო ფერხისა „ქრისტე აღსდგა გვიხაროდეს, მადლი მახარობელსაო!“ სააღდგომო წესები ტრანსფორმაციაა გაზაფხულის გამოთხოვისა და ზამთრის განდევნის ჩვეულებისა, რაც მსოფლიოს მრავალ ხალხშია ცნობილი. გაზაფხულისა და ზამთრის ბრძოლის ინსცენირებას წარმოსახავს ფერხისას სტრიქონები:

გუშინ ბიჟმა დედაბოზმა  
 ზეცის კარი გაღიარა,  
 ტანსა ეცვა თეთრი ჩოხა,  
 ქული მოეფარღანა,  
 ნიავმა შეურხიო.

<sup>28</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 329.

<sup>29</sup> მთქმელი მზეხა სიხარულიძე, სოფ. გოგოლესუბანი (ჩოხატაურის რ.)

<sup>30</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 328—329.

<sup>31</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 141—143.

<sup>32</sup> მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვეული ამირანი, 1947, გვ. 279.

ქუდვარდიანი ბიჭი, ნიავე რომ ეალერსება, ზაფხულის სიმბოლოა. იგი დაპირისპირებულია ზამთართან — ავღართან:

ნიავეწერილი მზესა ჰყვარობს  
და ქარბუჭი — ავსა დარსა.

ფერხისას მონაწილენი უარყოფენ ქარბუჭის საყვარელ ავღარს:

ავსა დარსა წვიმიანსა  
ქარგი დარი ვვირჩევნია,

ფერხისა დოვლათიანობის დიდებით მთავრდება:

დიდსა ქვევრსა ცარიელსა  
პატარა საესე ვვირჩევნია.<sup>33</sup>

ამ საკმაოდ რთულს, წარმოშობით წარმართულს, შემდეგ კი, ქრისტიანი-ზებულ ტექსტში ერთადაა წარმოსახული საგაზაფხულო და ამინდისა და ნაყოფიერებისათვის განკუთვნილი წესები<sup>34</sup>. ამდენად საეჭვო აღარ არის ამინდისა და მომაკვდავი და მკვდრეთით აღმდგარ ღვთაებათა კონცეფციების ურთიერთკავშირი<sup>35</sup>. კალენდარული განრიგების დღესასწაულებში ადამიანის ფიქრი და იმედი ძირითადად ხელსაყრელ ამინდისკენ იყო მიმართული. ამას გვაგრძნობინებს საყოფაცხოვრებო პოეზიაც, ამის ერთი ნიმუშია:

აღდგომა სჯობს ნამიანი,  
ამაღლება დარიანი,  
სხვა კი არაფერი ვიცი,  
პური მოღის გვარიანი.<sup>36</sup>

ეს პატარა ლექსი საინტერესოა იმით, რომ მიგვანიშნებს წარმართული წარმოშობის ქრისტიანულ დღესასწაულებში ამინდის ღვთაებისადმი ვედრების ტრადიციის კვალზე.

წესს მოწყვეტილ, საბავშვო რეპერტუარში შესულ სიმღერის საინტერესო მაგალითია ტექსტი:

წვიმა, წვიმა, დაუშვი,  
კოკობანაში ჩაუშვი,  
კოკობანი ბევრია,  
ლობიოს გაუბერია.<sup>37</sup>

ამ სიმღერით, ჩვენი აზრით, გაზაფხულის პირველ წვიმას ეგებებოდნენ და ხელსაყრელ ამინდთან დოვლათიანობის ზრდასაც გამოითხოვდნენ. ამდენად ლექსში ლობიოს ხსენება უბრალო ხუმრობა არ უნდა იყოს, ჩვენს მოსაზრებას

<sup>33</sup> ხალხური სიტყვიერება, ეჭვთ. თაყაიშვილის რედ., 1, გვ. 153.

<sup>34</sup> ქს. სიხარულიძე, საწესჩვეულებო პოეზია. წიგნში: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 1, 1960, გვ. 211—242.

<sup>35</sup> ჯ. რუხაძე, ზოგიერთი აგარარული წეს-ჩვეულება XIX საუკუნის დასავლეთ საქართველოში, „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები“ თბ., 1968, გვ. 77—78.

<sup>36</sup> ხალხური სიტყვიერება, ეჭვთ. თაყაიშვილის რედ., I, გვ. 354.

<sup>37</sup> ჩაწერილი მესხეთში ე. გვარამიძის მიერ: ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორ, 1938, გვ. 49.

ამაგრებს რუსული საგაზაფხულო სიმღერა, რომლითაც მოსავლის გამოთხოვის მიზნით გაზაფხულის პირველ წვიმას მიმართავდნენ:

Дождь, дождь!  
На бабину рожь,  
На дедову пшеницу  
На девкин лен,  
Поливай ведром <sup>38</sup>.

მეურნეთაგან წვიმის სიკეთის შეგნებაა წარმოსახული ქართულ ლექსში. საფიქრებელია, იგი ადრე დიდების საგალობელიც იყო:

დიდება ყოვლად წმინდასა;  
სოფლის შეგნება ინება,  
ცა სა უბაძა ღრუბელი,  
მას წვიმა მოედინება.<sup>39</sup>

წლის ბრუნვასთანაა დაკავშირებული და ხელსაყრელი ამინდის გამოთხოვაც კალოური სიმღერა:

შენ ამოდი ზენა ქარო,  
უნდა ხახვი ვახორხარო,  
გამოვაცხო თბილი ჰური,  
ყმაწვილები ვავახარო.<sup>40</sup>

საინტერესოა, რომ ხევსურეთში ბოლო დრომდე იყო „ქარის უქმი“. ეს დღე მარტის შუა რიცხვებშია. ხევსურთა რწმენით ამ უქმის გატეხვის შედეგად ქარი დააქცევს თივის ზვინებსა და ძნის ზერკვებს<sup>41</sup>. წლის ბრუნვასთან დაკავშირებული სიმღერები აგრარული დანიშნულებისაა. სხვადასხვა ხალხში ბოლო დრომდე შერჩენილი საგაზაფხულო წესებისა და სიმღერების მნიშვნელოვანი ნაწილი ზამთრის განდევნის ჩვეულებაზე მიგვითითებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიწათმოქმედების სათავეებთან უნდა ეგრძნო ადამიანს ზამთრის სიკეთეც. ამ გარემოებას წესებსა და სიმღერებშიც უნდა ეჩინა თავი. საგულისხმოა ხალხის ნათქვამი: „ბედნიერს უთოვდეს (ანუ უწვიმდეს), უბედურს უქროდეს“<sup>42</sup>. ჩვენი აზრით ადრე საწესო, აგრარული სიმღერა უნდა ყოფილიყო ახლა საბავშვო რეპერტუარში დამკვიდრებული გურიაში ჩაწერილი ლექსი:

თოვს, თოვს, ხოშაკალავს,  
დედაბერი ხზოს დაკლავს,  
კაცი მყავდეს ვამგზავნი,  
თავფეხს გამომიგზავნის.<sup>43</sup>

ამ ლექსში აღარ იგრძნობა ასტრალური რელიგიის კვალი, მაგრამ გამორიცხული არ არის, იგი ამგვარი კვალის მატარებელი სიმღერების საფუძველზე

<sup>38</sup> И. Снегирев, Русские простонародные праздники, Вып. III, стр. 15.

<sup>39</sup> ჩაწერილი კახეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. ხალხური სიტყვიერება ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ., წ. I, გვ. 378.

<sup>40</sup> ხალხ. სიტყ., ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ., I, გვ. 329.

<sup>41</sup> ცნობა მოგვაწოდა მიხ. არაბულმა 7. III. 1972 წ.

<sup>42</sup> ხალხ. სიტყ. ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ., I, 102.

<sup>43</sup> ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფილკლორი, გვ. 49.

იყოს შექმნილი. საფიქრებელია ისიც, რომ ლექსების ციკლი მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ სტროფის (1347) მსგავსი „ზამთარი ვარდსა დაჰქონოს“, რასაც თავისი მელოდიებიც კი გააჩნია, ადრე ჩვეულებრივი სალხინო სუფრის კუთვნილება კი არა, წელიწადის დროთა სადიდებელი ჰიმნის ტექსტები იყო<sup>44</sup>. სასიმღერო ლექსების დიდ ნაწილში მაინც ზამთრისადმი შიში და უარყოფითი დამოკიდებულება იგრძნობა. წყევლასავით ისმის ქართველი ხალხის ნათქვამი:

„ისემც მოვივა ზამთარი,  
როგორც შენა თქვი მართალი.“<sup>45</sup>

ზამთრისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ამსახველია აგრეთვე ლექსი:

ვარდსა ზუჩქი ჩიოდა,  
ზამთარმა მამცა ზიანი,  
უცებ დამაჰკნო, დამადნო,  
დღეც კი არ მამცა მზიანი.<sup>46</sup>

ამავე თვალსაზრისით, საინტერესოა ციკლი ლექსებისა თვეებზე. მართალია ეს ლექსები წარმოშობით საწესო-სარიტუალო კი არა, საყოფიეროა, მაგრამ ისინი კარგად წარმოსახვენ წლის ბრუნვის შესაფერის ამინდს. თვეების კლიმატურ თვისებათა აღწერისას ხაზგასმულია ზამთრის დამახასიათებელი განსაკუთრებული სიძნედეები დეკემბრისა და იანვრის თვეებში: ამის მაგალითებია:

ქრისტეშობისთვე რო დადგა,  
ქარიშხალი აღდგესო,  
სულ გაყინა წისკვილები,  
კეტოთ ველარ ააგდესო.<sup>47</sup>  
იანვარი მოსისინებს,  
ვით რომ ენკენისთვის გველო...<sup>48</sup>  
იანვარი მოწუწუნებს,  
როგორც რომ მშვიერი მგელო.<sup>49</sup>

სავაზაფხულო განწყობილების გამოხატვის თვალსაზრისით თვეების დახასიათება დამოკიდებულია ქვეყნის კლიმატზე. საქართველოში — სამხრეთის ამ მხარეში ეს განწყობილება არაიშვიათად თებერვლისადმი მიძღვნილ ლექსებშია, თუმცა საქართველოს მთიანეთში, სადაც თებერვალში ცივი დღეები იცის, ამ თვის დახასიათებაში სავაზაფხულო განწყობილებას თან ახლავს შიში კლიმატის სიმკაცრისა. ამის ნიმუშია მესხეთში ჩაწერილი ლექსი:

თებერვალი დადგაო,  
ხეში წყალი ჩადგაო,  
ჩიტმა ჩიორამაო,  
სამი კვერცი დადგაო,  
ორი ყინევამ გაუხეთქა,  
ერთი თითონ დარჩაო.<sup>50</sup>

<sup>44</sup> ხალხ. სიტყვ. ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე ლ . I, გვ. 326; ვრ. ჩუხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, ტ. I, 1960, გვ. 155, 314.

<sup>45</sup> ჩაწერილი ქართლში თედო რაზუკაშვილის მიერ. ხალხური სიტყვიერება ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე ლ . I, გვ. 315.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 357.

<sup>47</sup> ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934, გვ. 188.

<sup>48</sup> ხალხური სიტყვიერება, ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე ლ . I, გვ. 327.

<sup>49</sup> იქვე, გვ. 326.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 456.

ხალხის დაკვირვება გაზაფხულის ძალაში შესვლაზე — ბუნების თანდათანობით აღორძინებაზე გადმოცემულია ვარიანტებად ცნობილ ლექსში თებერვალსა, მარტსა და აპრილზე. გაზაფხულის საბოლოოდ გამარჯვება აპრილს მიეწერება. მოგვყავს ლექსის ზეესურული ვარიანტი:

თებერვალი ღებრაედაო,  
მარტი ტყავსა კერაედაო,  
მარტმა ნემსი დახკარგაო,  
აპრილსაც დაღბრაღდაო.  
აპრილამაც აპი თქვაო,  
მთა და ბარი დატეფაო,  
ზევ-ყურე ზევეით ავსა,  
ბექ-ბუქთ მწვანელ აასხაო.<sup>51</sup>

ზემით აღნიშნულ თეგების ციკლის საყოფიერო ლექსებშიც ხალხი აპრილს მიაკუთვნებს გაზაფხულის ძალაში შესვლას. ამ ციკლის ერთი ლექსის სტრიქონებია:

აპრილი ამას ამბობდა:  
— მე გავაშრობ ტყეს და ველსო,  
ძველ ბალახს კი არ შევარჩენ,  
მალ-მალ დაუნამაე წელსო.<sup>52</sup>

საინტერესოა, რომ მსოფლიოს მრავალ ხალხში სწორედ აპრილი ითვლებოდა გაზაფხულთან შეხვედრის დროდ. ამას სხვადასხვა ხალხი სხვადასხვაგვარად აღნიშნავდა. საინტერესოა, რომ სხვადასხვა ხალხის ერთიმეორისაგან განსხვავებულ რწმენას თან ახლდა ერთი საერთო ჩვეულება — პირველ აპრილს მოტყუება<sup>53</sup>. ამგვარი ჩვეულება ცნობილია საქართველოშიც, ამაზეა ნათქვამი: „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“. ჩვენი ძიების სფეროში არ შემოდის გარკვევა იმისა, თუ რომელი ხალხიდან მოდის ამგვარი ჩვეულება. აღენიშნავთ იმას, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო უბრალო სახუმარო ჩვეულება. მას ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საგაზაფხულო წესებში, როგორც — საქორწილო ცერემონიაში. ჯვრის დასაწერად მიმავალ მეფე-დედოფალს მავნე ძაღებისაგან დაცვის მიზნით, მიაცილებდნენ უჩვეულო გზით, წილადობილას ლაპარაკითა და თოფების სროლით<sup>54</sup>. მოტყუების ჩვეულება პირველ აპრილსაც უთუოდ აღორძინებული ბუნების — გაზაფხულის, ხალხის რწმენით მკვდრედით აღმდგარი ღვთაების, მავნე ძალთაგან დაცვას ემსახურებოდა. ქართულ აგრარულ წესებში ადგილი ჰქონდა მავნე ძალთა დაფრთხობისთვის განკუთვნილ ჩვეულებას. ასე მაგალითად, ზეესურეთში სეტყვის დროს თოფებს ისროდნენ<sup>55</sup>.

ამინდის რიტუალსა და პოეზიასთან დაკავშირებულია სამაისო დღეობაც. პირველმაისობა სლავური მოღვმეებისათვის გაზაფხულიდან ზაფხულში გადა-

<sup>51</sup> მოქმელა შუქია ჭინქარული — ჩაწერილი ჩვენს მიერ წიგნში: „სახალხო მოქმელები“, 1956, გვ. 204—295.

<sup>52</sup> ჩაწერ. იმერეთში ს. მერკვილაძის მიერ „აკაკის კრებულში“, 1893, V.

<sup>53</sup> И. Снегирев, Русские прасгнонародные праздники, I, стр. 43, III, стр. 55—61.

<sup>54</sup> Ю. М. Соколов, Русский фольклор, 1938, стр. 158—159.

<sup>55</sup> ცნობა მოკვაწოდა მასწავლებელმა მიხ. არაბულმა 25. II. 1972 წ.

სვლის დღესასწაული იყო<sup>56</sup>. საბერძნეთში პირველ მაისს სასახლის კარებს ყვავილებითა და ხის ტოტებით რთავდნენ<sup>57</sup>. სკანდინავიის ქვეყნებსა და გერმანიაში ყვავილებით შემკულნი ტოტებით ხელში კარნავალს აწყობდნენ<sup>58</sup> — ლიტვაში სამაისო დღეობაზე მინდორში მორთულ ხეს რვაგდნენ და მის ირგვლივ მწვანე გვირგვინებით შემკულნი ცეკვავდნენ და მღეროდნენ<sup>59</sup>.

„პირველმაისობა“ და „შვიდმაისობა“ ბოლოდრომდე იყო ცნობილი საქართველოში. „პირველმაისობას“ ქალები აბამდნენ ფერხულს და მღეროდნენ დიდებას<sup>60</sup>, ხალხის რწმენით მაისის წვიმა ხელს უწყობდა თმის ზრდას. „შვიდმაისობის“ სიმღერა იყო:

შვიდ მაისის წვიმა,  
თმა კოჭამდისინა.

ამინდის რიტუალთან და თქმულება-სიმღერებთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მნათობთა ციკლის პოეტური ფოლკლორი. ბუნების ტყვეობაში მყოფმა ადამიანმა ადრე იგრძნო მნათობთა მნიშვნელობა მეურნეობისათვის. ამან მისცა საფუძველი მნათობთა კულტს, რაც თავისებურად აისახა ხელოვნების ყველა დარგში. ჩვენ ახლა მიზნად არ ვისახავთ მნათობთა კულტის დიდი და რთული პრობლემის გადაჭრას. ჩვენი ძიების ობიექტის ზოგი მასალიდან აღვნიშნავთ ზოგიერთ მომენტს. მსოფლიოს მრავალი ხალხის წარმოდგენით მზე ტოტემი იყო. ინდური ეპოსით — სამეფო დინასტია მზისა და მთვარისაგან წარმოიშვა<sup>61</sup>.

მაპაბპარატას მიხედვით მეფის ასულს კუნტას ანუ პრიტხას მზისგან შეეძინა ვაჟი „მშვენიერი“<sup>62</sup>. ოსური ლეგენდით თამარ მეფეს ფანჯარაში შემოჭრილი მზის სხივისაგან შეეძინა ვაჟი<sup>63</sup>. ქართული პოეტური ფოლკლორით თვით თამარ მეფის სახე შეუერთდა წარმართულ ღვთაებას ტაროსისა — „პირიმხეს“. ვარიანტებად ცნობილი ლეგენდითაც ვიდრე ისტორიულ თამარს დატყვევებულ ჰყავდა შუქურ ვარსკვლავი ან კიდევ ამინდისა და წელიწადის გამგე საქართველოში ზამთარი არ იცოდნენ. მუღამ გაზაფხული იყო<sup>64</sup>. მზის ტოტემის რწმენისა და მნათობთა კულტის შექმნის საფუძველი ამინდის სიკეთე იყო. მზე სიცოცხლის წყაროდ იქნა მიჩნეული, რაც სხვათა შორის ქართულ ზღაპრებს დღემდე ლამაზ ფანტასტიკად შემორჩა. ერთი ზღაპრის მიხედვით, დღისით მეკდარი და ღამით ცოცხალი ვაჟის დედას მზის დედა ასწავლის. „მზის პირის ნაბანი წვილედ და ის მოგიჩვენებს შენს ვაჟსაო. ჩადი ისევ იმ გზით, რომლითაც ამოხვედი. იქ მეიცადე გათენებამდი. გათენებისას წამოვა ცვარი, ეს არის მზის პირის ნაბანი, მოუყარე თავი, წვილედ, მოასხურე იმით შენი შვილი და დღისით

<sup>56</sup> И. Снегирев, Русские протонародные праздники, I, стр. 48.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 64.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 75.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 124.

<sup>60</sup> ჩაწერილი ჩვენს მიერ ყვარლის რაიონში 1947 წ.: ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ნარკვევები I, გვ. 267.

<sup>61</sup> Э. Ланг, Мифология. Перевод под. ред. Харузиных, М., 1901, стр. 172—179.

<sup>62</sup> Д. Фрезер, Фольклор в ветхом завете. Перевод с англ., М., 1931, стр. 255.

<sup>63</sup> Вс. Миллер, Осетинские этюды, III.

<sup>64</sup> ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტექსტების ნიშნაღება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ი ს ა, I, 1961, გვ. 81—82, 254—261.

თაც ისე ცოცხალი იქნება, როგორც ღამით არისო“. ვაჟის დედამ შესრულა მზის დედის დარიგება და შვილი გააცოცხლა<sup>65</sup>. საქართველოში მზე და მთვარე არა მხოლოდ სამეფო დინასტიის, საერთოდ, ადამიანის ტოტემად და სი-ცოცხლის წყაროდ ითვლებოდა. ამაზე მეტყველებს მეგრული სიმღერა:

მზე დედა ჩემი,  
მთვარე — მამა ჩემი,  
წვრილ-წვრილი ვარსკვლავები  
და და ძმა ჩემი<sup>66</sup>.

გაზაფხულისა და ზამთრის ბრძოლის რიტუალსა თუ ინსცენირებაში ასახვა უნდა ეპოვა იმას, რომ ამინდზე დამოკიდებული ადამიანი იმედით შეჰყურებდა მზეს. აქედან რწმენა იმისა, რომ აღდგომას მზე თამაშითა და ცეკვით ამოღის. ასე სწამდათ რუსეთსა და ისლანდიაში<sup>67</sup>. ასე ეგონათ საქართველოშიც<sup>68</sup>. აღდგომის დღესასწაული ხომ წარმართულ საგაზაფხულო დღეობათა ტრანსფორმაციაა. ამინდის გამოთხოვის რიტუალის წარმართულ ღვთაებათადმი, მათ შორის მზისადმი მსხვერპლის — ციკნის, თხისა თუ ცხვრის შეწირვის კვალი შემოინახეს ჩვენამდე მოღწეულმა მზის ციკლის ლექსებმა. ამ ციკლის მეტად გავრცელებული ლექსის ერთი ვარიანტი ასეთია:

მზეო, მზეო, ამოდი,  
ჩვენს ეზოში ჩამოდი,  
მიანათე ბაყებსა,  
ცხვარს დაგიკლავ მაკესა.<sup>69</sup>

ამის ანალოგიურია რუსული ხალხური სიმღერა, რასაც ბავშვები უმღე-როდნენ მზეს, იგი ასე იწყება:

Солнышко, вѣдрышко,  
Выгляни в окошечко!<sup>70</sup>

საქართველოშიც ბევრი ლექსი ახლა, რომელიც ადრე მზის სარიტუალო დიდების ტექსტი იყო, საბავშვო რეპერტუარშია დამკვიდრებული. ამის საუკეთესო ნიმუშია გავრცელებული ლექსი, რომელსაც ქართველ ბავშვს ენის ამოღებისთანავე ასწავლიან:

მზეო, ამოდი, ამოდი,  
ნუ ეფარები ვორასა,  
სიცივეს კაცი მოუკლავს,  
საწყალი ავერ ვორავსა.

მზის საგალობელი სიმღერების მიწათმოქმედებასთან კავშირზე მეტყველებენ ქართული შრომის პოეზიის ტექსტები. მზის ზოგი საგალობელი ნადუ-რის მუხლობრივად შესასრულებელი ტექსტები იყო. ადრე ასეთივე ფუნქცია

<sup>65</sup> ხალხური სიტყვიერება, ზღაპრები ე. თაყაიშვილის რედ. წ. II, 1918, გვ. 4—8.

<sup>66</sup> ი. ვ. ჭავჭავაძის მიერ, ქართველი ერის ისტორია, წ. პირველი, 1928, გვ. 54.

<sup>67</sup> И. Снегирев, Русские простонародные праздники, III, стр. 15—16.

<sup>68</sup> გავონილა სოფ. ვაგოლესუბანში (ჩოხატაურას რ.) მზეხა სიხარულიძისა და ანა ცინცაბაძისაგან.

<sup>69</sup> ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, 1938, გვ. 49.

<sup>70</sup> И. Снегирев, Русские простонародные праздники, III, стр. 16.

უნდა ჰქონოდა ზემოთ მოყვანილ, ახლა უკვე საბავშვო ლექსსაც. შედარებით ახალმოპოვებული მასალების მიხედვით დილით, მუშაობის დაწყებისას და საღამოთი დამთავრებისას ნადი სიმღერით შელალდებდა მზეს:

მზეო, ამოდი, ამოდი,  
მთლად ვნთები ქვეყანასა,  
იკურთხოს შენი გამჩენი,  
შენა ხარ ქვეყნის სანთელი.<sup>71</sup>

შრომის პროცესში დიდებით უმღეროდნენ კარგ ამინდს:

აჰ, დილაჲ, დილაჲ,  
ზაფხულის დილაჲ;  
სამო რამ ხარ,  
შენ ჩემო დილაჲ,  
გამოაშუქა  
ბრწყინვალე მზემა,  
გამოიღვიძა  
ყველა სულდგმულმა.<sup>72</sup>

შრომის პროცესშივე სიყვარულით იხსენიებენ ცვარს:

ამ დილას ადრე ავღეჭი,  
ცვარი ვამცერიე ცვრისაო,  
პირველად ღმერთი გახსენოთ,  
ძალი ვადიდოთ ღვთისაო.<sup>73</sup>

ცვარი, როგორც ზემოხსენებული ზღაპრიდან ჩანს, მზის პირის ნაბანად იყო მიჩნეული. ამ ტექსტში, ჩვენი აზრით, შეერთებულია წარმართული და ქრისტიანული ღვთაებანი — მზე და ღმერთი შემოქმედი.

მშრომელები მუშაობის დამთავრებისასაც დიდებით მიაცილებდნენ ჩამავალ მზეს. ამის ერთი ნიმუშია მითოსის კვალის მატარებელი სიმღერა:

მზე ჩაღმა ჩამავალია,  
ჩავე, ჩაჯღება ბუდესა,  
ოქროსი კვერცხი დაუღვეს,  
ჭუჭული მარგალიტისა.<sup>74</sup>

ამინდის რიტუალისა და მასთან დაკავშირებული პოეტური შემოქმედების თვალსაზრისით საყურადღებოა გაბაასების ჟანრის გავრცელებული ლექსი „მზე და მთვარე“<sup>75</sup>.

ნათელმა მთვარემა ბრძანა —  
—ბევრით მე ვჯობივარ მზესა  
დაჯდა, დაწერა წიგნები,  
ზენა ქარი მიათრევსა.

<sup>71</sup> ჩაწერილი 1951 წელს სოფ. ზარათში (ტყიბულის რ.); ქართული ხალხური სიტყვიერება. ქრესტომათია შედგინა, შესავალი წერილი, განმარტებითა ბარათები და შენიშვნები დაურთო ქს. ს. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე. მ., 1970, გვ. 37—38.

<sup>72</sup> ჩაწერილი 1951 წ. სოფ. ზარათში (ტყიბულის რ.) თ. ოქროშიძის მიერ, ახ. ქს. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე. მ., საწესჩვეულებო პოეზია, „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, I, 1960, გვ. 249.

<sup>73</sup> ჩაწერილი 1951 წ., ელ. ვირსალაძის მიერ, იქვე, გვ. 294—250.

<sup>74</sup> იქვე, გვ. 250.

<sup>75</sup> ჩაწერილი ქართლში ნ. ბაკურაძის (ქართველი ოსებში) მიერ. ვ. კ. ო. ტ. ე. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე. მ., 1934, გვ. 143—144. ვადაბეჭდილია — ქართული ხალხური სიტყვიერება. ქრესტომათია. შედგინა შესავალი წერილი, განმარტებითი ბარათები და შენიშვნები დაურთო ქს. ს. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე. მ., 1970, გვ. 36—37.



მზეს რომ კაცი მიუვიდა,  
 მზე ძალიან გაჯაგრდესა,  
 —მე და ვარ და ის ძმა არი,  
 რად ვძულდებით ერთმანეთსა.  
 ავი ამინდი რო დადგეს,  
 ეს ხომ ვერ გააშრობს გზებზესა,  
 მცივან კაცს ხომ ვერ გაათბობს,  
 თუ არ დაინთებდა ცეცხლსა.  
 თუ ეს სიტყვა ტყუილია,  
 ჰკითხევით ღამის მეხრესა.  
 ღამის მეხრე დიბარეს,  
 უღვაშებზე ისვამს ხელსა.  
 — დაჯე ბიჭო, სწორედა სთქვი,  
 თორემ მიცემთ სატანჯველსა!  
 დაივებს და ალაპარაკეს,  
 მეუფე ყურს დაუგდებსა.  
 — მე უმზეოთა ვერ გავძლებ,  
 ღამე კი გავტეხად ბნელსა.  
 დღისით შევხვერაგ ბალახებს,  
 ღამით იქ მიგრეკავ ხარსა.  
 ერთი ნაბადი უბოძეს,  
 — ღამით მავალია ესა!  
 ღვინოზე კაცი გავგაჯნეს,  
 ორთავე შეარიგესა.  
 ცისკარი მოჩანჩალებდა,  
 თავის ტყავსა მოათრევსა.  
 გათენებისას ამოდის,  
 პანლური ჰყრეს, გავდესა.  
 შუქურ-ვარსკვლავი მობრძანდა,  
 ის ძალიან დაათერესა,

ამ ლექსს ერთი შეხედვით საყოფაცხოვრებო ხასიათი აქვს. მასში რეალისტურად არის წარმოსახული მნათობთა მნიშვნელობა ადამიანისთვის, მეურნეობისათვის. ხაზგასმულია მზის უპირატესობა მნათობთა შორის, — რომ იგი სიცოცხლის მთავარი წყაროა. ამავე დროს ლექსში შემონახულია კვალი ბუნების გამოღვიძების დიდი დღესასწაულისა. ვახტანგ კოტეტიშვილმა მართებულად აღნიშნა: „ეს ლექსი იმით არის საგულისხმო, რომ დღემდე შეინახა უძველესი მითოსის დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი ხდება ქართული წარმართული პანთეონის უფრო ნათელი წარმოდგენა“<sup>76</sup>. მკვლევარმა ხაზგასმით აღნიშნა ლექსის დიდი მნიშვნელობა მითოლოგიის რთული საკითხების შესასწავლად<sup>77</sup>. ეს ლექსი და საერთოდ მნათობთა ციკლის პოეზია მრავალ საყურადღებო საკითხს აღძრავენ. ამ საკითხთა გადაჭრას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მითოლოგიის რთული პრობლემის გადასაჭრელად. ამავე დროს ამინდის რიტუალსა და მასთან დაკავშირებული პოეტური შემოქმედების შესწავლას მნიშვნელობა აქვს საუკუნეთა მანძილზე ხალხის იმედის, მოლოდინისა და ნუგეშის შესაცნობად.

<sup>76</sup> ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934, გვ. 357.

<sup>77</sup> იქვე, გვ. 363.

Ю. С. ГАГЛОЯТИ

## К ПРОБЛЕМЕ ГЕНЕЗИСА НАРТСКОГО ЭПОСА

В четвертом номере «Вестника» Отделения общественных наук АН ГССР (серия языка и литературы) за 1971 год была опубликована представленная Абхазским Институтом языка, литературы и истории им. Д. И. Гулия статья А. А. Аншбы «К спорам о происхождении первоначального ядра нартского эпоса». В этой статье, напечатанной в порядке обсуждения, автор предпринял попытку дать историографический обзор состояния изученности проблемы генезиса нартского эпоса. А. А. Аншба ставит себе целью доказать абхазо-адыгское происхождение первоначального ядра нартского эпоса, отвергая, как научно необоснованную, концепцию его древнеосетинского (скифо-аланского) происхождения. Последняя квалифицируется им как теория «некавказского происхождения нартского эпоса»<sup>1</sup>.

Вряд ли необходимо доказывать, что неперенным условием любой научной полемики является точное и добросовестное изложение точек зрения оппонентов, объективная и, по мере возможности, полная оценка существующей по данному вопросу литературы. Только при соблюдении этих условий можно рассчитывать на плодотворный характер дискуссии и ее позитивные результаты. К сожалению, ни того, ни другого в названной статье нет. А есть лишь искажение взглядов критикуемых авторов, игнорирование ряда принципиальных положений, непосредственно относящихся к дискутируемому вопросу, и, в конечном счете, полностью искаженная картина современного состояния данной проблемы. Построенная на ошибочных исходных данных, разбираемая статья характерна также подменой столь необходимой в подобной полемике научной аргументации голословными утверждениями и безадресными обвинениями.

Через всю статью красной нитью проходит ложная альтернатива, заключающаяся в противопоставлении «кавказцев» скифоязычным предкам осетин (скифам, сарматам, аланам). Эта мысль нашла свое выражение в тезисе автора статьи о том, что первоначальное ядро нартского эпоса «может быть созданием или кавказцев или ираноязычных предков осетин» (стр. 85).

Противопоставление скифов и сармато-алан, обитавших на Северном Кавказе, остальным кавказцам дает основание полагать, что А. А. Аншба употребляет название кавказцев в этническом смысле, подразумевая под ними носителей «киберийско-кавказских» языков Кавказа (абхазо-адыгов, ингушей, чеченцев и некоторые этнические группы грузинских горцев — сванов, рачинцев, а также большинство дагестанцев), тем более, что именно названные группы включаются автором в «кавказскую» языковую семью<sup>2</sup>.

<sup>1</sup> А. А. Аншба. К спорам о происхождении первоначального ядра нартского эпоса. «Машне», серия яз. и литературы, Тб., 1971, № 4, стр. 91.

<sup>2</sup> Из последней литературы о генетических связях кавказских языков см. Т. В. Гамкрелидзе, Г. И. Мачавариани. Система сонантов и аблаут в картвельских язы-

Эти ожидания однако не оправдываются, так как из числа возможных создателей ядра эпоса он исключает, к примеру, вайнахов, поскольку нартский эпос ингушей и чеченцев якобы «может быть назван антинартским, так как нарты там выступают в роли эпических врагов»<sup>3</sup>. А. А. Аншба однако не уточняет, в роли чьих врагов выступают нарт-орстхойцы. Сделано это, думается, не случайно, ибо признание эпическими врагами нарт-орстхойцев местных, т. е. вайнахских богатырей, а именно таков лейтмотив нарт-орстхойских сказаний<sup>4</sup>, никак не свидетельствуют об антинартском характере этих сказаний. Указанная черта нарт-орстхойских сказаний плюс локализация нарт-орстхойцев в Осетии, идентичность главных персонажей нарт-орстхойцев (Урузман—Орзми, Солса, Хамчи, Патараз, Ачмаз, Ширгга) с главными представителями осетинских нартов из рода Ахсартаггата (Урызмаг, Сослан, Хамыц, Батраз, Ацамаз, Сырдон), наличие целого ряда осетинско-ингушских параллелей, не находящихся аналогий в других национальных версиях, говорит о том, что нарт-орстхойская струя в героическом эпосе вайнахов является в своей основе привнесенной из алаано-осетинского этнического круга.

Не упоминает автор и о возможном участии в создании ядра эпоса грузинских этнических групп и дагестанцев. Что касается возможной роли в этом процессе балкарцев и карачаевцев, то она также не принимается во внимание ввиду «сравнительно недавнего проникновения бы оказываются только абхазо-адыги и, следовательно, теория «кавказцами», которые могли создать первоначальное ядро эпоса, у А. А. Аншбы оказываются только абхазоадыги и, следовательно, теория «кавказского» происхождения нартских сказаний, которая, по его мнению, хорошо объясняет интернационализм эпоса, оказывается в действительности теорией абхазо-адыгского происхождения ядра этих сказаний.

С указанным тезисом теснейшим образом связано и другое ошибочное утверждение А. А. Аншбы, по мнению которого, признание теории скифо-аланского происхождения ядра эпоса якобы равносильно признанию его некавказского происхождения. Как пишет А. А. Аншба, в этом случае «надо было бы признать создание этого эпоса где-то за пределами Кавказа и его дальнейшее импортирование, что маловероятно»<sup>5</sup>. Мысль эта не нова; близкую к ней точку зрения высказывал в своей

ках, Тб., 1965; Г. А. Климов, Кавказские языки, М., 1965; он же, О гипотезе внутреннего родства кавказских языков. ВЯ, 1968, № 6; А. Чикобава. К вопросу об отношении картвельских языков к индоевропейским. ВЯ, 1970, № 2; Т. В. Гамкрелидзе. Современная диахроническая лингвистика и картвельские языки. ВЯ, 1971, № 2—3; Г. Фогт. Индоевропейские языки и сравнительные методы, ВЯ, 1971, № 4; К.—Х. Шмидт. Проблема генетической и типологической реконструкции кавказских языков. ВЯ, 1972, № 4; О. Джаридзе. К вопросу о культурном и этническом единстве древнейшего населения Кавказа (на груз. яз.) — «Мнатоби», 1972, № 3.

<sup>3</sup> А. А. Аншба, цитир. раб., стр. 90.

<sup>4</sup> См. Ч. Ахриев. Несколько слов о героях в ингушских сказаниях. ССКГ, вып. IV, отд. 2, 1870, стр. 7; У. Лаудаев. Чеченское племя. ССКГ, вып. VI, отд. 1, 1872, стр. 17. Б. Далгат. Первобытная религия чеченцев. «Терский сборник», вып. III, кн. 2, 1893, стр. 125; Очерк истории чечено-ингушской литературы. Грозный, 1963, стр. 29. А. О. Мальсагов. Нарт-орстхойский эпос вайнахов. Грозный, 1970, стр. 32; У. Б. Далгат. Героический эпос чеченцев и ингушей. М., 1972, стр. 110—112, 114—115, 196—197.

<sup>5</sup> А. А. Аншба, цитир. раб., стр. 85.



рецензии еще В. К. Гарданов<sup>6</sup>, в наиболее резкой форме она была выражена А. М. Гадагатлем, который в скифо-аланской теории происхождения нартского эпоса увидел стремление доказать тем самым его «чужеземное», некавказское происхождение<sup>7</sup>. За А. М. Гадагатлем в данном случае следует и А. А. Аншба, хотя и не ссылается на него. В основе этой точки зрения лежит ошибочное мнение, согласно которому наличие генетической связи осетин со скифами и аланами является доказательством «пришлого» происхождения осетин.

В литературе уже отмечалось, что положение о скифо-сармато-аланском происхождении нартского эпоса, независимо от правильности этой точки зрения, ни в коей мере не может служить отрицанием его кавказского происхождения<sup>8</sup>. Не может, в первую очередь, потому, что как в период зарождения первоначального ядра эпоса, так и в период формирования и развития нартских сказаний, скифы и сармато-аланы были такими же кавказцами, как и другие кавказские народы. Это обстоятельство, кстати, было давно подмечено античными авторами. Страбон, к примеру, говоря о народах Западного Кавказа, для которых Диоскурия служила общим торговым центром, писал, что «большинство их — это сарматы, но все они кавказцы»<sup>9</sup>. Можно спорить о принадлежности большинства названных племен к сарматам, однако совершенно очевиден факт принадлежности сарматов, как и их соседей, к кавказцам, название которых Страбон употреблял в географическом смысле, в отличие от этнического термина «сарматы».

В этой же связи отмечался довольно условный характер, если не сказать больше, часто встречающегося в кавказоведческой литературе деления народов Кавказа на «пришлые» и «аборигенные», поскольку наличие миграционного фактора в процессе этногенеза народа не является еще показателем его «пришлого» происхождения. Данное обстоятельство имеет самое непосредственное отношение к этнической истории осетин, происхождение которых является, в первую очередь результатом длительного внутреннего развития скифо-сармато-аланских племен Северного Кавказа<sup>10</sup>. Это ясно свидетельствует именно о кавказском происхождении осетин, ибо, как этнос, осетины формировались и сформировались на Северном Кавказе, из чего следует, что положение о древнеосетинском (скифо-аланском) происхождении ядра нартского эпоса не означает ни его «чужеземного» происхождения и не ведет к признанию его создания где-то за пределами Кавказа, как утверждают А. М. Гадагатль и А. А. Аншба.

Ошибочные исходные данные наложили свой отпечаток как на решение общих, так и частных вопросов разбираемой проблемы. Так, например, А. А. Аншба утверждает, что объять эпос созданием предков осетин — «это значит отлучить от него все остальные кавказские народы, у которых он издавна является частью их духовной культуры»<sup>11</sup>.

<sup>6</sup> См. В. К. Гарданов. «В. Абаев. Нартковский эпос» (рец. СЭ, 1947, № 2, стр. 246).

<sup>7</sup> А. М. Гадагатль. Адыгский героический эпос «Нарты» и его генезис, стр. 6, 30.

<sup>8</sup> Ю. С. Гаглойти. К изучению терминологии нартского эпоса. Изв. ЮОНИИ, вып. XIV, 1965, стр. 106—109.

<sup>9</sup> Страбон. География, XI, II, 16.

<sup>10</sup> См. Ю. С. Гаглойти. К изучению терминологии нартского эпоса, стр. 108—109; он же, Этногенез осетин по данным письменных источников. «Происхождение осетинского народа», Орджоникидзе, 1967, стр. 96—97.

<sup>11</sup> А. А. Аншба, цитир. раб., стр. 85.

Постановка вопроса в такой форме не может не вызвать возражений. Во-первых, это искажает существо вопроса, ибо концепция осетинского происхождения нартского эпоса отнюдь не отрицает вклада других кавказских народов в его формировании. Во-вторых, если признание осетинского происхождения ядра эпоса означает отлучение от него других кавказских народов, то естественно напрашивается вопрос — почему такое не означает признание творцами эпоса абхазо-адыгов, к чему, собственно, сводится весь пафос разбираемой статьи.

Судя по всему, оценка концепции правильности моногенного происхождения ядра эпоса варьируется у А. А. Аншбы в зависимости от того, какая этническая среда признается творцом ядра эпоса. Надо ли говорить, что такая «методология» не имеет ничего общего с научным изучением нартского эпоса и явно продиктована местническими интересами.

То же самое можно сказать и в отношении правомерности точки зрения многогенности происхождения ядра эпоса вообще. Концепцию аланского (древнеосетинского) происхождения ядра нартского эпоса, недавно вновь подтвержденное В. И. Абаевым<sup>12</sup>, А. А. Аншба считает противоречащей положению о существовании нескольких центров или узлов формирования эпоса, которое якобы «навсегда покончено с теорией некавказского (т. е. по терминологии А. А. Аншбы — аланского) происхождения нартского эпоса»<sup>13</sup>. Но если это так, то спрашивается — а как согласуется с положением о существовании нескольких центров формирования нартского эпоса концепция абхазо-адыгского происхождения, которую он защищает? Ответа и на этот вопрос в разбираемой статье нет.

Добавим к этому, что точка зрения о возможности существования нескольких центров формирования нартского эпоса, выдвинутая В. И. Абаевым<sup>14</sup> и получившая широкое распространение<sup>15</sup>, оставляет открытым вопрос о том, можно ли факт распространения нартских сказаний в определенном ареале считать доказательством существования там центра или узла формирования эпоса<sup>16</sup>. Действительно, если согласиться с существованием осетинского, адыгского и абхазского центров формирования эпоса, то спрашивается — почему не признать таковыми, к примеру, балкаро-карачаевский и вейнахский, нартские сказания которых по богатству и разнообразию общенартских сюжетов не уступают абхазским, а если судить по дореволюционным публикациям, то и превосходят их. Следовательно, точка зрения о возможности существования нескольких центров формирования нартского эпоса сама по себе не исключает вероятности ни осетинского, ни абхазо-адыгского происхождения ядра эпоса. Вопрос заключается в том, насколько обоснованы фактическими данными полярные концепции происхождения ядра эпоса.

<sup>12</sup> В. И. Абаев. Нартский (нартский) эпос. «Крат. литерат. энцикл.», т. V, М., 1963, стр. 121.

<sup>13</sup> А. А. Аншба, цитир. раб., стр. 88.

<sup>14</sup> В. И. Абаев. Проблемы нартского эпоса, стр. 34—35.

<sup>15</sup> См., например, И. В. Тресков. Фольклорные связи Северного Кавказа, стр. 35—84; М. Е. Мелетинский. Происхождение героического эпоса. М., 1963, стр. 204. С. Г. Эльмурзаев. Новые данные о чечено-ингушских нарт-эретхойских сказаниях, ТЧИННИ, т. IX, 1964, стр. 137.

<sup>16</sup> Ю. С. Гаглойти. Проблема генезиса нартского эпоса. «Тезисы док. IX научн. конфер. Координац. совета по фольклору при отделении общ. наук. АН ГССР», Тб., 1969, стр. 14.

При этом необходимо отметить, что, допуская возможность существования двух или трех центров или узлов «эпического творчества на общей нартской основе» и отмечая факт самостоятельного развития нартского эпоса у ряда кавказских народов, В. И. Абаев однако категорически отрицает возможность того, что термин **нарт** или собственные имена Сатана, Урызмаг, Сослан, Созрыко, Батраз, Сырдон и др. появились независимо друг от друга в разных местах. «Каждое из них, вне всякого сомнения, возникло в одном определенном месте и отсюда же распространилось среди народов»<sup>17</sup>. Следовательно, не отрицая **возможности** существования нескольких центров формирования нартского эпоса, В. И. Абаев тем не менее исходит фактически из моногенетической концепции происхождения **ядра** эпоса, что и было недавно вновь подтверждено им в упоминавшейся выше статье.

Какие же доводы выдвигает А. А. Аншба против концепции скифо-аланского происхождения ядра нартского эпоса?

Строго говоря, какой-либо серьезной аргументации против этой концепции генезиса нартского эпоса в рассматриваемой статье не содержится. Не будучи в состоянии опровергнуть ее основные положения, сформулированные в работах В. И. Абаева и Ж. Дюмезиля, А. А. Аншба утверждает, что скифо-сармато-алано-нартские параллели в лучшем случае могут говорить лишь «о вкладе осетин в формирование нартского эпоса», поскольку они якобы «не затрагивают древнейших сюжетов о Сатане и Сасрыкве», а имена основных персонажей осетинских нартских сказаний «характерны только для Осетии; локальны, не общекавказски, не древни»<sup>18</sup>.

Бесспорно, конечно, что скифо-аланско-нартские параллели свидетельствуют о вкладе осетин в формирование эпоса. Но ведь эти параллели, как и ряд характерных сюжетов осетинского эпоса, присущи не только осетинским сказаниям, но и кабардинским, абхазским, балкарским, ингушским, сванским. Это относится, например, к мотиву героической чаши нартов Уацамонга, известной наряду с осетинскими сказаниями кабардинским, абхазским и балкарским вариантам, скифскому по происхождению мотиву скальпирования врагов, встречающемуся как в осетинских, так и ингушских сказаниях, сказанию о чудесном рождении Сатаны от брака небожителя Уастырджи и красавицы Дзерассы, яркую параллель которой представляет ингушское сказание о рождении Сели-Саты<sup>19</sup>, сказание о золотом яблоке нартов, известном сванам, у которых, кстати, явно прослеживаются и следы сказаний об Ахсаре и Ахсартаге, Дзерассе и св. Георгии (Уастырджи), Урызмаге и Сатане<sup>20</sup> и ряд других. Можно указать также на наличие осетинской ономастики в кабардинских (Ауш-Герги, Батараз, Орзэмедж, Уорсар-Орсарыж, Жан-Шерх, Уашхо, санпо, хаса, уасдан) и абхазских (алар, аныха, Алтар, Талумбак, Шардын) нартских сказаниях и поразительную близость целого ряда сюжетов.

Сравнительный анализ нартских сказаний показывает, что нет ни одной национальной версии нартиады, где бы в той или иной степени не прослеживались аланско-осетинские элементы и влияния. В то же

<sup>17</sup> В. И. Абаев. Проблемы нартского эпоса, стр. 35.

<sup>18</sup> А. А. Аншба, цитир. раб., стр. 89—90.

<sup>19</sup> Ю. С. Гаглойти, К осетинско-вейнахским нартским параллелям. «Тезисы докл. XII конфер. Координ. совета по фольклору при Отдел. общ. наук АН СССР». Тб., 1972, стр. 24.

<sup>20</sup> См. Ш. В. Дзидзигури. Грузинские варианты нартского эпоса, Тб., 1971, стр. 84—92.

время об обратных влияниях практически ничего не известно, если не считать наличия в осетинском кабардинизированного имени Сослана — Созырыко. Нельзя пройти и мимо того, что тот историко-этнографический материал, который поддается какой-либо интерпретации, находит объяснение прежде всего на скифо-аланской почве. Все эти факторы не могут не учитываться при решении вопроса о происхождении первоначального ядра нартского эпоса, ибо для определения этнической принадлежности ядра эпоса важна не принадлежность носителей эпоса к той или иной этноязыковой группе, а конкретный материал самих сказаний каждой из национальных версий нартиады. Между тем А. А. Аншба, не будучи в состоянии подкрепить свои положения данными абхазской и адыгской версий эпоса, пытается компенсировать отсутствие фактических данных ссылкой на принадлежность абхазо-адыгов к «кавказской» семье языков как будто данное обстоятельство автоматически решает и вопрос об абхазо-адыгском происхождении ядра эпоса.

Доказывая локальность скифо-аланско-нартских параллелей, А. А. Аншба, как видно, исходит из абхазских вариантов эпоса, в которых действительно отсутствует целый ряд общенартских сюжетов. Это однако не может подтвердить указанную точку зрения А. А. Аншбы, поскольку абхазские сказания о нартах, как периферийные варианты нартиады, не содержат многое из того, что содержится в адыгских, ингушских и балкаро-карачаевских сказаниях, не говоря уже об осетинских. Не будучи в состоянии опровергнуть этот факт, А. А. Аншба пытается обойти его путем утверждения о том, что «богатство адыгского эпоса одновременно является и богатством этнически родственных им абхазов», поскольку нартский эпос создавался якобы «в такой глубокой древности, когда все адыго-абхазские племена составляли единое целое»<sup>21</sup>. Однако период, к которому исследователи относят существование единой абхазо-адыгской общности, датируется приблизительно концом III — начала II тысячелетия до н. э.<sup>22</sup>, тогда как эпоху зарождения первоначального ядра нартского эпоса большинство исследователей относят к VIII—VII вв. до н. э.<sup>23</sup>. Следовательно, наличие тех или иных мотивов в адыгских нартских сказаниях отнюдь не ведет автоматически к признанию таковых и в абхазских, как это полагает А. А. Аншба. К тому же, настаивая на общей абхазо-адыгской основе эпоса, автор одновременно защищает и тезис о существовании самостоятельного абхазского центра формирования нартиады, не замечая, что эти положения противоречат друг другу.

Одной из характерных особенностей статьи А. А. Аншбы является искажение точек зрения своих оппонентов, приписывание им ошибочных и несуществующих положений, критика которых, естественно, не представляет особого труда. Так, например, он пишет: «В 1965 г. появилась

<sup>21</sup> А. А. Аншба, цитир. раб., стр. 90.

<sup>22</sup> З. В. Анчабадзе История и культура древней Абхазии, М., 1964, стр. 120—127; Ш. Д. Инал-Ипа. Абхазы, Сух., 1965, стр. 81, 96.

<sup>23</sup> В. И. Абаев. Нартовский эпос, стр. 117; Б. В. Скитский. Нартский эпос как исторический источник. «Нартский эпос». Дзауджикау, 1949, стр. 25; Л. П. Семенов. Нартский эпос и памятники материальной культуры. «Нартский эпос». Орджоникидзе, 1957, стр. 82—89; Е. М. Мелетинский. Происхождение героического эпоса, М., 1963, стр. 159; Е. И. Крупнов. Изучение нартского эпоса и археология. ИЧИННИ, т. VII, вып. 1, 1966, стр. 29—41. Мнение сторонников абхазо-адыгского происхождения нартского эпоса о зарождении ядра эпоса в III—II тысячелетия до н. э. базируется на ошибочной трактовке содержащихся в эпосе матриархальных пережитков.

статья историка Ю. С. Гаглойти, где полностью игнорируется роль кавказского элемента в создании эпоса (подч. нами — Ю. Г.)<sup>24</sup>.

Между тем в статье, о которой идет речь, ставилась лишь задача рассмотреть «происхождение некоторых собственных имен, встречающихся в осетинских и адыгских вариантах», что «во многом поможет пролить свет на решение наиболее дискутируемого вопроса — вопроса о генезисе первоначального ядра нартского эпоса»<sup>25</sup>. Основываясь на осетинском происхождении таких адыгских терминов и имен, встречающихся в эпосе, как хаса, сано, уасдан, Жан-Шерх, Уорсар, автор заключал, что «положение о скифо-сармато-аланском происхождении нартского эпоса, независимо от правильности этой точки зрения, ни в коей мере не может служить отрицанием его кавказского происхождения»<sup>26</sup>. Если это положение означает полное игнорирование роли кавказского элемента в создании нартского эпоса, как утверждает А. А. Аншба, то что же тогда назвать заведомым искажением фактов?

В таком же духе освещаются и другие вопросы. Касаясь соотношения между осет. «Ныхас» и адыг. «хаса», А. А. Аншба пишет, что об уровне спора вокруг этого вопроса можно судить по тому, что «один считает это слово адыгским (А. Гадагатль), а другой — осетинским (Ю. Гаглойти), совершенно исключая возможность заимствования. А между тем, не исключена возможность проникновения этого слова на Кавказ из арабо-тюркского языкового мира...»<sup>27</sup>. Автор ссылается при этом на П. У. Аутлева, указавшего на возможность происхождения этого термина из арабско-тюркского «неххас (рынок), т. е. сборище»<sup>28</sup>.

А. А. Аншба однако не отметил (или не захотел отметить?), что статья автора этих строк появилась до публикации рецензии П. У. Аутлева, замечания которого, следовательно, при всем желании не могли быть учтены. Этот вопрос был затронут в другой работе автора этих строк, посвященной абхазо-осетинским нартским параллелям, где говорилось: «Что касается связи между ныхасом и арабско-тюркским неххас — «рынок верблюжий и в особенности конный», на что обратил внимание П. У. Аутлев, то этот вопрос остается пока открытым. Как бы не решался однако этот вопрос, первичность осет. «ныхас» по сравнению с адыг. «хаса/ныхас», карач.-балк. «ныгъыш/ныгъаш», абх. «аныха (ныха)» и рачин. «санахшо» не вызывает никаких сомнений»<sup>29</sup>.

А. А. Аншба умалчивает об этом разъяснении, создавая тем самым искаженное представление о существе вопроса. Более того, А. А. Аншба упрекает участников этого спора в том, что «они не могут объяснить, почему они обращаются к расшифровке того или иного термина или имени»<sup>30</sup>. Выходит, что если автор, формулируя цели своего исследования, пишет, что «исследование происхождения наиболее важных социально-экономических и политических терминов, равно как в центральных собственных имен, встречающихся в различных национальных ва-

<sup>24</sup> А. А. Аншба, цитир. раб., стр. 90.

<sup>25</sup> Ю. С. Гаглойти. К изучению терминологии нартского эпоса, стр. 88.

<sup>26</sup> Там же, стр. 109.

<sup>27</sup> А. А. Аншба, цитир. раб., стр. 90.

<sup>28</sup> П. У. Аутлев. Об одном «новом направлении» в нартоведении. ИСОНИИ, т. XVI, 1966, стр. 212.

<sup>29</sup> Ю. С. Гаглойти. Абхазо-осетинские нартские параллели. «Известия ЮОНИИ», вып. XVI, 1969, стр. 60.

<sup>30</sup> А. А. Аншба, цитир. раб., стр. 91.



риантах, во многом поможет пролить свет на решение наиболее дискутируемого вопроса — вопроса о генезисе первоначального ядра нартского эпоса»<sup>31</sup>, то он, по логике А. А. Аншбы, не ведает, что творит и может уразуметь стоящую перед ним задачу только после «разъяснений» нашего автора. Все это никак не укладывается в рамки элементарной научной этики. Нельзя не отметить и то, что призывая к сравнительно-историческому изучению нартского эпоса, А. А. Аншба в то же время ничего не говорит о статье, специально посвященной абхазско-осетинским нартским параллелям<sup>32</sup>, в которой доказывалось осетинское происхождение таких терминов абхазских нартских сказаний, как «азар» — песня, «аныха» — святилище, а также некоторых сюжетов и собственных имен.

Вызывает удивление и освещение А. А. Аншбой трактовки генезиса нартского эпоса различными авторами. Не упоминая о мнении таких исследователей как Е. М. Мелетинский<sup>33</sup>, Г. В. Цулая<sup>34</sup>, А. О. Мальсагов<sup>35</sup>, Р. Блайхштайнер<sup>36</sup>, К. Мюллер<sup>37</sup>, которые разделяют или близко стоят к концепции скифо-аланского происхождения эпоса, А. А. Аншба пытается представить ее сторонниками исключительно осетинских ученых. Тенденциозность такого подхода становится особенно наглядной, если учесть, что, критикуя концепцию осетинского происхождения нартского эпоса, А. А. Аншба фактически обходит точку зрения наиболее последовательного сторонника этой концепции, каковым является Ж. Дюмезиль<sup>38</sup>.

Конечно, взгляды ученого, каким бы авторитетом он не был, не могут служить решающим аргументом в пользу той или иной концепции. Однако мнение Ж. Дюмезиля, интересное и с точки зрения историографии данного вопроса, важно еще и потому, что он является блестящим знатоком нартского эпоса в целом и автором серьезных исследований по абхазо-адыгским языкам и фольклору, проблематикой которых он занимается около 40 лет. К тому же ясно, что ни в какой национальной предубежденности, в чем собственно обвиняет своих оппонентов А. А. Аншба, французского ученого, видимо, при всем желании трудно упрекнуть.

<sup>31</sup> Ю. С. Гаглойти. К изучению терминологии нартского эпоса, стр. 88.

<sup>32</sup> Ю. С. Гаглойти. Абхазо-осетинские нартские параллели, стр. 57—71.

<sup>33</sup> Е. М. Мелетинский. Место нартских сказаний в истории эпоса. «Нартский эпос», Орджоникидзе, 1957, стр. 37—38, 42; он же, Происхождение героического эпоса, стр. 163—164.

<sup>34</sup> Г. В. Цулая. Историческая интерпретация основных образов абхазского героического эпоса. «Автор канд. диссерт.», М., 1966, стр. 9; он же; Следы религиозно-мифологических представлений в абхазском нартском эпосе. СЭ, № 5, 1966, стр. 141.

<sup>35</sup> А. О. Мальсагов. Нарт-орстхойский эпос ингушей и чеченцев. Автор. канд. диссерт. М., 1966, стр. 19; он же, Нарт-орстхойский эпос вайнахов. Грозный, 1970, стр. 27—31.

<sup>36</sup> R. Bleichsteiner. Das Volk der Alanen. «Berichte des Forschungs-Institut für Osten und Orient», В. Wien, 1918, S. S.; он же, Die Neue Grosse Völkerkunde. Frankfurt-Maine, B. 2, 1954, S. 14.

<sup>37</sup> K. E. Müller. Zur Problematik der kaukasischen Steingeburt-Mythen. «Antropos». Freiburg, 1966, B. 66, 3/6, SS. 484—493.

<sup>38</sup> А. А. Аншба ограничился лишь указанием, на то, что Дюмезиль еще и сегодня придерживается «иранской ориентации» (стр. 86), как-будто он располагает данными о том, что последний вот-вот изменит свою позицию.

Необходимо отметить, что к своим взглядам на разбираемую проблему Ж. Дюмезиль пришел не сразу. В своем первом монографическом исследовании, касаясь полярных точек зрения, проявившихся в работах Ш. Б. Ногмова и М. С. Туганова, Дюмезиль не считал возможным отдать предпочтение какой-либо из них, отметив лишь, что только адыги и осетины могут реально претендовать на роль создателей эпоса<sup>39</sup>. В последующих работах Дюмезиль уже безоговорочно делает вывод об осетинском происхождении нартского эпоса. Так, например, в предисловии к французскому переводу осетинских нартских сказаний он пишет, что «само имя нартов, которое несомненно так или иначе восходит к индоиранскому наименованию героического мужчины *nar-*, сама идея нартов и основные персонажи, в которых она воплощена, родились в Осетии... и были восприняты впоследствии соседними народами»<sup>40</sup>. О заимствовании нартских сказаний у осетин Дюмезиль говорит и в работе, посвященной скандинавскому двойнику осетинского Сырдона<sup>41</sup>.

Взгляды Ж. Дюмезиля на проблему генезиса нартского эпоса нашли свое полное выражение в его последней фундаментальной работе «Миф и эпоса», третья часть которой посвящена нартскому эпосу. На основании сравнительного анализа наиболее характерных черт социального строя нартов, их быта, верований и обычаев, отразившихся во всех национальных версиях, французский ученый так формулирует свой вывод о решающей роли осетинского этноса в формировании первоначального ядра нартского эпоса: «Ядро эпоса, ее основные персонажи сформировались у осетин и, вне всякого сомнения, частично уже у их отдаленных предков. Я знаю, что высказывая это мнение, я приношу боль моим черкесским и абхазским друзьям, но истина дороже дружбы: в своей основе нартская эпоса является осетинской»<sup>42</sup>.

Концепции древнеосетинского происхождения ядра эпоса А. А. Аншба противопоставляет точку зрения об абхазо-адыгской принадлежности, которую он пытается обосновать «арханчностью» абхазских нартских сказаний и наличием в них матриархальных мотивов.

Доказывая древность абхазских нартских сказаний, А. А. Аншба утверждает, что «наиболее архаичные черты сохранились в нартском эпосе абхазов» и что «только в их эпосе Сатана (Сатаней Гуашья) выступает как мать народа, а в осетинской и даже адыгской версий ее роль ограничена мужским советом...»<sup>43</sup>. Мысль о том, что образ Сатаней-Гуаши служит доказательством формирования первоначального ядра эпоса в эпоху матриархата и наибольшей архаичности абхазского нартского эпоса уже высказывалась Ш. Д. Инал-Ипа и Ш. Х. Салакая<sup>44</sup>. Ш. Д. Инал-Ипа, например, пишет о Сатаней: «Это великий образ прародительницы и наставницы целого народа. Все это рисует матриархальную родовую общину, правда на стадии ее разложения». И далее: «Пережитки материнского рода (в частности, происхождение по матери при полном отсутствии культа предков) нашли

<sup>39</sup> G. Dumézil. *Legendes sur les Nartes*. Paris, 1930, pp. 5—9.

<sup>40</sup> *Le Livre des Heros*. Paris. 1965. Introduction, pp. 10—11.

<sup>41</sup> G. Dumézil. *Loki*, Darmstadt, 1959, SS. 126—127, 174—175.

<sup>42</sup> G. Dumézil, *Mythe et épopée*. Paris, 1965, p. 453.

<sup>43</sup> А. А. Аншба, цитир. раб., стр. 89.

<sup>44</sup> И. О. Инал-Ипа. Об абхазских нартских сказаниях. Тр. Абхазского НИИ, т. XXIII, 1949, стр. 113; он же. *Абхазы*, Сух., 1965, стр. 604. Ш. Х. Салакая. *Абхазский народный героический эпос*, стр. 42.

наиболее яркое отражение в абхазских сказаниях в упоминании о ста братьях и их сестре, рожденных одной матерью»<sup>45</sup>.

Следует, однако, отметить, что положение о наибольшей архаичности абхазских нартских сказаний, о преобладании в них черт матриархата, больше декларируется, чем доказывается. При этом постоянно подчеркивается, что Сатаней-Гуаша была незамужней, что, по мысли авторов этой точки зрения, свидетельствует о том, что «абхазские сказания цикла Сатаней-Гуаши донесли наиболее яркие матриархальные пережитки»<sup>46</sup>. Делается это, видимо, не случайно, так как сам материал абхазских сказаний не дает для этого никаких оснований. В сводном тексте абхазских нартских сказаний говорится, к примеру, что «Сатаней-Гуаша была матерью ста нартвов-богатырей, а их отца звали Хмыш (подч. мной — Ю. Г.). К ее мудрым советам прислушались не только нарты, но и весь народ (подчеркнуто мной — Ю. Г.)»<sup>47</sup>. Наличие мужа у Сатаней зафиксировано и Г. Ф. Чурсиным, по записям которого нарты «составляли одну семью, один дом. Семья нартвов состояла из главы дома Анарта (т. е. Нарта), его жены Сатане-Гваши и 99 сыновей»<sup>48</sup>. То же самое встречается и в бзыбских текстах, записанных К. С. Шакрылом<sup>49</sup>.

Не находит подтверждения в текстах и утверждение о том, что абхазские нарты якобы вели «происхождение по матери при полном отсутствии культа предков»<sup>50</sup>. Более того, согласно абхазским сказаниям, причиной вражды нартвов с Сасрыквой именно было то, что он приходился им «незаконным» братом: «... 99 нартвов завидовали Сасрыкве и относились с пренебрежением, как к незаконному, неродному брату»<sup>51</sup>. Весьма показательны слова, с которыми нарты обращаются к Сатаней-Гуаше в связи с чудесным рождением Сасрыквы: «Кто пред нами? Скажи, мы не можем понять. Нет ошибки, — и в этом легко убедиться, — нечто нартское в нем, и твоя в нем частица. Наш отец — дряхлый, слабый, незрячий старик. Целый век возле печи он греться привык. От него не мог этот мальчик родиться! Знаем — с матерью так говорить не годится, но стыда пусть не ведает нартвов семья (подч. мной — Ю. Г.). Ты прости, но скажи: кто он? Родом откуда?»<sup>52</sup>.

Как видно из приведенных слов, неприязнь 99 нартвов к Сасрыкве объясняется прежде всего его происхождением от другого отца, что его сводные братья считают позором. Все это вряд ли укладывается в рамки матриархата и воззрений той эпохи. Отметим также, что, согласно характеристике племени елдызов, которым согласно абхазским сказа-

<sup>45</sup> Ш. Д. Инал-Ипа. Исторические корни древней культурной общности кавказских народов (опыт сравнительного изучения нартского эпоса) — «Сказания о нартах — эпос народов Кавказа», М., 1969, стр. 58—59.

<sup>46</sup> См., например, Ш. Д. Инал-Ипа. Нартский эпос абхазцев. «Нартский эпос». Орджоникидзе, 1957, стр. 105—106. Утверждение об отсутствии мужа у Сатаней-Гуаши тем более удивительно, что еще не так давно Ш. Д. Инал-Ипа писал в своих работах, что «Хмыш по словам многих, старейший из нартских братьев или даже их отец (подч. мной — Ю. Г.)». См. Тр. Абхазского НИИ, т. XXIII, 1949, стр. 107; он же, Нартский эпос абхазцев. «Нартский эпос», Орджоникидзе, 1957, стр. 105.

<sup>47</sup> Приключения нарта Сосрыквы, стр. 15.

<sup>48</sup> Г. Ф. Чурсин. Материалы по этнографии Абхазии, Сух., 1957, стр. 217—218.

<sup>49</sup> К. С. Шакрыл. Аффиксация в абхазском языке. Сух., 1951, стр. 138—39.

<sup>50</sup> Ш. Д. Инал-Ипа. Исторические корни..., стр. 59.

<sup>51</sup> Г. Ф. Чурсин. Материалы по этнографии Абхазии, стр. 215.

<sup>52</sup> Приключения нарта Сасрыквы, стр. 46.

ниям, нарты приходились племянниками, нарты «столь почтенны, что величают их по собственному имени и имени отцовскому» (подч. мной — Ю. Г.). Это не лишняя интереса выдержка, также свидетельствует о том, что нарты абхазских сказаний, так же как и осетинских, вели в основном патрилинейный счет происхождения, а не матрилинейный.

Доказывая наличие черт матриархата в нартских сказаниях абхазов и адыгов, сторонники абхазо-адыгского происхождения ядра эпоса почему-то упускают из виду существование сильных матриархальных черт у сарматов северо-западного Кавказа, т. е. у непосредственных соседей предков абхазо-адыгов. Как известно, пережитки матриархата у сарматов были настолько сильны, что античные авторы даже называли их «женоуправляемыми»<sup>53</sup>. Имена сарматских воительниц Приазовья, Тиргатао и Амаги, и их подвиги были хорошо известны в древности. Однако вряд ли на основании этих фактов кто-нибудь станет утверждать, что приазовские сарматы в последних веках до н. э. и в первых веках н. э. находились на стороне матриархата<sup>54</sup>.

Принимая во внимание, что уровень социально-экономического развития северокавказских сарматов не отличался коренным образом от уровня развития соседивших с ними других кавказских племен и, в частности, синдо-меотов, вполне вероятно, что пережиточные черты матриархата были присущи и последним. В связи с этим считаем нелишним упомянуть, что грузинская летопись в рассказе о миссионерской деятельности Андрея Первозванного сохранила известие о том, что у сванов в это время правила женщина<sup>55</sup>, хотя согласно Страбону, сваны управлялись «царем» и советом из трехсот мужчин (XI, 2, 19). Следовательно, наличие пережиточных форм матриархата, отдельные случаи выдвижения женщины в качестве главы того или иного племени не являются доказательством существования у этих племен материнского рода и лучшим примером в этом отношении является история приазовских сарматов.

Явно преувеличенными, на наш взгляд, является и трактовка образа Сатаней Гуаши как сугубо матриархального. Вот как, например, трактуется сказание «Песня о матери нартов», где говорится о том, как Сатаней-Гуаша в отсутствие отправившихся в поход сыновей, за три дня прочесала, спряла и соткала шерсть, снятую с тысячи овец, постирала и высушила ее и затем сшила и погладила одежду всем своим сыновьям<sup>56</sup>. По мнению Ш. Х. Салакая, если снять с текста позднейшие напластования, то перед нами якобы «вырастет картина естественного разделения труда в эпоху матриархата (подч. нами — Ю. Г.): домашний очаг, забота по хозяйству — удел женщины, а мужская работа — охота, раннее скотоводство и вообще сношения с внешним миром, вне дома»<sup>57</sup>.

В нарисованной картине, при всем желании трудно усмотреть что-либо, присущее исключительно матриархату. Более того, исполняемые Сатаней-Гуашей хозяйственные действия находясь в полном соответствии с той ролью, которую играла женщина при родовом строе. Как

<sup>53</sup> Скилак Кариандский. Азия, 70—71; Скими Хиосский. Землеписание (Азия), 874—885; См. также Б. Г р а к о в. Пережитки матриархата у сарматов, ВДИ, 1947, № 3.

<sup>54</sup> Подробнее об этом см. А. М Х а з а н о в. Материнский род у сарматов. ВДИ, № 2, 1970, стр. 138—148.

<sup>55</sup> Картлис Цховреба, т. 1, стр. 42.

<sup>56</sup> Приключения нарта Сасрыквы, стр. 19—20.

<sup>57</sup> Ш. Х. С а л а к а я. Абхазский народный героический эпос, стр. 42.

уже отмечалось в литературе, некоторые исследователи нартского эпоса усматривают матриархат «всюду, где женщина еще сохраняет, так сказать, человеческое подобие... Даже и в фигуре Сатаны-Сатаней, несомненно матриархальной, архаические матриархальные черты исследователи нередко смешивают с чертами, характерными и для позднейшего времени»<sup>58</sup>. Именно такое положение мы и имеем в данном случае.

Сравнение между собой образов главных героинь абхазских, адыгских и осетинских нартских сказаний не выявляет в образе абх. Сатаней-Гуаши каких-либо существенных черт, если не считать отмеченных У. Б. Далгат богатырских качеств<sup>59</sup>, которые резко выделяли бы ее из этого круга. Подобно осетинской Сатане, Сатаней-Гуаша также найдется замужем, хотя ее мужем, в отличие от осетинского Уырызмага, является Хныш или Хмыш, т. е. Хамыц, который, кстати, в некоторых «отклоняющихся осетинских вариантах уже играет эту роль»<sup>60</sup>. Отметим, что Химиш, т. е. Хамыц, в роли мужа Сатаней фигурирует и в кабардинском сказании о Пшибадиноко<sup>61</sup>, хотя и в кабардинских превалирует в основном брачная пара Сатаней и Орземэдж, не характерная, правда, для адыгского эпоса в целом<sup>62</sup>. И если даже абхазский Хныш-Хмыш не играет в сказаниях той роли, которую в осетинском эпосе играет «глава нарт» Уырызмаг, то в трактовке образа Сатаней это обстоятельство в общем мало что меняет. Поэтому приводимые А. А. Аншбой аргументы в доказательство архаичности абхазских сказаний лишены научной основы. А ведь для объяснения «архаичности» абхазских нартских сказаний существует более рациональное толкование.

Как отмечает Г. В. Цулая, архаизм нартских сказаний в сравнении с осетинским нартским эпосом объясняется тем, что осетины унаследовали данный эпос от своих непосредственных предков сармато-алан (мы бы добавили еще «и скифов» — Ю. Г.), а абхазо-адыги — от стоящих на более архаичном социально-экономическом уровне синдо-меото-сарматов. В среде последних предки абхазо-адыгских племен занимали значительное место и, следовательно, абхазские сказания отразили исторически более архаичную ступень родового строя<sup>63</sup>. Можно соглашаться или не соглашаться с этим положением, но умолчание о нем, разбирая вопрос об архаичности абхазских нартских сказаний, является, вероятно, не лучшим способом полемики. Во всяком случае, руководящую роль Сатаней-Гуаши следовало показать на основании данных сказаний, а не ссылками на общеизвестный характер этого явления. К

<sup>58</sup> Я. С. Смирнова. Военная демократия в нартском эпосе. СЭ, 1965, № 1, стр. 66—67. Следует отметить, что Ж. Дюмезиль вообще отрицает наличие каких-либо матриархальных черт в образе Сатаны, считая, что нет никаких оснований говорить о матриархате лишь по той причине, что эпос представляет столь большое место героине. См. G. Dumézil, *Mythe et épopée*, p. 552.

<sup>59</sup> См. У. Б. Далгат. Кавказские богатырские сказания древних циклов и эпос о нартах. — «Сказания о нартах», стр. 158—159.

<sup>60</sup> Г. Дюмезиль. Брат и сестра. ИСОНИИ, т. XXVII, 1968, стр. 182.

<sup>61</sup> Из кабардинских сказаний о нартах. ССКГ, вып. V, 1871, отд. 2, стр. 61; Л. Г. Лопатинский. Кабардинские тексты, стр. 32.

<sup>62</sup> См. А. И. Аллева. Адыгский нартский эпос, стр. 68—69.

<sup>63</sup> Г. В. Цулая. Следы религиозно-мифологических представлений в абхазском нартском эпосе. СЭ, 1966, № 5, стр. 141; он же, Историческая интерпретация основных образов абхазского героического эпоса, стр. 9.

этому следует добавить, что, говоря об этническом происхождении цикла Сатаны в нартском эпосе, нельзя, видимо, пройти и мимо того, что ни абхазский и ни адыгский циклы в отличие от осетинского эпоса, не содержат сказания о рождении главной героини нартов.

Вторым аргументом сторонников абхазо-адыгского происхождения ядра нартиды является ссылка на образ Сосруко-Сасрыквы, причем и данное положение не столько доказывается, сколько преподносится как нечто само собой разумеющееся. А. А. Аншба, к примеру, считает легенду о рождении Сосруко (Сасрыквы) исключительной принадлежностью абхазо-адыгской этнической среды, видя в этом одно из подтверждений абхазо-адыгского происхождения ядра эпоса. Между тем легенда о чудесном рождении героя из камня не является уникальным мотивом не только абхазо-адыгской, но и кавказской среды вообще. В литературе уже давно было обращено внимание на близость кавказских сказаний о камнерожденном герое к аналогичным мифам Малой Азии — рождении божества Митры, его сына Диорфа, богини Кибелы, демонического существа Агдистиса — причем наибольшую близость к ним обнаруживают осетинские и связанные с ними ингушские варианты<sup>64</sup>.

Специальную статью проблематике кавказских мифов о камнерожденном герое посвятил Клаус Е. Мюллер, который также пришел к заключению, что «камнерожденные» герои северокавказского эпоса во всех своих основных элементах находят «удивительные соответствия исключительно в среде верований древней Анатолии»<sup>65</sup>.

Недавно в литературе было высказано положение о том, что сказание о закалке Ахилла в священных водах Стикса (т. е. мотив «ахиллесовой пяты»), отсутствующее в «Илиаде» Гомера и впервые ставшее известным лишь в римское время, возникло под влиянием скифов Причерноморья, в греческих колониях которого культ Ахилла был особенно широко распространен<sup>66</sup>. В связи с этим нельзя не указать, что по одному из осетинских вариантов сказания о рождении Сослана (Созырыко) Дзерасса, дочь водного божества Донбеттыра, с целью закалки новорожденного героя, окунает его в воды реки<sup>67</sup> (в сказании о закалке Ахилла эту процедуру также совершает его мать, морская богиня Фетида). Видимо, нелишне также упомянуть, что в дореволюционных публикациях даже адыгских нартских сказаний, не говоря уже об абхазских и балкаро-карачаевских, сказание о закалке Созырыко не встречается<sup>68</sup>.

Обо всем этом А. А. Аншба хранит полное молчание, словно исследований по данному вопросу и не существует. Поскольку это не единственный случай, то невольно возникает вопрос — что это, сознательное игнорирование существующей литературы или нечто другое? Как бы то

<sup>64</sup> В. Ф. Миллер. О сборнике материалов для описания местностей и племен Кавказа, издаваемом Управлением кавказского учебного округа. Т., 1893, стр. 91. Н. С. Трубейской). Кавказские параллели к фригийскому мифу о рождении из камня (—земли). ЭО, 1908, № 3, стр. 90—91.

<sup>65</sup> K l. E. M ü l l e r. Zur Problematik der kaukasischen Steingeburt-Mythen. «Antropos» Freiburg, 1966, B. 66, N 3/6, S. 509.

<sup>66</sup> F r. T h o r d a r s o n. Die Ferse des Achilleus—ein skythisches Motiv? «Symbolae Osloenses», fasc. XLVII, 1972, S. S. 109—124.

<sup>67</sup> См. В. Я. Иксуль. Полное собр. соч., т. III, 1912, стр. 17.

<sup>68</sup> См. Л. Г. Лопатинский. Кабардинские тексты, стр. 1—57; К. А. та жукин. Из кабардинских сказаний о нартах. ССКГ, вып. V, отд. 2, 1870, стр. 53—71.

ни было, аргументы, приводимые А. А. Аншбой, не имеют доказательной силы.

Обращает на себя внимание, что в ранних публикациях абхазских сказаний нарты, как правило, характеризуются как выходы с территории исторической Алании: «Нартаа были из Кабарды...»; «Жили все они по правой стороны реки Кубани (Кубана)...», «Нарты родом из Кубани (Ашэ)<sup>69</sup>. Видимо не случайно, что все основные события, связанные с абхазскими нартами, происходят именно в долине р. Кубани<sup>70</sup>, что ясно указывает на пути проникновения нартских сказаний в абхазский фольклор. Правда, в позднейших публикациях к названию р. Кубани нередко добавляется уже название р. Бзыби<sup>71</sup>, а сами нарты, видимо по аналогии с этим, прямо именуются абхазами и населяют Абхазию<sup>72</sup>. Следует однако заметить, что отождествление нартов с абхазами, не находящее аналогий ни в одной из национальных версий нартиады, не имеющие корней в самом абхазском фольклоре, является, на наш взгляд, не столько осмысленным сказителей, соответствующим характеру мышления и мировосприятия самих сказителей<sup>73</sup>, сколько результатом редакторских правок и дополнений.

Таковы некоторые замечания по поводу работы А. А. Аншбы. В ней поднимается и ряд других вопросов в частности, о сюжетном составе национальных версий нартиады, об этногенезе осетин, о соотношении имен Сослан и Созырыко и т. д., которые не нашли отражения в данной статье. Автор этих строк оставляет за собой право вернуться к ним.

<sup>69</sup> Абхазские сказки, Под ред. А. Хашба и В. Кукба. Сух., 1935, стр. 37, 55; В. И. Абаев. Осетинский язык и фольклор., 1, стр. 321.

<sup>70</sup> См. Ш. Д. Инал-Ипа. Об абхазских нартских сказаниях, стр. 86, 91, 93, 100, 103, 108; Абхазские сказки. Сост. Х. С. Бгажба. Сух., 1959, стр. 47, 73; Абхазские сказания. Сост. Б. Шинкуба, Сух., 1961, стр. 40, 66, 69—72.

<sup>71</sup> Приключения нарта Сасрыквы, стр. 16, 50.

<sup>72</sup> Отождествление нартов с абхазами впервые, кажется встречается в сборнике «Абхазские сказания», сост. Б. Шинкуба, Сух., 1961, стр. 31; см. также «Приключения нарта Сасрыквы», стр. 48.

<sup>73</sup> Ш. Д. Инал-Ипа. Об абхазских нартских сказаниях, стр. 108.

(Представил Юго-Осетинский научно-исследовательский институт АН ГССР)

## 6060 ცოფრაფიკი

## ოთიკის შედგენილობისათვის

## (ქართული ხელნაწერები)

„ოთიკის“ სათაურის ქვეშ, ჩვეულებრივ ასახელებენ შემდეგ ქართულ ხელნაწერებს. ესენია: Ath—49 (32), 981 წ, Jer—105 (14), (7), 1055 წ, H—2251, X—XI სს. A—394 (?), A—100, 1713 წ., S—376, 1798 წ., A—181, 1816 წ.<sup>1</sup>. მათ განხილვას დავიწყებთ პირველი, ექვთიმეს სიცოცხლეში ათონის მთაზე გადაწერილი ხელნაწერით. მართალია იგი საქართველოში არ არის დაცული, მაგრამ აღწერილია ორჯერ, ჯერ ცაგარლის<sup>2</sup> (49), ხოლო შემდეგ დეტალურად რ. ბლეიკის<sup>3</sup> მიერ (32). ასე რომ აღწერილობაზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება მისი მნიშვნელობის გათვალისწინება „ოთიკის“ შედგენილობის შესწავლის საქმეში. აღმწერელთა მითითებით, ეს ხელნაწერი შესანიშნავ ეგზეგეზალარს წარმოადგენს, ნაწერი შესრულებულია ლამაზი ხელით პერგამენტზე, შედგება 200 ფურცლისაგან. დართული აქვს ანდერძი: „ქრისტე, ადიდე სულითა მამაჲ იოვანე და შვილი მათი სულიერი ეფთიმე, ამისი თარგმანი, და მეცა შემეწყალე გლახაკი საბა, ამისი უცბად მწერალი. ლოცვა ყავთ წმიდანო ღმრთისანო... მე, იოვანე, ღირს ვიქმენ მოგებად წმიდისა ამის წიგნისა, რომელ თარგმნა შვილმან ჩემმან ეფთიმე ბერძნულსაგან და შრომაჲ დიდი ვაჩუენეთ ამას ზედა საცხენებლად სულისა ჩუენისა. აწ ვინცა მიემთხვნეთ წმიდათა ამათ სიტყუათა ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისთა, განმანათლებელთა სულისათა, ღმერთმან დაგაჯეროს. ლოცვასა მოგვიკისენენით, მე, იოვანე და სულიერად და ქორციელად ძმაჲ ჩემი, იოვანე თორნიკ ყოფილი და შვილი ჩემი ეფთიმე, რომელმან თარგმნა ესე და სულიერნი ძმანი ჩუენნი: არსენი, თეოფა-

<sup>1</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ლიტერატურა: 1. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, ტფილისი, 1892. 2. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1<sup>4</sup>, თბილისი, 1960. 3. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957. 4. ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოციელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თბ., 1968. 5. ე. ხინთიბიძე, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969. 1965 წელს, პროფ. თ. ჭყონიამ გამოცა „ოთიკის“ შემადგენელი ერთი თავი, „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილის დავყებოსათჳს სოლომონის რეგელისა“, და მოუთხა, რომ ბასილის ეს თხზულება არის იოანე პეტრიწის ორიგინალური შრომის „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონისა ფილოსოფიისათჳს“ ბოლოსიტყვაობის კიდევ ერთი წყარო. იხ. თ. ჭყონია, იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობის ახალი წყაროს შესწავლისათვის, ძველი ქართული მწერლობის ოთხი ტკელი, თბ., 1969, გვ. 69—125.

<sup>2</sup> А. Цагарели, Каталог грузинских рукописей и старопечатных книг Иверского монастыря на Афоне, составлен в июне месяце 1884 года, გვ. 14.

<sup>3</sup> Catalogue des manuscrits georgiens de la Bibliotheque de la Laure d'Iviron au mont Athos, Paris, 1931—1934, გვ. 150—155.



ნე და გიორგი და თქვენ უფალმან მოგანიჭონ. დაიწერა მთას წმიდას ათონას, სამყოფელსა წმიდისა ღმრთის მშობელისასა, მონასტერსა წმიდისა იოვანე მახარებელისასა. ინდიკტიონსა ე, დასაბამითგან წელთა ხკჰე“. ანდერძიდან ირკვევა, რომ ხელნაწერი გადაიწერა ათონის მთაზე, წმინდა იოანე მახარებლის მონასტერში 981 წელს. მასში შემავალი თხზულებები ბერძნული ენიდან უთარგმნია ექვთიმე ათონელს. ანდერძში მოხსენიებულნი არიან მისი მამა იოანე, იოანეს „ხორციელი“ ძმა, იოანე თორნიკ-ყოფილი, მათი ახლობლები და თანამედროვენი.

„ითიკის“ ხელნაწერთაგან Ath—49 ერთადერთია, რომელიც ყველაზე დიდ მსგავსებას ამჟღავნებს განსაზღვრული ჯგუფის ბერძნულ ხელნაწერებთან<sup>4</sup>. გავითვალისწინეთ რა, რომ უძველესი ქართული ხელნაწერი ათონის მთაზეა გადაწერილი, ყურადღება გავამახვილეთ სწორედ ათონურ ბერძნულ ხელნაწერებზე, განსაკუთრებით კი მათში ყველაზე უძველეს ექვს იშვიათ ხელნაწერზე, რომლებიც X—XI საუკუნეებს განეკუთვნება. აღმოჩნდა რომ სწორედ ათონური კრებულები, ისევე როგორც ქართული ხელნაწერი იწყება ორი თავით: Ieiun. I (მარხვისათვის I), Ieiun. II (მარხვისათვის II)<sup>5</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ Ath—49-ში გაუგებარი მიზეზების გამო გამოტოვებულმა ჰომილიებმა გვიან გადაწერილი „ითიკის“ შედარებით სრულ ხელნაწერებში დაიკავეს ზუსტად იგივე ადგილი, რაც ჰქონდათ ამ თავებს ათონურ ბერძნულ კრებულებში.

Ath—49 ოცდამეხუთს თავს შეიცავს. აქედან ბასილის კალამს მხოლოდ 19 ჰომილია განეკუთვნება, რომელთაგან 18-ს მყარი ადგილი უჭირავს ათონურ ბერძნულ ხელნაწერებში. დანარჩენი თავებიდან პირველი ორი თხზულება ეკუთვნის გრ. ნაზიანზელსა და გრ. ნოსელს. ესენია: „ცხოვრება და შესხმა წმიდისა და ღმერთშემოსილისა ბასილისი“ (1v—47v), „ფრიად მაძიებლბა მე...“ და „შესხმა წმიდისა და დიდისა ბასილის, ძმისა თვისისა“ (48r—58r) „კეთილ წესიერება დადვა ღმერთმან...“ გრ. ნაზიანზელს ეკუთვნის აგრეთვე: „შესხმა წმიდათა მკაბელთაჲ“ (255r—265r), „რაიმე ვთქუთ მკაბელთათჳს...“ (PG, 35, 911—934) როგორც კ. კეკელიძე მიუთითებს<sup>6</sup>, ორი მომდევნო ჰომილიის ავტორი უნდა იყოს ანდრია კრიტელი. პირველია: „შესხმა წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი...“ (265r—280v), „მარადის ბრწყინვალე...“ (PG, 97, 1169—1192). მეორეა: „თქუმული პატრონისა ცხოველს მყოფელისა ჯუარისა აღმაღლებისა თჳს...“ (280v—287r), „ჯუარისა კრებას აღვასრულებთ...“ (PG, 97, 1017—1036). ბასილის კალამს განეკუთვნება ჰომილია: „მცვალებისა თჳს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის მშობელისასა და მარადის ქალწულისა მარიამისი“. (287r—315r), „საიდუმლო არს დიდებული...“ (როგორც აკად. კ. კეკელიძე მიუთითებს, არსებობს ამ თავის სამი რედაქცია. მესამე რედაქციას წარმოადგენს დასახელებული თხზულება)<sup>7</sup>.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ Ath—49 არღვევს ბერძნულ ხელნაწერთა მყარ ტრადიციას. იგი არ შეიცავს ფსალმუნებზე აგებულ არც ერთ ჰომილიას. ეს ფაქტი ხელს არ უშლის, რომ ათონური ბერძნული ხელნაწერების ძი-

<sup>4</sup> ივლინსკიძე ვ. ე. A ჯგუფის ხელნაწერები. იხ. ნ. ცოფურაშვილი. ითიკის შედგენილობისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1973, № 2. წარმომავლობის გამო მათ ჩვეულებრივ ათონურსაც ვუწოდებთ.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 101.

<sup>6</sup> კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, გვ. 19.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 21.

როთადი ნაწილის (საუბრების) და Ath—49-ის შედგენილობისა და თავების თანამიმდევრობის შედარებამ კიდევ ერთხელ დაასაბუთოს მათი ნათესაობა.

1. Περὶ νηστείας λόγος A. (Ieiun. I). 1. მარხვისა თვს, „დაპვერეთ ნესოტსა ახალსა...“ (58r—68r).
2. Περὶ νηστείας λόγος B. (Ieiun. II). 2. მარხვისა თვს ვე. თავი მეორე. „ნუგეშინის სცემლით მღღელნო...“ (68r—74v).
3. Ὁμιλία εἰς τὸ πρόσωπον σεαυτοῦ. (Attende.) 3. სიტყვსა მის თვს მოსე წინადაწარმეტყუელისა, რომელსა იტყვს: ეგრძალე თავსა შენსა. „ეგრძალე თავსა შენსა...“ (75r—85v).
4. Περὶ εὐχαριστίας. (Grat. act!). 4. მადლობისა თვს. „აჰა ესერა გესმენს სიტყუანი...“ (86r—95v).
5. Εἰς τὴν μάστιγα Ῥουλίτταν. (Iulitta). 5. ივლიტა მოწამისა თვს და ნაკულევენებისა თვს პირველ თქუმულისა მის თავისა და მადლობისა თვს ვე. „კრებაჲ ესე ეკლესიისაჲ...“ (95v—108r).
6. Ὁμιλία ὅτι οὐκ ἔστιν αἰτιος τῶν κακῶν ὁ Θεός. (Deus non auct.). 6. ვითარმედ არა არს ღმერთი მიზეზ ბოროტთაჲ. „მრავალ არიან სახენი იგი სწავლისანი...“ (108r—120r).
7. Ὁμιλία κατὰ ὀργισομένων. (Ira). 7. მრისხანეთა თვს. „ვითარცა სწავლანი იგი მკურნალთანი...“ (120r—136r).
8. Περὶ φθόνου. (Invidia). 8. ეს თავი ქართულ ხელნაწერს აკლია.
9. Εἰς τὸ ῥητόν τοῦ κατὰ Λουκᾶν. (Destruam) 9. სიტყვსა მის თვს ლუკაჲს სახარებისა, რომელი იტყვს მდიდრისა მის თვს, ვითარმედ დეარლუნე საუნჯენი და უდიდესნი აღვაშენნე და ანგაპრებისა თვს. „ორკერძო არს სახე...“ (136v—144v).
10. Ὁμιλία πρὸς τοὺς πλουτοῦντας. (Divites). 10. მდიდართა მიმართ. „თქუმულ არს პირველცა...“ (144r—184r).
11. Ὁμιλία ῥηθεῖσα ἐν λιμῷ καὶ ἀσχμῷ. (Fam. et sicc.) 11. ეს თავი ქართულ ხელნაწერს აკლია.
12. Εἰς τὴν ἀρχὴν τῶν Παροιμιῶν. (Princ. Prov). 12. ეს თავი ქართულ ხელნაწერს აკლია.
13. Προτρεπτικὴ εἰς τὸ ἅγιον βάπτισμα. (Bapt.) 13. წმიდისა ნათლის ღებისა თვს. „ბრძენი სოლომონ...“ (184r—195v).
14. Κατὰ μεθύοντων. (Ebrios). 14. ამ თავმა ქართულ ხელნაწერში ადგილი შეიცვალა.
15. Ὁμιλία περὶ πίστεως. (Fide). 15. სარწმუნოებისა თვს წმიდისა სამებისა. „მარადის კსენებაჲ ღმრთისა...“ (195v—200r).

- |   |   |
|---|---|
| 16. Eis tò, „Ἐν ἀρχῇ ἦν ὁ λόγος“.<br>(Princ. Joh.).   | 16. დაწყებისა თვს იოვანეს სახარებდისა, ვითარმედ პირველითვან იყო სიტყუაჲ. „ყოველნივე იგი სიტყუანი...“ (200r—205r).                             |
| 17. Ὁμιλία περὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος.<br>(Sp. S).  | 17. სულისა წმიდისა თვს. „რომელი ნათელ იღებდეს...“ (205r—210v).  |
| 18. Eis Barlaám márturα. (Barlaam).   | 18. ეს თავი ქართულ ხელნაწერს აკლია.   |
| 19. Eis Górdιον τὸν márturα (Gordius).  | 19. ეს თავი ქართულ ხელნაწერს აკლია.   |
| 20. Eis τοὺς ἁγίους τεσσαράκοντα márturαs. (XL mart.).  | 20. შესხმაჲ წმიდათა ორმოც მოწამეთაჲ. „მარტულთა ქსენებაჲ ოდესმცა იქმნა...“ (210v—219v).  |
| 21. Ὁμιλία ῥηθεῖσα ἐν Λακίζοις. (Lacizis).  | (14) მომთრვალეთა თვს. „აღმძრვენ მე სიტყუად...“ (219v—228v).   |
| 22. Περὶ ταπεινοφροσύνης. (Humilit).  | 21. სწავლაჲ, რომელ თქუა ლაზიკეს ქალაქსა. „ისწრაფის მტერი ჩუენი...“ (229r—236r).   |
| 23. Περὶ τοῦ μὴ προσηλῶσθαι τοῖς βιωτικαῖς καὶ περὶ τοῦ γενεαμένου ἐμπρηγματοῦ ἕξομεν τῆς ἐκκλησίας.<br>(Mund. adh.). | 22. სიმდაბლისა თვს. „უქმდა კაცსა რაჲთამცა დადგომილ იყო...“ (236r—243v).   |
| 24. Πρὸς τοὺς νέους. „Ὁπως ἂν ἐξ Ἐλληγνικῶν ὠφελῶνται λόγῳ“.<br>(Adolesc.).   | 23. არა შექცევისა თვს საქმეთა სოფლისათა და ცეცხლისა მის თვს, რომელი შეედვა მაშინ კესარიელთა ქალაქსა. „მე ვგონებდი საყუარელნი...“ (243r—255r). |
| 25. Ὁμιλία εἰς τὴν ἁγίαν τοῦ Χριστοῦ γέννησιν. (Chr. gen.).   | 24. ეს თავი ქართულ ხელნაწერს აკლია.   |
|   | 25. ეს თავი ქართულ ხელნაწერს აკლია.   |

ბერძნულ-ქართულ ხელნაწერთა პირველი ცამეტი თავი უცვლელად მიჰყვება ერთმანეთს, თუ არ ჩავთვლით სამ ჰომილიას Invidia, Fam. et sicca, Princ. Prov, რომელთაც ქართულს ხელნაწერი საერთოდ არ შეიცავს. ბერძნული ხელნაწერების მეთოთხმეტე თავმა ქართულში ადგილი შეიცვალა. მისმა ამოღებამ საერთო რიგიდან ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ შესადარებელ ხელნაწერთა თავების თანამიმდევრობა ერთნაირია და თანამიმდევრობის დარღვევა ერთადერთმა თხზულებამ გამოიწვია. ზემოთ დასახელებული სამი თავის გარდა, ქართულ ხელნაწერს ბერძნულთან შედარებით კიდევ აკლია: Barlaam, Gordius, Adolesc., Chr. gen.

ასე რომ, მართალია Ath—49 ნაკლულია, მაგრამ თავების თანამიმდევრობის მიხედვით იგი უფრო ახლოს დგას უძველეს ათონურ ბერძნულ კრებულებთან, ვიდრე საზოგადოდ ბერძნული ხელნაწერები ერთმანეთთან. ამგვარად, ადვილად შეიძლება დავუშვათ, რომ ექვთიმეს ხელთ ჰქონია სწორედ ათონური წარმოშობის უძველესი კრებული ან კრებულები და იმით უსარგებლია. კონ-

კრეტულად ამ ხელნაწერების განსაზღვრა, ჩვენი აზრით, საერთოდ შეუძლებელია.

რადგან ამ კრებულის თარგმნა იქცა იმდროინდელი საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მოვლენად, მეფე დავით კუროპალატმა საქართველოდან ათონზე გაგზავნა ბერი იორდანე, რომელმაც ხელნაწერი გადაწერა და ჩამოიტანა. აქედან იწყება საქართველოში დაცული „ითიკის“ ხელნაწერების ისტორია. თითოეულ მათგანს დართული აქვს ტრადიციული ანდერძი, სადაც მთარგმნელის, ექვთიმეს გვერდით მოიხსენება „კურთხეული მამა იორდანე, ამ კრებულის გადაწერი“.

„ითიკის“ მეორე ნუსხა, რომელიც უძველესია საქართველოში დაცულ ხელნაწერთა შორის, ცნობილია H—2251 ნომრით<sup>8</sup>. იგი „მთარგმნელის ავტოგრაფიდან არის გადაწერილი“<sup>9</sup>. ხელნაწერი ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში. ნაწერი შესრულებულია ეტრატზე, ნუსხური დამწერლობით. ზომა 26×20. შედგება 419 ფურცლისაგან. ხელნაწერი ნაკლულია; აკლია პირველი და ბოლო თავის დიდი ნაწილი. ეტრატი დაჭრილია. ხელნაწერს დართული აქვს ანდერძები და მინაწერები.

46r-ზე მოთავსებული ანდერძი დედნიდან უნდა მომდინარეობდეს. „ესე ბრძანებაჲ ეფთიმესი არს. წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთიმესთჳს, რომელმან ესე ვთარგმენ და ღმრთისათჳს. ვინცა გარდასწარდეთ ამას, დაწერეთ ჩემიცა სახელი და ნუ აღმომკოცთ მეცა გლახაკსა, რამეთუ ამისთჳს თავს მიც ფრიადი შრომაჲ სწავლასა და თარგმანობასა ამისსა, რაათა მილოცვიდეთ და ლოცვა ყავთ ღმრთისათჳს კურთხეულისა ამის მამისა იორდანესთჳს, რომელმან ფრიადი შრომაჲ თავს იღვა და მოვიდა ქართლისა ქუეყნით საბერძნეთს, მთაწმიდას [ჯერ] ღმრთისათჳს თავად და მერმე ბრძანებისათჳს დავით ქართველთა მეფისა და თავს იღვა ჭირი და დაწერა წმიდაჲ ესე წიგნი. აწ ვინცა იკითხვიდეთ ღმერთმან დაგაჯეროს. ლოცვა ყავთ ჩუენ ყოველთათჳს“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგი დროის გადაწერებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ექვთიმე მთარგმნელის ვედრება და ეს ანდერძი უცვლელად გადაუტანიათ „ითიკის“ გვიანდელ ხელნაწერებში.

ვეტიკრობთ გადაწერის ანდერძს უნდა წარმოადგენდეს 344r-ის მთელ სიგრძეზე მოთავსებული მინაწერი, რომელიც რაღაც მიზეზების გამო თითქმის მთლიანად ამოუფხვიათ. რამდენიმე ამოკითხულ სიტყვაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აქ იორდანე უფალს შესთხოვს შეწევნას ძნელ საქმეში (იგულისხმება ხელნაწერის გადაწერა), რათა შეასრულოს სურვილი დავით ქართველთა მეფისა. გადაწერს უნდა ეკუთვნოდეს 291r-ზე მოთავსებული მინაწერიც: „ლოცვა ყავ[თ] მამი[საჲ] იოვანესთჳს და საყუარელისა შვილისა მათისა ეფთიმესთჳს, რომელმან თარგმნა ესე წიგნი. ღმერთმან დაგაჯეროს, და საწყალობელ[ი] იორდანეცა, რომელ მივიწიე წერად. ლოცვა ყავთ“.

ამ ხელნაწერის შედგენილობის განხილვასთან დაკავშირებით უნდა გარიკვეს ორი საკითხი: I. თუ H—2251 მართლაც ავტოგრაფიდან არის გადაწერილი ათონის მთაზე, რა ურთიერთობაა მაშინ მასსა და იმ ერთადერთ (შესაძლებ-

<sup>8</sup> ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), V, შედგენილია და დასაბუქდალ მომზადებული ლ. მეფარიშვილისა და ე. ვერსალაძის მიერ, ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 179—181.

<sup>9</sup> თ. ჭყონია, ათანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობის..., გვ. 88.

ბელია არსებობდა სხვა(ც) ათონურ ხელნაწერს შორის, რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ. რა აქვს ამ ორ ხელნაწერს საერთო და განსხვავებული, რა თავისებურება ახასიათებს პირველს მეორესთან შედარებით? II. რა გავლენა მოახდინა თვითონ ამ ხელნაწერმა „ითიკის“ გვიანდელ ნუსხებზე, რამდენად უსარგებლიათ მისით შემდეგი დროის გადაწერებს.

უნდა აღინიშნოს, რომ H—2251, მსგავსად Ath—49-ისა, არ შეიცავს ფსალმუნებზე დაწერილ არც ერთ ქადაგებას, ორივე ხელნაწერი ერთნაირი რაოდენობით შეიცავს სხვა ავტორთა ერთსა და იმავე თხზულებებს. ხოლო განსხვავება მათ შორის იწყება პირველივე თავიდან<sup>10</sup>. H—2251-ში ამ ადგილს მოულოდნელად იკავებს ბასილის თხზულება: „ნათლისღებისათვისვე, რომელი იკითხვის ზვალისა დღე განცხადებისა“. (61v—104v). ამ ხელნაწერის მომდევნო 7 თავი და Ath—49-ის პირველი შვიდი თავი ერთნაირია. შემდეგ მდგომარეობა კვლავ იცვლება. H—2251-ის მეორე თავს „...შურისათვის“ (204v—214v) Ath—49 არ იცნობს. ამ თავს მოსდევს ორი, შინაარსით ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული თხზულება: „თქმული... სიტყვისა მისთვის ლუკაჲს სახარებისა, რომელ იტყვის მდიდრისა მისთვის, ვითარმედ დავარღუნე საუნჯენი ჩემნი და უდიდესნი აღვაშენე და ანგაპრებისათვის“ (214r—226r) და „თქმული... მდიდართა მიმართ“ (226r—239r), სწორედ ისევე, როგორც Ath—49-ში. ძირითადი განსხვავება ამ ორ ხელნაწერს შორის იწყება H—2251-ის მეტერთმეტე თავიდან.

H—2251

Ath—49

სწავლად ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილ კესარიელისა, რომელ თქუა ჟამსა სიყმილისა და უწუიშროებისასი (239r—254r). „ლომბან იყვნა და ვინ არა შეშინდეს...“.

თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, დაწყებისათვის სოლომონის იგავთაჲსა (254r—278r). „კეთილ არს ნაყოფი იგი მორჩილებისაჲ“.

თქმული წმიდისა ბასილისი მომთრვალეთათვის, რომელი თქუა შემდგომად აღუსებისა დღითა ერთითა (278r—291r). „აღმძრვენ მე სიტყუად საქმენი იგი მწუხრისა...“

წმიდისა ნათლისღებისა თვის (184r—195v). „ბრძენი სოლომონ...“

სარწმუნოებისა თვის წმიდისა სამებისა (195v—200r). „მარადის ქსენებაჲ ღმრთისაჲ...“

დაწყებისა თვის იოვანეს სახარებისა, ვითარმედ პირველითგან იყო სიტყუაჲ (200r—205r). „ყოველივე იგი სიტყუანი...“.

სულისა წმიდისა თვის (205r—210v). „რომელი ნათელ იღებდეს...“

შესხმაჲ წმიდათა ორმოც მოწამეთაჲ (210v—219v). „მარტვლთ ქსენებაჲ ოდესმცა იქმნა...“

მომთრვალეთა თვის (219v—228v). „აღმძრვენ მე სიტყუად...“

<sup>10</sup> ამ შემთხვევაში არ ვთვლით გრ. ნაზიანზელისა და გრ. ნოსელის სახატბო სიტყევებს.

ამ თხზულებების შემდეგ ორივე ხელნაწერში მოდის Ath—49-ში ბასილის ქადაგებათა დამაბოლოებელი სამი ჰომილია: 1. სწავლაჲ... რომელ თქუა ლაკიზეს შინა ქალაქსა (291r—301v). „ესწრაფის მტერი ჩუენი...“. 2. თქუმული... სიმდაბლისათჳს (301v—311v). „უქმდა კაცსა...“. 3. თქუმული... არა შექცევისათჳს საქმეთა სოფლისათა და ცეცხლისა მისთჳს, რომელ შეედგა მაშინ კესარიელთა ქალაქსა (311v—328r). „მე ვჰგონებდი საყუარელნო...“ და სხვა ავტორთა კუთვნილი თხზულებები<sup>11</sup>. ამ თავებით მთავრდება Ath—49, ხოლო H—2251, ამის შემდეგ კვლავ შეიცავს ისევ ბასილ კაპადოკიელის ორ თხზულებას: 1. თქუმული მისივე, სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა<sup>12</sup> (413v—419v). „მარადის ქსენებაჲ ღმრთისაჲ...“. 2. მისივე, ... თქუმული დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისა, ვითარმედ პირველითგან იყო სიტყუაჲ (419v—?)<sup>13</sup>. „ყოველნივე იგი სიტყუანი...“.

ადრევე აღინიშნა, რომ Ath—49 ათონურ ბერძნულ ხელნაწერებთან შედარებით ნაკლებია. მათში შემავალი 25 თავიდან Ath—49 შეიცავს ბასილის თერამეტ ჰომილიას. აი, ის შვიდი თხზულება, რომელიც აკლია ქართულ ხელნაწერს: 1. Invidia, 2. Fam. et sicc., 3. Princ. Prov., 4. Barlaam, 5. Gordius, 6. Adolesc., 7. Chr. gen. H—2251-იც ასევე ნაკლებია ბერძნულ ხელნაწერებთან შედარებით. მას აკლია ზემოთ ჩამოთვლილი ჰომილიებიდან ოთხი უკანასკნელი და ორი ის თხზულება (სულისა წმიდისათჳს და შესხმაჲ წმიდათა ორმოც მოწამეთაჲ), რომელსაც საკმაოდ მტკიცე ადგილი უჭირავს ათონურ ქართულ ხელნაწერში. სამაგიეროდ H—2251, ჩვენთვის უცნობი წყაროდან იმატებს Ath—49-ში არ არსებულ თავებს: „მურისათჳს“, „სწავლაჲ... რომელ თქუა ჟამსა სიყმილისა და უწუიშროებისაჲ“ და „... დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაჲსა“. ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ ამ სამ ჰომილიას ხელნაწერი ბოლოში კი არ დაირთავს, როგორც დამატებით თავებს, არამედ უჩენს მათ „საკუთარ“ ადგილს თხზულებათა თანამიმდევრობაში. მხოლოდ ბერძნული ხელნაწერების დახმარებით გახდა ნათელი მათი ამგვარი განლაგების მიზეზი. სამივე ზემოთ დასახელებულ ჰომილიას H—2251-ში უჭირავს ზუსტად იგივე ადგილი, რაც ამავე თავებს ბერძნულ ხელნაწერებში. ისინი განლაგებულნი არიან ათონურ ბერძნულ ხელნაწერებში არსებული მდგომარეობის შესაბამისად. ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა ჰომილია „თქუმული... მომთრვალეთათჳს“, რომელსაც Ath—49-ში ბერძნულ კრებულთაგან განსხვავებული ადგილი ეკირა.

H—2251 ვეთავაზობს კიდევ სხვა ცვლილებებს თავების განლაგებაში. სრულიად მოულოდნელია ორი თხზულების „თქუმული... სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა“ და „თქუმული... დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისა, ვითარმედ პირველითგან იყო სიტყუაჲ“ ხელნაწერის ბოლოში, სხვა ავტორთა თხზულებების შემდეგ გადატანა. ეს თავისებურებები ახასიათებს ერთმანეთთან მიმართებაში ორ, უძველეს ქართულ ხელნაწერს. რით ხელმძღვანელობდა გადამწერი, როდესაც Ath—49-ში გამოტოვებულ თავებს H—2251-ში, ბერძნულ ხელნაწერებში არსებული მდგომარეობის მიხედვით მიუჩინა ადგილი და საერ-

<sup>11</sup> ამ თავებზე უკვე გეჰონდა საუბარი Ath—49-ის განხილვისას.

<sup>12</sup> ამ ხელნაწერის აღწერილობაში აღწერალებს გამოტოვებით ორი თავი. უკვე მითითებული და მარჯვისათჳს, თავი ბ. (119v—129v).

<sup>13</sup> როგორც აღნიშნული იყო, ხელნაწერს აკლია დასაწყისი და ბოლო. უკანასკნელი თავი თითქმის დაწყებულია და წყდება.

თოდ რამ გამოიწვია მათ შორის არსებული განსხვავებანი? მიზეზების დადგენა გავეჭირდებამ. ერთი კი ცხადია, ამ ორ ხელნაწერს შორის არ უნდა არსებობდეს პირდაპირი კავშირი. H—2251 არ უნდა მომდინარეობდეს Ath—49-დან.

ზემოთ განხილულ ორ ქართულ ხელნაწერთან ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას Jer.—105. ხელნაწერი იერუსალიმურია. აღწერილია დეტალურად ალ. ცაგარელის<sup>14</sup> (105), რ. ბლეიკის<sup>15</sup>-ის (14) და მარის<sup>16</sup> (7) მიერ. მისი მიკროფილმების პირის ფოტოანაბეჭდები დაცულია საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. აღმწერელთა მითითებით ეს შესანიშნავი ეგზემპლარი ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში, ნაწერი შესრულებულია ძალიან ლამაზი ხელით თეთრ პერგამენტზე. ანდერძები და მინაწერები მოწმობს, რომ ეს შესანიშნავი ხელნაწერი „დაიწერა და შეიმოსა ხელითა იოანე დვალისაათა“ და მისი შვილის მიქაელის მიერ. „ქორონიკონი იყო სოე“ (1055 წელი). მოგვიანებით ხელნაწერი გადაუკაზმავთ. მინაწერი ვამცნობს, რომ „ესე დიდებული და ყოვლად პატიოსანი დიდი ბასილი, მე ცოდვილმან და საწყალობელმან გერმანე მონაზონმან ეზდაველიძემან შევკაზმე...“.

სანამ ხელნაწერში შემავალი თავების განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ არც Jer—105 შეიცავს ფსალმუნებზე დაწერილ ქადაგებებს. ხელნაწერში შემავალი თავები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს: 1. ბასილის საუბრები სხვადასხვა თემებზე, 2. სხვა ავტორთა თხზულებები, 3. ბასილის და შესაძლოა ფსევდო-ბასილური ნაწარმოებები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ქადაგებათა ტრადიციას<sup>17</sup> (მათ შორის ბასილის ერთი ეპისტოლე გრიგოლ ნაზიანზელის მიმართ).

ათონურ ბერძნულ ხელნაწერებში შემავალი 25 ძირითადი ქადაგებიდან Jer.—105, ორი უძველესი ქართული ხელნაწერის მსგავსად, არ იცნობს მრავალჯის დასახელებულ ოთხ თხზულებას: 1. Barlaam, 2. Gordius, 3. Ado-lesc, 4. Chr. gen. იესებს ჰომილიებს, რომლებიც ერთმანეთთან მიმართებაში აკლია Ath—49-სა და H—2251-ს.

ბერძნულ ქადაგებათა კრებულებს შემადგენელი თავების თანამიმდევრობის მიხედვით ახასიათებს შემდეგი თავისებურება: ბასილის ზოგიერთი ჰომილია ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგას სიუჟეტით და ამის შესაბამისად ისინი ხელნაწერებში ჩვეულებრივ ერთმანეთის გვერდით არიან მოთავსებულნი. მაგ., 1, 2. Ieiun. I, Ieiun. II, 4. 5. Grat. act. Iulitta, 7, 8. Ira, Invidia, 9. 10. Des-truam, Divites და ა. შ. ეს წყობა დაცულია გამოცემებშიც. იგავე მდგომარეობა გვაქვს Ath—49-სა და H—2251-ში. ამ მხრივ Jer—105 წარმოადგენს გამოწაკლისს. მაგ. ორი თავი: „მადლობისათჳს ღმრთისა“ (126v—141r) და „შესხმაჲ ივლიტა მოწამისაჲ“ (447r—462v) ბერძნულ და უკვე განხილულ ქართულ ხელნაწერებში განუყოფელია. Jer—105-ში კი ერთი წარმოადგენს მეშვიდე,

<sup>14</sup> А. Ц а г а р е л и. Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, С.-Петербург. 1888, გვ. 172—174.

<sup>15</sup> Catalogue des manuscrits de la Bibliotheque patriarcale grecque a Jerusalem, Paris, 1924, გვ. 36—41.

<sup>16</sup> ნ. მ ა რ ი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, დისაბეჭდილ მომზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 15—19.

<sup>17</sup> ამ ხელნაწერს არც ერთი აღმწერელი არ უთითებს მათ შესაბამის ბერძნულ ტექსტებს გამოცემებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი ჩვეულებრივ „ითიკის“ შემადგენელ ნაწილად ითვლებიან.

ხოლო მეორე ოცდამეთოთხმეტე თავს. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ხელნაწერებში განუყოფელ ჰომილიებზე: „სიტყვას მისთვისლუკას სახარების მდღერისა მისთვის“ (114v—126r) (VI თავი). 2. „მდიდართათს (164v—182v) (X თავი).

მიუხედავად ხელნაწერში შემავალი თავების თანამიმდევრობის დარღვევისა, მასში „ათონური“ წყობის ნაშთი მაინც არის შემორჩენილი. Jer—105-იც იწყება ორი თავით: „მარხვისათს“ და „მარხვისათსვე“. ეს ხელნაწერი ძველ ქართულ კრებულებთან უშუალო კავშირს ამჟღავნებს აგრეთვე გრ. ნაზიანზელისა და გრ. ნოსელის ორი ბიოგრაფიული ჰომილით, რომელიც წინ უძღვის ბასილის ქადაგებებს.

სხვა ავტორთა ნაწარმოებთაგან, ხელნაწერი შეიცავს სამ თხზულებას, ზუსტად იმავე თავებს, რომელსაც Ath—49 და H—2251, მცირე განსხვავებით, მათთან შედარებით კარგავს ერთს — გრ. ნაზიანზელის „მესხმაა წმიდათა მკაბელთაა“. Jer—105, გარდა „საუბრებისა“ და სხვა ავტორთა თხზულებებისა, შეიცავს ბასილის კიდევ რამდენიმე ჰომილიას:

კ. სწავლაა მისივე (291r—293r). „ჰუმარითი იგი სიმართლს...“.

კა. საკრველებათა მათთვის, რომელი იქმნა წმიდისა ბასილის და ნერსეს-თს (293r—301v). „მას ყამსა ეპისკოპოსმან...“.

კბ. სწავლანი (301v—309v). „კაცთ მოყუარჳ ღმერთი ჩუენი...“

კგ. სინანულისათს (309v—312r). „ძმანო, ნუ უკუე რომელი დაეცეს...“

კდ. სწავლავე (312r—323r). „რომელსა ჰუმარითად სუროდის...“

კე. სწავლავე 323r—337v). „სახარებასა შინა წერილ არს...“

კვ. სწავლაა (337v—340v). „საყუარელნო უკუეთუ მცირესა...“

კზ. სწავლაა (340v—342v). „რაჟამს შჯღჳ სენაკსა შენსა...“

კჳ. ეპისტოლჳ წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი ღმრთის-მეტყუელისა გრიგოლის მიმართ (342v—349r). „ვიცან ეპისტოლჳ შენი...“

არც ერთი ბერძნული ხელნაწერი არ შეიცავს ჰომილიათა ასეთ ერთობლიობას. სამაგიეროდ ამ თავებს, ოდნავ შემცირებული რაოდენობით ეხვდებით ერთ ქართულ ხელნაწერში, რომელსაც ეწოდება „ასკეტიკონი“ (A—1101)<sup>18</sup>. იგი გადაწერილია 1047 წელს საბერძნეთში, მთაწმინდის ღვთისმშობლის მონასტერში. გადაწერი არსენი გოგოფაა. ხელნაწერი შეიცავს ისაკ განშორებულის, ბასილ კაპადოკიელის და სხვათა თხზულებებს. კრებულს დართული აქვს ანდერძი: „ესე განწესებაა მოღუაწეთაა და უდაბნოს ყოფისა სარგებელისა გამოჩინებაა წმიდისა და დიდისა ბასილის მიერ, მე, გლახაკმან ეფთჳმე ვთარგმნე“. ეს ანდერძი უშუალოდ დაერთვის ბასილის თხზულებებს. როგორც ხელნაწერი და მასზე დართული ანდერძი მოწმობს, ექვთიმეს თავისი წვლილი შეუტანია ასკეტიკური ნაწარმოებების თარგმნაშიც. ამ კრებულიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ზემოთ დასახელებული თხზულებები. ვფიქრობთ, სწორედ ასეთი ასკეტიკური კრებულებიდან მოხვდნენ ისინი ჯერ Jer—105-ში, ხოლო შემდეგ გვიან გადაწერილ „ითიკის“ ხელნაწერებშიც<sup>19</sup>, მხოლოდ არა როგორც „ითიკის“ შემადგენელი ნაწილი, არამედ როგორც ექვთიმეს მიერ თარ-

<sup>18</sup> ეს ხელნაწერი, ამ საკითხებთან დაკავშირებით პირველად მოიხსენია მკვლ. ე. ხ ი თ ი ბ ი ძ ე მ: ბასილი კაპადოკიელის „სამოღაწეო წიგნის...“ გვ. 68.

<sup>19</sup> ხელნაწერ S—376-ის განხილვისას, არც. კ. კეკელიძე არ გამოყოფს ამ თავებს „ითიკის“ შემადგენელ თხზულებათაგან. იხ. კ. კეკელიძე, ღვთა ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, გვ. 17—19.



გმნილი ბასილი კაპადოკიელის თხზულებები. თუ ამ თხზულებებს არაფერი აქვთ საერთო ქადაგებათა ტრადიციასთან, მაშინ საჭიროა დაიძებნოს მათი ნამდვილი ადგილი ბასილის შემოქმედებაში.

ამ ჰომილიებიდან ერთი განეკუთვნება ბასილის ასკეტიკური ნაწერების რიცხვს. ამ ნაწერების სპეციალისტი, „Histoire du texte des Ascétiques de S. Basile“-ს ავტორი გრიბომონი კ. კეკელიძის შრომაში „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“ გაეცნო ექვთიმე ათონელის თარგმნილ „ითიკას“ და დაასკვნა, რომ „იმ ხელნაწერებში, რომლებშიც ბასილის „ითიკა“ დაცული, შესაძლებელია ერთ-ერთი თხზულება იყოს პროლოგი 34“<sup>20</sup>. შემდგომმა კვლევამ დაასაბუთა, „რომ ამ კრებულის თხზულება, რომელსაც თავზე აწერია „სწავლანი“ და რომლის დასაწყისია „კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი, რომელი იგი ასწავებს კაცთა“ არის ბასილის ასკეტიკური პროლოგების 3 და 4-ის შეერთება, ე. ი. პროლოგი 34“<sup>21</sup>.

მომდევნო ჰომილია „სინანულისათვის“ (ძმანო, ნუ უყუე რომელი...) მოთავსებულია სვიმეონ მეტაფრასტის მიერ შედგენილ, რუსულად თარგმნილ ბასილ კაპადოკიელის ჰომილიათა კრებულში სათაურით: „О рудушем суде“<sup>22</sup>.

თხზულება „სწავლაძვე“ (სახარებასა შინა წერილ არს...) წარმოადგენს ბასილის ნაწარმოების „ისაჲ წინასწარმეტყველის განმარტების“ წინასიტყვაობას<sup>23</sup>, ხოლო ბასილის ეპისტოლე „...ღმრთის-მეტყუელისა გრიგოლის მიმართ“ მისსავე ეპისტოლარულ მემკვიდრეობას განეკუთვნება<sup>24</sup>.

Jer—105-ში შემავალი ჰომილია კი „საკვრველებათა მათთვის, რომელი იქმნა წმიდისა ბასილის და ნერსესთვის“ ფსევდო-ბასილური ნაწარმოები უნდა იყოს. ასე რომ, „ითიკის“ კუთვნილებად ამ თხზულებების გამოცხადება საეკლესიო მიგვაჩნია, რადგან არც ბერძნული და არც ორი უძველესი ქართული ხელნაწერი (Ath—49 და H—2251), არ იცნობს არც ერთ ამ სტატიას. ამ მოსაზრებას სიმტკიცეს მატებს ბასილის თხზულებათა საუკეთესო გამოცემები. ქადაგებათა ბერძნული კრებულებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ ნაწყვეტებს ბასილის სხვადასხვა თხზულებიდან, მაგრამ ყ. გარნიესა და პ. მარანს აზრად არ მოსვლიათ მათი შეტანა ქადაგებათა რიცხვში.

უფრო სავარაუდოა, რომ ექვთიმე ათონელმა ბასილის და სხვა მწერალთა თხზულებებიდან მონასტრის მოღვაწეთათვის შეარჩია რამდენიმე ასკეტიკური შინაარსის თხზულება და თარგმნა. ამას მოწმობს 1047 წელს გადაწერილი „ასკეტიკონი“. „ასკეტიკონის“ გადაწერიდან რვა წლის შემდეგ ეს თხზულებები დამკვიდრდნენ ჯერ Jer—105-ში, ხოლო შემდეგ კი „ითიკის“ უფრო გვიან გადაწერილ ხელნაწერებშიც არა როგორც მათი შემადგენელი ნაწილი, არამედ როგორც ექვთიმეს მიერ თარგმნილი ბასილ კაპადოკიელის თხზულებები.

შემდეგი ხელნაწერი, რომელსაც განვიხილავთ არის A—394. იგი აღწერილია თ. ჟორდანის მიერ<sup>25</sup>. გადაწერილია ქალაქზე. ზომა 32×21. ჩასმულია

<sup>20</sup> ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ბასილ კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის...“, გვ. 67.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 67—68.

<sup>22</sup> Нравственные слова святого отца нашего Василия Великого, Избранные Симеоном Метафрастом, 1824, гв. 243—253.

<sup>23</sup> Ἐρημικήα εἰς τὸν προφήτην Ἠσαΐαν, P.G. 30, 117—668. ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, სს. შრ., გვ. 69.

<sup>24</sup> ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, სს. შრ., გვ. 69.

<sup>25</sup> Ф. Жордания, Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. I, 1903, гв. 387—389.

ტყავგადაკრულ ხის ყდაში. შეიცავს 305 ფურცელს. გადაწერილია ორ მწკრივად, თითოეულ მწკრივში 37 სტრიქონია. ხელნაწერი დაზიანებულია. დაუნომრავთ იგი ორჯერ, ჯერ მელნით, ხოლო შემდეგ ფანქრით მიყოლებით, არ არის გათვალისწინებული გამოტოვებული ფურცლები. ანდერძებს, მინაწერებს და ზანდუქს A—394 არ შეიცავს.

ამ ხელნაწერში შემავალი თავები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს: 1. ბასილ კესარიელის ჰომილიები (საუბრები სხვადასხვა თემაზე), 2. მისივე — ფსალმუნებზე დაწერილი ქადაგებები, 3. მისივე — რამდენიმე ჰომილია, რომელიც არ განეკუთვნება ქადაგებათა ტრადიციას, მათ შორის ერთი ეპისტოლე, 4. სხვა ავტორთა თხზულებები.

ათონურ ბერძნულ ხელნაწერებში შემავალი 25 ძირითადი ქადაგებიდან, A—394 შეიცავს ოცდაერთს. მათთან შედარებით აკლია არაერთგზის დასახელებული: Barlaam, Gordius, Adolesc. და „შესხმაა წმიდათა ორმოცო მოწამეთა“. საგულისხმოა და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ქადაგებას არ იცნობს არც H—2251. ამ ორი ხელნაწერის ძირითადი თავების თანამიმდევრობა ერთმანეთთან მიმართებაში ასე წარმოგვიდგება:

H—2251

A—394

ნათლისღებისათვისვე, რომელი იკითხვის ხვალისა დღე განცხადებისა (61v—104v).

წმიდათა შორის მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისა მარხვისათს (1r—6r).

თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი მარხვისათს, თავი ა (104v—119v).

მომდევნო 14 თავი ორივე ხელნაწერში ერთნაირი შედგენილობითა და თანამიმდევრობით არის განლაგებული. განსხვავება იწყება შემდეგ:

თქუმული მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, სარწმუნოებისათს წმიდისა სამებისა (413v—419v).

თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია კაბადოკიელისა, წმიდისა ნათლისღებისათს მათდა მიმართ, რომელნი იგი გვიანად ნათელს იღებდენ... (150v—156v).

მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, თქუმული დაწყებისათს იოანეს სახარებისა, ვითარმედ პირველ-წმიდისა სამებისა (156v—159r).  
ლითვან იყო სიტყუაჲ (419v—?).

მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, თქუმული დაწყებისათს იოანეს სახარებისა, ვითარმედ პირველითვან იყო სიტყუაჲ (159r—161v).

თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი სულისა წმიდისათს (162r—164v).

თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი, დიდისა კესარიელისა შობისათს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა (290v—295v).

არ არსებობს არავითარი მინიშნება, რომ A—394 უშუალოდ მომდინარეობს H—2251-გან. პირიქით მას H—2251-თან შედარებით თავისებურებაც კი ახასიათებს. მაგრამ ვფიქრობთ, რომ სწორედ თავისებურება მოწმობს მათ კავშირს. ეს განსაკუთრებით ეხება ბოლო ხუთ თავს. რადგან ამ ორი ხელნაწერის ძირითადი ნაწილი ერთნაირია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ A—394-ის გადამწერი თავის ხელნაწერში ცდილობს დაიცვას „ითიკაში“ შემავალი თავების ტრადიციული განლაგება, რომელიც H—2251-ში ნაწილობრივ დარღვეულია. ამიტომ A—394-ში თხზულება „... ნათლისღებისათვის...“ ტოვებს მისთვის უჩვეულო პირველ ადგილს, რომელიც H—2251-ში ეკავა. გადამწერმა იცის, რომ ამ ჰომილიის ადგილი არ არის ხელნაწერის დასაწყისში, ხოლო თუ მას ძირითად ნაწილში მოათავსებს, გამოიწვევს იმ თანამიმდევრობის დარღვევას, რაც დატულია H—2251-იც. ამიტომ თხზულება „... ნათლისღებისათვის...“ მას საერთოდ გამოაქვს ძირითადი ნაწილიდან და სამი დამაბოლოებელი ჰომილიის<sup>26</sup> შემდეგ ათავსებს. სამაგიეროდ შესაძლოა ბერძნულ ხელნაწერთა ანალოგიით დასაწყისში თავის ადგილს იკავებს ორი თხზულება: „მარხვისათვის...“ და „... მარხვისათვის თავი მეორე“, რომლებიც H—2251-ში მოთავსებულნი იყვნენ მესამე და მეოთხე ადგილზე, გრ. ნაზიანზელისა და გრ. ნოსელის სახოტბო სიტყვების შემდეგ.

ხემათ აღნიშნული ხუთი თავიდან პირველ თხზულებას წარმოადგენს სწორედ „...ნათლისღებისათვის...“ შემდეგ მოდის H—2251-ის უკანასკნელი თავები: „... სარწმუნოებისათვის წმიდისა სამებისა“ და „დაწყებისათვის იოანეს სახარებისა...“, ხოლო ორ უკანასკნელ ჰომილიას A—394 ივსებს ჩვენთვის უცნობი წყაროდან<sup>27</sup>. ეს განსაკუთრებით ეხება მეორეს „... შობისათვის უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესა“. ამ თავს არ იცნობს ადრე განხილული არც ერთი ქართული ხელნაწერი. ათონურ ბერძნულ ხელნაწერთა ძირითად „კორპუსში“ მას უკავია ბოლო, ოცდამეხუთე ადგილი.

ხელნაწერი A—394, პირველი ქართული ხელნაწერია, რომელიც მსგავსად ბერძნული ხელნაწერებისა, ბასილის სხვა ჰომილიებთან ერთად შეიცავს ფსალმუნებზე დაწერილ ქადაგებებსაც. აქ მათი რიცხვი თექვსმეტს აღწევს. ბერძნულ ხელნაწერთაგან განსხვავებით იგი არ შეიცავს 45-ე ფსალმუნზე დაწერილ ქადაგებას, ხოლო 61-ე და 114-ე ფსალმუნებზე დაწერილი ჰომილიები ერთ, 44-ე თავშია შერწყმული.

თხზულებათა მესამე ჯგუფი, რომელსაც შეიცავს A—394 (24—30), უკვე განხილული იქნა Jer—105-თან დაკავშირებით. ეს ნაწარმოებები, მართალია, არ განეკუთვნება ქადაგებათა ტრადიციას, მაგრამ როგორც ექვთიმეს მიერ თარგმნილმა ბასილ კაპადოკიელის თხზულებებმა მანც დაიმკვიდრა ადგილი „ითიკის“ ხელნაწერებში.

<sup>26</sup> სამი დამაბოლოებელი ჰომილიის ქვეშ ვგულისხმობთ თხზულებებს: „...სწავლაა რომელი თქუა ლაქჯეს შინა ქალასა“, „...სრმდბლესითჲს“, „...არა შექცევისითჲს საქმთა სოფლისათა...“ ათონურ ბერძნულ ხელნაწერთა ძირითადი „კორპუსი“ ზოლოდებდა შემდეგი ორი თავით: *Adolesc.* და *Chr. gen.* პირველის თარგმანს არ იცნობს „ითიკის“ არც ერთი ხელნაწერი, ხოლო მეორე, „...შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“ პირველად ჩნდება A—394-ში. მათ წინ მოთავსებული სწი თავი თარგმანსა *სწორედ დანიილელ თარგმანს*. Ath—49-ში მათ უქირავთ სამი უკანასკნელი ადგილი და უსწრებენ მხოლოდ დამატებით თხზულებებს.

<sup>27</sup> H—2251-ის განხილვისას ჩვენ შევხვდით, რომ ხელნაწერი დაზიანებულია. აქლია თავი და ბოლო. ადგილი შესაძლებელია, რომ A—394-ის ორ უკანასკნელ თავს იგი შეიცავდა. მაგრამ დროთა განმავლობაში ხელნაწერი დაზიანდა და ბოლო ფურცლები დაიკარგა.

სხვა ავტორთა თხზულებათაგან ხელნაწერში შესულია: არაერთგზის დასახელებული გრ. ნაზიანზელისა და გრ. ნოსელის სახობტო სიტყვები ბასილ დიდზე, გრ. ღვთისმეტყველის თხზულება „ნათლისღებისათვის“, გრ. ნოსელის ორი სხვა ჰომილია: 1. „... ცხორება და მოქალაქეობაა წმიდისა და ყოვლად ქებულისა გრიგოლი საკრველთ მოქმედისა“, 2. „... ქალწულებისათვის და წმიდისა მოქალაქობისა“. სოფრონ იერუსალიმელის „ნათლისღებისათვის ჰაცხოვრისა და ზედა აღდგომისათვის სარკინოზთა“ და უცნობი ავტორის „გამოჩინებისათვის მელქიზედეკისა“. ამ ჰომილიების სია მოწმობს, რომ A—394 შეიცავს უკვე განხილულ ხელნაწერთაგან სრულიად განსხვავებულ სხვა ავტორთა თხზულებებს. საგანგებოდ შეეჩერდებით უკანასკნელ 49-ე თავზე.

ამ ნახევრად აპოკრიფული და ნახევრად ეგზეგეტიკური თხზულების შესახებ აკად. კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ „თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგში მე-13 ნომრის ქვეშ აღნიშნულია ბასილი დიდის „ითიკა“ და ნათქვამია: „კუალად ამასვე შინა წიგნსა არს აღწერილი დიდისა ვასილის მიერ მელქისედეკისა გამოჩინებისათვის და რაჟსათვის უშამოდ და უდედოდ იწოდა იგი“. მელქისედეკის შესახებ ბიბლიაში ნათქვამია, რომ ის იყო „უშამო, უდედო, ნათესავმოუტყენებელი, არცა დასაბამი ღღეთა, არცა აღსასრული ცხოვრებისა აქუს“ (ებრ. VII, 3). ამ ნიადაგზე უკვე ძველ საეკლესიო მწერლობაში წარმოიშვა სხვადასხვაგვარი ცდა მელქისედეკის გენეალოგიის შედგენისა და მისი სამეფო ქალაქის, სალიმის ადგილმდებარეობის გარკვევისა... ერთ-ერთ ცდას წარმოადგენს ქართული ნაწყვეტი, რომელსაც თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერი ბასილ კესარიელს აკუთვნებს. თუ ეს ნაწყვეტი მართალა შემადგენელი ნაწილია ბასილის „ითიკისა“, რომელიც ექვთიმეს მიერაა ნათარგმნი, ის ექვთიმეს თარგმანად უნდა ჩაითვალოს<sup>28</sup>. ამ მოსაზრებას ისიც ასაბუთებს, რომ გრ. ნოსელის ქადაგების „ქალწულებისათვის და წმიდასა მოქალაქობისა“ თარგმანი ნამდვილად ეკუთვნის ექვთიმე ათონელს. თხზულება „გამოჩინებისათვის მელქიზედეკისა“ ბასილის კალამს არ ეკუთვნის. ასე რომ, A—394-ში იგი შევიდა არა როგორც ბასილის თხზულება, არამედ როგორც ექვთიმეს თარგმანი.

ბოლოს განვიხილავთ „ითიკის“ შემცველ სამ ქართულ ხელნაწერს. ესენია: A—100 (1713 წ.), S—376 (1798 წ.) და A—181 (1816 წ.). თუ აღწერილობის მიხედვით თითოეული ხელნაწერი ცალ-ცალკე უნდა იქნეს დახასიათებული, სამაგიეროდ შედგენილობის მიხედვით ისინი განიხილებიან ერთ მთლიანობაში, რადგან ამ მხრივ მათ შორის არ არსებობს არავითარი განსხვავება.

ხელნაწერი A—100 აღწერა თ. ჟორდანიამ<sup>29</sup>, გადაწერილია ქალაქ ზომა 32×25. ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში. მოიცავს 555 გვერდს. გადაწერილია ნუსხურით ორ მწკრივად. დაუნომრავთ ორჯერ. აღმწერელი ეყრდნობა პირველ, ფურცლობრივ პავინაციას. ხელნაწერს დართული აქვს ანდერძები და მინაწერები. დედნის ანდერძს წარმოადგენს ტრადიციული მინაწერი: „წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ...“. დედნის მინაწერია აგრეთვე: „ღმერთო შეიწყალე იორდანე ამ წიგნის მწერალი და ეფთჳმე, ამ წიგნის მთარგმნელი. ფრიადი ჰირი თავს ვიდევ, ღმერთმან თქვენცა მოგმადლოს“ (359 გვ.). ხელნაწერს დართული აქვს ვრცელი ანდერძი გადამწერისა: „ქელვყავ... მე, უღირსმან ხუცეს-მონაზონმან იოსებ არაგვის ერისთვის შეილ-

<sup>28</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I<sup>4</sup>, 1960, გვ. 200.  
<sup>29</sup> Ф. Жордания, Описание рукописей..., кн. I, გვ. 117—119.

მან, წმიდისა ამის წიგნისა აღწერად უდაბნოსა მას გარეჯისასა, მონასტერსა მრავალმთის ნათლისმცემელისა მას“ დიდი ორბელის ძის ბესარიონის ბრძანებითა და ხელის შეწყობითა. გადამწერს ეს კრებული ამავე მონასტრისათვის შეუწირავს „ქს უა“ (1713 წ.). ანდერძი დიდი მოცულობისაა და საინტერესო ცნობებს შეიცავს. გადამწერი გულისტკივილით გადმოგვცემს, როგორ „დაიწყო ქართლმა და კახეთმა აოხრება, უდაბნო სუსტდებოდა, ხან ოსმალოს ეჭირა, ხან ყიზილბაშს“. მონასტერში თავშეფარებულებს სიმშვიდე დაუქარავთ და საქართველოს სხვა კუთხეებში გადახვეწილან. იოსები არ მოშორებია თავის მოძღვარს ბესარიონს, რომელსაც ამასობაში ქართლის კათალიკოსობა მიუღია, ჩვენი გადამწერი კი მისი არქიდიაკონი გამხდარა. ბესარიონი მხოლოდ ექვსი წელი მდგარა ეკლესიის სათავეში. ანდერძის დასასრულს გადმოცემულია საქართველოში ირანელთა საბოლოო დამკვიდრება. ოსმალოთა ხანგრძლივი გამაჩანაგებელი ბატონობა ყიზილბაშთა უღელმა შეცვალა.

გადამწერს ეკუთვნის მე-300 გვერდზე მოთავსებული მინაწერი: „ძმანო და მამანო, ერთი კარგი სწავლა იყო ქალწულებზე ნათქვამი, მაგრამ ნახევარი არ იყო, რაც იყო სულ წაშლილი იყო, რაც იყო, ნუ მწყევო, არცა დედანი იშობოდა ამ ქუეყანას“.

ხელნაწერი S—376<sup>30</sup> გადამწერილია ქალაქზე მხედრულით. ზომა 34×21,5. აქვს ტყავგადაკრული ხის ყდა. სათაურები გამოყოფილია სინგურით... ხელნაწერი დაუნომრავთ სამჯერ. დართული აქვს ზანდუკი, ანდერძები და მინაწერები. ანდერძი დედნისა: ა) „წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ...“ (503 გვ.). ბ) „ესე განწესება მოღუაწეთა და უდაბნოს ყოფისა სარგებელსა გამოჩინება წმიდისა და დიდისა ვასლის მიერ მე გლახაკან ევთიმი ვთარგმნი...“<sup>31</sup> (84 გვ.). როგორც გადამწერის ანდერძი მოწმობს, ხელნაწერი გადამწერა „ბერმან მიხაილ“ (504 გვ.). ხელნაწერის გადამწერის თარიღი 504 გვერდზე წარმოდგენილია შემდეგი ფორმით: 17  $\frac{10}{20}$  მ, აღწერილობაში<sup>32</sup> კი გადამწერის თარიღად მიახლოებით გამოცხადებულია 17(9)8 წელი. მიხაილს შეძლებისდაგვარად შესრულებია დედნის (A—100) გადამწერის იოსებ არაგვის ერისთავის ძის თხოვნა და ამასთან დაკავშირებით თავისი ხელნაწერის 277-ე გვერდზე მიუწერია: „... ამის დედანსა ესრეთ ეწერა: ერთი კარგი სწავლა იყოო ამა ადგილს ქალწულებზედ, მაგრა ნახევარი არ იყოო და რაც იყო, ის წაშლილიო, სხუანი დედანი კი არ იშობოდაო ამ ქვეყანას, ვინც იპოოთ, აქ დასწერეთ, მეც ეს მიმიწერია“.

ხელნაწერი A—181 აღწერა თ. ქორდანიამ<sup>33</sup>. გადამწერილია იგი ქალაქზე, მხედრულით, აქვს ტყავგადაკრული ხის ყდა. შეიცავს 534 გვერდს. ხელნაწერი

<sup>30</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ნუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 434.

<sup>31</sup> ეს ანდერძი ერთგვარად კიდევ შეგვხვდა, როდესაც საუბარი იყო ექვთიმეს თარგმნულ კრებულზე, სახელწოდებით — „ასკეტოკონი“ (A—1101). იგი დავრთველია მასში შემავალ ბასილის ასკეტურ ბასილის ხასიათის ჰომილეტს, რომლებიც ითარგმნა ექვთიმეს მიერ „როგორც განწესება მოღუაწეთა...“ და რომელთაც არაფერი აქვთ სურთო „ითიკასთან“.

<sup>32</sup> ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 434.

<sup>33</sup> Ф. Жордания, Описание рукописей..., кн. I, гл. 188—189.

დაუნომრავთ ორჯერ, მეღნიტ და ფანქრით. მეღნიტ დანომრვა ქრონოლოგიურად უფრო ძველია. ხელნაწერს დართული აქვს არაერთგზის მოხსენიებული ანდერძი დედნისა: „წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ...“ (532 გვ.). გადამწერის ანდერძი მოწმობს, რომ „ეს წიგნი (რომელ არს ითიკა ვასილისა)“ გადაუწერია და მრავალმისი დავით გარეჯელის მონასტრისათვის მიუძღვნია ვინმე იოსტოსს, „წელსა 1816, ჩყივ“.

ხელნაწერთა თანამიმდევრული განხილვა შესაძლებლობას იძლევა იმ ცვლილებების დასადგენად, რაც მათ განიცადეს საუკუნეთა მანძილზე. მაგ., Ath—49 ყველაზე დიდ მსგავსებას ამქადაგნებს ათონურ ბერძნულ ხელნაწერთან. უშუალოდ მასზე დაყრდნობით შეიძლება განისაზღვროს ქართული თარგმანის წარმომავლობის საკითხი. Jer—105 პირველია, რომელიც ბასილის ე. წ. საუბრების გარდა დიდი რაოდენობით შეიცავს მისსავე ასკეტიკურ ნაწერებს. A—394 ასევე პირველი ქართული ხელნაწერია, რომელიც შეიცავს ფსალმუნებზე აგებულ ქადაგებებს. თავისებურებათა გარდა ყველა ხელნაწერს ახასიათებს ერთი საერთო ნაკლი: ერთმანეთთან მიმართებაში მათ ყოველთვის აკლიათ რამდენიმე ჰომილია ბასილის „საუბრებიდან“ და ფსალმუნებზე აგებული ქადაგებები. სამი ყველაზე გვიან გადაწერილი ხელნაწერი ივსებს ქართულ ენაზე თარგმნილ ყველა თხზულებას მათ შორის ფსალმუნებზე აგებულ ქადაგებებსაც. მათი შედგენილობა ასეთია: ამ ხელნაწერების<sup>34</sup> პირველი ხუთი თავი და A—394-ში მოთავსებული ბასილის საუბრების უკანასკნელი ხუთი თავი თითქმის იდენტურია.

ა. ნათლისღებისათვის (1—15).

ბ. სარწმუნოებისათვის წმიდისა სამებისა (15—22).

გ. დაწყებისათვის იოანეს სახარებისა; ვითარმედ პირველითგან იყო... (22—28).

ბ. სარწმუნოებისათვის წმიდისა სამებისა (15—22).

ე. შესხმაჲ წმიდათა ორმოცთა მოწამეთათვის სევასტიელთა<sup>35</sup> (35—45).

მომდევნო რვა თავი ბასილის ე. წ. „სწავლანი“ მისივე ეპისტოლეს ჩართვით პირველად დავასახელეთ Jer—105-ის განხილვისას, სადაც მათი რაოდენობა ათს აღწევს. ამ შემთხვევაში კი ხელნაწერებმა ათი თავიდან დაკარგეს პირველი ორი: 1. „სწავლა მისივე“ (291—293) და 2. „საკრველებათა მათთვის, რომელი იქნა წმიდისა ბასილის და ნერსესთვის“ (293—301). სამაგიეროდ შეიძინეს ერთი ასევე უსათაურო თხზულება „სხუაჲ სწავლაჲ სალიერი მისივე“ (297—300), „რამეთუ სრული იგი საქმე მოლუაწებისა ესე არს...“.

ფსალმუნებზე აგებული ქადაგებები შედგენილობითა და თანამიმდევრობით თანხვდება ათონურ ბერძნულ ხელნაწერებში შემავალ იმავე ქადაგებათა შედგენილობასა და თანამიმდევრობას მცირე განსხვავებით: სამ ქართულ ხელნაწერში, პირველ ფსალმუნზე აგებული ქადაგება ორად გაიყო (ვფიქრობთ ეს გაყოფა ეჭვთიმეს დამოუკიდებლად არ უნდა მოეხდინა, არამედ ბერძნულ დედანზე დაყრდნობით). ამის შემდეგ მოდის ბასილ კაბადოკიელის „საუბრები“ შემდეგი თანამიმდევრობით:

<sup>34</sup> ამ სამი ხელნაწერიდან უშუალოდ დაყრდნობით ყველაზე ადრე გადაწერილ A—100-ს.

<sup>35</sup> განსხვავება მდგომარეობს უკანასკნელ მეხუთე თავში. A—394-ის მიხედვით ეს თხზულება: „...შობისათჳს უფლისაჲ ჩუენისა...“ (290—295). ხოლო ამ უკანასკნელ ხელნაწერში ეს ადგილი დიდაცა A—394-ში არ არსებულმა ჰომილიამ: „შესხმაჲ წმიდათა ორმოცთა მოწამეთათჳს...“, მაშინ როდესაც თხზულებამ „... შობისათჳს უფლისაჲ...“ ხელნაწერის ბოლოს გადაინაცვლა.

ლვ. სწავლა მისივე მარხვისათვის (307—318).

ლდ. სწავლა მეორე მარხვისათვის (318—326).

ლე. სიტყვა მისთვის მოსე წინასწარმეტყულისა... (326—337).

ლვ. სწავლა მადლობისათვის<sup>36</sup> (337—349).

ლზ. შესხმა ივლიტა მოწამისათვის და ნაკლულევანებისათვის... (349—362).

ლშ. თქმული მისივე, ვითარმედ არა არს ღმერთი მიზეზ ზოროტისა (363—377).

ლთ. სწავლა მრისხანეთათვის (377—387).

მ. სწავლა მისივე შურისათვის (387—395).

მა. სწავლა მდიდართა მიმართ სიტყვა მისთვის... (395—404).

მბ. სხუა სწავლა მდიდართა მიმართ (404—418).

მგ. სწავლა, რომელ თქუა ჟამსა სიყმილისა და უწვიმროებისასა (418—430).

მდ. სწავლა მისივე, სოლომონის იგავისათვის (430—447).

მე. სწავლა მომთრეალეთათვის აღვსებისა შემდგომად დღეთა ერთითა (447—457).

მე. სწავლა, რომელი თქუა ლაიხეს შინა ქალაქსა (457—465).

მზ. სწავლა სიმდაბლისათვის (465—473).

მშ. თქმული მისივე, არა შექცევისათვის საქმეთა სოფლისათა... (473—484).

ეს ნაწილი და ხელნაწერი H—2251, თუ არ ჩავთვლით ყოველგვარი მიზეზის გარეშე პირველ ადგილზე მოთავსებულ ქადაგებას „... ნათლისღებისათვის“ და ასევე უმიზეზოდ ბოლოში გადატანილ ორ ჰომილიას<sup>37</sup>, ერთმანეთის იდენტიურია. ორივე ხელნაწერი შეიცავს სხვა ავტორთა ერთსა და იმავე თხზულებებს.

ასეთია ქართულ ხელნაწერებში არსებული მდგომარეობა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დაცულ ხუთ ხელნაწერს აქვს ერთი გამაერთიანებელი ნიშანი. ერთ-ერთი მათგანი (H—2251) საფუძვლად დაედო დანარჩენ ოთხს. უფრო სწორედ ამ ხელნაწერთა ძირითად ნაწილს სწორედ H—2251 წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, რომ X ს. დასასრულს, ეკვთინე ათონელმა ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ბასილ კაპადოკიელის ჰომილიათა კრებული სახელწოდებებით: „სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისნი“ და „მისივე, თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“. ჰომილიათა ეს ორი

<sup>36</sup> შენიშვნა: Ath—49-ში ბასილის ჰომილიათაგან მეოთხე ატარებს სახელწოდებას „მადლობისათვის“. იგივე სათაური დასტურდება ბერძნულ ხელნაწერებსა და გამოცემებში. (Περὶ εὐχαριστίας P.G. 31, 217—237), ასევე ორ უძველეს ქართულ კრებულშიაც (Jer—105-სა და H—2251-ში). ოთხ გვიან გადაწერილ ხელნაწერებში ეს თავი ატარებს სახელწოდებას „სიმდაბლისათვის“ (ამ სათაურის მქონე ჰომილია კიდევ ვაჟქვს კრებულის ბოლოს). ბერძნულ და უძველეს ქართულ ხელნაწერებზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ ამ თავის სათაურია არა „სიმდაბლისათვის“, არამედ „მადლობისათვის“. გაუგებრობა გამოიწვია ვადამწერის მექანიკურმა შეცდომამ, რომელიც სწორედ H—2251-დან უნდა მომდინარეობდეს. აქ სათაურში შემავალი დაქარაგმებული სიტყვა „მადლობისათვის“ და მის წინ მდგომი სიტყვის (ბასილისი) ორი უკანასკნელი ასო განუყოფელია. შესაძლოა ამის გამო H—2251-ის აღწერილობაში ეს თავი შესულია მცდარი სახელწოდებით. ამიტომ გვიან გადაწერილ ხელნაწერდა განხილვისას ჩვენ თავს ნება მივიცით ერთი სათაური შეგვეცვალა მეორეთი.

<sup>37</sup> „სარწმუნოებისათვის წმიდისა სამებისა“ (413—419) და „მისივე... თქმული დაწვეებისათვის ოვანეს სახარებისა...“ (419—?)

ჯგუფი ბერძნული ხელნაწერების გავლენით თანდათან გაერთიანდა და „აჲ იჲ: - აჲ“-ს. ქართულმა თარგმანმა შესაბამისად მიიღო სახელწოდება „ითიკა“.

„აჲ იჲ: აჲ“-ს ბერძნული კრებულები შეიცავს: ფსალმუნებზე აგებულ ქადაგებებს, საუბრებს სხვადასხვა თემაზე, ბასილის ასკეტიკურ ნაწერებსა და ეპისტოლეებს, ფსევდო-ბასილურ და სხვა ავტორთა ნაწარმოებებს. მათგან მხოლოდ ექვსი ათონური ხელნაწერის შედგენილობა შემოიფარგლება 25 საუბრით სხვადასხვა თემაზე და ფსალმუნებზე აგებული 17 ქადაგებით, სულ 42 ჰომილით. ამ ხელნაწერებმა თავიდანვე მიიპყრო მათი შემსწავლელის ვ. რუდ-ბერგის ყურადღება და მეცნიერმა მათ ყველაზე დიდი მნიშვნელობა მიანიჭა „აჲ იჲ: აჲ“-ს შედგენილობის განსაზღვრისათვის<sup>38</sup>.

შედარებამ ცხადყო, რომ 981 წელს გადაწერილი ქართული ხელნაწერი შედგენილობით ძალიან ახლოს დგას ათონურ ბერძნულ და განსაკუთრებით უკვე მითითებულ ექვს უძველეს ხელნაწერთან. უფრო მეტიც, 1000 წლის წინ გადაწერილი ბერძნული ხელნაწერები და 1000 წლის წინ გადაწერილი ქართული ხელნაწერი თავების თანამიმდევრობით და შედგენილობით თითქმის დაემთხვა ერთმანეთს (თუ არ ჩავთვლით ქართულში ნაკლებ თავებს, რომელთა ნაწილი ცოტა მოგვიანებით შეივსო უკვე სხვა ქართულმა ხელნაწერმა ამავე ბერძნულ ხელნაწერებში არსებული თანამიმდევრობის მიხედვით).

ქართული ხელნაწერებიც მსგავსად ბერძნულისა შეიცავს: 1. საუბრებს სხვადასხვა თემაზე, 2. ფსალმუნებზე აგებულ ქადაგებებს, 3. სხვა ავტორთა თხზულებებს, 4. ბასილის იმ ჰომილიებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ქადაგებათა ტრადიციასთან. მაგრამ ვფიქრობთ, „ითიკის“ შედგენილობაც, მსგავსად უძველესი ბერძნული ხელნაწერებისა, სწორედ ორი ტიპის ქადაგებებით უნდა შემოიფარგლოს (საუბრეებით და ფსალმუნებზე აგებული ქადაგებებით). სხვა ავტორთა თხზულებების და ბასილის სხვა ხასიათის ნაწარმოებების შეტანა „ითიკის“ ქართული თარგმანის შემადგენლობაში არამართებულად მიგვაჩნია.

ასე რომ, თუ ჰომილიათა ეს ორი ჯგუფი განსაზღვრავს ქართულ და ბერძნულ ხელნაწერთა შედგენილობას, ხოლო თვალის უბრალო გადავლევაც კი მოწმობს ათონურ ბერძნულ ხელნაწერებსა და ათონურ ქართულ ხელნაწერის მსგავსებას, მათი საბოლოო დეტალური შედარება ნათელს მოფენს „აჲ იჲ: - აჲ“-ს ქართული თარგმანის შედგენილობის საკითხს.

პირველ რიგში შევადარებთ ბერძნულ-ქართულ ხელნაწერებში შემავალ საუბრებს სხვადასხვა თემაზე. ქართულ ხელნაწერთაგან შესადარებლად ავიღებთ Ath—49-ს, შევავსებთ რა იმ ჰომილიებით, რომელთაც არ იცნობს ეს ხელნაწერი და რომელთაც ჩვენთვის უცნობი წყაროდან იმატებს H—2251. აუცილებლად დავუმატებთ „ითიკის“ გვიან გადაწერილ ხელნაწერებში შეტანილ თხზულებას: „შობისათვის უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესა“.

- |              |   |
|--------------|---|
| 1. Ieiun I.  | 1. მარხვისა თვის.   |
| 2. Ie'un II. | 2. მარხვისა თვის ვე. თავი მეორე.  |
| 3. Attende.  | 3. სიტყვისა მის თვის მოსე წინააწარმეტყუელისა, რომელსა იტყვის ეკრძაღე თავსა შენსა. |

<sup>38</sup> ნ. ც. ფ. უ. რ. ა. შ. ე. ი. ლ. ი. ითიკის შედგენილობისათვის, „მაცნე“, ვინისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 2, გვ. 101.



- |                   |  |
|-------------------|--|
| 4. Grat. act.     | 4. მადლობისა თვს   |
| 5. Iul' ita.      | 5. ივლიტა მოწამისა თვს და ნაკლულევეანებისა თვს პირველ თქუმულისა მის თავისა და მადლობისა თვს ვე.  |
| 6. Deus non auct. | 6. ვითარმედ არა არს ღმერთი მიზეზ ბოროტთაჲ.   |
| 7. Ira.           | 7. მრისხანეთა თვს.   |
| 8. Invidia.       | 8. შურისათვს (H—2251).   |
| 9. Destruam.      | 9. სიტყვსა მის თვს ლუკასს სახარებისა, რომელი იტყვს მდიდრისა მის თვს, ვითარმედ დაეარღუნე საუნჯენი და უდიდესნი აღვაშენენ და ანგაპრებისა თვს. |
| 10. Divites.      | 10. მდიდართა მიმართ.   |
| 11. Fam. et sicc. | 11. ... სწავლაჲ... რომელ თქუა ჟამსა სიყმილისა და უწვიმროებისასა (H—2251).  |
| 12. Princ. Prov.  | 12. თქუმული... სოლომონის იგავთაჲსა (H—2251).   |
| 13. Bapt.         | 13. წმიდისა ნათლის ღებისა თვს.   |
| 14. Ebrios.       | 14. მომთრევალეთა თვს.  |
| 15. Fide.         | 15. სარწმუნოებისა თვს წმიდისა სამებისა.  |
| 16. Princ. Joh.   | 16. დაწყებისა თვს იოვანეს სახარებისა, ვითარმედ პირველითგან იყო სიტყუაჲ.  |
| 17. Sp. S.        | 17. სულისა წმიდისა თვს.  |
| 18. Barlaam.      | 18. ამ თავს ქართული ხელნაწერები არ შეიცავს.  |
| 19. Gordius.      | 19. ამ თავს ქართული ხელნაწერები არ შეიცავს.  |
| 20. XL mart.      | 20. შესხმაჲ წმიდათა ორმოც მოწამეთაჲ.   |
| 21. Lacizis.      | 21. სწავლაჲ, რომელ თქუა ლაზიკეს ქალაქსა.   |
| 22. Humilit.      | 22. სიმდაბლისა თვს.  |
| 23. Mund. adh.    | 23. არა შექცევისა თვს საქმეთა სოფლისათა და ცეცხლისა მის თვს, რომელი შეედვა მაშინ კესარიელთა ქალაქსა.                                       |
| 24. Adolesc.      | 24. ამ თავს ქართული ხელნაწერები არ შეიცავს.  |
| 25. Chr. gen.     | 25. შობისათვს უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესა (A—394, A—100, S—376, A—181).  |

ხოლო მეორე ნაწილს, ფსალმუნებზე დაწერილ ქადაგებებს, როგორც უკვე აღინიშნა, შეიცავს სამი ქართული ხელნაწერი A—100, S—376 და A—181. ნაწილობრივ კი A—394, აი, ნომრები იმ ფსალმუნებისა, რომელზედაც აგებულ ქადაგებებს შეიცავს ჩვენთვის საინტერესო ბერძნული და ქართული ხელნაწერები:

ბერძ. 1, 7, 14, 14:2, 28, 28:2, 29, 32, 33, 37, 44, 45, 48, 59, 61, 114, 115.  
 ქართ. 1, 1:2, 7, 14, 14:2, 28, 28:2, 29, 32, 33, 37, 44, 45, 48, 59, 61, 114, 115.

Ath—49, რომ უშუალო კავშირშია და მომდინარეობს სწორედ უძველესი ათონური ბერძნული ხელნაწერებიდან, მოწმობს ორი დამატებითი გარემოება: 1. ქართულ ხელნაწერებში ყოველთვის ბოლოში მოთავსებულ ბასილის ჰომილიას „... შობისათვს უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესა“ იგივე ბოლო ადგილი, განსხვავებით სხვა ბერძნულ კრებულთაგან, სწორედ ათონურ ბერძნულ ხელნაწერებში უჭირავს<sup>39</sup>. 2. „ითიკის“ ქართულ კრებულებში არ შეიძლება დაიძებნოს ბასილის არც ერთი ჰომილია (თუ არ ჩავთვლით მის დამატებით თხზულებ-

<sup>39</sup> იქვე, იხ. ცხრილი.

ბებს, რომლებიც სრულიად სხვა წყაროდან მოხვდნენ „ითიკაში“), რომელსაც არ შეიცავს 42 თავის შემცველი ბერძნული ხელნაწერები.

ქართულ ხელნაწერთა შედგენილობა კიდევ ერთხელ ასაბუთებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ყველაზე მრავალრიცხოვან ათონურ ბერძნულ ხელნაწერთაგან, ზემოთ დასახელებული ექვსი უძველესია და მათში შემავალი თავების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 42-ს. ექვთიმე ათონელს სწორედ ამ შედგენილობის მქონე ბერძნული კრებული უნდა ჰქონოდა ხელთ და ბასილის 25 შესანიშნავი საუბრიდან 22 გაუცვნია ქართველი მკითხველისათვის. მეორე მხრივ, სწორედ ამ ექვსი, 42 თავის შემცველი ბერძნული ხელნაწერების მხოლოდ არსებობის ფაქტიც კი შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს „აჲ რმ:აჲ“-ს ქართული თარგმანის შედგენილობის საკითხი. თუ IX—X—XI საუკუნეების „აჲ რმ:აჲ“-ს ხელნაწერების შედგენილობას განსაზღვრავს ფსალმუნებზე აგებული 17 ქადაგება და 25 საუბარი სხვადასხვა თემაზე, მაშინ ადვილად დასაშვებია, რომ იმავე პერიოდში (X ს.) თარგმნილი „ითიკა“ შეიცავდეს ფსალმუნებზე აგებულ თვრამეტ ქადაგებას და ოცდაორ საუბარს სხვადასხვა თემაზე.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა)

6060 პელიქოზვილი

ძველ ქართულ ლექსიონართა ტექსტოლოგიური ანალიზი

(ხუთწიგნეულის მიხედვით)

1. ძირითადი ცნობები პარიზის, ლატალის, კალასა და სინას ხელნაწერების გადაწერათა, გადაწერის თარიღისა და მათში წარმოდგენილი საკითხავების ტექსტობრივი ურთიერთმიმართების შესახებ

ბიბლიური საკითხავები მოსეს ხუთი წიგნიდან, რომლებიც ამჟამად ჩვენი შესწავლის ობიექტს წარმოადგენენ, განვიხილეთ ძველი ქართული ლექციონარის ოთხი არსებული ხელნაწერის: პარიზის, ლატალის, კალასა და სინას მიხედვით<sup>1</sup>. ამჟამად ჩვენს მიზანს წარმოადგენს გარკვევა იმისა, თუ რა დაედო საფუძვლად ამ ოთხ ხელნაწერს: მომდინარეობენ ისინი ძველი ქართული ლექციონარის ერთი, თუ სხვადასხვა რედაქციიდან. იმისათვის, რომ ჩვენი შემდგომი კვლევისას სურათი ნათელი იყოს, მოვიტანთ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ძირითად ცნობებს პარიზის, ლატალის, კალასა და სინას ხელნაწერების გადამწერების, გადაწერის თარიღისა და მათში წარმოდგენილი საკითხავების ტექსტობრივი ურთიერთმიმართების შესახებ.

სინას ხელნაწერი თარიღიანია. მასში არსებული მინაწერიდან ირკვევა, რომ იგი 982 წელს გადაუწერია იოანე-ზოსიმეს. ამავე იოანეს სახელი, როგორც გადამწერისა, შეუნარჩუნებია ლატალის ხელნაწერსაც. ამ ორი მინაწერის საფუძველზე კ. კეკელიძე ასკვნის, რომ ლატალის ლექციონარი სინას ლექციონარიდან მომდინარეობს რომელიღაცა შუალედური ხელნაწერების მეშვეობით<sup>2</sup>.

ამ მოსაზრებას არ იზიარებენ სხვა მკვლევრები: იმის გამო, რომ L-ის ტექსტი ქართული ლექციონარის დანარჩენ ხელნაწერთა ტექსტთან შედარებით მოკლეა, ისინი მას ყველაზე ადრეულად მიიჩნევენ. ამ მკვლევართა აზრით, P, K, S ხელნაწერთა ტიპიკალური შენიშვნების შედარებით დიდი მოცულობა ლიტურგიკული პრაქტიკის განვითარების შემდგომ საფეხურზე მიუთითებს<sup>3</sup>.

რაც შეეხება კალას ხელნაწერს, იგი გადაწერილია ვინმე ჭიქაურის მიერ. ეს ირკვევა თვით ხელნაწერში არსებული ერთ-ერთი მინაწერიდან. კ. კეკელიძე ამ ხელნაწერს უძველესად მიიჩნევს (897 წლამდე გადაწერილად) არსებულ

<sup>1</sup> ეს ხელნაწერები შემდგომ აღნიშნული იქნება ზემოთ ჩამოთვლილი რიგის მიხედვით შემდეგი ლიტერებით: P, L, K, S.

<sup>2</sup> К. С. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII века, Тифлис, 1912, გვ. 8—9.

<sup>3</sup> P. Peeters, Rezension zu Heinrich Goussen, Über georgische Drucke und Handschriften, die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerusalem betreffend, An. Boll. 42 (1924), გვ. 138—139. H. Engberding, Ein Übersetzungsfehler, Muséon, 80, (1967), გვ. 383.

სამ ხელნაწერს შორის (პარიზის ლექციონარის არსებობა კ. კეკელიძისათვის უცნობი იყო<sup>4</sup>). საბუთად მკვლევარს მოაქვს გადაწერის ხელი და იერუსალიმის ლიტურგიკული პრაქტიკის დიდი სისრულით ასახვან<sup>5</sup>.

რაც შეეხება პარიზის ლექციონარის გადაწერს, პ. ლეები<sup>6</sup> და მ. თარხნიშვილი<sup>7</sup> ხელნაწერში არსებული მინაწერების საფუძველზე მას ბერად მიიჩნევენ.

პარიზის ხელნაწერის გადაწერის თარიღად ე. თაყაიშვილს მიჩნეული აქვს X—XI საუკუნეები<sup>8</sup>. ამავე თარიღს იმეორებენ პ. ლეები და მ. თარხნიშვილი.

P, L, K და S ხელნაწერების ტექსტობრივი დამოკიდებულება სპეციალური გამოკვლევის საგანი ჯერ-ჯერობით არ გამხდარა. არის რამდენიმე გამოწვევა ამ საკითხზე, ისინიც, ძირითადად, ემყარებიან არა P, L, K, S ხელნაწერებში წარმოდგენილი საკითხავეების ტექსტის შესწავლას, არამედ ამ საკითხავეების წინ წამძღვარებულ ტიპიკალურ შენიშვნებს:

„თავდაპირველმა ქართულმა თარგმანმა, შენახულმა შედარებით სუფთა და დაუზიანებელი სახით კლას ხელნაწერში, გარკვეული ცვლილებები განიცადა „ცოდვილი იოანეს“, 982 წლის სინას ხელნაწერის გადაწერის, რედაქტორული კალმის ქვეშ. ეს თარგმანი რამდენადმე კიდევ შეიცავდა ლატალის ხელნაწერში. ამგვარია ზოგადად გენეალოგია გამოცემული ძეგლისა“<sup>9</sup>.

პ. ლეების აზრით, „ზოგიერთ მონაცემში Ka მხარს უჭერს P-ს“<sup>10</sup>.

აი, ზოგადად ის, რაც ცნობილია P, L, K და S ხელნაწერთა გადაწერების, გადაწერის თარიღისა და მათი შემცველი საკითხავეების ტექსტობრივი ურთიერთმიმართების შესახებ.

## II. მართი რედაქციის საკითხავთა ტექსტობრივი ანალიზი

### 1. პარიზისა და ლატალის საკითხავეების ტექსტობრივი ურთიერთმიმართება

ტექსტობრივად ყველაზე ახლოს ერთმანეთთან პარიზისა და ლატალის ხელნაწერებში წარმოდგენილი საკითხავეები დგას. შესადარებელი მასალაც ყველაზე სრულად ამ ორ ხელნაწერშია მოცემული: სახეზეა ოცდარვა შესატყვისი<sup>11</sup> საკითხავი. ეს საკითხავეებია — დაბადების: 1,1-3,24; 17,1-19; 18,1-19,30; 25,11-26,25; 27,1-40; 27,41-28,7; 28,10-22; 29,1-35; 32,1-30; 37,2-22; 37,25-38,11; 38,12-39,23; 40,1-23; 45,1-46,4; 48,1-7. გამოსვლათა: 1,1-2,22; 4,18-6,13; 6,29-8,19; 8,20-9,35; 10,1-11,10; 12,1-42; 34,28-35; 40,15-29. მეორე სჯულთა: 6,4-7,26; 8,1-9,6; 9,7-10,11; 10,12-11,28; 12,28-14,3.

<sup>4</sup> პარიზის ხელნაწერი ევროპაში საქართველოდან გაუგზავნია 1731 წელს კაპუჩინ მისიონერების წინამძღვარს.

<sup>5</sup> კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10—11. შტრ.: ქ. ლორთქიფანიძე, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, თბ., 1956, გვ. 110.

<sup>6</sup> H. Lee b, Die Gesänge im Gemeindegottesdienst von Jerusalem (vom 5. bis 8. Jahrhundert), Wien, 1970, გვ. 25.

<sup>7</sup> Le Grand Lectionnaire de L'église de Jérusalem (V<sup>e</sup>-VIII<sup>e</sup> siècle), édité and traduit par Michel Tarchnischvili, Scriptor Iberici, t. 9. Louvain, 1959, გვ. VI.

<sup>8</sup> ექ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნაშანი, პარიზი, 1933, გვ. 29-30.

<sup>9</sup> კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

<sup>10</sup> პ. ლეები, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

<sup>11</sup> „შესატყვის“ ტექსტში ვკულისხმობთ ადგილის მიხედვით თანხედრილ ტექსტს.

ამ ოცდარვა საკითხავის ჩვენებები თითქმის ერთგვაროვანია. განსხვავებანი P-ისა და L-ის ლექციონარებში წარმოდგენილი შესატყვისი საკითხავების ტექსტებს შორის არსად არ სცილდება მცირე ვარიანტული სხვაობის ფარგლებს. ლატალის ხელნაწერი პარიზის ხელნაწერთან შედარებით საკითხავებს საგრძნობლად შემოკლებული სახით წარმოგვიდგენს. ტექსტის შემოკლებისათვის იგი ტოვებს და ამოკლებს მუხლებს. საინტერესოა ერთი მომენტი: მიუხედავად იმისა, რომ ლატალის ხელნაწერი ტექსტის შემოკლების ტენდენციას ატარებს, ორ შემთხვევაში იგი აერთიანებს ორ-ორ მუხლს და მიღებულ მესამე მუხლს წინა ორთან ერთად წარმოგვიდგენს. ასეთი „სინთეზური“ მუხლი გვაქვს ვამ.: 40,22-23-ისა და ვამ. 40,24-25-ე მუხლების შემდეგ. შესაძლებელია, ეს გარემოება დამახასიათებელი იყოს ლექციონართა სტრუქტურისათვის.

### 2. პარიზისა და კალას საკითხავების ტექსტობრივი ურთიერთმიმართება

პარიზისა და კალას ხელნაწერებში წარმოდგენილია ოცი შესატყვისი საკითხავი. მათ მანძილზე არა გვაქვს ისეთივე ერთგვაროვანი სურათი, როგორც გვექონდა P-ისა და L-ის ხელნაწერთა შესატყვისი ტექსტების შედარებისას.

ცამეტი საკითხავის მანძილზე: დაბადების: 1,1-3,24; 18,1-19,30; 22,1-19; 27,1-46; 38,12-39,23; 40,1-23 გამოსლვათა: 8,20-9,35; 10,1-11,10; 14,24-15,21 მეორე სჯულთა: 9,7-10,11; 10,12-11,28; 11,29-12,27; 12,28-14,3 განსხვავებანი პარიზისა და კალას ხელნაწერთა ტექსტებს შორის არ სცილდება ვარიანტული სხვაობის ფარგლებს. ეს ვარიანტული სხვაობები ზოგან უმნიშვნელო რაოდენობით არის წარმოდგენილი, ზოგან შედარებით მეტია. ამგვარი მსხვილი ვარიანტული სხვაობის ნიმუშს იძლევა შემდეგი მონაკვეთები: დაბ.: 37,2-22. ვამ.: 10,5-6. მ. სჯ.: 9,7-10,11; 10,12-11,28. მაგ.:

P

K

და დაფაროს ქუეყანად და ვერ უძლო ხილვად ქუეყანისა და შექამოს ყოველი ნეშტი, რომელი დაუშთა სეტყუასა, და შექამოს ყოველი ხმ მცენარეჲ ქუეყანისა.

და დაფაროს პირი ქუეყანისა და ვერ უძლო ხილვად ქუეყანისა და შექამოს ყოველი ხმ ქუეყანისა და შექამოს ყოველი დაშთომილი ნეშტი, რომელი დაუშთა სეტყუასა.

ვამ.: 10,5

იქ, სადაც ვარიანტული სხვაობები P-ისა და K-ს ტექსტებს შორის მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი, ისინი, როგორც წესი, მაინც აღემატება P-ისა და L-ის შესატყვის ტექსტებს შორის არსებულ სხვაობებს.

დანარჩენ შვიდ საკითხავში — დაბადების: 6,9-9,19; 37,23-38,11; 45,1-46,4 გამოსლვათა: 2,23-4,18; 4,18-6,13; 12,1-42 და მეორე სჯულთა: 8,1-9,6-ში რიგი მუხლებისა P-ისა და K-ს ხელნაწერებში განსხვავებული რედაქციების წარმომადგენლებად გვევლინება. ამ მუხლების ჩვენებებს ქვემოთ ცალკე შევხებით.

### 3. კალასა და ლატალის საკითხავების ტექსტობრივი ურთიერთმიმართება

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ იმის გარკვევას, თუ რა ტექსტობრივი დამოკიდებულება არსებობს, ერთი მხრივ, პარიზისა და ლატალის, მეორე მხრივ, პარი-

ზისა და კალას ხელნაწერებში წარმოდგენილ შესატყვის. ტექსტებს შორის. ჩატარებული სამუშაოს შემდეგ მარტივდება ტექსტობრივი ურთიერთობის გარკვევა კალასა და ლატალის ხელნაწერთა შესატყვის საკითხავებს შორისაც: ყველგან, სადაც პარიზისა და კალას ხელნაწერთა ტექსტები ერთ რედაქციას მისდევს, ამავე რედაქციის ვარიანტებს წარმოადგენენ კალასა და ლატალის ხელნაწერთა ტექსტებიც. იქ კი, სადაც განსხვავებანი P-სა და K-ს ტექსტებს შორის სცილდება ვარიანტული სხვაობის ფარგლებს, ასეთსავე ვითარებას აქვს ადგილი კალასა და ლატალის ხელნაწერთა ტექსტებს შორისაც. ეს ვითარება განპირობებულია იმით, რომ პარიზისა და ლატალის ხელნაწერთა ტექსტები ჩვენს მიერ განხილული ყველა შესატყვისის საკითხავის მანძილზე ერთი და იმავე რედაქციის საკმაოდ ახლოს მდგომ ვარიანტებს წარმოადგენს. ვარიანტული განსხვავების ნიმუშად მოვიტანთ დაბ.: 1,16 მუხლს:

K

და შექმნა ღმერთმან ორნი ესე ნათელნი დიდ-დიდნი: მნათობი ესე დიდი — მფლობელად დღისა, და მნათობი ესე უმცირესი — მფლობელად ღამისა, და ვასკულავნი.

L

და შექმნა ღმერთმან ორნი ესე ნათელნი დიდნი: ნათელი ესე დიდი — მფლობელად დღისა, და ნათელი ესე უმწემესი — მფლობელად ღამისა, და მასკულავნი.

4. პარიზისა და სინას საკითხავების ტექსტობრივი ურთიერთმიმართება

სახეზეა ოთხი შესატყვისის საკითხავი, რომელთა ჩვენებებზე დაყრდნობით შეიძლება გაირკვეს ტექსტობრივი ურთიერთმიმართება პარიზისა და სინას ხელნაწერებისა. ეს საკითხავებია — დაბადების: 6,9-9,19; 18,1-19,30; 22,1-19 და გამოსლვათა: 12,1-42.

დაბ.: 18,1-19,30-ისა და გამ.: 12,1-42-ის მანძილზე განსხვავებანი P-ისა და S-ს ტექსტებს შორის არ სცილდება ვარიანტული სხვაობის ფარგლებს. ეს სხვაობები დაბ. 18,1-19,30-ში უფრო მეტი რაოდენობით არის წარმოდგენილი, ვიდრე გამ. 12,1-42-ში.

P

და ქამდენ მას ესრე სახედ: კუერთხი ჰელთა, სარტყელი წელთა, კამლი ფერკთა. მალიად-მალიად, სწრაფლ შექამეთ, რამეთუ ზატიკი არს უფლისაჲ.

S

ხოლო ქამდენ ესრე სახედ: კუერთხი კელთა, სარტყელი წელთა, კამლი ფერკთა, სანთელი კელთა. მალიად, მწრაფლ შექამეთ, რამეთუ ზატიკი არს უფლისაჲ.

გამ.: 12,11

რაც შეეხება დანარჩენ ორ საკითხავს, აქ შემდეგი სურათი გვაქვს: დაბ.: 6,9-9,19-ში 78 მუხლის მანძილზე თორმეტი მუხლი: 6,19-20-21; 7,2-9-13; 8,9-18; 9,3-5-11-19 P-ისა და S-ს ხელნაწერებში რედაქციულად არის ერთმანეთისაგან განსხვავებული. ხოლო დაბ.: 22,1-19-ში ასეთი მუხლი სულ ოთხია: 22,3-5-6-9. ამ მუხლების ჩვენებებს ქვემოთ დაწვრილებით შევვხებით.

პარიზისა და სინას ხელნაწერების მოცულობათა ურთიერთმიმართების შესახებ მსჯელობა მხოლოდ ამ ოთხი შესატყვისი საკითხავის მიხედვით არ იქნებოდა გამართლებული.

5. ტექსტობრივი დამოკიდებულება კალასა და  
 სინას ხელნაწერებში წარმოდგენილი  
 საკითხავებისა

K-სა და S-ს ხელნაწერებში წარმოდგენილია ხუთი შესატყვისი საკითხავი. ესენია: დაბადების: 1,1-3,24; 6,9-9,19; 18,1-19,30; 22,1-19 და გამოსლვათა: 12,1-42. სამ მათგანში: დაბ.: 1,1-3,24; 6,9-9,19 და 22,1-19-ში კალასა და სინას ხელნაწერთა ტექსტები ერთი და იმავე რედაქციის ვარიანტებს წარმოადგენენ. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ერთი მუხლის ჩვენებას:

K

S

და თქუა ღმერთმან: შეკრბედ წყალნი, რომელნი არიან შესაკრბელსა ერთსა, და გამოჩნდინ კმელი! და იყო ეგრე: და შეკრბეს წყალნი ქუეშე ცასა შესაკრბელსა მათსა და გამოჩნდა კმელი.

და თქუა ღმერთმან: შეკრბედ წყალნი ეგე, რომელ არიან ქუეშე ცასა შესაკრბელსა ერთსა, და გამოჩნდინ კმელი! და იყო ეგრე: და შეკრბეს წყალნი იგი ქუეშე ცასა შესაკრბელსა ერთსა და გამოჩნდა კმელი.

დაბ.: 1,9

რაც შეეხება დანარჩენ ორ საკითხავს — დაბ.: 18,1-19,30 და გამ.: 12,1-42, აქ სურათის ერთიანობა ირდევია: პირველში თერთმეტი, ხოლო მეორეში 24 მუხლის მანიძიზე კალასა და სინას ხელნაწერთა ტექსტები რედაქციულ სხვაობას გვიჩვენებენ. ამ მუხლების შესახებ ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

6. სინასა და ლატალის საკითხავების  
 ტექსტობრივი ურთიერთმიმართება

ლატალისა და სინას ლექციონარებში გვაქვს სამი შესატყვისი საკითხავი: დაბ.: 1,1-3,24; 18,1-19,30 და გამ.: 12,1-42. სამივე საკითხავის ფარგლებში ლატალისა და სინას ხელნაწერთა ტექსტები ერთი და იმავე რედაქციის ვარიანტებს წარმოადგენენ. მაგ.:

S

L

და მოილო ერბოჲ და სძჳ და კბოჲ იგი მომზადებული და პური და დაუგო მათ წინაშე და ჳამეს. და აბრაჳამ დგა წინაშე მათსა ხესა მას ქუეშე.

და მოილო ერბოჲ და სძჳ და კბოჲ იგი მომზადებული, პური, და დაუგო წინაშე მათსა და ჳამეს. აბრაჳამ დგა წინაშე მათსა ხესა მას ქუეშე.

დაბ.: 18,8

მოცულობის თვალსაზრისით ლატალისა და სინას ხელნაწერების ტექსტის შედარება ამ სამი საკითხავის მიხედვით გაჭირდება: სამივე საკითხავი 66 მუხლს

მოიცავს, რომელთაგან 22 მუხლი ლატალის ხელნაწერში დაზიანებულია. დარჩენილი 46 მუხლის მანძილზე ლატალის ხელნაწერის ტექსტი ორმოციოდ სიტყვით ჩამოუყარდება სინას ტექსტს.

ასეთ მცირე მონაცემებზე დაყრდნობით მყარი დასკვნის გამოტანა არ ხერხდება.

### 111. ოჰაის ბიბლიისა და ლამპრონარტა ზესაჰჰვისი ბამსტარტის შართიართიფიკატია

ძველი ქართული ლექციონარის ოთხი ხელნაწერის — P, K, L, S-ს შესატყვისი საკითხავების შედარება ჩვენთვის საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც გვსურდა გაგვეჩვენა მათ შორის არსებული ტექსტობრივი დამოკიდებულება, დაგვეჩვენებინა — მომდინარეობენ თუ არა ისინი ქართული ლექციონარის ერთი რომელიღაცა უძველესი რედაქციიდან.

როგორც ჩატარებულმა სამუშაომ დაგვანახვა, ჩვენთვის საინტერესო ტექსტები ძირითადად მართლაც ერთი რედაქციის წარმომადგენლებია. გამოვლინდა რიგი რედაქციულად განსხვავებული მუხლებისაც, რომელთაც ზემოთ დაწვრილებით არ შევხებივართ.

საკითხი P, K, L, S ხელნაწერთა პირველი წყაროს შესახებ ორგანულად არის დაკავშირებული მეორე არანაკლები მნიშვნელობის მქონე საკითხთან: რა დედო საფუძვლად ქართული ლექციონარის უძველეს რედაქციას<sup>12</sup>. ამ მეტად რთული პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, P, K, L, S ხელნაწერები X ს-ით თარიღდება. ქრონოლოგიურად ბიბლიის მეტ-ნაკლებად სრულ უძველეს ქართულ თარგმანთაგან ყველაზე ახლოს ქართული ლექციონარის ამ ოთხ ხელნაწერთან 978 წლის ოჰაის ბიბლია<sup>13</sup> დგას. სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ლექციონარის უძველესი რედაქციის შექმნის თარიღად V—VIII საუკუნეებია მიჩნეული<sup>14</sup>: „რომელიღაც უძველესი ბერძნული ლექციონარიდან, რომელიც შესაძლოა ძალიან ემსგავსება სომხურ ლექციონარს, ოთხი საუკუნის მანძილზე ჩართვებისა და ახლის მიმატების შედეგად განვითარდა ის საეკლესიო ლექციონარი, რომელსაც დღეს შეიცავს ოთხი ხელნაწერი: P, L, S და Ka“<sup>15</sup>.

ასეთი ხასიათის ცნობები ოჰაის ბიბლიის უძველესი რედაქციის შექმნის შესახებ არ მოგვეპოვება. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მისი პროტოტიპი არსებობდა უკვე იმ დროს, როდესაც რომელიღაც ჩვენთვის უცნობ მთარგმნელს მიზნად დაუსახავს ლექციონარის ქართულად გადმოღება. შესაძლებელია, რომ მთარგმნელს უცხოენოვანი დედნის გვერდით ედო ოჰაის ხელნაწერის პროტოტიპიც. იცავდა რა ლექციონარის სტრუქტურასა და შედ-

<sup>12</sup> ამ საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობას მოკლებული არ არის P, K, L, S-ს რედაქციულად განსხვავებული მუხლების ჩვენებები.

<sup>13</sup> წიგნი ძველისა აღთქმისანი, 978 წლის ხელნაწერის მიხედვით, ტ. I, ნაკვეთი, I, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1947.

<sup>14</sup> ვ. ლევი, დასხ. ნაშრომი, გვ. 26—30. მ. თარხნიშვილი, დასხ. ნაშრომი. B. Capelle, La fête de la Vierge à Jerusalem au <sup>ve</sup> siècle: Muséon, 56 (1943), გვ. 2—3. F. M. Abel, A. a. O. 454. A. Baumstark, Ausstrahlungen des vorbysantinischen Heiligenkalenders von Jerusalem, Orchr, P 2, (1936), გვ. 136.

<sup>15</sup> ვ. ლევი, დასხ. ნაშრომი, გვ. 32—33.



გენის პრინციპებს, იგი იხედებოდა მასში ბერძნული ლექციონარის პარალელურად.

შედარებული მასალის მონაცემები რამდენადმე მხარს უჭერს ამ ვარაუდს. ოშკის ბიბლიაში წარმოდგენილია ქართულ ლექციონართა ოცდაათი საკითხავის შესატყვისი ტექსტი. აღმოჩნდა, რომ ოცდაორი საკითხავის მანძილზე ოშკის ხელნაწერისა და P, K, L, S-ს ხელნაწერთა ტექსტები ერთი რედაქციის არტუ დიდად დაცილებული ვარიანტებია (ზოგჯერ ვხვდებით მსხვილ ვარიანტულ სხვაობებსაც). ეს საკითხავები შემდეგია: დაბადების: 13,1-12; 15,1-18; 17,1-19; 22,1-19; 25,11-26,25; 28,1-7; 28,10-29,35; 32,1-30; 35,9-20, 37,2-22; 38,12-39,23; 40,1-23; 45,1-46,4; 48,1-7; 50,15-26. გამოსლვათა: 1,1-2,22; 2,23-4,18; 4,18-6,13; 6,29-8,19; 8,20-9,35; 10,1-11,10; 40,15-29.

სურათის ნათელსაყოფად მოვიტანთ ერთ-ორ პარალელურ ადგილს ოშკისა<sup>16</sup> და P, K, L, S-ს ხელნაწერებიდან, რომელთაგან პირველში უმნიშვნელო, მეორეში — შედარებით მსხვილი ვარიანტული სხვაობაა.

PL

და განვიდა (გამოვიდა L) იაკობ ჯურღმულისა მისგან ფიცისა და წარვიდა ქარანდ.

O

და განვიდა იაკობ ჯურღმულისა მისგან ფიცისა და წარვიდა ქარანდ.

დაბ.: 28,10

K

არამედ უდაბნოდ განვიდეთ და შევწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა, ვითარცა მრქუა ჩუენ უფალმან.

O

არამედ გზასა სამისა დღისა სავალსა განვიდეთ უდაბნოდ და შევწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა, ვითარცა იგი მრქუა ჩუენ.

გამ.: 8,27

რაც შეეხება დანარჩენ რვა საკითხავს — დაბადების: 13,14-14,24; 18,1-19,30; 20,1-21,8; 24,2-67; 27,1-46; 37,23-38,11; 41,1-52 და გამოსლვათა: 12,1-42 — ისინი ოშკისა და ქართული ლექციონარის ხელნაწერებში სხვადასხვა რედაქციას მისდევენ. მათ ჩვენებებს ქვემოთ ცალკე განვიხილავთ P, K, L, S ხელნაწერების რედაქციულად განსხვავებულ მუხლებთან ერთად.

#### IV. ვართული ლექციონარის ძირითადი რედაქციული ხაზისაგან

დანსხვავებული ამჟამის ანალიზი (ზოგიერთ წყაროსთან მიჯნობით)

პარიზის, ლატალის, კალასა და სინას ხელნაწერების და ოშკის ბიბლიის შესატყვისი ტექსტების შედარებამ გამოავლინა ძირითადი რედაქციული ხაზისაგან განსხვავებული მუხლები და ზოგჯერ მთელი საკითხავებიც კი.

ბუნებრივია, რომ იქ, სადაც ქართულ ლექციონართა შესატყვისი ტექსტები მხოლოდ ვარიანტულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვერაუდობთ ამ ტექსტების ერთი უძველესი ქართული რედაქციიდან მომდინარეობას. ასეთი სურათი გვაქვს საკითხავთა დიდ ნაწილში.

<sup>16</sup> ქვემოთ ოშკის ხელნაწერს აღვნიშნავთ O ლიტერით.

იქ, სადაც განსხვავებანი შესატყვის ტექსტებს შორის სცილდება ვარიანტული სხვაობის ფარგლებს, წამოიჭრება კითხვა ამ რედაქციული სხვაობების გაჩენის მიზეზთა შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი, რომ ქართული ლექციონარი იმეორებს V—X საუკუნეების იერუსალიმის ლიტურგიკულ პრაქტიკას. იმის გამო, რომ ღვთისმსახურება იერუსალიმში ბერძნულ ენაზე ტარდებოდა, ქართული ლექციონარის პირველწყაროდ ბერძნული ორიგინალი არის მიჩნეული<sup>17</sup>, რომელიც, სამწუხაროდ, დაკარგულია. მაშასადამე, ივარაუდება, რომ ქართული ლექციონარის უძველესი რედაქციის თარგმანი შესრულებულია ბერძნული ენიდან. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება იმის ვარკვევა, თუ რომელი ნაწილი ჩვენი განსახილველი ტექსტისა მისდევს ბერძნულ ტექსტს<sup>18</sup> — ძირითადი ნაწილი საკითხავებისა თუ შედარებით მცირე რიცხვი მათგან რედაქციულად განსხვავებული მუხლებისა.

შესადარებელი მასალა გარკვეული თანმიმდევრობით გავაანალიზეთ: ცალ-ცალკე დავალაგეთ თვითოეული ხელნაწერის (P, K, L, S) ძირითადი ხაზისაგან რედაქციულად განსხვავებული მუხლები და განვიხილეთ ისინი ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერის შესატყვის ტექსტთან მიმართებით.

1. ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ბიბლიისაგან რედაქციულად განსხვავებული ტექსტი პარიზის ხელნაწერში

ხუთწიგნეულის ჩვენს მიერ განხილულ საკითხავთა შორის არის დაბადების ოთხი საკითხავი: 13,14-14,24; 20,1-21,8; 24,2-67 და 41,1-52, რომლებიც ქართული ლექციონარის ოთხ ხელნაწერთაგან მხოლოდ პარიზის ხელნაწერში არის წარმოდგენილი და ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერის ტექსტისაგან განსხვავებულ რედაქციას გვთავაზობს<sup>19</sup>. განვიხილოთ თვითოეული ამ საკითხავის ჩვენება ცალ-ცალკე.

ა) დაბ.: 13,14-14,24.

ამ საკითხავის მანძილზე პარიზსა და ბერძნულ სეპტანტა/ოშკს შორის მრავალ რედაქციული ხასიათის სხვაობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საკუთარი სახელების განსხვავებული ფორმით ხმარება. მაგ.: აფთალისსა, სერა-ეულთა მეფისასა P, ამარფალ, მეფისა სენარისასა O, Αμαρτζαλ βτασιλῆς Ξεν-ναρι; დაბ.: 14,1,

ასტარონს P, ასტაროთს O, Ασταρῶν დაბ.: 14,5,

ჭევები ალაოცისა P, ჭევი ივი მარილოანი O, ἢ δὲ καιλῆ; ἢ ἀλακῆ; დაბ.: 14,10.

ესქორისთა P, ესქოლისსა O, Εσχῶλ; დაბ. 14,13.

ესქურისი P, ესქოლ O, Εσχῶλ; დაბ.: 14,24,

<sup>17</sup> ჰ. ლეეზი, დსახ. ნაშრომი, გვ. 30-31.

<sup>18</sup> ვისარგებლეთ: Septuaginta, edidit Alfrad Rahlfs, Stuttgart, 1952. ადვილი შესაძლებელია, რომ ქართული ლექციონარის უძველეს რედაქციას საფუძვლად დაედო არა ბერძნულ სეპტანტაში შეშავალი ხელნაწერები, არამედ სხვა, დღეისათვის ჩვენთვის უცნობი ხელნაწერები.

<sup>19</sup> ვაღვენდით რა რედაქციულ სხვაობას, ანგარიშს ვუწვედით ძირითადად არა ფონეტიკურ-ორთოგრაფიულ და მორფოლოგიურ სხვაობებს, არამედ განსხვავებებს ლექსიკაში, სიტყვათა წყობაში და ვაღმოსაცემ შინაარსში.

7. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1

მოეიტანთ ამ საკითხავში ერთ-ერთ რედაქციულად განსხვავებულ მუხლს:

P

ესე ყოველნი მეფენი შეიზრახნეს და ერი იგი შეიკრიბეს ჳევსა მას მარილოანსა და მთასა ზედა და ზღუასა მას მარილოანსა.

O

ესე ყოველნი შეითქუნეს ღელესა მას მარილოანსა, ესე-იგი არს ზღუაჲ მარილოაჲ.

πάντες οὗτοι συεφάσθησαν ἐπὶ τῆς φάραγγα  
τῆς ἀλάκῃς (აწუჲ ἰწმალაჲსა τῶν ἀλῶ).

დაბ.: 14,3

ბ) დაბ.: 20,1-21,8

ოშკის ხელნაწერში წარმოდგენილია მხოლოდ 21,1-6, დანარჩენი მონაკვეთი (20,7-21,8) მას აკლია. ამიტომ პარიზის ხელნაწერის ტექსტს ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერის ტექსტს ვუდარებთ მხოლოდ ამ ექვსი მუხლის მანძილზე. აქაც, ისევე როგორც ზემოთ წარმოდგენილ საკითხავში, P განსხვავებულ რედაქციას იძლევა. მაგ.:

P

განეშორე აბიმელიქ ზრახვისა მაგის-გან! და ჰრქუა აბიმელიქ ღმერთსა: უფალო ღმერთო, ნათესავი ერთი უცბობით და სიმართლით მო-ხოლო-მსპოა?

O

ხოლო აბიმელიქ არა შეეხო მას და თქუა: უფალო, ნათესავი უმეცარი და მართალი წარსწყმიდოა?

Ἀβιμελεχ μὲν οὐχ ἠψάτο αὐτῆς καὶ εἶπεν  
Κύριε, ἔσθις ἀγιστὸν καὶ δικαίον ἀπίστει.

დაბ.: 20,4

გ) დაბ.: 24,2-67.

ამ საკითხავში წარმოდგენილია პარიზის ხელნაწერის შემდეგი მუხლები: 24,2-38; 49-54; 59-67. ნაკლები მუხლები გამოტოვებულია შეგნებულად, ლექციონარის ტექსტის შემოკლების მიზნით: ამ მუხლების ამოღების შემდეგ აზრი მაინც ნათელი რჩებოდა, ხოლო შემოკლებული სახით ეს ტექსტი, როგორც ჩანს, უფრო შეეფერებოდა ლექციონარის დანიშნულებას.

წარმოდგენილი ტექსტი პარიზის ხელნაწერში უფრო ვრცელია, ვიდრე ოშკის ხელნაწერში: პარიზის ხელნაწერის ამ საკითხავის თითქმის ყოველი მუხლი აღემატება ოშკის შესატყვის მუხლს.

პარიზის ხელნაწერში წარმოდგენილი ორმოცდათორმეტი მუხლის მანძილზე არის ოთხიოდე მუხლი (24,6-16-61-66), სადაც პარიზის ხელნაწერის ტექსტი იმავე რედაქციას მისდევს, რასაც ბერძნული სეპტანტა და ოშკის ხელნაწერი. დანარჩენი ორმოცდარვა მუხლის მანძილზე პარიზის ხელნაწერის ტექსტი იძლევა მკვეთრ რედაქციულ სხვაობას ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერისაგან. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ასეთი აშკარად გამოხატული რედაქციული სხვაობა ჩვენს მიერ მომზადებული ტექსტის ფარგლებში სხვაგან არსად შეინიშნება. საერთო P-სა და ბერძნ. სეპტანტა/O-ის ტექსტებს შორის არის მხოლოდ გადმოსაცემი შინაარსი. ამ საერთო შინაარსის გადმოცემა კი სრულიად განსხვავებული ლექსიკის მეშვეობით ხდება. მაგ.:

**P**

და იყო შემდგომად მათ ღღეთა სი-  
ტყუად იწყო აბრაჰამ მონათუხუცესსა  
მას მისსა, რომელი-იგი იყო კელმწი-  
ფშ ყოველსა ზედა სახლსა მისსა და  
პრქუა მას: მოყავ ჩემდა კელი შენი და  
დამდევ წყვილთა ჩემთა.

**O**

და პრქუა აბრაჰამ მონასა თვსსა უხუ-  
ცესსა სახლისა თვისისასა, მთავარსა მას  
ყოვლისასა, რომელ-რაჲ იყო მისი:  
დამდევ კელი შენი წყვილთა ჩემთა.  
και ειπεν Αβρααμ τῷ παιδὶ αὐτῶν τῷ  
πρεφυστέρῳ τῆς οικίας αὐτῶν τῷ ἄρχοντι  
πάντων τῶν αὐτῶν ἵνα τῷ χεῖρά σου ἵπῃ  
τὸν μῆρον μου.

დაბ.: 24,2

გ) დაბ.: 41,1-52.

ორმოცდათორმეტი მუხლის მანძილზე არის ოცდაორი მუხლი, რომლებ-  
შიც პარიზის ხელნაწერი რედაქციულად არის განსხვავებული ბერძნული სეპ-  
ტანტისა და ოშკის ხელნაწერის შესატყვისი ტექსტისაგან. ეს მუხლებია: 41,4-  
6-7-8-10-12-16-20-21-24-25-26-27-28-30-31-32-39-40-42-43-47. დარჩენილი  
ოცდაათი მუხლის მანძილზე სხვაობა P-ის ხელნაწერის ტექსტისა ბერძნული  
სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერის შესატყვისი ტექსტებისაგან შეიძლება ფორ-  
მულირებულ იქნეს როგორც მსხვილი ვარიანტული. ამასთან, P O-თან შედა-  
რებით რამდენადმე შემოკლებულ ტექსტს წარმოგვიდგენს. ვფიქრობთ, რომ  
ეს მონაცემები საკმარისია პარიზის ხელნაწერის ტექსტის ცალკე რედაქციის  
წარმომადგენლად მიჩნევისათვის ამ საკითხავის ფარგლებში. მაგ.:

**P**

და არაჲ აჩნდა მუცელსა მათსა, ვი-  
თარმცა ეჰამა-რაჲ. და იგინი იყვნეს ეგ-  
რევე მჰლშ და უშუერ.

**O**

შევიდეს მუცელთა მათთა და არარაჲ  
გამოჩნდა, ვითარ შევიდეს მუცელთა  
მათთა. და პირნი მათნი ეგრევე საძა-  
გელ იყვნეს, ვითარცა-იგი პირველ-  
განვიღძქე და კუალად დავიძინე.  
και εισηλθει εις τὰς κοιλίας αὐτῶν και  
ὁ βῆμας ἐγένετο ὡς εισηλθει εις τὰς  
κοιλίας αὐτῶν, και αὶ ὄψεις αὐτῶν αἰσχροὶ  
καὶ αὶ τῷ ἀρχῆ. ἐξεγερθεις ἡ ἐξο-  
μῆσιν.

დაბ.: 41,21

**2. რედაქციული ერთიანობის რღვევა PLS-სა და K ხელნაწერთა შესატყვისი ტექსტებს შორის**

ამჟამად ჩვენ შევხებით ერთ მეტად საინტერესო საკითხავს, რომელიც  
წარმოდგენილია ქართული ლექციონარის ოთხივე ხელნაწერში: გამ.: 12,1-42.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამ.: 12,1-24 მუხლების მანძილზე კალას  
ხელნაწერი გვთავაზობს PLS-ისაგან რედაქციულად განსხვავებულ ტექსტს.  
25-ე მუხლიდან დაწყებული კი საკითხავის დასასრულამდე სურათი ერთგვა-  
როვანი ხდება: ოთხივე ხელნაწერში არსებული ტექსტი ერთი და იმავე რე-  
დაქციის წარმომადგენლად გვევლინება.

P, K, L, S ხელნაწერების 1-24-ე მუხლების შედარებისას ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერის ტექსტთან აღმოჩნდა, რომ ეს მუხლები კალას ხელნაწერში იმავე რედაქციას მისდევს, რომელსაც ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერის შესატყვისი ტექსტი. ისმის კითხვა: მთელი ამ საკითხავის მანძილზე PLS ხელნაწერები ხომ არ სარგებლობდნენ K /ბერძნ. სეპტ./ ოშკისაგან რედაქციულად განსხვავებული წყაროთი? ამ ვარაუდს ხელს უშლის ის, რომ 25-ე მუხლიდან დაწყებული კვლავ ერთ რედაქციასთან გვაქვს საქმე ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ხელნაწერში. უფრო სავარაუდოა, რომ PLS ხელნაწერთაგან ერთ-ერთი (მოსალოდნელია S, რამდენადაც გადაწერის თარიღის მიხედვით იგი უსწრებს P და L ხელნაწერებს) საფუძვლად დაედო დანარჩენ ორს. არაა გამორიცხული, რომ მანამ, სანამ გადაიწერებოდა პარიზისა და ლატალის ხელნაწერები, სინას ხელნაწერს დაუზიანდა გამ.: 12, 1-24-ე მუხლები, რომლებიც, როგორც ჩანს, შევსებული იქნენ ქართული ლექციონარის უძველესი რედაქციისაგან განსხვავებული წყაროთი. სწორედ ამ გზით შევსებული 1-24-ე მუხლები მოხვდნენ P-ისა და L-ის ხელნაწერებში. ამ ვარაუდს რამდენადმე მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ ტექსტობრივად P, L, S ხელნაწერები გაცილებით ახლოს დგას ერთმანეთთან, ვიდრე K-სთან.

იმისათვის, რომ თვალსაჩინო იყოს რედაქციული დაცილება აღნიშნული ხელნაწერების ტექსტისა 12,1-24-ე მუხლების მანძილზე, მოვიტანთ გამ.: 12,9 მუხლის ჩვენებას:

S

ხოლო შეჰამონ კრავი იგი ესრე სახედ:  
ნუ უწუველი ჰამონ, ნუცა მგბარი  
წყლითა, არამედ მწუარი ცეცხლითა  
შეჰამონ სწრაფით. თავ-ფერკი ნაწლე-  
ვითურთ შეჰამონ.

K

არა შეჰამოთ მისგანი უგბილი, არცა  
მგბარი ცეცხლითა, თავი ფერკითურთ  
და ნაწლევით.

P

ხოლო შეჰამონ კრავი იგი ესრე სახედ:  
ნუ უფუველი ჰამონ, ნუცა წყლითა  
მგბარი, არამედ მწუარი ცეცხლითა ჰა-  
მონ. ტფილი შეჰამონ და აღრე შეჰა-  
მონ. თავ-ფერკი ნაწლევითურთ შეჰა-  
მონ.

O

არა შეჰამოთ მისგანი უგბოლველი, არ-  
ცა მგბარი წყლითა, არამედ მწუარი  
ცეცხლითა, თავი ფერკითურთ და ნაწ-  
ლევით.

L

ხოლო შეჰამონ კრავი იგი ესრე სახედ:  
ნუ უწველი ჰამონ, ნუცა წყლითა მგბა-  
რი, არამედ მწუარი ცეცხლითა ჰამონ.  
ტფილი შეჰამონ თავ-ფერკით, ნაწლე-  
ვითურთ.

οὐκ ἐμθεσθε ἀπ' ἀναῶν ἀπὸν οὐδὲ ἡψυχθεῖσιν  
ἐν σὺβαρι, ἀλλ' ἡ σπατὰ παρσι, καφαλ' ἦν σὺν  
τοῖς πασιῶν καὶ τοῖς ἐνθεσθισίαι.

### 3. კალას ხელნაწერის რედაქციული დაცილება ქართული ლექციონარის დანარჩენ ხელნაწერთაგან

რამოდენიმე საკითხავში გარკვეული მუხლების მანძილზე კალას ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი დანარჩენ ხელნაწერთაგან (P, L, S) და ბერძნული სექტანტისა და ოშკის ხელნაწერის შესატყვისი ტექსტისაგან რედაქციულ განსხვავებას იძლევა. ეს საკითხავებია — დაბადების: 18,1-19,30; 37,23-38,11. გამოსლვათა: 2,23-4,18; 4,18-6,13. მეორე სჯულთა: 8,1-9,6. ქვემოთ თითოეული საკითხავის ჩვენებებს განვიხილავთ ცალ-ცალკე.

ა) დაბ.: 18,1-19,30

ამ საკითხავის მანძილზე არის რვა მუხლი: 18,12-13-14-15-19-20-22-25, რომლებშიც ბერძნული სექტანტა, ოშკის, სინასა და ლატალის ხელნაწერები ერთი რედაქციის წარმომადგენლებია, კალასი — განსხვავებული<sup>20</sup>. საკითხავის დანარჩენ ნაწილში სურათი ერთგვაროვანი ხდება: ქართული ლექციონარის ყველა ხელნაწერი ერთ რედაქციას მიჰყვება. მაგალითისათვის მოვიყვანთ K-სა და სხვა ხელნაწერებს შორის რედაქციულად განსხვავებულ 18,20-ე მუხლს:

K

და პრქუა უფალმან ღმერთმან: ღალადებამან სოდომელთამან და გომორელთამან იმსო და განმრავლდეს ცოდვანი მათნი და დიდძალნი ფრიად სასწორსა ზედა დაზუნულ არიან.

S

და პრქუა უფალმან: ღალადებაჲ სოდომისაჲ და გომორისაჲ განძლიერებულ არს და ცოდვანი მათნი დიდ არიან ფრიად.

O

და თქუა უფალმან: ღალადებაჲ სოდომისაჲ და გომორისაჲ განმრავლებულ არს და ცოდვანი მათნი დიდ არიან.

ἐἶπεν δὲ κύριος· Ἐραυγὴ Σοδομῶν καὶ Γομορρᾶς πεπληθύνεται, καὶ αἱ ἀμαρτίαι αὐτῶν μετᾴασι· σφῆδρα.

ბ) დაბ.: 37,23-38,11

ეს საკითხავი წარმოდგენილია ქართული ლექციონარის სამ ხელნაწერში: P, K და L-ში. საკითხავში შემავალი ოცი მუხლის მანძილზე არის ექვსი მუხლი: 37,24-28; 38,4-8-9-10, რომლებიც კალას ხელნაწერში ცალკე რედაქციას განეკუთვნებიან, PL-ში ცალკე. შესატყვისი ტექსტების შედარებიდან გაირკვა, რომ ამ ექვსი მუხლის მანძილზე PL მხარს უჭერს ბერძნულ სექტანტსა და ოშკის ხელნაწერს. ე. ი. K-ში წარმოდგენილი განსხვავებული რედაქციის წყარო ჩვენთვის გაურკვეველი რჩება. მაგ.:

K

და პრქუა იუდა მეორესა ძესა თვსსა ავნანს: შევედ სარეცელსა ძმის ცოლისა შენისასა და აღუდგინე მკვდრი

P

პრქუა იუდა ავნანს: შევედ ცოლისა ძმისა შენისა და ისიძმ მას და აღუდგინე თესლი ძმასა შენსა.

<sup>20</sup> P-ის ჩვენებები არ არის ვათვალისწინებელი, რადგან მას დაზიანებული აქვს 18,3-30.

ძმასა შენსა, რამეთუ მოკულა უშვი-  
ლოა.

O

პრქუა იუდა აენანს: შევედ ცოლისა  
ძმისა შენისა და ესიძე მას და აღუდგი-  
ნე თესლი ძმასა შენსა.

ἐἶπεν δὲ Ἰουδας τῷ Ἀναθ Ἐἰσελθε πρὸς  
τὴν γυναῖκα τῆς ἀδελφῆς σου καὶ γάμψουσαι  
αὐτῆν καὶ ἀνάστησον σπέρμα τῷ ἀδελφῷ  
σου.

დაბ.: 38,8.

გ) გამ.: 2,23-4,18.

ამ საკითხავში წარმოდგენილი რვა მუხლი: 3,9-15-16-19-22; 4,6-7-8 P-ისა და K-ს ხელნაწერებში რედაქციულ განსხვავებებს გვაძლევს. მაგრამ ეს რედაქციული განსხვავებანი აქ სხვა ხასიათისაა, ვიდრე ზემოთ განხილულ საკითხავებში: იქმნება შთაბეჭდილება, რომ K-ს ამ რვა მუხლის მანძილზე სხვა წყაროთი კი არ უსარგებლია, არამედ იმავეთი, რომლითაც სარგებლობდა P, ოღონდ გადამწერთა მიერ იგი ისე საგრძნობლად იქნა შეცვლილი, რომ უკვე რედაქციულ განსხვავებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერის<sup>21</sup> ჩვენებებიც: P-ისა და K-ს ხელნაწერები თანაბარ მსგავსებას ამკლავებენ ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერის ტექსტთან: თუ ერთ მონაკვეთში P უფრო ახლოს დგას მათთან, მეორე მონაკვეთში ამგვარ სურათს უკვე K იძლევა. მაგ.:

K

მივედი და შეკრიბენ მოხუცებულნი  
ძეთა ისრაჴლისათანი და არქუ მათ:  
უფალი ღმერთი მამათა თქუენთაჲ მე-  
ჩუენა მე: ღმერთი აბრაჴამისი, ღმერ-  
თი ისაკისი და იაკობისი ცხადად. და  
პრქუა მათ: მოგხედე თქუენ. რავდენი  
შეგემოხუიცე ეგვპტეს, ვიხილე და  
ვთქუე, ვითარმედ: გამოგიყვანენ თქუენ  
ბოროტის-ყოფისაგან მეგვპტელთაჲსა.

P

მივედ და შეკრიბენ მოხუცებულნი ძე-  
თა ისრაჴლისათანი და არქუ მათ: უფა-  
ლი ღმერთი მამათა ჩუენთაჲ მეჩუენა  
ჩუენ: ღმერთი აბრაჴამისი, ღმერთი  
ისაკისი და ღმერთი იაკობისი. და  
პრქუა: მოხედვით მოგხედო შენ ბორო-  
ტის-ყოფისათჳს მეგვპტელთაჲსა.

ἐλθὼν οὖν συναγάγε τὴν γερουσίαν  
τῶν υἱῶν Ἰσραηλ καὶ ἐρεῖς πρὸς αὐτούς  
Κύριος ὁ θεὸς τῶν πατέρων ὑμῶν ᾤπισται  
μοι, θεὸς Ἀβρααμ καὶ θεὸς Ἰσαακ καὶ  
θεὸς Ἰακώβ, λέγων Ἐπισηκοῦν ἐπέστεμαί·  
ὑμᾶς καὶ ἴσα συμψέφικεν ὑμῖν ἐν Αἰγύπτῳ.

გამ.: 3,16.

დ) გამ.: 4,18-6,13.

საკითხავში ორმოცდაათი მუხლია, რომელთაგან ცხრა მუხლი პარიზისა და კალას ხელნაწერთა ტექსტებისა რედაქციულად არის განსხვავებული. ეს მუხ-  
ლები შემდეგია: 4,23-27; 5,7-8-14-20; 6,6-7-13. ამ რედაქციულად განსხვავე-

<sup>21</sup> ოშკის ხელნაწერს აკლია 3, 16-4,6 მუხლები.

ბული მუხლების წარმოქმნის მიზეზი, ისევე როგორც წინა საკითხავში, გადამწერთა მიერ ტექსტის ცვლა უფრო უნდა იყოს, ვიდრე ერთ-ერთი ამ ხელნაწერის მიერ განსხვავებული წყაროს გამოყენება.

რაც შეეხება ბერძნულ სეპტანტასა და ოშკის ხელნაწერს, მათი ტექსტობრივი დამოკიდებულების ფორმულირება პარიზისა და კალას ხელნაწერებთან ამ საკითხავის ფარგლებში რამდენადმე ჭირს: ალაგ-ალაგ მათ შორის უმნიშვნელო სხვაობაა, ალაგ-ალაგ კი — შედარებით დიდი. მაინც შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერთა ტექსტები P-სთან მეტ სიახლოვეს გვიჩვენებს, ვიდრე K-სთან.

თვით ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერის ტექსტები ზედმიწევნით მისდევს ერთმანეთს:

K

განუტევე ერი ჩემი, რაათა მსახურებდენ. ხოლო შენ არა განუტევენ იგინი. გულისხმა-ყავ, რამეთუ მოვკლა ძმ შენი პირმოა.

P

გამოუტევე ერი ჩემი, რაათა მსახურებდენ მე. ხოლო შენ არა ინებე გამოვლინება მათი. იხილე, ნუუკუე მოვკლა ძმ ევე შენი პირმოა.

O

გარქუ შენ: გამოუტევე ერი ჩემი, რაათა მსახურებდენ მე. უკუეთუ არა ინებო გამოვლინებად, იხილე, მე მოვკლა ძმ შენი პირმოა.

ἐἶπα δὲ σοι Ἐξαπταεῖς τὸν λαόν μου, ἵνα μοι λατρεύσῃ. εἰ μὲν οὖν μὴ βιάσαι ἐξαπταεῖσαι ἀντὶς, ἦρα οὖν ἐγὼ ἀποκτενῶ τὸν υἱόν σου τὸν πρωτότοκον.

გამ.: 4,23.

ე) მ. სჯ.: 8,1-9,6.

საკითხავში ოცდაექვსი მუხლია. ხუთი მუხლის მანძილზე: 8,2-5-7-8-9 კალას ხელნაწერის ტექსტი რედაქციულად განსხვავდება პარიზის ხელნაწერის, ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერის შესატყვისი ტექსტისაგან. მაგ.:

K

აპა-ეგერა ორმოცი წელი არს და გულისხმა-ყავნ ყოვლმან, რამეთუ ვითარცა სწავლის კაცმან შვილი თვისი, ეგრჭთ გსწავლა შენ უფალმან.

P

და სცნა გულითა შენითა, რამეთუ ვითარცა ვინ სწავლინ კაცი შვილსა თვისსა, ეგრჭთ გსწავლიდა შენ უფალი. და ἦ γὰρ οὕτω ἡ ἀρετὴ σου ὡς εἰ τις παιδεύσεται ἀνθρώπου τὸν υἱὸν αὐτοῦ, ὅσως ἀρετὴς ὁ μὲν σου παιδεύσεται σε.

მ. სჯ.: 8,5

4. სინას ხელნაწერის რედაქციული დაცილება ქართული ლექციონარის სხვა ხელნაწერთაგან

დაბ.: 6,9-9,19 საკითხავში არის ათი მუხლი, სადაც სინას ხელნაწერის ტექსტი რედაქციულად განსხვავდება ბერძნული სეპტანტის, პარიზისა და კალას ხელნაწერთა შესატყვისი ტექსტისაგან<sup>22</sup>. ეს მუხლებია: 6,21; 7,2-9-13;

<sup>22</sup> ეს ნაწილი ოშკის ხელნაწერს აკლია.



8,9-18; 9,3-5-11-19. მაგალითისათვის მოვიტანთ დაბ.: 6,21-ე მუხლის ჩვენებას:

## S

და შეიღო საზრდელი თავისა შენისა და თავისა მათისა.

## P

შენ შეიღე შენ თანა ყოველთაგან საზრდელთა, რაათა სჰამდეთ. და შეიკრიბო თავისა შენისა, რაათა იყოს შენ-და და მათდა საჰმლად.

## K

და შენ შეიღო შენ თანა ყოველთაგან საზრდელთა, რომელსა სჰამდეთ. შეიკრიბო თავისა შენისა, რაათა იყოს თქუენდა და მათდა საჰმლად.

ეს ნჲ ჰქმუჲ შეათჳ ἄπὸ πάντων τῶν βρωμάτων, ἃ ἐθεσθη, καὶ συναξείας πρὸς σεαυτὸν, καὶ ἕται: σοὶ καὶ ἐκείνοις φάξ-ειν.

5. ბერძნული სეპტანტიისა და ოშკის ხელნაწერისაგან რედაქციულად განსხვავებული მუხლები ქართულ ლექციონარებში

დაბადების საკითხავში 27,1—46 არის ათიოდე მუხლი, რომელთა მანძილზეც პარიზის, ლატალიისა და კალას ხელნაწერები ცალკე რედაქციას ქმნიან, ბერძნული სეპტანტა და ოშკის ხელნაწერი — ცალკე. ეს მუხლები შემდეგია: 27, 1-4-5-6-7-9-10-11-12-13. საკითხავის დანარჩენ ნაწილში ეს ორი რედაქცია კვლავ ერწყმის ერთმანეთს. რედაქციული განსხვავების ნიმუშად მოვიტანთ დაბ.: 27,4-ე მუხლს:

## P

და მომართუ და მიქმენ ჰამადი, რაათა ვჰამო და განვძღე და გაკურთხოს შენ სულმან ჩემმან, ვიდრე ესე ცოცხალდა ვარ და არა მომკუდარ.

## L

მომართუ და მიქმენ ჰამადები, ვითარცა მიყუარს, რაათა ვჰამო და განვძღე და გაკურთხოს შენ სულმან ჩემმან ვიდრე ესე ცოცხალდა ვარ და არა მომკუდარ.

## K

და მიქმენ ჰამადი, ვითარცა მიყუარს მე. და ვჰამო და გაკურთხოს შენ სულმან ჩემმან ვიდრე ცოცხალდა ვარ და არა მომკუდარ.

## O

და მიქმენ მე საჰმელი, ვითარ-იგი მიყუარს მე, და მომართუ მე, ვჰამო და გაკურთხოს სულმან ჩემმან ვიდრე სიკუდილმდე ჩემდა.

καὶ ποιήσων μοι ἐδέσματα ὡς φίλῳ ἐγώ, καὶ ἔνευξέ μοι, ἔνα φάγω, ἥπως εἰσιτη-ται σε ἢ ψαχῆ μαθ πρὶν ἀποθανεῖν με.

ამ თავში ჩვენ შევხებით იმ საკითხავებს, რომლებშიც ტექსტის გარკვეულ ნაწილში ქართული ლექციონარის რომელიმე ერთი ან რამდენიმე ხელნაწერი გამოეყოფოდა დანარჩენ ხელნაწერებს და ცალკე რედაქციას ქმნიდა. ეს რედაქციულად განსხვავებული მუხლები, მათი წყაროს დადგენის მიზნით, შევუდარეთ ბერძნული სეპტანტისა და ოშკის ხელნაწერის შესატყვის ადგილებს. აღმოჩნდა, რომ ბერძნული სეპტანტა და ოშკის ხელნაწერი მხარს უჭერს არა ამ ერთეულ რედაქციულად განსხვავებულ მუხლებს, არამედ საკითხავის ძირითად ნაწილს, რომელშიც ქართული ლექციონარის დანარჩენი ხელნაწერები ერთ რედაქციას ქმნიან.

ამგვარად, ამ განსხვავებული რედაქციის მიკვლევისათვის ბერძნული სეპტანტა და ოშკის ხელნაწერი ვერ დაგვეხმარა.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად შეიძლება გამოითქვას შემდეგი ვარაუდი: ქართული ლექციონარის ოთხივე ხელნაწერი (P, K, L, S) უნდა მომდინარეობდეს ერთი უძველესი რედაქციიდან. საერთო რედაქციისაგან განსხვავებული მუხლების გაჩენის მიზეზი შეიძლება იყოს:

ა) ხელნაწერთა დაზიანება და დაზიანებული ადგილების შევსება ქართული ლექციონარის უძველესი რედაქციისაგან განსხვავებული წყაროთი; ბ) იქ, სადაც რედაქციული სხვაობები სცილდება თითო-ორთა მუხლის ფარგლებს და მთელ საკითხავებს მოიცავს, უნდა ვივარაუდოთ თავიდანვე ქართული ლექციონარის ერთი უძველესი რედაქციის გვერდით რომელიღაცა სხვა წყაროს გამოყენება.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

0565ა კიანაძე

## დიალექტიკები ეკატერინე გაბაშვილის პროზაში

(ფონეტიკურ და გრამატიკულ თავისებურებათა ფონზე)

ეკ. გაბაშვილმა სამწერლო ასპარეზზე გამოჩენისთანავე მიიპყრო ყურადღება თემის აქტუალობით, ენის სისადავით და სტილის სიმსუბუქით. მისი თანამედროვენი — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალ. ხახანაშვილი, კ. აბაშიძე, გრ. ყიფშიძე, ნ. კურდღელაშვილი და სხვები ერთმანდალიარებდნენ, რომ მწერალი ქალის ენა გამოირჩევა ფრაზის სიწმინდით და მდიდარი ლექსიკით. ეკ. გაბაშვილის ენის შესახებ ამავე აზრის არიან: მ. ზანდუკელი, გ. თავზიშვილი, ე. ქარელიშვილი და სხვები, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ მწერლის ფრაზის ლაკონიურობას, აზრის სინათლეს, ნათელ სტილს და მდიდარ ლექსიკას. მიუთითებენ აგრეთვე, რომ თემის მრავალმხრივობით, სტილის თავისებურებით და ენის სიწმინდით იგი აგრძელებს XIX ს. ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებს. მწერლის შემოქმედების შემფასებლებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ მისი ნაწარმოებების თემა და ენაც მეტად ხალხურია, თუმცა ისე „გახალხურებული“ არაა, როგორც ეს ზოგი ხალხოსნისათვის იყო დამახასიათებელი.

ენათმეცნიერული თვალსაზრისით ეკ. გაბაშვილის თხზულებანი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მწერლის ენაზე დაკვირვება.

ეკ. გაბაშვილი წარმოშობით შუაგულ ქართლიდან არის, სიყრმის წლებიც აქვე აქვს გატარებული და, ბუნებრივია, თუ მის მოთხრობებში ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი იჩენენ თავს. ამიტომ ვასაგებია, რომ პირველ რიგში სწორედ დიალექტიზმებზე გამახვილდეს ყურადღება.

ამჟამად დაკვირვების ობიექტად შერჩეულია ეკ. გაბაშვილის რამდენიმე მოთხრობა, გამოქვეყნებული 1870—1900-იან წლებში. სახელდობრ: „გლეხკაცების აზრი სასოფლო შკოლაზედ“ („დროება“, 1870 წ., № 1), „გაბედნიერება“ („დროება“, 1871 წ., № 7), „საახალწლო ფეშქაში“ (ყურნ. „ნობათი“, 1884 წ., № 1), „რად დაგვივიწყეს“ (ყურნ. „ნობათი“, 1884 წ., № 5—6), „როგორ მიეგება სვიმონიკა ახალ წელიწადს“ (ყურნ. „ნობათი“, 1885 წ., № 1), „ფანტაზია“ („ივერია“, 1888 წ., № 7), „მაგდანას ლურჯა“ (ყურნ. „ჯეჯილი“, 1890 წ., № 2), „ოჯახის ბურჯი“ (ყურნ. „ჯეჯილი“, 1891 წ., № 1) და „გამარჯვებული ნიკო“ (ყურნ. „მოამბე“, 1896 წ., №№ 1, 2, 3).

მასალა ყველგან დამოწმებულია პირველნაბეჭდის მიხედვით. სადაც კი შესაძლებელი იყო, პირველნაბეჭდი შედარებულია ავტოგრაფთან<sup>1</sup>. „ფანტაზიის“, „ოჯახის ბურჯის“, „მაგდანას ლურჯას“ და „გამარჯვებული ნიკოს“ ავტოგრაფები ინახება საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული

<sup>1</sup> ავტოგრაფის სხვაობას აღვნიშნავთ A ლიტერით, ნიმუშებისათვის ფრჩხილებში ვუთითებთ ნაწარმოების სათურს და ქურნალის გვერდს, თუ გაზეთშია დაბეჭდილი, მხოლოდ სათურს.

მუზეუმის ეკ. გაბაშვილისეულ ფონდში. ამათგან სრულია მხოლოდ „ფანტაზია“, „ოჯახის ბურჯის“ ავტორატეს აკლია ბოლო აბზაცი.

ცხადია, რომ ეკ. გაბაშვილის მოთხრობათა დიალექტიზმების წყაროა ქართლური დიალექტი. დიალექტიზმები უფრო ხშირია მოქმედ პირთა მეტყველებაში, მაგრამ უჩვეულო არაა ავტორის ენისათვისაც.

I ფონეტიკა. ეკ. გაბაშვილის მოთხრობებში დასტურდება ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ფონეტიკური პროცესი.

1. ასიმილაცია: ხშირად ერთი ბგერა მთლიანად ან ნაწილობრივ იმსგავსებს მეორე ბგერას. ფუძისეული ე ხმოვანი ავიწროებს პრევერბის ა ხმოვანს. ასეთი მოვლენა აღწერილია ბარის კილოებში — ქართლურსა<sup>2</sup> და კახურში<sup>3</sup>. ეკ. გაბაშვილის მოთხრობებში ამის ნიმუშები საკმაო რაოდენობით გვხვდება როგორც პერსონაჟთა, ისე ავტორის მეტყველებაში: მზად იყო... დეეევირნა („გამარჯვ. ნიკო“ II, 30); რას დეეხეტები (იქვე, II, 32), დეეკითხა ბერიშვილი (იქვე, II, 32); პირქვე გეენართხა („როგორ მიეგება სვიმონიკა“..., 10); ნაბაღი მაინც წეეღო თანა („ოჯახის ბურჯი“, 15).

ზოგჯერ ფუძისეული ა ხმოვანი ასიმილირდება მომდევნო მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსთან: ჩემს პატარაებს („მაგდანას ლურჯა“, 18); ოთახში... იყო ჩარხები, ქანდარეები („გამარჯვ. ნიკო“, III, 23); რეებს ავ ვაბრალებდი („რად დაგვივიწყეს“, 261).

იშვიათად შეინიშნება აგრეთვე ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები შემდეგ სიტყვებში: ოთხი მანათი („გაბედნიერება“); კელეპტრებით ხელში („რად დაგვივიწყეს“, 260); ვამზადებთ აბრაშუმს („გამარჯვ. ნიკო“, III, 23).

უფრო გავრცელებულია თანხმოვანთა ასიმილაცია. რეგრესული დისტანციური ასიმილაციაა შემდეგ მაგალითში: გულხმიერად გაშინჯა („გამარჯვ. ნიკო“, II, 42); ხოლო კონტაქტური ნაწილობრივი ასიმილაციის ნიმუშებია: ვნ დაზ დეედა, თუ რას გრძობდა ამის გული („გაბედნიერება“); ქრისტე აღზდა! („რად დაგვივიწყეს“, 260); ჩემი უნცროსი ძმა (იქვე, 257); [ღმერთმა] სამი ვაჟი მოქცეთ და ერთი ქალი („გაბედნიერება“). საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ეს მაგალითი დადასტურებულია ადიშის ოთხთავში<sup>4</sup>, სადაც ის ხალხური მეტყველებიდან ჩანს შესულა.

ორმავ ფონეტიკურ პროცესთან გვაქვს საქმე სიტყვაში უმგზავსი (ასიმილაცია, ბგერის გადასმა) ლუარსაბის საქციელი... უმგზავსი იყო („გამარჯვ. ნიკო“, II, 27).

2. დისიმილაცია, როგორც ეს საერთოდ არის დამახასიათებელი ქართლურისათვის და აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>5</sup>, უმეტესად ნარნარა და ცხვირისმიერ ბგერათა მეზობლობაში ხდება. ჩვეულებრივ, ორი რ და ლ ერთ სიტყვაში ვერ ძლებს და განმსგავსდება: ბევრჯელ კამფეტებითაც მივსებდა კალთებს („რად დაგვივიწყეს“, 257); დისიმილაციის საყოველთაოდ ცნობილი შემთხვევაა: ნეფიანი მოდიანო („გაბედნიერება“); წრეულს ზაფხულში („გლესკაცების აზრი“...). თანხმოვანთა კონტაქტური

<sup>2</sup> გ. თოფურია, ქართლური: არილი, თბილისი, 1925, გვ. 131.

<sup>4</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1964, გვ. 195.

<sup>5</sup> გ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

რეგრესული დისიმილაციის ნიმუშია აგრეთვე: ის გონბიო ვნახე („გამარჯვ. ნიკო“, II, 32).

შეინიშნება ხმოვანთა ჯგუფების ასეთი ტენდენციაც ეა > იან: მიბრძანეთ და გიახლებით („გამარჯვ. ნიკო“, II, 3); ხოლო ჩვეულებრივ, სიტყვის ბოლოში ია > უა: ჩემი ტატუა („გლუხეკაცების აზრი“...); ქალაქის კინტუა („როგორ მიეგება სვიმონიკა“... 9).

3. მეტათეზისი ეკ. გაბაშვილის ნაწერებში ფიქსირებულია ქართულურიდან საყოველთაოდ ცნობილი ნიმუშებით. სახელდობრ, ავტორს უხმარია როგორც ისეთი ფორმები, სადაც სონანტთა ისტორიული თანმიმდევრობა შეცვლილი: სამსახურში გაიწოთ ვნება („როგორ მიეგება სვიმონიკა“, 6) ხელი არ ეკრა... გამწოთ ვნელისათვის („გაბედნიერება“), ასევე მარცვალთა სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილების ნიმუშები: ძრიელი ცეცხლის შუქი („საახალწლო ფეშქაში“, 69); სახლი... სრულებით ცარიელი იყო (იქვე, 71), დედამ შიშით გადმოგვათვარიელა (იქვე, 70), ჩემი საქმეო („გამარჯ. ნიკო“, III, 9), ქრმის მოტანილი კურტკა („გაბედნიერება“).

4. სუბსტიტუცია საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური პროცესია ქართულურში და ასევე ასახულია ეკ. გაბაშვილის თხზულებებშიც: ვ || მ ა ა მ ს ე ს ყანწები („გაბედნიერება“); მონაცვლოებენ ბგერათკომპლექსები: ს ტ || შ ტ შაშვების შ ტ ვ ე ნ ა („ფანტაზია“); ს კ || ს ქ ნაკადულად გადმომსქდა („გამარჯ. ნიკო“, III, 17); ქეთინი ამომსქდა („რად დაგვივიწყეს“, 256). ამ ზმნას ა. შ ა ნ ი ძ ე „ჰყოფს“ ტიპის ზმნათა რიგში განიხილავს და იმ მცირერიცხოვან პირველად ზმნებს მიაკუთვნებს, რომელთაც ვნებითის მაწარმოებლად -დ აქვთ, ახალი ქართულისათვის ერთმანეთის გვერდით ს ქ და, ს კ და ფუძეებს ასახელებს<sup>6</sup>.

შეინიშნება ხმოვანთა სუბსტიტუციის რამდენიმე ნიმუში: ფ უ რ გ უ ნ ე ბ ი ერთიერთმანეთში ირეოდა („მაგდანას ლურჯა“, 18); რ ა მ დ ო ნ ი ს ა მ ე დ ლ ის შემდეგ („გამარჯვ. ნიკო“, III, 17).

5. ბგერათჩართვა ცნობილი ფაქტია დიალექტებში. ეკ. გაბაშვილის მოთხრობებში ხშირია მ-ს ჩართვის შემთხვევები: ჩემ სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა („გამარჯვ. ნიკო“, III, 18); პავლია მემცხვარე („რად დაგვივიწყეს“, 259).

ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილ ძველ ფორმებთან ან ხელახლად გაზრიანებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მწერალი გვაწვდის ნიმუშებს: ნი ა ვ ღ ვ ა რ ი წ ა ი ლ ე ბ ს („ოჯახის ბურჯი“, 15), ო რ ი კ ა რ გ ი ჯ ი ნ შ ი ს მ ო ზ ვ ე რ ი (იქვე, 16), ჯ ი ნ შ ი ა ნ ი ს ა ქ ო ნ ლ ის („გლუხეკაცების აზრი“...“).

უძველესი პრეფიქსიანი მასდარისეული ს შემონახულია მიმღეობებში<sup>7</sup>: აქ იკრებება ყოველი მშრომელი ნაწარმოების გასასყიდლად და მსყიდველი მთელი წლის საჭირო ავეჯის შესაძენად („გამარჯვ. ნიკო“, II, 24).

ეკ. გაბაშვილის ნაწარმოებებში შენიშნული ბგერის დაკარგვის ქვემოჩამოთვლილი ნიმუშებიდან თითქმის ყველა დამახასიათებელი ქართულ-

<sup>6</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973, გვ. 28.

<sup>7</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირის ქართულ ზმნებში, თხზულებანი, I, 1957, გვ. 182—85, მ ი ს ი ე ვ ი, ნასახლარი ზმნები ქართულში, იქვე, გვ. 37.

<sup>8</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 225.

რისათვის. ხშირად პერსონაჟთა მეტყველებაში და ზოგჯერ ავტორისეულ გამოთქმებშიც დაკარგულია მსახვრელი ნაცვალსახელის თანხმონითი ნაწილი. იკარგვის **ს**: **ე** უბედური („როგორ მიეგება სვიმონია“..., 6); **ე** ოხერი („ოჯახის ბურჯი“, 19), დასწყევლოს ღმერთმა **ი** მაშინაა თუ რაღაც (იქვე, 19); უფორმო სიტყვებში: **თ** **ი** **ქ** **ო** დიდების ჰიმნს უგალობდა („ფანტაზია“). ხშირია მიცემითი ბრუნვის და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **ს**-ს დაკარგვის შემთხვევები; **ს** იკარგვის სიტყვის თავში: „ტ ა რ შ ი ნ ა ს“ გამოუცხადაო („მაგდანას ლურჯა“, 21).

დაკარგულია **შ** **ენ** ნაცვალსახელის ბოლოკიდური თანხმოვანი, როცა ეს ნაცვალსახელი მიმართვის ფორმაშია გამოყენებული: **შ** **ე** არამზადავ („მაგდანას ლურჯა“, 19), **შ** **ე** საზიზღარო („გამარჯვ. ნიკო“, II, 31). ასევე იკარგვის დადასტურებითი **მ** **ა** **შ** ნაწილაკის ბოლოკიდური თანხმოვანი: **მ** **ა** **რ** **ა** **ჯ** **ან** **ბ** **ა** **ა** (იქვე, II, 22).

დაკარგულია **-ო** **დ** **ე** და **-ვე** ნაწილაკების ბოლოკიდური ხმოვანი: იქნებ **ო** **რ** **ი** **ო** **დ** გროში მივაგდო სოფოს სამზითვოდ („მაგდანას ლურჯა“, 18); **ე** **ხ** **ლ** **ა** **ვ** წამოვალ („სახალწლო ფეშქაში“, 70).

ჩვეულებრივია **მ**-ს დაკარგვა **რ** **ო** **მ** და **რ** **ა** **ტ** **ო** **მ** სიტყვებში: იასაული **რ** **ო** მოვივიდეთ („გლეხკაცების აზრი“...); **რ** **ა** **ტ** **ო** მარტო პატარძლებს („გამარჯვ. ნიკო“, III, 23). იგივე **მ** თავკიდურშიც უჩინარდება: **დ** **ა** **ბ** **ლ** **ა** **თ** თავი დამიკრა („გაბედნიერება“). ამდაგვარ ნიმუშებს **ვ**. **თ** **ო** **ფ** **უ** **რ** **ი** **ა** დიალექტიზმად თვლის და არა არქაიზმად და ასე აქვს გააზრებული: **დ** **ა** **ბ** **ლ** **ა** **თ** > **მ** **დ** **ა** **ბ** **ლ** **ა** **თ** > **დ** **ა** **ბ** **ლ** **ა** **თ**<sup>9</sup>.

ხშირია **ვ**-ს დაკარგვის შემთხვევები, როცა იგი სუბიექტური პირველი პირის აღმნიშვნელია ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან<sup>10</sup>: **მ** **ე** **მ** **ი** **უ** **ლ** **ო** **ც** **ე** („გაბედნიერება“) **უ** **ქ** **ღ** **ვ** **ნ** **ი** **დ** **არ** **ი** **ა** **მ** **ა** **ც** **ა** **შ** **ვი** **ლის** **ს** **ას** (იქვე); იმას **მ** **ე** **უ** **ყ** **ვ** **არ** **ვ** **არ** („გამარჯვ. ნიკო“, II, 44). **ვ** იკარგვის ხმოვნებს შორისაც, **ო** და **უ** ხმოვანთა მეზობლობაში: **ე** **ს** **ს** **ა** **ქ** **მ** **ე** **არ** **მ** **ი** **უ** **ა** **თ**? („გლეხკაცების აზრი“...), **ლო** **ყ** **ე** **ბ** **ი** **თ** **ე** **რ** **ი** **ლ** **ა** **დ** **ე** **ვ** **ი** **ო** **დ** **ა** („გაბედნიერება“), **ლო** **გ** **ინ** **ს** **ე** **კ** **რო** **დ** **ა** („როგორ მიეგება სვიმონია“..., 13). ფუძისეული **ვ** დაკარგულია თანხმოვნებს შორისაც: **მ** **ე** **არ** **ა** **მ** **ა** **ქ** **ს** **ო** („გაბედნიერება“) და ზოგჯერ საწყისშიც: **დ** **უ** **ქ** **ნ** **ე** **ბ** **ის** **კ** **ე** **ტ** **ა** **დ** **ი** **წყ** **ე** **ს** („როგორ მიეგება სვიმონია“..., 11). **თ** **ვ** **ი** **თ** **ონ** **ნ** **ა** **ც** **არ** **ი** **ც** **ო** **დ** **ა** („როგორ მიეგება სვიმონია“..., 10).

**ზ** **რ** **დ**, **ბ** **რ** **ძ**, **ფ** **რ** **ჩ**, **ფ** **რ** **თ** **ხ** კომპლექსებში ამოვარდნილია **რ**: **მ** **ო** **ზ** **დ** **ი** **ლი** **ს** **კ** **ი** **ვ** **რი** („ოჯახის ბურჯი“, 14); **შ** **ენ** **გ** **ა** **ზ** **და** **ს** („გამარჯვ. ნიკო“, II, 28); **გ** **ა** **დ** **მ** **ო** **ბ** **ძ** **ან** **დ** **ი** **თ** („ოჯახის ბურჯი“, 14); **ა** **ბ** **ა** **მ** **ი** **ბ** **ძ** **ან** **ე** („მაგდანას ლურჯა“, 18); **ფ** **ჩ** **ხ** **ი** **ლი** **რო** **წ** **ამ** **ო** **გ** **ტ** **კ** **ი** **ვ** **დ** **ე** **თ** („გლეხკაცების აზრი“...); **ც** **ხ** **ენ** **ი** **შ** **ე** **ფ** **თ** **ხ** **ა** („გამარჯვ. ნიკო“, II, 45)...

იკარგვის **წ** **არ**- და **გ** **ან**- ზმნისწინისეული **რ**, **ნ** თანხმოვნები: **წ** **ა** **მ** **ო** **ს** **ა** **დ** **ე** **გ** **ი** **ა** **ქ** **ალი** **ი** **ყ** **ო** („გაბედნიერება“); **ო** **ხ** **ვ** **რ** **ი** **თ** **წ** **ა** **მ** **ო** **ს** **თ** **ქ** **ვ** **ა** („ოჯახის ბურჯი“, 18); **გ** **ა** **მ** **არ** **ტ** **ო** **ვ** **ე** **ბ** **უ** **ლი** **ხ** **ის** **ო** **თ** **ახ** **ი** (იქვე, 14); **ს** **ახ** **ელი** **ა** **ქ** **ვ** **ს** **გ** **ა** **თ** **ქ** **მ** **უ** **ლი** („გამარჯვებული ნიკო“, II, 36).

<sup>9</sup> **ვ**. **თ** **ო** **ფ** **უ** **რ** **ი** **ა**, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

<sup>10</sup> ეს მოვლენა დიალექტიზმად ჩაითვლება მხოლოდ იმიტომ, რომ თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ასეთ შემთხვევაში **ვ** დაცული უნდა იყოს.

სიტყვაში ჰანგი დაკარგულია ჰ: ჯოჯოხეთურ ანგებს („გამარჯვ. ნიკო“, II, 33).

მოკვეცილია სიტყვის ბოლოკიდური მარცვლი უფრო ხშირად მიმართვისას ან ბრძანებთის ფორმებში: ქა, რისთვის, შვილო („გამარჯვ. ნიკო“, II, 35); დედა, გენაცვა, ჩაი მოგვიმზადე (იქვე, II, 35); დახე, თითქო ჰაერში ფრინავსო (იქვე, II, 25); წამო, გამოწყე, იმხიარულე („ფანტაზია“).

7. სახელთა კუმშვის თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ნიმუშები: შევექცეოდით... ნაღბით გატენილ... მაწონს („ოჯახის ბურჯი“, 16), კინტობი, თახები<sup>11</sup> თავზე, მიეშურებოდნენ („მაგდანას ლურჯა“, 18). მაგრამ ამათ გვერდით არის შეუქუმშავი ფორმებიც: მასხარად აიგდებენ („ოჯახის ბურჯი“, 15); სულს წარიტაცებდა მის სადიდებელად<sup>12</sup> („ფანტაზია“).

8. ა-ზე დაბოლოებულ საზოგადო სახელთა ფუძეები იკვეცება, მაგრამ ეკ. გაბაშვილის თხზულებებში ორიოდ ასეთი ნიმუშიც არის: ზეცას მაგივრად („ფანტაზია“); დაირას და სიმღერის ხმა მოესმა („ბედნიერება“).

9. ხშირია ბგერის დაყრუების შემთხვევები სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, როგორც სახელებში, ისე ზმნიზედებში. ჩვეულებრივ დაყრუებულია ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული -დ: უდედოთ დარჩება („საახალწლო ფეშქაში“, 72); მეც გავწიე.. დედოფლის სანახავათ („გაბედნიერება“); საშინლათ დასველა („საახალწლო ფეშქაში“, 73); ბუხარში შეშა ისევე ბლომათ ეწყო (იქვე, 69).

ამ მაგალითების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეკ. გაბაშვილის მოთხრობებში აისახა ქართლურ დიალექტში დადასტურებული თითქმის ყველა ფონეტიკური თავისებურება.

**II შორფოლოგია.** საინტერესოა აღინიშნოს, რომ საკუთარი სახელი სახელობით ბრუნვაში ზოგჯერ გაუფორმებელია: იღგა იასონ („გამარჯვ. ნიკო“, II, 24); თქვენი დედა, ქეთევან, ცოცხალია („საახალწლო ფეშქაში“, 69). მსგავსი მოვლენა შემჩნეულია ეგნ. ნინოშვილის თხზულებებშიც<sup>13</sup>. საკუთარი სახელი დარჯან შეკვეცილი ფორმითაა წარმოდგენილი და ბრუნებისას გათანაბრებულია -ა სუფიქსიან კნინობით სახელებთან: დარჯა გზას გვიხვეტავდა („საახალწლო ფეშქაში“, 71); დარჯამ კრაქუნით შეალო... კარი (იქვე, 71); დარჯას.. ხმა იყო (იქვე, 70); ჩემო დარჯო (იქვე, 70).

ფუძეხმოვნის სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში ზოგჯერ გვაქვს ქართლურ-კახური კილოებისათვის დამახასიათებელი -მა ფორმანტი: სთქვა ლიზამა („გამარჯვ. ნიკო“, II, 26).

საზოგადო სახელების მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები ხანდახან ივ. ფორმანტიანია. მოქმედებითი ბრუნვის ეს უძველესი დაბოლოება დღესაც ცოცხალია კილოებში, კერძოდ ქართლურში, აქედან ჩანს შესული ეკ. გაბაშვილის ენაშიც: სამკუთხივ ფარდაგები იყო დაფენილი („გაბედნიერება“); ხმა-მადლივ ლაპარაკი შემოგვესმა („გულუხვაცების აზრი...“); გაუთავებლივ ვსინჯავდით („საახალწლო ფეშქაში“, 68).

<sup>11</sup> A თახებით.

<sup>12</sup> A სადიდებლათ.

<sup>13</sup> ივ. ქავთარაძე, ეგ. ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები: „მნათობი“, 1959, № 7, გვ. 133.

წოდებითის ფორმაში ხმოვანფუძიან სახელებში ზოგჯერ შემორჩენილია დაბოლოება: მხეცო, უნამუსოვ („გამარჯვ. ნიკო“, II, 31); საზიზლარო ბალინჯოვ (იქვე, II, 32).

დიალექტურია მამი, დედი ფუძეების ხმარება მიმართვის ფორმებში: დედი, რათ ტირი („მაგდანას ლურჯა“)<sup>14</sup>.

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -დ რომ უმეტესად დაყრუბულია, ეს ზევი-თაც აღვნიშნეთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ მხრივ ერთფეროვნება არაა ეკ. გაბაშვილის მოთხრობებში.

ჩვენებითი ნაცვალსახელიდან ეს მიღებულია ესეები, ნათესაობით ბრუნვაში გვაქვს ამებისა: გარდა ამებისა („გლეხკაცების აზრი...“). დასტურდება რამე ნაცვალსახელის -ებ-იანი მრავლობითიც: ბევრი რამეები გაახსენდა („როგორ მიეგება სვიმონიკა...“, 12). კითხვითი ნაცვალსახელი რა მრავლობითში რაები ფორმითაც გვხვდება: ვინ იცის რაები გამოვიდნენ შენი შეილები („გლეხკაცების აზრი...“).

ნაწილაკდართული ნაცვალსახელების ბრუნების დროს შეინიშნება შემდეგი თავისებურებანი: მე ნაწილაკი კითხვით ნაცვალსახელზე დართვის დროს ზოგჯერ ძველი სახითაა წარმოდგენილი: ვუყიდი რასმე („მაგდანას ლურჯა“, 18); რამდენისამე წამის შემდეგ („ფანტაზია“). ეს ფორმები XIX ს. სალიტერატურო ქართულში გვხვდება და დღევანდელი სალიტერატურო ნორმების მიხედვით დასაშვებ ფორმადაა მიჩნეული<sup>15</sup>. ბრუნების შეუხორცებელ წარმოებას გვიჩვენებს ცა ნაწილაკდართული ზმნისართი სად: საცა<sup>16</sup> ვიყავი (ფანტაზია“).

დიალექტურია ვინ და რა კითხვით ნაცვალსახელებზე ღაცა ნაწილაკის დართვისას დადასტურებული გარდამავალი სახეობა: რაღამაც მოუტრა („გაბედნიერება“); რაღასაც ეხვეწებოდა („საახალწლო ფეშქაში“, 70); ვიღამაც კარი მოაბრაშუნა (იქვე, 70).

დიალექტიზმად უნდა ჩაითვალოს ეკ. გაბაშვილის მოთხრობებში დადასტურებული: ორთავე ოთახები („საახალწლო ფეშქაში“, 138); ორთავე იყვენ გახვეული (იქვე, 140).

2. -ზე თანდებული ხშირად ძველი სახითაა შემორჩენილი დიალექტებში. ეკ. გაბაშვილის მოთხრობებში ის ზოგჯერ -ზედ-ის სახით გვხვდება: სასოფლო შკოლებზედ ლაპარაკობდნენ („გლეხკაცების აზრი...“); გაწითლებულ პირისახეზედ („საახალწლო ფეშქაში“, 67); თავზედ ხელი გადაუსვა („როგორ მიეგება სვიმონიკა...“, 6); ლურჯსუფრაზედ მოგვიტანა („ოჯახის ბურჯი“, 16); სახედრის დანახვაზედ გადირივნენ („მაგდანას ლურჯა“, 22). თუმცა ამთ გვერდით არის: დიდ ლანგრებზე („საახალწლო ფეშქაში“, 67); დასვამდა... იატაკზე („როგორ მიეგება სვიმონიკა...“, 8).

-მდის თანდებულის პარალელურად -მდინ ფორმაც გვხვდება, რაც დღესაც დამახასიათებელია კილოებისათვის, მათ შორის ქართლურისთვისაც: სადიყო მოთმენა გათენებამდინ („საახალწლო ფეშქაში“, 69); თავით ფეხებამდინ („როგორ მიეგება სვიმონიკა...“, 11).

<sup>14</sup> ფრაზა დამოწმებულია A-დან.

<sup>15</sup> თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, 1970, გვ. 87.

<sup>16</sup> A სადაც.



-გან თანდებული მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისეულ -თ-ს ამქდრებს და გვაქეს -იღგან. დიალექტში შემონახული ასეთი არქაული ფორმები უხვადაა ეკ. გაბაშვილის თხზულებებში: იმათი სიტყვები იღგან („გლუხკაცების აზრი...“); შორიღგან... მომესმა („ფანტაზია“); საიდგანაც... მოდიოდა („როგორ მიეგება სვიმონიკა“...; 6); თვალებიღგან ცრემლები მდიოდა („რად დაგვივიწყეს“, 256). მაგრამ ამათ გვერდით -იღან დაბოლოებიანი ფორმებიც ხშირია: იქიღან გაიგებენ („გლუხკაცების აზრი...“), გალავნიღან კარში გაიყვანა („გამარჯვ. ნიკო“, II, 25), დაგიტხოვენ სკოლიღან (იქვე, II, 35).

-დამ თანდებული სპორადულად ახლაც შეინიშნება აღმოსავლურ კილოებში<sup>17</sup>, ნახმარი აქვს ეკ. გაბაშვილსაც: კორესპონდენცია ქართლიდამ („გაბედნიერება“); შორიღამ... დავინახე („ოჯახის ბურჯი“, 13); ტყიღამ უნდა ჩამომეგლო („მაგდანას ლურჯა“, 19).

3. ზმნისწინთა ხმარებაშიც შეინიშნება ქართლური დიალექტის კვალი, კერძოდ, მო-, შე-, გვხვდება მა-, შა-ს სახით; როგორც ვ. თოფურიძე მიუთითებდა: „ზოგჯერ ასეთი გადაქცევა ყოველგვარი ასიმილაციის გარეშე დგას“<sup>18</sup>. მკვლევართა ერთი ნაწილი მო- და მა- ზმნისწინთაგან უძველესად მა-ს მიიჩნევს. თავის მხრივ მა- ზმნისწინი მი-ს საპირისპირო გამოდის ქართულში<sup>19</sup>, ხოლო მო- ზმნისწინის მა-დ გარდასახვაში წილი მიუძღვის მსონანტს<sup>20</sup>, იმერული კილოს „მამკლა“ ტიპის ფორმებში მა- ზმნისწინი უძველესი სახითაა დაცული<sup>21</sup>. ეკ. გაბაშვილის ნაწერებში ამდაგვარი ნიმუშები უხვადაა: შენ არ მამიკვდე („გლუხკაცების აზრი...“), არ მამიპარავს („მაგდანას ლურჯა“, 19); იჯექ ცხენზედ და მამყე („ოჯახის ბურჯი“, 13); ხუთი მანათითაც ვერ მამიშორო („გაბედნიერება“); არ მამარიღებდი... პირისახეს? („გამარჯვებ. ნიკო“, III, 4).

გარდა- ზმნისწინში რომ რ იკარგვის, ამაზე ზევითაც ითქვა, მაგრამ ხშირად ბოლოკიდური ა ხმოვანიც მოკვეცილია. ეს მოვლენა დადასტურებულია საერთო მწერლობის ძეგლებში<sup>22</sup> და ფართოდაა გავრცელებული კილოებში. ეკ. გაბაშვილის თხზულებებში გვხვდება როგორც გადა-, ასევე გად- ხმოვან-მოკვეცილი ფორმაც: გადავირიენით სიხარულით („სახალწლო ფეშქაში“, 69); გადაეყუდებოდა... აივანს („გამარჯვ. ნიკო“, II, 35), მაგრამ: სახლისკენ გადაეუხვიე („ოჯახის ბურჯი“, 14); სმენად გადავიქეცე („ფანტაზია“).

და- პრევერბს ზოგჯერ ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის ფუნქცია ეკისრება. ამის ნიმუშები ეკ. გაბაშვილსაც აქვს: დაწვრთნილ ლაქიებს („რად დაგვივიწყეს“, 258); აედარში ხომ დაიწუწუებოდიოთ („ოჯახის

<sup>17</sup> არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ქართულში; ენიმკის მოამბე, I, 1937, 1, გვ. 55-56.

<sup>18</sup> ვ. თოფურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

<sup>19</sup> ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შემადგენლობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იყე, V, 1953, გვ. 82.

<sup>20</sup> ქ. ძოწენიძე, შემოიპერული კილოკავი: ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XI, 1952-53, ქუთაისი, გვ. 72.

<sup>21</sup> გ. კაჭარავა, სადავო ფორმის მქონე ერთი ზმნისწინის აგებულებისათვის ქართულში, ა. პუშკინის სახელობის თბილისის პედინსტიტუტის შრომები, 1973, ტ. 25, გვ. 81.

<sup>22</sup> ა. მარტიროსოვი, საერთო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი იყე, VI, 1954, გვ. 125.

ბურჯი“, 14); სიცივით კი დავიყინე ვით (იქვე, 17) დედამ ქალამნების თასმები დაუხსნა (იქვე, 17).

4. ქართლურისათვის დამახასიათებელი თავისებურება იგრძნობა ზმნის თემატურ ნიშანთა ხმარებაში. ეს უპირატესად მქადავდება თემის ნიშანთა მონაცვლეობაში, რაც გაერთფეროვნების ტენდენციითაა ახსნილი.

-ამ || ავ წვიმა... კოკაპირულად ასხამდა („ოჯახის ბურჯი“, 16);

-ავ || ამ სათონეში გახლამთ („გაბედნიერება“), ფულ... ხარჯამენ („გულხეკაების აზრი...“);

ებ || ობ ასწრობდა („გამარჯვ. ნიკო“, II, 24); მიპირობთ (იქვე, II, 37);

ობ || ომ ნაზმნარ სახელში: გულზედ მიყრდომილი („გამარჯვ. ნიკო“, II, 41);

ოვ || ომ გახსომთ... რო გვეუბნებოდა („გულხეკაების აზრი...“).

5. ქართლური კილოს გარკვეული კვალი შეინიშნება ეკ. გაბაშვილის ნაწერებში პირის ნიშანთა ხმარების მხრივაც. თუმცა ზოგ შემთხვევაში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების გამოხატვა წიგნური ტრადიციის ინერციასაც ემყარება.

ცნობილია, რომ ანტონ კათალიკოსის და მისი სკოლის გავლენა XIX ს. მეორე ნახევარში აქა-იქ ჯერ კიდევ იგრძნობოდა და პრეფიქსთა ხმარებაც არ იყო მოწესრიგებული. ამის კვალი ეკ. გაბაშვილის ნაწერებში ჩანს. ჰ-, ხ- დღეს აღარ იხმარება ორპირიან ზმნებში, მაგრამ ეკ. გაბაშვილს აქვს: განა არა ჰგრძნობ („გამარჯვ. ნიკო“, II, 46); ნუ დაჰკლავ უდანოდ ნიკოს (იქვე, II, 46); ცრუმორწმუნოებას სძრავდა ჩემში („რად დაგვივიწყეს“, 256).

ჰ- შენარჩუნებულია ხ-, ნ- ზ, თანხმოვნების წინ: ჰხედავთ, სად დაგვრჩა ეკლესია („გამარჯვ. ნიკო“, II, 26); დღისით ჰნახეთ (იქვე, II, 24); ჰზრუნავ (იქვე, II, 47).

О<sub>3</sub>-ის გამოხატვაში შეინიშნება შემდეგი გადახვევები სალიტერატურო ნორმიდან: არ უნდა იყოს, მაგრამ გამოხატულია О<sub>3</sub> პირდაპირი: ტანჯვამ მთლად გამოსცვალა ნიკო („გამარჯვ. ნიკო“, II, 40); კეთილს სთესავს (იქვე, II, 44); დედამ გოზინაყები... თახჩაში შესდგა („სახალწლო ფეშქაში“, 67); ცვლილება ყველამ შეჰნიშნა („გამარჯვ. ნიკო“, II, 40); საშინელს საქმესა ჰკისრულობს (იქვე, II, 40).

ს<sub>1</sub>-თან ზოგჯერ О<sub>3</sub> პირდაპირაა აღნიშნული: ვსვამდი, ვსჰვამდი („რად დაგვივიწყეს“, 258). ანალოგიით სუბიექტური პრეფიქსი ერთპირიან ზმნათა მესამე პირის ფორმებშიც იჩენს თავს: ვსტკბები ჩვენის ვაჟაკების გმირობით („გამარჯვ. ნიკო“, II, 21); შესცდებოდა („როგორ მიეგება სვიმონიკა“..., 8), არსაით სჩანდნენ („რად დაგვივიწყეს“, 255). ხ-ს გვერდით ერთპირიანი ზმნების მესამე პირში ზოგჯერ თავს იჩენს ჰ- პრეფიქსი: უნდა აჰყვავდეს („გამარჯვ. ნიკო“, II, 43); განჰქრა მომავალი (იქვე, II, 41).

ქართლური დიალექტის თავისებურებით არ აიხსნება და ამდენად წიგნური ნორმა უნდა იყოს მესამე ირიბი ობიექტური პირის გამოხატვა ასეთ მაგალითებში: მიჰხვდა, რომ იმის სახელს რაღაც ჩირქი მოეცხო („გამარჯვ. ნიკო“, II, 27), ძალი და ღონე შეჰრჩა („მაგდანას ლურჯა“, 19).

მესამე პირის მრავლობითის გამოსახატავად ეკ. გაბაშვილს გამოყენებული აქვს დღემდე ცნობილი ყველა ნიშანი, მაგრამ უწყვეტელსა და წყვეტილში მესამე პირის მრავლობით რიცხვში ერთმანეთის გვერდით იხმარება -ენ || -ნენ დაბოლოება: ქვებს მაგონებდენ („რად დაგვივიწყეს“, 256); რალს შეაბამდენ (იქვე, 258); მიილტოდენ შინისაკენ („როგორ მიეგება სვიმონიკა...“, 11); მაგდანას შვილები სახედრის დანახვაზედ მთლად გადირივენ: ტიროდენ, იცინოდენ, ხტოდენ, გარბოდენ, უკან ბრუნდებოდენ და ისევ გამორბოდენ („მაგდანას ლურჯა“, 22)<sup>23</sup> ცხენები არსაით სჩანდნენ („რად დაგვივიწყეს“, 225); ვაოცებით მკითხავდენ ტირილის მიზეზს (იქვე, 256); იწვევდენ მოვაპრეთ („როგორ მიეგება სვიმონიკა“..., 10).

ასევეა -ნენ ნახმარი -ევ სუფიქსიანი ზმნების III პირში: ვირს შემოხვივნენ („მაგდანას ლურჯა“, 22); მაყრები მოეწივნენ ურემსა („გაბედნიერება“); ბატონიშვილები გვეწვივნენ („ოჯახის ბურჯი“, 14); დერივნენ საქონელს (იქვე, 16); სანთლები ჩაჰქრენენ („როგორ მიეგება სვიმონიკა“..., 12).

6. მწკრივთა წარმოებაში შეინიშნება ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. I სერიაში ინვერსიული სტატიკური ზმნები ჩვეულებრივ -ი-ან სუფიქსით ბოლოვდება. ეკ. გაბაშვილის მოთხრობებში ამის ნიმუშები უხვადაა: შეშისთვის ახლა ვისა სცალიან („ოჯახის ბურჯი“, 17); შენც ამ ბჭივით გშიან („როგორ მიეგება სვიმონიკა“..., 12); პური გვშიან („გლეხკაცების აზრი...“); რაც მწყურთან („გამარჯვ. ნიკო“, II, 23). ეს ნ ზოგჯერ შენარჩუნებულია მრავლობითის -თ სუფიქსის წინაც: თქვენ შეგიძლიანთ („გამარჯვ. ნიკო“, II, 40); ნუ გეშინიანთ (იქვე, III, 16).

წყვეტილის პირველ და მეორე პირში მოქმედებითი გვარის ე სუფიქსიან ფორმებში ეკ. გაბაშვილი პერსონაჟის მეტყველებაში იცავს ქართლურისათვის დამახასიათებელ -ევ-ი<sup>24</sup> დაბოლოებას: სიცივით კი დავიყინევი (თ „ოჯახის ბურჯი“, 17).

II სერიაში ი-, ე- პრეფიქსიანი ენებითის მრავლობით რიცხვში ქართლურში გვაქვს -ენ > -ე სუფიქსები, რომლებიც ძველი ქართულიდან არის ცნობილი. ამ სუფიქსთა გენეზისის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული: ა) ენებითში იგი მოქმედებითი გვარის ზმნათა ფორმებთან გადმოსულად მიაჩნიათ. მოქმედებითი გვარის ზმნებში იგი -ე-თი გამოხატული ობიექტის მრავლობითობას აღნიშნავს<sup>25</sup>; ბ) წარმოშობით ეს -ენ სუფიქსი სუბიექტის მრავლობითობის გამომხატველი უნდა იყოს<sup>26</sup>. ეკ. გაბაშვილის მოთხრობებში ნიმუშები უხვადაა: წავესიენით ხორავს („ოჯახის ბურჯი“, 16); დიდ მუხას... შევეფარენით (იქვე, 17); აღრიანად გავემგზავრენით (იქვე, 20); როდის-როდის მოვემზადენით („რად დაგვივიწყეს“, 260); გავავრიენით სიხარულით („სახალწლო ფეშქაში“, 69).

III სერიის მწკრივთა წარმოებაში თავს იჩენს ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი შემდეგი თავისებურება: I და II თურმეობითებში უპი-

<sup>23</sup> A-ში ყველა ამ ზმნისთან არის -ნენ დაბოლოება.

<sup>24</sup> ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, მწკრივის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში, თსუ სამეცნიერო სენია, 1954., თეზისები, გვ. 125—26.

<sup>25</sup> ა. შ. ა. ნ. ი. ძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 458.

<sup>26</sup> ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში, იყვ. V, 1953, გვ. 524.

რატელობა ეძლევა -6 (<-ე6) სუფიქსიან ფორმებს. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ -6 სუფიქსი წერილობით ძეგლებში სისტემებრ დასტურდება XV საუკუნიდან, თანაბრადა გამოყენებული პირველად და ნასახელარ ზმნებთან. I თურმეობითის წარმოების ორი ტიპიდან უძველესად ისაა მიჩნეული, რომელიც აორისტის ფუძეს ეყრდნობა<sup>27</sup>. მართალია, ძველ ქართულში I და II თურმეობითში ფუძის სავრცობად -6-ს ადგილას ხშირად -ებ სუფიქსი იხმარებოდა, მაგრამ თვითონ -ებ სუფიქსი ერთგვარი ნეოლოგიზმია ძველ ქართულში, ამდენად -6 (<-ე6) სუფიქსი ძველია<sup>28</sup>, -ავ თემის ნიშნინებთან კი ანალოგიით გაჩენილი უნდა იყოს.

-6 (<-ე6) სუფიქსიანი ფორმები თანამედროვე ქართულში გვაქვს: გარდამავალი ზმნების თურმეობითებში და ისეთი საშუალო გვარის ზმნებში, რომელთაც გარდამავალი ზმნებისაგან აქვთ ნასესხები ფორმები. -6 ჩაერთვის მაშინ, როცა ზმნას აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსი არა აქვს. -6-ს ჩართვით თითქოს მყარდება განსხვავება გარდამავალი ზმნების თურმეობით II-სა და სუფიქსიანი ვნებითის ორპირიანი ფორმების ნამყო ძირითადისა და აქტივისა და მედიოაქტივის ფორმათა შორის<sup>29</sup>.

ნიმუშები ეკ. გაბაშვილის თხზულებებიდან: I თურმეობითი: უკითხნია („გამარჯვ. ნიკო“, III, 2); შეუხედნიათ („გაბედნიერება“); წაუკითხნია („გლუხკაცების აზრი“); აუტეხნია („სახალწლო ფეშქაში“, 70); უტირნია („ოჯახის ბურჯი“, 15); II თურმეობითი: იმასაც ელაპარაკნა („გლუხკაცების აზრი...“); საღ უნდა ეპოვნა („როგორ მიეგება სვიმონიკა...“, 10); ჯვარი უნდა დაეწერნა („გაბედნიერება“); რა ექმნა, რა საშუალებისათვის მიემართნა („გამარჯვ. ნიკო, III, 6).

ეკ. გაბაშვილის ერთი მოთხრობის პერსონაჟის მეტყველებაში დასტურდება II კავშირებითში -ე სუფიქსის გამოყენების ნიმუში: თქვენთვის ვის რა უკითხნია თავის დღეში, რომ ეხლა დაგეკითხენ („დაგეკითხონ“, „გამარჯვ. ნიკო“, III, 2); ქართულურში ეს მოვლენა ძველი ქართულიდანაა შემონახული, ეკ. გაბაშვილის ენაში დიალექტის კვალი ჩანს.

III. სინტაქსში ნაკლებად, ვიდრე მორფოლოგიასა და ფონეტიკაში, მაგრამ მაინც შეინიშნება დიალექტური მოვლენები.

1. უსულო საგნით გამოხატული ქვემდებარე ზოგჯერ ითანხმებს შემსმენელს რიცხვში. ამდაგვარი ნიმუშები უფრო წიგნურ ელფერს ატარებს: ფიქრები ტრიალებდნენ იმის თავში („გაბედნიერება“); სახლები ისე შორს სდგანან („როგორ მიეგება სვიმონიკა...“, 6); არიან სხვადასხვა სახელმწიფობები („გლუხკაცების აზრი...“).

შეთანხმება მაშინაც არის შესაძლებელი, როდესაც საგანი გაპიროვნებული არ არის: სანთლები ჩაპქრნენ („როგორ მიეგება სვიმონიკა...“, 12).

მრავლობით რიცხვში შეთანხმება მაშინაც გვხვდება, როდესაც მრავლობითში დასმულ სახელს წინ მსაზღვრელ სიტყვად ახლავს, ერთი მხრივ, განსაზღვრებითი ან განუსაზღვრელი ნაცვალსახელი: ყველა შეგირდებს

<sup>27</sup> არნ. ჩიქობავა, თურმეობითი პირველის ერთი თავისებურება ქართულში: ლიტერატურული ძიებანი, III 1943, გვ. 137.  
<sup>28</sup> ივ. ქავთარაძე, დრო-ილოთა III სერაის ერთი თავისებურება ახალ ქართულში: ივე, VII, 1955, გვ. 63—69.  
<sup>29</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 453.

(„რად დაგვივიწყეს“, 255); ს უ ყ ე ლ ა დ ე დ ა კ ა ც ე ბ მ ა ე რ თ ბ ა შ ა თ მ ო რ-  
თ ე ს ღ რ ი ა ლ ი („საახალწლო ფეშქაში“, 73); ზ ო გ ი ჯ გ უ ფ ა დ ი დ გ ნ ე ნ და  
ბ ა ა ს ო ბ დ ნ ე ნ („გამარჯვ. ნიკო“, II, 29), მეორე მხრივ, განუსაზღვრელი  
რიცხვის აღმნიშვნელი სახელები: დერეფანში ი ს ხ დ ნ ე ნ რ ა მ დ ე ნ ი მ ე  
ხ ნ ა ნ ი მ ა მ ა და დ ე დ ა კ ა ც ე ბ ი („გლეხკაცების აზრი...“); დუქან წინ  
ი დ გ ნ ე ნ რ ა მ დ ე ნ ი მ ე ყ მ ა წ ვ ი ლ ი ბ ი ჭ ე ბ ი და ო რ ი ო ლ -ს ა მ ი ი ა მ შ ი კ ი  
(„გაბედნიერება“); ა რ ი ა ნ კ ი დ ე ვ ბ ე ვ რ ი ს ხ ვ ა გ ზ ე ბ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ის ა  
(„გლეხკაცების აზრი...“); მ რ ა ვ ა ლ ი ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი ჭ ი კ ო ჭ ი კ ო ბ დ ე ნ  
(„რად დაგვივიწყეს“, 261).

ზოგჯერ ხდება რიცხვში შეთანხმება შინაარსის მიხედვით, როცა მესამე  
ობიექტური პირი სახელობით ან მიცემითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენი-  
ლი: ს უ ყ ე ლ ა ს... ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა მ ო ე ლ ო დ ა თ („როგორ მიეგება სვიმონი-  
კა...“, 12); ყ ი ე ი ლ -ხ ი ვ ი ლ ი შ ე უ დ გ ა თ (გლეხკაცების აზრი...), მაწვნით სავსე  
ტ ა ფ ა უ დ გ ა თ („მაგდანას ლურჯა, 20); ს ა მ ი მ ა ყ ა რ ი მ ო ს დ ე ვ დ ა თ  
(„გაბედნიერება“).

2. შეინიშნება ზოგი თანდებულისა თუ ზმნისართის მიერ სახელის ბრუნვა-  
ში მართვის საინტერესო დიალექტური შემთხვევები. **შორის, შუა, შემდეგ, წინ,**  
**აქით, იქით, ზემოთ, უკან** და სხვა ზმნისართები ხშირად მიცემით ბრუნვაში  
მართავენ სახელს ისე, რომ ზოგჯერ მიცემითის ნიშანი დაკარგულიყავა: ს ა-  
დ ი ო ს შ ე მ დ ე გ („გამარჯვ. ნიკო“, II, 28); ა მ ო რ კ ვ ი რ ა ს შ ე მ დ ე გ  
(„ოჯახის ბურჯი“, 19) ჩვენ ს ო ფ ე ლ ს ა ხ ლ ო (იქვე, 13); ზ ე ც ა ს მ ა გ ი ვ-  
რ ა დ („ფანტაზია“, 159); მაგრამ: დ უ ქ ა ნ წ ი ნ („გაბედნიერება“); გ ა ლ ა ვ ა ნ  
გ ა რ ე დ („გამარჯ. ნიკო“, II, 24).

3. ეკ. გაბაშვილის ზემოგანხილულ მოთხრობებში აღინიშნება ზოგი კავ-  
შირის თავისებური ხმარების რამდენიმე შემთხვევა: თ უ ა ქ ა რ მოვსულიყავ,  
ვინ იცის რა მომეკმედნა („გამარჯვ. ნიკო“, II, 29). თ უ კ ა ვ შ ი რ ის გამოყენება  
რომ კავშირის ფუნქციით ძველი ქართულიდან არის ცნობილი და დღესაც  
ცოცხალია დიალექტებში.

არის შემთხვევა — როდესაც დაქვემდებარებულ წინადადებაში მოსალოდ-  
ნელი ვიღრე კავშირის ნაცვლად გამოყენებულია საკავშირებელი სიტყვა **სანამ:**  
შენ ბერიშვილისათვის უფრო ზრუნავ, **სანამ** ჩემთვის („გამარჯვ. ნიკო“, II, 47).  
ეკ. გაბაშვილის თხზულებებში ასეთი ნიმუშები ცოცხალი სასაუბრო მეტყვე-  
ლებიდან არის შესული.

რაც შეეხება მსაზღვრელ-საზღვრული სახელების გამოყენებას, ამ მხრივაც  
არ არის ერთგვარობა ეკ. გაბაშვილის ენაში: ერთმანეთის გვერდით გვხვდება  
სრული, გარდამავალი და შეკვეცილი სახეობა. მაგრამ, რადგან არც ერთი ამ  
სახეობათაგანი დიალექტიზმის სფეროში არ შემოდის, ნიმუშებს არ წარმო-  
ვადგენთ.

ამგვარად, ეკ. გაბაშვილის მოთხრობებში შეინიშნება ბარის კილოთა, კერ-  
ძოდ, ქართლურ-კახური დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური და  
გრამატიკული თავისებურებანი. შენიშნული დიალექტიზმები უფრო მეტია  
მორფოლოგიასა და ფონეტიკაში, ვიდრე სინტაქსში.

### პაატა ცხალაია

## ნა- პრეფიქსის ფუნქციონატვის მთიანი სამეგრელოს ანტიროპოტოპონიმები

1. ტოპონიმური წარმოების ორი გზა არსებობს: ა. საზოგადო სახელის გადაქცევა საკუთარ სახელად<sup>1</sup>, რასაც **ტოპონიმური კონვერსია**<sup>2</sup> შეიძლება ვუწოდოთ და ბ. **ტოპონიმური აფიქსაცია**. ეს უკანასკნელი გულისხმობს სპეციფიკური ტოპოსაწარმოებელი ფორმანტების არსებობას. ტოპოფორმანტები თავიდანვე არც ერთ ენაში არ გვქონდა, მაგრამ, როცა საჭირო გახდა, აპელატურმა (resp. საზოგადო სიტყვაწარმოების) აფიქსებმა გეოგრაფიული სახელების გაფორმებაც იკისრეს და, დროთა განმავლობაში, ნაწილობრივ ან სავსებით ტოპოსაწარმოებელ საშუალებებად გადაიქცნენ<sup>3</sup>.

მთიან სამეგრელოში<sup>4</sup> დიდძალი რაოდენობით აღმოჩნდა **ნა-** პრეფიქსიანი მიკროტოპონიმები. მათი ერთი, შედარებით მცირე ნაწილი, წარმოშობით ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღობას წარმოადგენს (**ნაქვიშა** სახნავი, სადაც წინათ ქვიშა შეუტანიათ), ხოლო მეორე ნაწილი — წინავითარების სახელებს. წინავითარების სახელებისათვის ამოსავალ ფუძეებად გვხვდება სასოფლო-სამეურნეო კულტურის, ხე-მცენარის, ცხოველის, თევზის, ნაგებობის, ბუნების ამა თუ იმ მოვლენის სახელები, აგრეთვე გეოგრაფიული თუ სამეურნეო ტერმინები, დანიშნულების სახელები: **ნალუმ**, სადაც წინათ ლომი ეთესა; **ნაცაცხვერა**, სადაც უწინ ცაცხვი მდგარა; **ნამუნჩქოლ**, სადაც მაჩვები სცოდნია; **ნაღლამუ** მორევი, სადაც ღლავი დაუქერიათ; **ნაკარ // ნაკარუ**, სადაც კარე მდგარა; **ნაფარდ** ადგილი ლელეზე, სადაც ფარდი ყოფილა გაკეთებული; **ნაშუქუ**, სადაც ქარიშხალმა გადაიარა; **ნატებერა**, სადაც წინათ იყო ტები; **ნაყვან // ნოყუნ** ნაყანევი; **ნაოსხაპუ**, სადაც ოსხაპუე ყოფილა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> „ყოველგვარი წარმოების საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელსამე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად“. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 139.

<sup>2</sup> კონვერსია ინგლ. Conversion გადაქცევა, გადასვლა (ერთი მდგომარეობიდან მეორეში). იხ გლისურში კონვერსია საზოგადო სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალებაა.

<sup>3</sup> В. А. Ник о н о в, География русских суффиксов, Onomastica, 9, ვროცლავი-კრაკოვი 1959, გვ. 323.

<sup>4</sup> მთიან სამეგრელოში გულისხმობთ წალენჯიხის, ჩხორიწყუსა და გეგეკეორის რაიონებს, სადაც ჩვენ მიერ ჩაწერილია 15 ათასზე მეტი ტოპონიმი.

<sup>5</sup> **ღლამი**, **ღლაში**, ღლავი. **კარე** მწყემსთა დროებითი საზაფხულო სადგომი. **ფარდი** ლელეზე გარდვიარდმო გადებული ჩელტი ან ლარტყის ჭიშკარი ღობის მაგიერი. ჩამოყიდებულია გრძელ, პორიზონტალურ ჭოკვე. წყალდიდობისას აიწევა, ქვა-ლორღსა და ფიჩხს გაატარებს და არ ჩაიხერგება. **უქი** ჰაერის ტალღა, ძლიერი ქარი. **ტები** ხშირი ტყე, ტევრი. **ოსხაპუე** ცვევა-თამაშისა და, საერთოდ, საღამომობით თვემოყრის ადგილი.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტოპონიმიკურ კონვერსიასთან. ნაქვიშა, ნალუმ, ნამუნჩქილ... მეგრულშიც ისევე საზოგადო სახელებია, როგორც ქართულში ნაქვიშევი, ნალომარი, ნამაჩვარი..., ოღონდ გარკვეულ შემთხვევებში ამა თუ იმ ადგილის, ობიექტის აღსანიშნავად ხშირი ხმარების შედეგად თანდათანობით ტოპონიმებად ქცეულან, საზოგადო სახელთა კლასიდან საკუთარ სახელთა კლასში გადასულან.

სხვა ქართველურ ენათაგან განსხვავებით, მეგრულში ნა- პრეფიქსს ერთი თავისებურება უჩანს. კერძოდ, მისთვის ამოსავალ ფუძეს შეიძლება წარმოადგენდეს პიროვნების საკუთარი სახელიც (resp. ანთროპონიმი). სწორედ ასეთ შემთხვევაში ნა-ს სპეციფიკური ტოპოსაწარმოებელი ფუნქცია აქვს. შეგვიძლია ვთქვათ, ეს ადგილი ნალომარიაო და ამით აღვნიშნოთ ფაქტი, რომ აქ ოდესღაც დიდი ეთესა, მაგრამ ამ ადგილს შეიძლება სულ სხვა სახელი ერქვას. სხვაგან იგივე ნალუმ ნალომარი შესაძლებელია ადგილის საკუთარ სახელადაც შეგვხვდეს. მაგრამ გვარებისაგან ნაწარმოები ნავეკუ, ნაზოდელუ, ნალავილ, ნანჯაფარუ, ნაუვანუ, ნახარჩილუ... მხოლოდ და მხოლოდ ტოპონიმებად თუ მოგვევლინება.

მაშასადამე, მეგრული ნა- ერთ-ერთ ისეთ პრეფიქსად უნდა ჩაითვალოს, რომელიც ანელატურ სიტყვაწარმოებაშიც მონაწილეობს (როცა ამოსავალი ფუძე საზოგადო სახელია) და სპეციფიკური ტოპოსაწარმოებელი დანიშნულებაც აქვს მოკვებული (როცა ამოსავალ ფუძეს წარმოადგენს არა საზოგადო, არამედ საკუთარი სახელი — ანთროპონიმი). სხვათა შორის, ზუსტად ასეთსავე სურათს იძლევა ხა- პრეფიქსიც, ხოლო რაც შეეხება სვანურში პროდუქტიულ ლე-ს, იგი მეგრულში მხოლოდ სპეციფიკური ტოპოფორმანტის როლში გამოდის და საზოგადო სიტყვაწარმოებაში აღარ იხმარებან.

2. მთიან სამეგრელოში იშვიათია სოფელი, სადაც გორაკს, ტყეს, ბუჩქნარს, მინდორს, საბლახოს, სახნავსა თუ ჩაის ფართობს არ ჰქონდეს შერქმეული ანთროპონიმისაგან ნა- პრეფიქსით ნაწარმოები საკუთარი სახელი. თუნდაც პატარა სოფელ თაიაში (ჩხოროწყ. რ.) აღნუსხულია: ნადარანჯ, ნაკეშილუ, ნალაზარუ, ნაქუთელუ, ნაცხადუ, ნაძერუ. ამ ტოპონიმთათვის ამოსავალი ფუძეებია გვარები: დარანჯია, კეშილავა, ლაზარია, ქუთელია, ცხადაია, ძერია. რა ურთიერთობაშია ერთმანეთთან აღნიშნული ტოპონიმები და მათს ფუძეებში წარმოჩენილი გვარები? ადგილობრივ მცხოვრებთა შეგნებაში ნადარანჯ უთუოდ ის ადგილია, სადაც დარანჯია-ს უცხოვრია; ნაკეშილუ უთუოდ კეშილა[ვა]-ს ნამოსახლარია და ა. შ.

მაშასადამე, ნა- თავსართი ტოპონიმთა ამ ჯგუფშიც ნამყოფობას აღნიშნავს, ოღონდ პიროვნებისას. ხანდაზმული ინფორმატორები ზოგჯერ მიუთითებენ კიდევ, თუ სად გადავიდა, ან რა ბედი ეწია ამ პიროვნებას, მის შთამომავალს. სახელდებისათვის საერთო სიტუაცია ასე წარმოგვიდგენია: მთიან სამეგრელოში გავრცელებული იყო დასახლებათა მიკროსისტემა. თითოეული დასახლება, როგორც წესი, ერთი გვარის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა.

<sup>6</sup> ფ. მაკალათიას აზრით, „ტოპოფორმანტის როლში შეიძლება ყოველგვარი მაწარმოებელი ან მაწარმოებლად გამოყენებული ტოპოლექსემა მოგვევლინოს, მაშინ, როცა საწარმოებელ ფუძედ ვიღებთ დამოუკიდებლად არსებულ ტოპონიმს... ე. ი. როცა პირველადი ტოპონიმისაგან ვაწარმოებთ მეორად ტოპონიმს“. იხ. ფ. მაკალათია, არავცის ხეობის ფშაყის ტოპონიმია, საკანდიდატო დისერტაცია, მანქანაზე ნაბეჭდი, 1970, გვ. 122.

ასეთ დასახლებას ერქმეოდა აქ მცხოვრებთა გვარისაგან **ლე—ე** ან **სა—ო** აფიქსებით ნაწარმოები სახელი: **ლეარდე, ლეგობეჩიე, ლეჭიჭალე, ლეჭლანჭლე...** საანთიო, **საგამსახურდიო, საპიტახიო, სახუბუო...** შემდგომში უკვე დასახლებული და სახელდებული ტერიტორიის მახლობლად შეიძლება სხვა გვარის წარმომადგენელი დამკვიდრებულიყო. თუ ეს ახლადამკვიდრებული გვარი გამრავლდებოდა და რამდენიმე კომლს მიღწევდა, ე. ი. ცალკე დასახლება თუ წარმოიშობოდა, მაშინ ამ დასახლებასაც მიეკუთვნებოდა გვარისაგან **ლე—ე** ან **სა—ო** პრეფიქს-სუფიქსებით წარმოქმნილი სახელი. მაგრამ ხშირად ხდებოდა პირიქითაც: ახლდასახლებული ადგილი გარკვეული დროის შემდეგ სხვადასხვა მიზეზით (შინაომი, დევნა-შევიწროება, ეპი) ცარიელდებოდა, ნასახლარად იქცეოდა. სწორედ ასეთ ადგილს ახლო-მახლო მცხოვრებნი შეარქმევდნენ ხოლმე გვარისაგან **ნა-** თავსართით ნაწარმოებ სახელს. ადგილის დახასიათება იმის მიხედვით, თუ ვის უცხოვრია იქ, ჩვეულებრივი და ფართოდ გავრცელებული მოვლენაა მეგრულ ტოპონიმიაში. თუნდაც მხოლოდ ს. გარახაში (ჩხოროწყუ) ჩაწერილია **გვაზნოხორი-ს** (გვაზავას ნასახლარი) ტიპის ოცდაათამდე სახელწოდება. **ნადარანჯ-ის** ტიპის ტოპონიმიც **დარანჯია-ს** ნასახლარს, **დარანჯია-ს** ნაცხოვრებ ადგილს აღნიშნავს. ამ პრინციპის ჭეშმარიტებას, ადგილობრივ მცხოვრებთა ასხნა-განმარტების გარდა, ისეთი შემთხვევებიც გვიდასტურებს, როცა ერთი და იგივე ობიექტი აღინიშნება ორი სახელწოდებით, რომელთაგან ერთი წარმოქმნილია აფიქსაციით, ხოლო მეორე — სიტყვათშეერთებით. საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე მაგალითი: **ნაჩანთარუ // ჩანთარიაშ ნოხორი** (ბორცვი, ს. ნახუნაო, გეგეჰკორი); **ნაფარულუ // ფარულუაშ ნოხორი** (სახნავი, ს. ჭაბურთა, გეგეჰკორი); **ნაპაზუ // პაზიაშ ნოხორი** (გორაკი, ს. ნაკიანი, ჩხოროწყუ); **ნაშამგუ // შამგიაშ ნოხორი** (გორაკი, ს. ნაშამგუ, წალენჯიხა)... მოყვანილი ვარიანტები სიტყვაწარმოებითი მოდელებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თორემ შინაარსით ერთსა და იმავე ვითარებას ასახავენ, კერძოდ იმას, რომ ამოსავალი ფუძით აღნიშნული გვარის წარმომადგენელს წინათ უცხოვრია ტოპონიმის მიერ აღნიშნულ ადგილას.

ცალკეულ შემთხვევაში ამოსავალი ფუძე-გვარი შეიძლება მიუთითებდეს იმ პიროვნებაზეც, რომელიც, მართალია, აქ არ მოსახლეობდა, მაგრამ მაინც რაღაცით იყო დაკავშირებული სახელდებულ ობიექტთან. ს. ნაკიფუში (წალენჯიხა) **გვაჯაია-ს** ნაქონ ტყეს ეწოდება **ნაგვაჯუ // გვაჯაშ ტყა. გვაჯაია** მოშორებით ცხოვრობდა თურმე, სხვა სოფელში, მაგრამ აღნიშნული ტყე მას ეკუთვნოდა. ს. სალხინოს (გეგეჰკორი) კოლმეურნეობის ფართობთა საინვენტარიზაციო წიგნში ჩაის პლანტაციის სახელწოდებად უწერიათ **ნაჭლარკუ. ჭლარკავა** მწყემსი ყოფილა. აქ აძოვებდა საქონელს და საზაფხულო სადგომიც აქვე ედგა თურმე. **ნაგირგოლ** ბუჩქნარის სახელია ს. ნობულევში (გეგეჰკორი). ადგილის ნომინაცია მომხდარა გასული საუკუნის დამლევს, როცა ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებს ვინმე **გირგოლია-ს**აგან უყიდა ეს ადგილი. ოღონდ, აღსანიშნავია, რომ ინფორმატორები ვერ შეთანხმდნენ, **გირგოლია** იმ კაცის გვარი იყო თუ სახელი. საერთოდ, **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოები ანთროპოტოპონიმის ფუძეში რომ პიროვნების საკუთარი სახელიც გვექონდეს (და არა მარტო გვარი), ეს შეუძლებლად არ მიგვაჩნია. გადმოცემით, გორა **ნასაბუ-ზე** (ქ. წალენჯიხა) ესახლა მღვდელი **საბა**. გორის ძირას, მდ. ჭანისწყალზე ამ საბას ეკუთვნოდა მორევი. ამ მორევს დღეს უწოდებენ **საბაშ ტომბა-ს**.



იშვიათად, ნა- პრეფიქსიანი ანთროპოტოპონიმით შეიძლება აღინიშნოს არა ცალკეული, ან თუნდაც რამდენიმე პიროვნების ნაქონი, ნამყოფი, ნაცხოვრები ადგილი, არამედ გვარის ყოფილი დასახლებაც. ამას გვიდასტურებენ პარალელური სახელწოდებანი: **ნაჭღარკუ // საჭღარკო** (ხეობა, ს. ახუთი, ჩხორაოწყუ), **ნაქურსუ // ლექურსუე** (მდლობი, ს. ჩქვალერი, წალენჯიხა)... აქ **სა-** და **ლე-** თავსართიანი ვარიანტები იმ ვითარებას ასახავენ, როცა ჭღარკაელები და ქურსუებს თავ-თავის დასახლებული უბანი ჰქონდათ, ხოლო **ნა-** პრეფიქსიანი წარმოება უფრო გვიანდელია და იმ ვითარებაზე მიგვითითებს, როცა აღნიშნული დასახლებანი უკვე დაცარიელებული იყო.

3. გეოგრაფიული ობიექტის ნომინაციის მექანიზმი არც ძალზე რთულია და არც ძალზე მარტივი. ტოპონიმიკური კვლევა-ძიების სიძნელეს დავიწყებულნი ლექსიკური ერთეულები, ხმარებიდან გასული მორფოლოგიურ-სიტყვაწარმოებითი საშუალებანი და, ყოველივე ამის ნიადაგზე, თავდაპირველ მნიშვნელობათი გაუჩინარება-გადააზრიანება ქმნის. ამასთანავე, მხოლოდ ამოსავალი სიტყვების ძიებამ, შესაძლოა, ტოპონიმის წარმომავლობა ვერ დაგვადგინოს. ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის საჭიროა სახელდების ლოგიკურ-ფსიქოლოგიური საფუძვლის გათვალისწინება და საკვლევი რეგიონისათვის ყველაზე უფრო ნიშანდობლივი, ტიპური ვითარებებიდან ამოსვლა. ამ პრინციპის ერთგვარი უგულებელყოფა შეიმჩნევა პროფ. ალ. დლონტის „ტოპონიმიკურ ძიებანში“<sup>7</sup>, რომლის თეორიული ნაწილი ყურადსაღები და მისასალმებელი ნაშრომაა, მაგრამ სალექსიკონო ნაწილში მოცემული ზოგი კოლხური ტოპონიმის ეტიმოლოგიას სიზუსტე და დამაჯერებლობა აკლია. მაგალითად, **ნარგუსუ** განმარტებულია, როგორც **ნააგვისტოვარი, ნაბურჭულუ** — როგორც **ნაწალდარი, ნაკინტირი ღალი** — როგორც **ნაკიტრალი ღელი; ნაფარფალუ**-ს მნიშვნელობა დაკავშირებულია პეპელასთან, **ნაპურუ**-სი — ბრიყვთან და ა. შ. ტოპონიმიკურ ანომალიებს ყოველთვის შეიძლება ადგილი ექნეს, მაგრამ თითოეული მათგანი ინდივიდუალურ შესწავლა-დაზუსტებას საჭიროებს. გაუგებარია, მაგალითისათვის, თვის სახელწოდება **არგუსო** (ავვისტო), ისიც წინავითარების პრეფიქსით, როგორ შეიძლებოდა ქცეულიყო ადგილის სახელად (შეიძლება ვინმემ დაგვისახელოს, რიო-დე-ჟანეირო **იანვრის მდინარეს** ნიშნავსო, მაგრამ ასეთი ანალოგია **ნარგუსუ**-ს შემთხვევაში ვერაფერს აგვისხნიდა). ასევე გაურკვეველია, **ბურჭული** (წალი) რა ვითარებაში შეიძლებოდა ამოსავალ ფუძედ დადებოდა ტოპონიმს. თეორიულად შესაძლებელია **ნაკიტრალი** დაერქვას ადგილს, სადაც უწინ კიტრი ეთესა, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი ტოპონიმი ნაკლებ მოსალოდნელია. თითქმის არცა გვაქვს (ყოველ შემთხვევაში, მეგრულ ტოპონიმიაში მაინც) ნაპრასალი, ნაქინძარი, ნახახვარი, ნაბოლოკარი, ნაკომბოსტოვარი... სინამდვილეში, ზემოჩამოთვლილი ტოპონიმებისათვის ამოსავალია არა საზოგადო სახელები: **არგუსო, ბურჭული, კინტირი, ფარფალი, ყურუ...**, არამედ გვარები: **არგუსია, ბურჭულია, კინტირია, ფარფალია, ყურუა...** ტოპონიმები ხაზს უსვამენ ამ გვარის წარმომადგენელთა ნამყოფობას<sup>8</sup>.

<sup>7</sup> ალ. დლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, 1971.

<sup>8</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ი ბ ა ე ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვლურ ენებში, 1942.

4. ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე გამოვლენილი ნ- თავსართი (სხვადასხვა ხმოვნითი ელემენტით განვრცობილი) ისტორიულად ნივთის კატეგორიის ნიშნად მიიჩნევა და, ამდენად, ერთ-ერთი უძველესი გრამატიკული ინვენტარია. ქართული ნა- პრეფიქსის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ შესატყვისის ზანურში წარმოდგენს ნო-, რაც თავდაპირველად ნ. მარმა გამოჰყო<sup>9</sup>. აღნიშნულია, რომ ნო- ქანურში უფრო პროლექტიულია, ვინემ მეგრულში, სადაც უპირატესობა მოუპოვებია ქართულიდან შეთვისებულ ნა- პრეფიქსს. საერთოდ, ნა- სამსავე ქართველურ ენაში ერთი ყველაზე გავრცელებულ აფიქსთაგანია.

მეგრულში ნა-// ნო- პრეფიქსი საგანთა წინანდელ მდგომარეობაზე რომ მიუთითებს, ეს თავდაპირველად ი. ყიფშიძემ აღნიშნა „მეგრული ენის გრამატიკაში“, მაგრამ ავტორის მიერ მოხმობილ საილუსტრაციო მასალაში ანთროპოტომონიმი ვერ მოხვდა<sup>10</sup>. სამაგიეროდ, თანდართულ ლექსიკონში დასახელებული ტომონიმი ნაღვფსოუ ასეა დაშლილი ნა-ღვფსოუ<sup>11</sup>. არნ. ჩიქობავამ ზუსტად და ამომწურავად განმარტა ამ და მსგავს სოფლის სახელწოდებათა წარმომავლობა და შინაარსი: ნა-ღვფს-ო-უ, სადაც ღვფსაიები ცხოვრობდენ; ნა-გვაზ-ო-უ, სადაც გვაზავეები მოსახლეობდენ... თუმცა იქვე დასძენს: „შემუძლებელი არაა, ამგვარი წარმოების სოფლის სახელები ისტორიულად იმაზე კი არ მიუთითებდეს, სადაც ამა თუ იმ გვარს წინათ უცხოვრია, არამედ — სადაც ეს გვარი ცხოვრობს, ე. ი. ნა- = ხა-: ნა-გვაზოუ = ხა-გვაზუ... თუ ეს ასეა, სოფლის სახელთა ნა- პრეფიქსით წარმოება ძველია“<sup>12</sup>.

ა. შანიძემ გასულ წელს გამოაქვეყნა სტატია „ნა პრეფიქსის მნიშვნელობისათვის სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში“, სადაც არნ. ჩიქობავას ზემოთყვანილ ციტატას ასეთ შენიშვნას უკეთებს: „„შემუძლებელი არააო“, ეს გაუბედავად არის ნათქვამი. უნდა ითქვას გაბედულად: ნა პრეფიქსი ამ შემთხვევაში სწორედ ქართ. ხა-ს ბადალია. ეს ნა წარმოშობით სვანურია და თავდაპირველად უნდა ყოფილიყო არა ნა, არამედ ლე, რომელიც... დანიშნულების პრეფიქსია (უდრის ქართულ ხა-ს) და რომელიც დღესაც შემორჩენილია სამეგრელოს რამდენიმე სოფლის სახელში“<sup>13</sup>.

გვარებისაგან ნა- პრეფიქსით ნაწარმოები მიკროტომონიმების წარმომავლობისა და სახელების ისტორიის გათვალისწინება, აგრეთვე მეგრული ენის ზედმიწევნით მკოდნე ინფორმატორთა ახსნა-განმარტება ცხადყოფს, რომ ნა- თავისი დანიშნულებით არ უდრის და არც ახლო წარსულში უდრიდა სვანურ ლე- და ქართულ ხა- აფიქსებს. საგვაზაო არის გვაზავეების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო ნაგვაზუ — გვაზავეების ნაცხოვრები ადგილი. ამ დებულების სისწორეს ვერც ის რამდენიმე შემთხვევა დაარღვევს, როცა პარალელურად გვაქვს ნაჯღარკუ // ხაჯღარკო, ნაქურსუ // ლექურსუ... და ვერც ის გარემოება, რომ ს. ნაშამგუში (წალენჯიხა) დღესაც ცხოვრობენ შამგუეები, ხოლო ს. ნაფიხხოვოში (ჩხოროწყუ) — ფიხხაიები. თითოეული ამ ფაქტის ახსნა სხვადასხვაგა-

<sup>9</sup> Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка, СПб., 1910, გვ. 76 და ლექსიკონი.

<sup>10</sup> И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иберского) языка, СПб., 1914, გვ. 0128—0129.

<sup>11</sup> ი. ყიფშიძე, ხს. შრ., გვ. 273.

<sup>12</sup> არნ. ჩიქობავა, ხს. შრ., გვ. 196.

<sup>13</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ნა პრეფიქსის მნიშვნელობისათვის სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 3, გვ. 155.

რად შეიძლება. ნაჯღარკუ // საჯღარკო და მისი მსგავსი ნიმუშები, როგორც ზემოთაც გვაქვს აღნიშნული, სინამდვილის ორ სხვადასხვა მხარეს, ორ სხვადასხვა ისტორიულ ვითარებას ასახავს. ნაშამგუში კი შესაძლებელი იყო შამუგეების სულ სხვა შტოს მიგრაცია, ანდა აქ ნაცხოვრები შამუგეების რომელიმე შთამომავლის მობრუნება და გამრავლება. სოფ. ნაშამგუში არის გორაკი ნაშამგუ // შამგიაშ ნოხორი. სწორედ ამ გორაკის სახელწოდებაა შემდეგ ქვეუღლი მთელი სოფლის სახელად. ისიც შესაძლებელია, შამუგეების სხვა, მოშორებით მდებარე უბანი უფრო გვიან შეერთებოდა ს. ნაშამგუს.

თუ ნაგვაზოუ იმას ნიშნავს, რომ აქ გვაზავები ცხოვრობდნენ, მაგრამ აღარ ცხოვრობენ, მაშინ ეს შემდეგ დასახლებულთა თვალსაზრისს გამოხატავსო, აღნიშნავს არნ. ჩიქობავა და იქვე დასძენს: „მოსალოდნელი კი არაა, ძველი მოსახლის გვარი დაეტოვებინა მერე დასახლებულს“<sup>14</sup>. ამ არგუმენტს იმეორებს ა. შანიძე<sup>15</sup>, მაგრამ, ჯერ ერთი, ხდება ხოლმე, რომ მერე დასახლებული ტოვებს ძველი მოსახლის გვარს. მაგალითად, წალენჯიხის რაიონში, მდ: ჭანისწყლის პირას, მდებარეობს სოფელი ლეკაჯუღე. კაჯუღეები აქ არ ცხოვრობენ და არც რაიმე გადმოცემა არსებობს მათს შესახებ. სოფელი თითქმის მხოლოდ კვარაცხელიებითაა დასახლებული და უფრო „სამართლიანი“ იქნებოდა ლეკვარაცხელიე რქმეოდა. მეორე, ნაგვაზოუ, როცა მას განვმარტავთ, როგორც გვაზავების ნაცხოვრებ ადგილს, ისტორიულად შემდეგ დასახლებულთა თვალსაზრისს კი არ გამოხატავს, არამედ გვაზავების თანამედროვეთა თვალსაზრისს, რომელთა თვალწინაც მოხდა მათი (გვაზავების) საცხოვრებელი ადგილის გადაქცევა ნასახლარად. და, მესამეც, ნაგვაზოუ-ს ტიპის სახელი ჩვეულებრივ ერქმეოდა მხოლოდ პატარა ადგილს: სახნავს, ტყეს, ფერდობს, გორაკს, სერს... და მხოლოდ შემდეგ, დროთა განმავლობაში, სხვადასხვა ისტორიულ-სოციალური მოვლენების განვითარების შედეგად, იქცეოდა მთელი სოფლის აღმნიშვნელ სახელად.

5. სვანური მიმღობის წარმოება (ნა- და ლუ // ლუ- პრეფიქსების ჩვენება) ქართულისთვისაც დადებითად წყვეტს ნა- და სა- პრეფიქსების წარმოშობითი იგივეობის საკითხს: ნა-კითხ-ი — სა-კითხ-ი, ნა-წერ-ი — სა-წერ-ი წარმოშობით ერთი და იმავე ღირებულების ოდენობაა: ნა- // სა- ორივე ნივთის კატეგორიაზე მიუთითებს. ამასთანავე, ნა- // სა- ზმნისაგან ნაწარმოებ სახელებში იმავე როლს ასრულებს, რასაც სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში: აღნიშნავს საგანს, იარაღს<sup>16</sup>.

ქართველურ ენათა მონაცემების შედარების საფუძველზე გამოყოფილია: ს-(ს-ძ-ე), სე-(სე-შა→შეშა; სე-ცხ-ლი→ცეცხლი), სი-(სი-სხ-ლ-ი), სა-(სა-ცხ-უ→ცაცხვი); ნე-(ნე-დლ-ი, ნე-ტარ-ი), ნი-(ნი-ჩვ-ი, [წი- დაყვი), ნა-(ნა-თელ-ი, ნა-ხ-ვ-ა, ნა-ტერ-ა—ნა-ტრ-ვ-ა)... გამოყოფილ პრეფიქსთაგან მხოლოდ ნე-ს (მიმღობის ფორმებში) და სა-ს გამოაჩნდა დანიშნულების ფუნქცია: ნე-რგ-ი = სა-რგავ-ი, ნე-სტვ = სა-სტუენ-ი, ნე-რწყვ = სა-რწყველ-ი<sup>17</sup>... მაგრამ ერთი მაგალითიც კი არ მოგვეპოვება, სადაც ნა-სათვის შეიძლებოდა ვივარაუდოთ დანიშნულების ფუნქცია. აღნიშნულია, რომ, მართალია, კლას-კატე-

<sup>14</sup> არნ. ჩიქობავა, ხს. შრ., გვ. 196.

<sup>15</sup> ა. შანიძე, ხს. შრ., გვ. 156.

<sup>16</sup> არნ. ჩიქობავა, ხს. შრ., გვ. 216, 184.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 216.

გორიის პრეფიქსებში თანხმოდენებთანაა დაკავშირებული გარკვეული ფუნქცია, მაგრამ ხმოვნითი ელემენტებიც „რა თქმა უნდა, უფუნქციო ფონეტიკურ დანართს არ წარმოადგენენ“<sup>18</sup> და, ალბათ, მათი ნებისმიერი ცვლა არ შეიძლება<sup>19</sup>. ნე- და ნა- აბსოლუტურად იდენტურნი ვერ იქნებოდნენ, ამიტომაც არ მოგვეპოვება არგუმენტირებული საფუძველი ნე-ს ფუნქცია (დანისწულების აღნიშვნა) ნა-ზეც გადავიტანოთ.

კლას-კატეგორიის სისტემის მოშლის შემდეგ ნა- და სა- შერჩენ ვნებითი გვარის მიმღეობას, როგორც პასიურის, უმოქმედოს აღმნიშვნელნი<sup>20</sup>, მაგრამ ერთი კატეგორიის (ვნებითი გვარის მიმღეობის) გამოსახატავად ორი ერთნაირი ფუნქციის ინვენტარი ენას არ სჭირდებოდა და, ამასთანავე, როცა დროის კატეგორიაც ჩამოყალიბდა, დიწყო ახალი „ერა“ აღნიშნული პრეფიქსების ისტორიაში: ნა-მ მიმღეობაში ნამყო დრო აღნიშნა, ხოლო სა- დაუკავშირდა მყოფად დროს. ყალიბდება განსხვავებული ფუნქციები: ნა-, რომელიც თავდაპირველად ზმნისაგან ნაწარმოები სახელით გამოხატავდა წარსულში მომხდარ მოქმედებას, თანდათან სახელისგანაც იწყებს სახელის წარმოებას წინავითარების ჩვენებით; სა-, რომელიც თავდაპირველად ზმნისაგან ნაწარმოები სახელით გამოხატავდა მომავალში მოსახდენ მოქმედებას, თანდათან სახელისგანაც იწყებს სახელის წარმოქმნას დანიშნულების ფუნქციით. სწორედ ამისი შედეგია, რომ „როგორც მყოფადის მიმღეობა იჩენს სიახლოვეს დანიშნულების სახელებთან, ასევე ახლოსაა შინაარსობლივად ნამყო დროის მიმღეობები წინავითარების სახელებთან; ორივე წარსული დროისაა, ორივე გამოხატავს რაღაც სახის ყოფილობას“<sup>21</sup>.

ჩვენთვის საინტერესო პრეფიქსების მიერ „განვლილი გზა“ ასე წარმოგვიდგება: ნა- 1. ნივთის კატეგორიის ნიშანი—2. ნამყოს მიმღეობის წარმოება—3. წინავითარების სახელების წარმოება—4. ანთროპოტოპონიმების წარმოება. სა- 1. ნივთის კატეგორიის ნიშანი—2. მყოფადის მიმღეობის წარმოება—3. დანიშნულების სახელების წარმოება—4. ანთროპოტოპონიმების წარმოება.

დადასტურებულია, რომ ლ-, ნ-, ს- (აგრეთვე დ-, რ-, ბ-) კლას-კატეგორიის ნიშნები სხვადასხვა ენობრივი ფენის შემონატანია. ამ დონეზე არც უნდა დაისვას საკითხი ერთის მეორისაგან მომდინარეობის შესახებ. ნ. მარის მოსაზრებით, რომელიც ახალი მასალებით განამტკიცა ვ. თოფურიაშვილმა, ლე-, ლი-, ლა- წარმომდინარე უნდა იყვნენ ნე-, ნი-, ნა- საერთოქართველური პრეფიქსებისაგან<sup>22</sup>. ა. შანიძის ზემოხსენებულ სტატიაში კი საპირისპირო აზრია გატარებული. კერძოდ, იქ ნათქვამია, რომ სამეგრელოს სოფლის სახელებში დადასტურებული ნა- პრეფიქსი მომდინარეობს სვანური ლე-საგან: „ლე-ს უნდა მოეცა ნე, რომელმაც ქართ. ნა-ს გავლენით ხმოვანი იცვალა და მივიღეთ ნა: ნაწული-კოლ... ნაგვაზოლ, ნაღვესოლ და სხვ. მაშასადამე, ამ ტიპის სახელში ნა-ს იგი-

<sup>18</sup> იქვე, გვ. 214.

<sup>19</sup> ვ. თოფურიაშვილმა აზრით, ნე- და სე- მადიექტივებელია, დანიშნულების გამომხატველია, ხოლო ნა-, ნი- და ხა-, სი- — მასუბსტანტივებელი. ვ. თოფურიაშვილი, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, I, ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის. თსუ შრომები, VII, 1938, გვ. 91.

<sup>20</sup> არნ. ჩიქობავა, ხს. შრ., გვ. 184—185.

<sup>21</sup> თ. ზურაბიშვილი, ნა-ვე და ნა-აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, 1972, გვ. 151.

<sup>22</sup> ვ. თოფურიაშვილი, ხს. შრ., გვ. 92.

ვე მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართ. სა-ს (სა-ჯავახო, სა-ქილაო, სა-ლომი-  
ნაო, სა-ორბელო, სა-ბარათიანო და სხვ.)<sup>23</sup>. ნა-ს წარმომავლობის ასეთი ახლე-  
ბური გააზრიანება უფრო იმისათვის იყო საჭირო, რომ ანთროპოტოპონიმებში  
ნა- წარმოჩენილიყო დანიშნულების სა- პრეფიქსის ტოლფუნქციან ფორმან-  
ტად და ნაწულიყოფა გაგებულისყო როგორც საწულიყოფა და არა როგორც  
„წულიყოფის ნაქონი“. მაგრამ ნა-ს არ ჰქონია და არც აქვს დანიშნულების  
ფუნქცია. ნა- მიმღობებშიც და სახელისაგან ნაწარმოებ სახლებშიც ყოფი-  
ლობას, წინავითარებას გამოხატავს საზოგადოდ, ხოლო, კერძოდ, სამეგრელოს  
ანთროპოტოპონიმებში — პიროვნების ნამყოფობას.

<sup>23</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ხს. შრ., გვ. 156.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტმა შ. ძიძიკურმა).



### მედი მოღვაწე

## ზოგინართი ტიპის კიბრიდული სიტყვათფარმოების შესახებ ჰინდი ენაში

თანამედროვე ლიტერატურული ჰინდი ენის ლექსიკის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ევროპულმა ენებმა. ეს იყო კანონზომიერი შედეგი იმ პოლიტიკური ვითარებისა, რაც ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ევროპელი კოლონიზატორების შემოდღევით და დამკვიდრებით შეიქმნა. უკვე XV საუკუნეში აქ პორტუგალიელები გამოჩნდნენ<sup>1</sup>, რომლებიც მალე XVI—XVII სს. შესცვალეს პოლანდიელებმა და ინგლისელებმა. ევროპელთა შედარებით ადვილად დამკვიდრებას ინდოეთის ნახევარკუნძულზე ხელი შეუწყო მოდოლთა იმპერიის კრიზისმა, რაც XVIII ს. ამ სახელმწიფოს დაშლით დამთავრდა. ამ ვითარებით ყველაზე უკეთ ისარგებლეს ინგლისელმა კოლონიზატორებმა, რომლებმაც ხანგრძლივი ბრძოლებით მოიშორეს ევროპელი კონკურენტები და შესძლეს დასუსტებული ინდოეთის სამთავროებისა და სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების დაპყრობა.

ინგლისური მმართველობის სისტემის შემოდგამა გამოიწვია ინგლისური ენის გავრცელების აუცილებლობა. შეიქმნა ევროპული განათლების კერები. ინგლისელთა ბატონობის ხანგრძლივი დროის მანძილზე სახელმწიფო, სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთადერთ ენად ინგლისური იყო დაშვებული. ინგლისელთა მრავალწლიან ბატონობას ინდოეთში ბოლო მოეღო 1949 წელს, როდესაც ინდოეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად და როდესაც 1950 წლის 26 იანვარს ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია.

ინგლისელებმა ღრმა კვალი დატოვეს ინდოელი ხალხის ცხოვრების ყველა სფეროზე და მათ შორის ინდური ენების განვითარებაზეც. აღნიშნული პოლიტიკური ვითარების პირობებში ფართოდ გაეხსნა გზა ახალ ინდურ ენებში ინგლისური ლექსიკური ნასესხობების შედღვევას, მითუმეტეს, რომ ბევრი ახალი საყოფაცხოვრებო, სოციალური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიური და სხვა მოვლენების დამკვიდრება ინდოელთა ყოფაში უშუალოდ დაკავშირებული იყო ინგლისელთა ბატონობასთან. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ინდოეთში გაძლიერდა ტენდენცია ინგლისურიდან ნასესხები სიტყვების ინდური მასალის ბაზაზე წარმოქმნილი, განსაკუთრებით, სანსკრიტის მიხედვით აღდგენილი სიტყვებით შეცვლისა. ამის მიუხედავად, ჰინდიში მაინც ძალიან დიდი რაოდენობით ვხვდებით ინგლისურ ნასესხობებს.

<sup>1</sup> ჰინდი ენაზე პორტუგალიური ლექსიკის გავლენის შესახებ იხ. S. R. D a l g a d o, Portuguese vocables in Asiatic languages. Baroda, 1936.

ინგლისური ნასესხობები ჰინდიში ზოგადად განხილულია არა ერთ გამოკვლევაში<sup>2</sup>, ხოლო ზოგიერთი კერძო საკითხი საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი<sup>3</sup>.

ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთი ტიპის ნაკლებად შესწავლილ ჰიბრიდულ სიტყვათწარმოებაზე ჰინდიში. ჰიბრიდულ სიტყვებში ჩვეულებრივ ნავულისხმევია ისეთი რთული ან წარმოქმნილი სიტყვები, რომლებსაც ჰქმნის ჰინდი ენა საკუთარი ფუძეებიდან სხვადასხვა წარმომავლობის ენების სიტყვებით ან ფორმანტებით. ჰიბრიდული ლექსიკის ხმარება დამახასიათებელია თანამედროვე ჰინდი ენის სიტყვათწარმოებისათვის. თანაბარი წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული შეერთება რომელიმე, ვთქვათ, სანსკრიტული წარმოშობის სიტყვისა არაბულ-სპარსულ, ინგლისურ ან საკუთარივე ჰინდურ სიტყვასთან. არაბულ-ირანულ-ინდური ჰიბრიდები სპეციალურ ლიტერატურაში განხილული<sup>4</sup> და საფუძვლიანად შესწავლილია<sup>5</sup>. ინგლისურ-ინდური კი, მართალია, ისეთი დიდი რაოდენობით, როგორაც ირანულ-ინდური ჰიბრიდებია, არ გვხვდება, არ შეინიშნება ინგლისური ფორმანტების ხმარება ინდურ ძირებთან (გვაქვს მხოლოდ პირიქით — ინგლისური სიტყვა+ინდური ფორმანტი), მაგრამ ჩვენ მაინც მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ცალკე გამოყოფა და შესწავლა.

ინგლისურ-ჰინდი ჰიბრიდებად ჩვენ მივიჩნევთ: 1) ინგლისურ სიტყვებზე ინდური ფორმანტების გამოყენებით მიღებულ რთულ სიტყვებს (ფორმანტებში იგულისხმება ინდური წარმოშობის სუფიქსები, სიტყვა-სუფიქსები და ზმნური კომპონენტები), 2) ინგლისურ სიტყვებზე სხვა ენებიდან ნასესხები, მაგრამ ჰინდი ენაში ადაპტირებული ფორმანტების გამოყენებით მიღებულ რთულ სიტყვებს და 3) ინგლისურ სიტყვებზე ინდური ან ირანული პრეფიქსების დართვით წაწარმოებ სიტყვებს.

ინდური წარმოშობის სუფიქსებიდან ინგლისურ სიტყვებს უმთავრესად დაერთვის — *vālā* სუფიქსი, რომელიც აღნიშნავს „მფლობელობას, დამოკიდებულებას“. ასე მაგალითად: *ṭaiksivālā* — „ტაქსის ჯდოლი“, <ინგ. taxi — „ტაქსი“; *jelvālā* „სატელალოს დარაჯი“ ინგ. <jail — „ციხე“; *ḍāyṇāmāitvālā*

<sup>2</sup> U. Weinreich, Functional aspects of Indian bilingualism. «Word», vol. 13. № 2. N. Y. 1957; Chandola Anoop Chandra, Some linguistic influences of English on Hindi, «Anthropological linguistics», vol. 5. № 2, 1963; M. Tivari, Hindi bhāṣā par farsī aur angrezī kā prabhāo, Varānaśī, 1969; К. Гур у, Грамматика языка хинди, I, М., 1957, გვ. 48. Е. Челышев, К вопросу о путях формирования и развития лексики в совр. лит. хинди. Уч. Зап. Ин-та Востоковедения. т. XIII, М., 1958.

<sup>3</sup> Т. Я. Елизаренкова, Дифференциальные элементы согласных фонем хинди, ВЯ. № 5, 1961. Б. А. Захарьин, Гласные фонемы хинди, «Народы Азии и Африки», 1964, № 4; მ. ს. ი. ვ. ე, О месте хинди в типологической классификации языков, НАА, 1965, № 5, მ. ს. ი. ვ. ე, Фонологические изменения при языковых контактах, НАА, 1966, № 5.

<sup>4</sup> А. П. Бараиников, Синонимические повторы в новоиндийских языках, «Записки коллегии востоковедов». т. III, вып. 2, Л., 1928; Г. А. Зограф, Основные черты прозаического урду начала XIX в. (Автореферат канд. дисс. М., 1954); A. Vajprey, Persian influence in Hindi, University of Calcutta, 1936; H. Bahrī, Persian influence on Hindi, Allahabad, 1960.

<sup>5</sup> В. М. Бескровный, Морфологическое гибридное словосочетание в хинди. Хинди и Урду. Вопросы лексикологии и словообразования, М., 1960. А. С. Бархударов, Словообразование в хинди, М., 1963.

„მენადმე“ < ინგ. dynamite „დინამიტი“; *dyūñivālā* — „მორიგე“ < ინგ. duty „მოვალეობა, მორიგე“; *basvālā* „ავტობუსის მგზავრი“ < ინგ. bus „ავტობუსი“; *bankvālā* „ბანკირი“ < ინგ. bank „ბანკი“; *faišanvālā* „მოღური, მოდაზე ჩამცემელი“ < ინგ. fashion „ფაშონი“; *faikṭarivālā* — „ფაბრიკანტი, ქარხნის პატრონი“ < ინგ. factory „ფაბრიკა“ *fayarvālā* „მუხტის მქონე, დამუხტული“ < ინგ. fire „ცეცხლი, გასროლა“; *pulisvālā* „პოლიციელი“ < ინგ. police „პოლიცია“; *moṭarvālā* — „ავტომობილის მძღოლი“ < ინგ. motor „მოტორი, ავტომობილი“; *lārīvālā* „საბარგო მანქანის მძღოლი“ < ინგ. lorry „საბარგო მანქანა“; *rāšanvālā* — „ნორმირებული საქონელი“ < ინგ. ration — „რაციონი, პორცია“; *relvālā* — „რკინიგზელი“ < ინგ. rail — „რკინიგზა“; *saikilvālā* † „ველოსიპედისტი“ < ინგ. cycle — „ველოსიპედი, ციკლი, წრე“; *kaṣṭamvālā* — „საბაჟოს აგენტი“ < ინგ. custom „საბაჟო“; *kangresvālā* — „კონგრესისტი, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის პარტიის მოღვაწე“ < ინგ. congress — „კონგრესი“;

ასევე პროდუქტული სუფიქსებია *vād* და *vādī*, რომლებიც სანსკრიტული წარმოშობისაა. პირველი აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს, ხოლო მეორეს დართული აქვს ძველი სუფიქსი *ī* — მფლობელობის აღმნიშვნელი და აღნიშნავს პიროვნებებს მათი პროფესიის, რაიმე შეხედულებების ან იდეოლოგიური მიმართულებების, მათი მოქმედების ხასიათის მიხედვით. *vād* ნიშნავს „თეორიას, თეზისს“, *vādī* არის „მომხრე, მიმდევარი“; შეესატყვისებია რუსულ ИЗМ-ს და ИСТ-ს; ასე მაგალითად: *romāsvād* — „რომანტიზმი“ < ინგ. romance „რომანი“; *parlamentvād* — „პარლამენტარიზმი“ < ინგ. parliament — „პარლამენტი“; *sośaldīmokreṭvād* „სოციალ-დემოკრატიზმი“ < ინგ. social-democrat — „სოციალ-დემოკრატი“; *marksvād* — „მარქსიზმი“ < ინგ. Marxism — „მარქსიზმი“; *marksvādī* „მარქსისტი“; *kāngresvādī* — „კონგრესისტი“;

სუფიქსი *virodhī* — მნიშვნელობით — „მოწინააღმდეგე, საწინააღმდეგოდ მოქმედი“ სანსკრიტული წარმოშობისაა, *virodh* — ნიშნავს „წინააღმდეგობას“ + მფლობელობის აღმნიშვნელი *ī* სუფიქსი. ეს ფორმანტი თავისი ფუნქციით უარყოფითობის პრეფიქსის მნიშვნელობისაა: *eṭambam-virodhī* — „ატომური ბომბის გამოყენების წინააღმდეგ მებრძოლი“ < ინგ. atombomb — „ატომური ბომბი“; *pāṭīvirodhī* „ანტიპარტიული“ < ინგ. party — „პარტია“; *fasizm-virodhī* „ანტიფაშისტური“ < ინგ. facism — „ფაშიზმი“;

*karāñ* სუფიქსიც („კეთება, მოქმედება“) სანსკრიტული წარმოშობისაა. ძირია *kr* „კეთება“ + *an* სუფიქსი. ამ სუფიქსის ახალი ფუნქციაა აწარმოოს არსებითი სახელები რაიმე პროფესიის აღმნიშვნელი. შეესატყვისება რუსულ სუფიქსს „изма-ния“. *maṣinikaran* — „მექანიზაცია“ < ინგ. machine „მანქანა, დანადგარი, მექანიზმი“; *aṭomaiṭikaran* „ავტომატიზაცია“ < ინგ. automatic — „ავტომატი“; *fā-sisṭikaran* — „ფაშიზაცია“, < ინგ. fascisti — „ფაშისტი“.

გვხვდება სანსკრიტული სუფიქსის *kāryakartā*-ს („მოღვაწე“) ხმარების შემთხვევა: *āñis-kāryakartā* „კანტორის მოსამსახურე“ < ინგ. office — „კანტორა, კანცელარია“ + სანსკ. *kāryakartā* — „მომუშავე, მოღვაწე, მოსამსახურე“; თავისთავად ეს სუფიქსი ორი ელემენტისაგან შესდგება: *kārya* — მომდინარე სანსკრიტული *karāñ*-იდან, რომელიც „მკეთებელს“ (ძირია *kr* „კეთება“) ნიშნავს და *kartā* (*kr* + *tā*) ესეც „მკეთებელს, შემქმნელს“ ნიშნავს. ე. ი. სიტყვასიტყვით „საქმის მკეთებელი, მოღვაწე“. ორივე კომპონენტი ცალ-ცალკე სუფიქსებია და *kartā* ჰინდიში ხშირად გამოყენებულია *kāryakartā*-ს სინონიმად.



ფართოდ გამოიყენება ინგლისურ სიტყვებთან მდებარეობითი სქესის აბსტრაქტული არსებითი სახელების მაწარმოებელი *i* სუფიქსი<sup>6</sup>: *afsari* „ოფიცრობა“ < ინგ. officer „ოფიცერი“; *injiniyari* — „ინჟინერის პროფესია, საინჟინრო საქმე“ < ინგ. engineer — „ინჟინერი“; *inspektari* — „ინსპექტორის თანამდებობა, ინსპექტორობა“ < ინგ. inspector — „ინსპექტორი“, *editari* „რედაქტორობა“ < ინგ. editor — „რედაქტორი“; *klarki* „წახელის მოვალეობა“ < ინგ. clerk — „მოხელე“; *ḡakḡari* — „ექიმობა“ < ინგ. doctor „ექიმი“; *membari* — „წევრობა“ < ინგ. member „წევრი“ და სვ.

ინდური წარმოშობის სიტყვა-სუფიქსებიდან ინგლისურ სიტყვებს დაერთვიან:

სანსკრიტული წარმოშობის *patra* — „ფურცელი, ქაღალდი, წერილი, დოკუმენტი“, რომელიც აწარმოებს რაიმე ოფიციალური დოკუმენტის, მოწმობის ან სხვა რაიმეს სახელწოდებებს — *bailatpatra* — „სამომრჩევლო ბიულეტენი“ < ინგ. ballot — „სამომრჩევლო ბიულეტენი“.

სიტყვა-სუფიქსი *log* („ხალხი“) გამოხატავს არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის კატეგორიებს — პიროვნებების სახელწოდებებს მათი წარმომავლობის, ეროვნებისა და პროფესიის მიხედვით: *afsarlog* — „მოხელეები, ოფიცრები“ < ინგ. officer „მოხელე, ოფიცერი“; *injiniyarlog* — „ინჟინრები“ < ინგ. engineer — „ინჟინერი“; *editarlog* — „გამომცემლები“ < ინგ. editor — „რედაქტორი“; *jajlog* — „მოსამართლეები“ < ინგ. judge — „მოსამართლე“; ხშირად გამოიყენება ჰინდის სიტყვა-სუფიქსი *ghar* („სახლი, შენობა“) ადგილის მაწარმოებელი:

*klabghar* — „კლუბი“ < ინგ. club — „კლუბი“; *bankghar* — „ბანკი“ < ინგ. bank — „ბანკი“; *thiatarghar* — „თეატრი“ < ინგ. theatre — „თეატრი“; *sine-maghar* — „კინოთეატრი“ < ინგ. cinema — „კინო“; *ḡikatghar* — „ბილეთების სალარო“ < ინგ. ticket — „ბილეთი“;

სიტყვა-სუფიქსი *vasi* („მცხოვრები, მაცხოვრებელი“) აწარმოებს პიროვნებების სახელწოდებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით: *yuropvasi* — „ევროპელი“ < ინგ. Europ „ევროპა“;

სანსკრიტული წარმოშობის *kṣetra* (ძირია *kṣi* — „წოლა“ + *tra*) „მინდორი, ნიადაგი, რაიონი, ზონა, მხარე“, აწარმოებს არსებით სახელებს: *sinemakṣetra* — „კინოლუშაკი“, ინგ. cinema და *sinekṣetra* „კინოსტუდია“ < ინგ. cine — „კინო“-დან.

ფორმანტი *grha* აწარმოებს რაიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან წარმოების სახელწოდებებს: *sinemagrih* „კინოთეატრი“ < ინგ. cinema-დან;

რაც შეეხება საკუთრივ ჰინდის ზმნური კომპონენტების გამოყენებას მსგავსი ჰიბრიდული სიტყვათწარმოებისას, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ჰიბრიდები ძირითადად არაა. სპარსულ-ჰინდის ჰიბრიდების ანალოგიით იქმნებიან. ასე მაგალითად ინგ. — ჰ. *pakṣmār* — „ჯიბის ქურდი“ < ინგ. pocket — „ჯიბე“, ჰ. *mārṇa* ზმნის ფუძე *mār* — „დარტყმა, ცემა“ სპ.-ჰ. *jebkat* და

<sup>6</sup> მდებარეობითი სქესის აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი სუფიქსი *i*, რომელიც ფართოდ გამოიყენება ჰინდში, ეტიმოლოგიურად საერთო ინდურ-ირანულ სუფიქსად გვევლინება. მის პროდუქტულობას ჰინდში ხელს უწყობს ნასესხები სპარსული მოძღვრები. იხ. A. C. Б а р о в. Словообразование в хинди, М., 1963, გვ. 104.

girahkat ႁ სპ. jeb და girah-ს დაერთვის ჰინდის kaṭnā ზმნის — „გაჭრა“ ფუძე kaṭ, ხოლო ეს ჰიბრიდები კი თვითონ სპარსული jibgir-ის (შდრ. ქართ. „ჯიბგირი“) ანალოგიითაა წარმოქმნილი.

საინტერესოა აგრეთვე სუფიქს na-ს გამოყენებაც: ჰინდიში nā სუფიქსი ზმნის ინფინიტივის მაწარმოებელია, რომელიც ხშირად დაერთვის ირანული წარმოშობის ზმნების აწმყო დროის ფუძეებს<sup>7</sup>, ირანულ არს. ან ზედსართავ სახელებს<sup>8</sup> და ირანული წარმოშობის ზმნის სახელად ნაწილსაც<sup>9</sup>. მაგ. bak-hšnā — „ჩუქება“, guzarnā „გავლა“ šarmanā „შერცხვენა“, gumnā „დაკარგვა“ და სხვ., რომელთა ანალოგიით ჰინდიში გვაქვს ზმნა relnā — „წინ წავდება, წავერა“ < ინგ. rail „რელსი, რკინიგზა“.

ასევე აქტიურად და თავისუფლად მონაწილეობენ მსგავსი ჰიბრიდების წარმოქმნაში ირანული წარმოშობის სუფიქსები, სიტყვა-სუფიქსები და ზმნური კომპონენტები<sup>10</sup>. ირანული ნასესხები სიტყვათმწარმოებელი აფიქსების ზმარება ჰინდი ენაში იმდენად ხშირია, რომ ამ ენაზე მოლაპარაკეთა შეგნებაში ისინი დამკვიდრებული არიან და ჰინდი ენის სიტყვათ-წარმოების სისტემის საკუთრებად არიან ქცეული. მთელი რიგი ახალი სიტყვებისა და ტერმინების შექმნა დამოკიდებულია ამ ირანული აფიქსების გამოყენებასთან იმდენად, რომ ხშირად ისინი ინგლისურ სიტყვებსაც დაერთვიან.

ინგლისურ-ჰინდი ჰიბრიდების გვერდით გვაქვს მთელი რიგი რთული სიტყვებისა ინგლისური და ირანული კომპონენტებით შედგენილი. სუფიქსთა იმ ჯგუფიდან, რომლებიც წარმოშობით ირანული სიტყვებია, ინგლისურ სიტყვებს უმთავრესად დაერთვიან šāh, šāhī, khānā. šāh და განსაკუთრებით šāhī (šāh + სუფიქსი ī) ძალიან პროდუქტიული სუფიქსებია და ფართოდ გამოიყენებიან თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკის წარმოქმნის სფეროში. ისინი თანაბრად აქტიურად გამოიყენებიან, როგორც სანსკრიტის, ისე საკუთრივ ჰინდისა და ინგლისურის ლექსიკის მიმართ და ყველაზე აქტიურ ელემენტებად გვევლინებიან ჰინდი ენის ჰიბრიდულ სიტყვათწარმოებაში<sup>11</sup>: dīk-tetāršāhī — „დიქტატორა“ < ინგ. d'ictator — „დიქტატორი“, afsaršāhī — „ბიუროკრატია“ < ინგ. officer — „მოსამსახურე“ popšāhī — „კათოლიკობა“ < ინგ. pope — „რომის პაპი“; hailtšāhī — „გენერალ-გუბერნატორობა“ (ინგლისის ხელისუფლება ინდოეთში) < ინგ. high lord — „გენერალ-გუბერნატორი“; bankšāh — „ფინანსთუზი მენეჯერი“ < ინგ. bank — „ბანკი“; ḡalaršāh — „მილიონერი (ამერიკელი)“, < ინგ. dollar „დოლარი“.

ადგილის მაწარმოებელია სუფიქსი khānā „სახლი, შენობა“; ḡaktarkhānā — „ამბულატორია, კლინიკა“ < ინგ. doctor — „ექიმი“; maṡar-khānā — „გარაჟი“ < ინგ. motor „მოტორი, ავტომობილი“; jelkhānā — „ციხე, სატუსაღო“ < ინგ. jail — „ციხე“; bučā-khānā „სასაკლაო“ < ინგ. butcher — „ყსაბი, მკვლელი“;

<sup>7</sup> A. Vajre, დაახ. ნმზ., გვ. 134; H. Bahri, დაახ. ნმზ., გვ. 49.

<sup>8</sup> B. M. Бескровный, დაახ. ნმზ., გვ. 136.

<sup>9</sup> მ. შოღბაძე, ირანულ ნასესხობათა შესახებ ჰინდი ენაში, აღმოსავლური ფილოლოგია, I, 1969, გვ. 143—144.

<sup>10</sup> ჩვენ მიერ ქვემოთ მოტანილი მასალა სპარსულ და ტაჯიკურ ენებში არ დასტურდება.

<sup>11</sup> A. С. Бархударов, Индоиранские форманты-šāhī и šah в словообразовании хинди (к вопросу о грамматикализации персидской лексики в новоиндийских языках). Индийская и иранская филология, М., 1964, გვ. 270.

botalkhānā პლატის ლექსიკონში<sup>12</sup> ასეა განმარტებული: — „ოთახი, სადაც ბოთლებს და ჭურჭელს ინახავენ“ < ინგ. bottle „ბოთლი, ჭურჭლის ბუფეტი;

ირანული წარმოშობის ზმნური კომპონენტებიდან ინგლისურ სიტყვებს დაერთვიან უმთავრესად შემდეგი აწმყო დროის ფუძეები:

dār (dāstan-იდან „ქონება“), რომელიც აწარმოებს 1) არსებით სახელებს, რომლებსაც აქვს მოქმედის, რაიმე პროფესიის გამომხატველის მნიშვნელობა და 2) ზედსართავ სახელებს, რაიმე საგნის თუ თვისების მფლობელის აღმნიშვნელს:

springdār — „ზამბარაიანი, ზამბარის მქონე“ < ინგ. spring — „ზამბარა“; kafdar — „მანეტიანი“ < ინგ. cuff — „მანეტი“; barnīšdār — „ლაქწასმული, გაპრიალებული“, მაგ. barnīšdār jutā „ლაქწასმული ფეხსაცმელი“ < ინგ. varnish „ლაქი“; jeldārī — „პოლიციის რეჟიმი“ (dār-ს დეერთო სუფიქსი ī და მივიღეთ აბსტრაქტული სახელი) < ინგ. jail — „ციხე“; nambardār — „სოფლის მამასახლისი“ < ინგ. number „რიცხვი. რაოდენობა. რიცრი“; ḡigrīdār „სასამართლოში საქმის მომგები“ < ინგ. degree — „ხარისხი, საფეხური, მდგომარეობა, რანგი“; faišandar „მოღური“ < ინგ. fashion — „ფასონი, მოდა“;

bāz /bāzī (bāz+ī) bāhtan — ზმნიდან „თამაში“ — აწარმოებს არსებით სახელებს. bāz-ის შემცველი სიტყვა ახასიათებს პიროვნებას მის მიერ ჩადენილი მოქმედების მიხედვით: etambāz „მეატომე, ომის გამჩალებელი“ < ინგ. atom „ატომი“; botalbāz „ლოთი“ < ინგ. — bottle — „ბოთლი“; bambāzī — „საპაერო დაბომბვა“ < ინგ. bom — „ბომბი“; lekčarbāzī — „ლექციების კითხვა, ლექტორობა“ < ინგ. lecture „ლექცია“;

sāz-sāhtan-იდან „შენება“, აწარმოებს პიროვნებების გამომხატველ სახელებს, რაიმე ხელობა-პროფესიის წარმონაღდგენელთა აღმნიშვნელებს: ḡizāinsāz „კონსტრუქტორი“ < ინგ. design „პროექტი, გეგმა, მიზანი“; ḡinsāz — „მეთუნეუქე“ < ინგ. tin „თუნუქის კოლოფი“);

band და bandī (band+ī) bastan-იდან „შეკრა“; აწარმოებს აბსტრაქტულ არსებით სახელებს: grupbandī — „ფრაქციულობა, ჯგუფები, კავშირების ბლოკების შექმნა“ < ინგ. group — „ჯგუფი“; rašnbandī — „ნორმირება, რაციონი“ < ინგ. ration — „ნორმა“; milbandī — „ფაბრიკის დახურვა“ < ინგ. mill — „ფაბრიკა“;

ინგლისურ სიტყვებთან იშვიათად გვხვდება ban (vān), kar, vār და dān სუფიქსები: kočvān — „მეეტლე“ < ინგ. coach „ეტლი, ეკიპაჟი“; motarbān — „მძლოლი“ < ინგ. motor „ავტომობილი“; fotokār — „ფოტოგრაფი“ < ინგ. photo — „ფოტო“; ḡizāinkār „კონსტრუქტორი“ < ინგ. design — „პროექტი“; nambarvār „დანომრილი“ < ინგ. number „რიცხვი“; voḡdān — „კენჭის ყრა, ხმის მიცემა“ < ინგ. vote „ხმის მიცემა“.

ჰინდიში ინგლისურ სიტყვებს წინსართავებიც დაერთვიან და ამდენად გვაქვს ჰიბრიდული პრეფიქსალური სიტყვათწარმოების შემთხვევებიც. პრეფიქსებიდან ინგლისურ სიტყვებს დაერთვის ძალიან პროდუქტიული წინსართი upa, რომლის საშუალებითაც იქმნება მთელი ჯგუფი ახალი ტერმინებისა მეორე ხარისხოვნობის მნიშვნელობით (ვიცე) —, მოადგილე და სხვ.). ეს აუქისი სანსკრიტული წარმოშობისაა და განსაკუთრებით გამოიყენება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტერმინო-

<sup>12</sup> Platts: Urdu, classical Hindi and English, 2-ე изд., М., 1959.



ლოგის წარმოქმნისას. ასე მაგალითად: *urakameṭi* — „ქვეკომიტეტი“ < ინგ. *committee* — „კომიტეტი“; *uramainijar* — „მმართველის მოადგილე, დირექტორის მოადგილე“ < ინგ. *manager* — „მმართველი“;

ირანული პრეფიქსებიდან გამოიყენებიან *be* — „უ, გარეშე“ და *gair* „უ, გარეშე, ანტი“; *beṭikaṭ* — „უბილეთო“ < ინგ. *ticket* „ბილეთი“; არაბული წარმოშობის *gair* ძალიან პროდუქტიული პრეფიქსია ლიტერატურულ ჰინდიში<sup>13</sup>, რომელიც ასევე ძირითადად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტერმინებს აწარმოებს. ესენია: *gairpartī* — „უპარტიო“ < ინგ. *party* — „პარტია“; *gairparlamentī* „ანტიპარტიული“ < ინგ. *parliament* — „პარლამენტი“; *gairsošalist* — „ანტისოციალისტი“ < ინგ. *socialist* „სოციალისტი“ და ბევრი სხვა.

М. С. МОДЕБАДЗЕ

## О НЕКОТОРЫХ ТИПАХ ГИБРИДНОГО СЛОВООБРАЗОВАНИЯ В ЯЗЫКЕ ХИНДИ

### Резюме

Одним из способов обогащения лексики языка хинди является гибридное словообразование. Наряду с большим количеством арабско-иранско-индийских гибридов в хинди встречаются также гибридные образования с английскими компонентами. Это объясняется тем, что возникновение ряда общественно-политических, административных и других терминов связано с английским языком.

В статье рассмотрены гибриды следующих типов: 1) английские слова + форманты индийского происхождения (суффиксы, слова-суффиксы и глагольные компоненты), 2) английские слова + адаптированные в языке хинди форманты неиндийского происхождения (иранские суффиксы, слова-суффиксы, и глагольные компоненты) и 3) префиксы, индийского и иранского происхождения + английские слова.

<sup>13</sup> საინტერესოა *gair*-ის შემცველი სიტყვები თვით სპარსულში, რომელთა უმრავლესობა არაბულიდან არიან ნასესხები. ისინი სპარსულ კომპოზიტებს განეკუთვნებიან, ვინაიდან *gair*-სა და მომდევნო წევრს შორის ისმის ეზაფეტი და კომპოზიტებად არიან ქცეულნი თვითონ სპარსულში. იხ. G. L a z a r d, *Grammaire du persan contemporain*, Paris, 1957, გვ. 280—281.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ალმოსავლეამცოდნეობის ინსტიტუტმა)

მარიამ ჰიძია

მორფმათა კონსტრუირებული მიმდევრობების რანგობრივი სტრუქტურა თურქულში

ენის მორფემულ მიმდევრობათა სტრუქტურული ტიპების დასადგენად მიზანშეწონილია რანგების გრამატიკის გამოყენება, რომელიც გენერაციულ გრამატიკათაგან ყველაზე უფრო სრულად წარმოშობს აგლუტინაციური ენის აფიქსთა ტიპურ კომბინაციებს. თურქულში გრამატიკულ მორფმათა რანგობის შედეგად გამოვლინდა აფიქსთა მიმდევრობის 4 სტრუქტურული ტიპი. პირველში გაერთიანდა ის აფიქსები, რომლებიც ერთვიან არსებით სახელსა და მეტყველების სუბსტანტივირებულ ნაწილებს. მეორე ტიპში 12 რანგად გამოიყო პირიელი ზმნის მორფემები<sup>1</sup>. ამ აფიქსურ მიმდევრობათაგანაა კონსტრუირებული მესამე და მეოთხე სტრუქტურული ტიპები.

მორფმათა მესამე მიმდევრობა შედგენილი შემასმენლის მოდელია. სინტაქსური ერთეული არ უნდა გამხდარიყო მორფოლოგიური სინთეზის ობიექტი. მითუმეტეს, რომ აფიქსთა განსახილველ ჯაჭვში არ არის ისეთი კლასი (რანგი) მორფემებისა, რომელიც არ ფუნქციონირებს პირველსა და მეორე მიმდევრობებში. მიუხედავად ამისა მაინც გამოიყო მესამე ტიპი, რაც განპირობა აფიქსთა განსხვავებულმა რანგობრივმა სტრუქტურამ, პირველი და მეორე ტიპის მორფმათა შეერთებით წარმოქმნილმა მიმართებებმა და დამატებითმა სპეციფიკურმა შეზღუდვებმა.

შედგენილი შემასმენლის კონსტრუქციაში შემავალი მორფემები ერთმანეთს შემდგენიარი მიმდევრობით ერთვიან:

მეორე ტიპი	რ ა ნ გ ი										
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI
1	-Ø-	-( <sup>1</sup> )m-	- <sup>1</sup> z-	-Ø-	-deɣ	-m <sup>1</sup> -	-Ø-	-ise-	- <sup>1</sup> m-, -m-	- <sup>1</sup> z-, -k	-d <sup>1</sup> r
2	-la <sup>2</sup> r-	-( <sup>1</sup> )n-	-la <sup>2</sup> r <sup>1</sup> (n)-	-(n) <sup>1</sup> n-				-idi-	-si <sup>1</sup> n-, -n-	- <sup>1</sup> z-	
3		-(s) <sup>1</sup> (n)-		-da <sup>2</sup> -				-imi: <sup>3</sup> -	-Ø-, -d <sup>1</sup> r	-la <sup>2</sup> r	
4				-da <sup>2</sup> n-							

რომაული ციფრებით მითითებულია მორფემის რანგი, არაბულით — ქვე-რანგი. გამოყენებული გვაქვს შემდეგი აღნიშვნები:

{-C} — თანხმოვნით დაბოლოებული აფიქსი;

{V-} — ხმოვნით დაწყებული აფიქსი;

∧ — „და“;

$\overline{\wedge}$  — ამ სიმბოლოთი იკრძალება მორფმათა უშუალო მიმდევრობა;

V — „ან“;

a<sup>2</sup> — წინამავალი ხმოვნის მიხედვით რეალიზდება a-დ ან e-დ;

i<sup>4</sup> — წინამავალი ხმოვნის მიხედვით რეალიზდება i-დ, u-დ, u-დ, ü-დ;

i<sup>2</sup> — წინამავალი ხმოვნის ზინდვით რეალიზდება i-დ, u-დ;

# — აქ აღნიშნავს სიტყვის დასასრულს;

→ — „მიიღება“.

პირველი ოთხი რანგი მორფმათა მიმდევრობის პირველი სტრუქტურული ტიპია, ხოლო VI—XI რანგები ემთხვევა პირიელი ზმნის რანგობრივი მოდელის VII—XII რანგებს. აფიქსთა პირველი, მეორე და მეოთხე მიმდევრობითი სტრუქტურებისაგან განსხვავებისა თუ დამთხვევის თვალსაჩინოებისათვის შევადგინეთ ამ ტიპის წარმომშობი ტაბულა:

რანგი	შეწარმვა	აფიქსი	ზნიშვნელობა	მაგალითი	ქართული შესატყვისი
I	1	-Ø-	მზ. რიცხვი	kadın+Ø+sin	ქალი ხარ
I	2	-la <sup>2</sup> r-	მრ. რიცხვი	öcuc+lar+da+ydı	ბავშვებში იყო
II	1	-(i <sup>4</sup> )m-	I პირის კუთვნილება	masa+m+dir	ჩემი მაგიდაა
II	2	-(i <sup>4</sup> )n	II პირის კუთვნილება	arkadaş+lar+ın+dan+dir	შენი ამხანაგთაგანია
II	3	-(s)i <sup>4</sup> (n)-	III პირის კუთვნილება	isteğ+i ise	თუ მისი სურვილია
III	1	-i <sup>4</sup> z-	მრ. რიცხვის I ან II პირის კუთვნილება	masa+m+ız+dir	ჩვენი მაგიდაა
III	2	-la <sup>2</sup> r. <sup>2</sup> (n)-	მრ. რიცხვის III პირის კუთვნილება	aile+lerin+den+im	მათი ოჯახიდან ვარ
IV	1	-ç-	განუსაზღვრელობითი ბრუნვა	öğretmen+Ø+sn+ız	მასწავლებელი ხართ
IV	2	-(n), <sup>4</sup> n-	ნათესაობითი ბრუნვა	komşu+m+un+du	ჩემი მეზობლის იყო
IV	3	-da <sup>2</sup> -	ადგილობითი ბრუნვა	biz+de imiş	ჩვენთან ყოფილა
IV	4	-da <sup>2</sup> n-	დაწყებითი ბრუნვა	kaplan+lar+dan+sa	თუ ვეფხეთაგან არის

რანგი	ქვერანგი	აფიქსი	მნიშვნელობა	მაგალითი	ქართული შესატყვისი
V		değil-	უარყოფითი	sporcu değil+Ø	სპორტსმენი არაა
VI		-mı⁴-	კითხვითი	hasta mı+sin?	ავად ხარ?
VII	1	-Ø-	დამხმარე ზმნის აორისტი	pis+Ø+sin	ჭუჭყიანი ხარ
VII	2	idi-, -ydi⁴-, -di⁴-	დამხმარე ზმნის ნამყო კატეგორიული დრო	anne+s.n+de + +ydi	დედამისს ჰქონდა
VII	3	imiš-, -ymi⁴⁵-, -mi⁴⁵-	დამხმარე ზმნის თურმეთითი დრო	oğul+lar+im imış	ჩემი შვილები ყოფილან
VIII		ise-, -ysa²-, -sa²-	დამხმარე ზმნის პირობითი კილო.	kardeş+in değil idi+yse+Ø	თუ შენი ძმა არ იყო
IX	1	-ı⁴m, -m	I პირი	bahçe+de+ym	ბაღში ვარ
IX	2	-sı⁴n-, -n-	II პირი	küçük değil mi + +ydi+n?	პატარა არ იყავი?
IX	3	-Ø-, -di⁴r	III პირი	o dozent+Ø; şarap+tır	დოცენტი; ღვინოა
X	1	-ı⁴z, -k	I პირის მრავლობითი რიცხვი	gürücü+ler+di+k	ქართველები ვიყავით
X	2	-ı⁴z-	II პირის მრავლობითი რიცხვი	talebe+ler+im+ +z+den değil m.ş+sin+ız	ჩვენი სტუდენტთაგანი არა ყოფილხართ
X	3	-la²r	III პირის მრავლობითი რიცხვი	amca+lar+im müher.dis+ler	ჩემი ბიძები ინჟინრები არიან
XI		-d.⁴r	მტკიცებითი მოდალობა	ben+im+sin+ +dir	სწორედ ჩემი ხარ

ამ მიმდევრობაში I ტიპის შესაბამისი რანგების რაოდენობის გაზრდა გამოიწვია კუთვნილების სუბიექტის (მფლობელის) მრ. რიცხვის აღმნიშვნელ მორფემათა ცალკე რანგად გამოყოფამ, რაც მოხდა ზმნის პირიელ ფორმაში პირისა და რიცხვის ნიშანთა განცალკევების ანალოგიით<sup>2</sup>. III რანგი (ბრუნვათა ნიშნები) ოთხი ქვერანგითაა წარმოდგენილი (მიც. და ბრალდ. ბრუნვები არ შედიან შედგენილი შემასმენლის კონსტრუქციაში). ცვლილება მეორე ტიპთან მიმართებითაც: დამხმარე ზმნის დროით ფორმებს შედგენილი შემასმენლის სპეციფიკის გამო დაემატა აწმყო დროის -Ø- მორფემა. უარყოფის აღსანიშნავად გამოყენებულია არა უკუთქმითი -ma²- აფიქსი (მეორე ტიპის IV რანგი), არამედ değil ნაწილაკი.

I რანგისაა მხ. რიცხვის -Ø- და მრ. რიცხვის -la²r- აფიქსები: öğretmen+Ø+in+dir 'მასწავლებლისაა', oğul+lar+im+ız idi+ler 'თქვენი შვილები იყვნენ'.

II რანგის სამ ქვერანგში განლაგდა I, II და III პირის კუთვნილებითი აფიქსები:  $dağ+lar+im+dan$   $değil+dir$  'ჩემი მთებიდან არ არის',  $dost+un$   $mu+ydu?$  'შენი მეგობარი იყო?',  $gemici+sin+de+ymiş$  'მის მეზღვაურს ჰქონია'.

III რანგის მორფემები ერთიან წინამავალი რანგის აფიქსებს კუთვნილების სუბიექტის მრ. რიცხვის შემთხვევაში. ამათგან I და II პირის მორფემებს ერთვის III, 1 აფიქსი. გამოდის, რომ აუცილებელია მორფმათა მიმდევრობაში II რანგის 1 ან 2 ქვერანგის აფიქსთა რეალიზაცია:  $köpeğ+im+iz$  ise 'თუ ჩვენი ძაღლია';  $otel+in+iz$   $değil+mi?$  'თქვენი სასტუმრო არ არის განა?'. ხოლო III პირის მრ. რიცხვის შემთხვევაში ლექსიკურ მორფემას ერთვის მრ. რიცხვის  $-la^2r-$  აფიქსი და III პირის კუთვნილებითი აფიქსი  $-sı^1n-$ , რომელსაც თავკიდური თანხმომავანი ეკარგება თანხმომავანზე დამთავრებულ ძირსა თუ აფიქსსზე დართვისას, ხოლო ბოლოკიდური  $n$  #-ის წინ არაა წარმოდგენილი:  $-la^2r+ sı^1n \rightarrow -la^2r.^2(n)^1$ :  $O$   $kızkardeş+i+Ø$  'ის მისი დაა',  $daire+lerin+den+dir$  'მათი დაწესებულებიდანაა'.

IV რანგში განვალაგეთ ბრუნვათა აფიქსები: IV, 1  $-Ø-$  განუსაზღვრელობითი ბრუნვის მორფემა:  $kapıcı+Ø+yım$  'მეკარე ვარ'; IV, 2-(n)<sup>1</sup>n- ნათ. ბრუნვის აფიქსი:  $asker+ın+miş$  'ჯარისკაცის ყოფილა'; IV, 3  $-da-$  ადგილობითი ბრუნვის ნიშანი:  $hava+da+yız$  'ჰაერში ვართ'; IV, 5  $-da^2n-$  დაწყებითი ბრუნვის მორფემა:  $hastane+den$   $mi+sin?$  'სააეადმყოფოდან ხარ?'

V რანგისაა უარყოფითი ნაწილაკი  $değil$ , რომელიც წერისას გამოეყოფა წინამავალ სახელად ნაწილს და იერთებს მიმდევრო რანგთა აფიქსებს:  $teyze+m$   $değil+dir$  'ჩემი დეიდა არაა'.

VI რანგისაა კითხვითი  $-mi^4-$  ნაწილაკი:  $reis+in+iz+mi+Ø?$  'თქვენი თავმჯდომარეა?'

VII რანგში გაერთიანებულია პრედიკაციის შინაარსის გამომხატველი და მხმარე ზმნის დროითი ფორმები. ცნობილია, რომ  $i-$  ზმნა ვერ აწარმოებს აორისტს. ამ ნაკლს ავსებენ ე. წ. შემასმენლობითი აფიქსები. ამავე დროს VII, 2 რანგის მორფემას პირის ნიშნებადაც შემასმენლობითი აფიქსები ერთვის. ამიტომ, მორფმათა სიმეტრიულობის თავიდან ასაცილებლად, დამხმარე ზმნის აწმყო დროის აფიქსი მოცემული გვაქვს ნულოვანი მორფემის სახით: VII, 1  $-Ø-$ :  $yüreğ+im+de+Ø+sin$  'ჩემს გულში ხარ'; VII, 2  $-idi-$ :  $güzel$   $idi$  'ლამაზი იყო'; VII, 3  $-imiş-$ :  $köy+üm+üz+de$   $mi+ymiş+sin+iz?$  'ჩვენს სოფელში ყოფილხართ?'

ამ ზმნის პირობითი კილოს ფორმა საპირობებისამებრ ერთვის VII, 2 და VII, 3 რანგის მორფემებს. ამის გამო იგი ცალკე რანგად გამოყავით: VII  $-ise-$ :  $aktör+se$  'თუ ეს მსახიობია';  $Moskova'da$   $idi+yse$  'თუ მოსკოვში იყო';  $zengin+ler+den$   $imiş+se+n+iz$  'თუ მდიდართავანი ხართ'.

პირისა და რიცხვის ნიშნები II სტრუქტურულ ტიპში ფორმულირებული წესებით ერთვის დროით აფიქსებს<sup>4</sup>. ოღონდ ამ შემთხვევაში წესის მარცხენა ნაწილი გაცილებით მარტივია  $i-$  ზმნის დეფექტურობის გამო.

1 პირის ნიშანი (IX,1); VII,1√VII,3 }  $\wedge$  IX,1  $\rightarrow$   $\frac{VII,1 \vee VII,3 \wedge (y)^4}{VII,2 \vee VIII}$  } m

$yaralı+yım$  'დაჭრილი ვარ'  $amca+sı+yse+m$  'მე თუ ბიძამისი ვარ'.



$$II \text{ პირის მორფემა (IX,2); VII,1} \vee \text{VII,3} \left\{ \begin{array}{l} IX, \rightarrow VII,1 \vee VII,3 \wedge si^4 \\ VII,2 \vee VIII \end{array} \right\} n$$

usta + ymiş + sin 'ოსტატი ყოფილხარ', simi + im + da + di + n 'ჩემს კლასში იყავი'.

III პირის ნიშანი (IX,3); VII ∨ IX,3 → VII ∨ VIII ∨ ∅ ∨ di<sup>4</sup>r. O genç komünist + ∅ 'ის ახალგაზრდა კომუნისტი', profesör + ün + dür 'პროფესორისა'.

როცა აფიქსთა ჯაჭვში IV,1 აფიქსია (განუსაზღვრელობითი ბრუნვის ∅ მორფემა), მაშინ IX,3-ის ნულოვანი ალომორფი ფუნქციობს, ხოლო IV,2, IV,3, IV,4 აფიქსთა შემცველ მიმდევრობებში რეალიზდება -di<sup>4</sup>r. დამხმარე ზმნის აორისტის შემთხვევაში შემასმენლობითი აფიქსები იშვიათად გვხვდება შედგენილი შემასმენლის კონსტრუქციაში, ხოლო თუ სახელად ნაწილში არსებითი სახელია, იგი სულ არ იხმარება<sup>5</sup>.

მცირერიცხოვანი მაგალითების მიუხედავად შესაძლებლად მივიჩნით შედგენილი შემასმენლის სტრუქტურაში წარმოგვედგინა მტკიცებითი მოდალობის -di<sup>4</sup>r აფიქსი (XI რანგი), რომელიც II პირის მხ. რიცხვის აფიქსის მომდევნო პოზიციაში დასტურდება<sup>6</sup>: çocuk + sun + dur '(ნამდვილად) ბავშვი ხარ'.

მესამე სტრუქტურული ტიპის შესაბამისი რანგებისა და ქვერანგებისათვის ძალაში რჩება ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებდა მორფემათა პირველ და მეორე მიმდევრობებში. მორფონოლოგიური წესებიც იგივეა. რადგანაც შედგენილი შემასმენელს განვიხილავთ, მართლწერასთან დაკავშირებით საჭიროდ მივიჩნით i- ზმნის ფონოლოგიური გარდაქმნების ცალკე ფორმულირება. აორისტის (VII, 1) შემთხვევაში შემასმენლობითი აფიქსები თურქუმები ცალკე წერისას არ ემორჩილებიან ხმოვანთა ჰარმონიის კანონს. ხოლო წინამავალ ნაწილთან შეერთებისას ყურადღება ექცევა ფუძის ან აფიქსის ბოლოკიდურ მარცვალს: 1) {-V} + idi-Vimiş-Vise → {-V} + ydi<sup>4</sup>Vymiş-Vysa<sup>2</sup>: -ev + de + ydi + yse + ∅ 'სახლში თუ იყო', hoca + ymiş + ∅ 'მასწავლებელი ყოფილა', yar + 1 + ysa + n 'თუ მისი სატრფო ხარ'.

2) {-C} + idi-Vimiş-Vise → {-C} + -di<sup>4</sup>-V-mi<sup>4</sup>ş-V-sa<sup>2</sup>: deniz + den + di + ∅ 'ზღვიდან იყო', aslan değil + miş + ∅ 'ლომი არ ყოფილა'.

3) {-C+ზრ} + idi → {-C+ზრ} + ti<sup>4</sup>; küçük + idi → küçüktü 'პატარა იყო'.

სისტემის შესაფასებლად გამოვითვალეთ დალაგებისა და სიმარტივის ზომები და სისრულის ხარისხი. სიმეტრიულ ელემენტთა უქონლობის გამო დალაგების ზომა  $\mu = 1$ . ქვერანგთა სიმცირის გამო სისტემა საკმაოდ მარტივია:

$$S = \frac{P \text{ (რანგების რაოდენობა)}}{Q \text{ (ქვერანგების რაოდენობა)}} = \frac{11}{24}; \text{ სისრულის ხარისხი მორფემების და-}$$

დასტურებულ წყვილთა რაოდენობისა და თეორიულად შესაძლებელი რაოდენობის ფარდობის მაჩვენებელია:

$$Kn = \frac{Nr}{Np} = \frac{218}{269}.$$

ზემოთ განხილული მოდელით წარმოიშევა შედგენილი შემასმენლის i- 'ყოფნა' დამხმარე ზმნის შემცველი მიმდევრობანი. თურქულში კოპულად გამოყენებულია აგრეთვე ol- 'გახდომა' ზმნა, რომელიც ირთავს მორფემათა მიმ-

დევრობის სრულ მეორე სტრუქტურულ ტიპს და სახელადი ნაწილისაგან ყოველთვის გამოყოფილია. სინტაქსური ფუნქციის ნაწილობრივი დამთხვევის მიუხედავად ამ ორ დამხმარე ზმნას აფიქსები განსხვავებული თანმიმდევრობით ერთიან.

მორფმათა მიმდევრობის მეოთხე ტიპში შებრუნებულია შედგენილი შემასმენლის კონსტრუქცია: ზმნურ აფიქსებს (მეორე ტიპი) მოსდევს სახელის (პირველი ტიპი) რანგობრივი სტრუქტურა. მათ შუა თავსდება სახელზმნურ მორფმათა სადემარკაციო რანგის აფიქსები, რომლებიც არ შედიან ძირითად ტიპებში. მიმდევრობები და მასდარები სუბსტანტივირებისას პირველი სტრუქტურული ტიპის მორფმათა სხვადასხვა კომპლექტს ირთავენ. აფიქსთა მიმდევრობის ამ სტრუქტურაში ორი ქვეტიპი გამოიყო.

თურქულში მიმდევრობა  $-(i^4)yor, -a^2r, -(y)a^2ca^2k, -(y)a^2n, -di^4k, -mi^4\acute{s}$  და  $-di^4$  აფიქსებით ფორმდება. ამათგან ფუნქციონალური თვალსაზრისით უნივერსალურია  $-a^2r, -(y)a^2ca^2k$  და  $-mi^4\acute{s}$  აფიქსები, რომელთა დართვით მიიღება როგორც ზმნის ატრიბუტული ფორმები (მაგ.: *oynar çocuk* 'მოთამაშე ბავშვი', *yapacak* *iş* 'გასაკეთებელი საქმე', *kurulmuş ev* 'აშენებული სახლი'), ასევე დროითი ფუძეები (მაგ.: *oynar* აწმყო — განსაზღვრული დროის ფუძეა, *yapacak* მომავალი კატეგორიულის, ხოლო *kurulmuş* თურმეობითის. ცნობილია, რომ თურქული ზმნის მარტივი პირიელი ფორმა შეიცავს მიმდევრობის აფიქსს (=დროითი ფუძე) და პირისა და რიცხვის ნიშანს<sup>7</sup>). მხოლოდ ატრიბუტული მნიშვნელობისაა  $-(y)a^2n$  და  $-di^4k$  აფიქსთა შემცველი ფორმები, ხოლო  $-(i^4)yor$  და  $-di^4$  აფიქსებმა დაკარგეს ატრიბუტული ხასიათი და შეინარჩუნეს აწმყო-განსაზღვრულისა და ნაწყობ-კატეგორიული დროების აბსოლუტური მნიშვნელობა<sup>8</sup>: *oku+yor+sun* 'კითხულობ', *in+di+m* 'დაეშვი'. ამის გამო მორფმათა მიმდევრობის მეოთხე ტიპში ჩართულია  $-(y)a^2n, -di^4k, -mi^4\acute{s}, -a^2r$  და  $-(y)a^2ca^2k$  აფიქსები, რომელთა საშუალებითაც იწარმოება აწმყო  $-(y)a^2n, -a^2r$ , წარსული  $-(y)a^2n, -di^4k, -mi^4\acute{s}$  და მომავალი  $-(a^2r, -a^2ca^2k)$  დროების მიმდევრობები. ხოლო ამ მორფმათა ორ ქვეტიპად გამოყოფის მიზეზია კუთვნილებითი აფიქსების დართვა-დაურთველობა:  $-(y)a^2n, -mi^4\acute{s}$  და  $-a^2r$  სუფიქსთა შემცველ მიმდევრობებში გამოირიცხულია კუთვნილებითი აფიქსები, ხოლო  $-(y)a^2ca^2k$  და  $-di^4k$  მორფემები ირთავენ ამ უკანასკნელთ და ამავე დროს ფუნქციობენ მათ გარეშეც. მორფმათა რანგირების საფუძველზე მეოთხე ტიპის პირველი ქვეტიპის აფიქსები ასე განლაგდნენ:

ქვეტიპი	რ ა ნ გ ი							
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	$-(i^4)n-$	$-t^1r-$	$-(i^4)l-, -(i^4)n-$	$-ma^2-$	$-a^2bil-$	$-(y)a^2n-$	$-m-$	$-Ø$
2	$-(i^4)\acute{s}-$				$-a^2ma^2-$	$-a^2r-, -i^4r-, -r-, -z-$	$-la^2r-$	$-i^4n$
3						$-(y)a^2ca^2k-$		$-a^2$
4						$-m.\acute{s}-$		$-i^4$
5						$-d^4k-$		$-da^2$
6								$-da^2n$

მეორე ტიპის 1-V და პირველი ტიპის I და IV რანგების მორფემათა არან-  
ჟირების შემზღლდავ წესებს ამ სტრუქტურისათვის ემატება ერთი შემზღლდავ:

-VI,5 $\sqrt$ VIII,2-4; -di<sup>4</sup>k აფაქსი ამ ქვეტაპში არ ირთავს ნათ., მიც. და  
ბრალდ. ბრუნვათა ნიშნებს<sup>9</sup>.

მაგალითები: -I,2 $\sqrt$ V,2 $\sqrt$ VI,1 $\sqrt$ VIII,1 - al + i $\mathfrak{s}$  + ama + yan +  $\emptyset$ -ის ვინც ვერ  
ეჩვევა', -I,1 $\sqrt$ IV $\sqrt$ VI,1 $\sqrt$ VIII,1 - ba $\mathfrak{g}$ la + n + ma + yan +  $\emptyset$  'დაუკავშირებელი', -I,  
1 $\sqrt$ II $\sqrt$ III $\sqrt$ VI,1 $\sqrt$ VIII,1 - yet + i $\mathfrak{s}$  + tir + il + en +  $\emptyset$  'აღზრდილი', -I,1 $\sqrt$ II $\sqrt$ VI,  
1 $\sqrt$ VIII,1 - sev + in + dir + en +  $\emptyset$  'გამხარებელი', -II $\sqrt$ III $\sqrt$ VI,1 $\sqrt$ VIII,1 - iler-  
le + t + il + en +  $\emptyset$  'წინ წაწეული', -III $\sqrt$ VI,1 $\sqrt$ VIII,1 - yap + il + an +  $\emptyset$  'გაკეთებუ-  
ლი', -V,I $\sqrt$ VI,1 $\sqrt$ VIII,1 - yaz + abil + en +  $\emptyset$ 'ის, ვისაც შეუძლია წერა', -II $\sqrt$   
 $\sqrt$ III $\sqrt$ VI,1 $\sqrt$ VIII,1 - in + dir + il + en +  $\emptyset$  'ჩატანილი', -VI,I $\sqrt$ VII,2 $\sqrt$ VIII,1 -  
dön + en + ler +  $\emptyset$  'დაბრუნებულნი', VI,1 $\sqrt$ VH,2 $\sqrt$ VIII,2 - oyna + yan + lar + in  
'მოთამაშეების'. -II $\sqrt$ IV $\sqrt$ VI,2 $\sqrt$ VIII,1 - sön + dür + ül + me + z 'ჩაუქრობელი',  
-VI,2 $\sqrt$ VII,1 $\sqrt$ VIII,2 - yaz + ar +  $\emptyset$  + in 'მწერლის'. -II $\sqrt$ III $\sqrt$ VI,3 $\sqrt$ VIII,1 -  
yap + tir + il + acak +  $\emptyset$  'გასაკეთებინებელი, -III $\sqrt$ IV $\sqrt$ VI,3 $\sqrt$ VIII,1 - otur + ul +  
+ mu + yacak +  $\emptyset$ 'არ საცხოვრებელი', -V,2 $\sqrt$ VI,3 $\sqrt$ VIII,1 - dön + eme + yecek +  
+  $\emptyset$ 'ის, ვინც ვერ დაბრუნდება', -III $\sqrt$ V,1 $\sqrt$ VI,3 $\sqrt$ VIII,1 - çevir + il + ebil +  
+ ecek +  $\emptyset$  'ის, რაც შეიძლება ითარგმნოს', -VI,3 $\sqrt$ VII,2 $\sqrt$ VIII,2 - gel + ecek +  
+ ler + in 'მოსასვლელთა'. -II $\sqrt$ III $\sqrt$ VI,4 $\sqrt$ VIII,1 - aydınla + t + il + mış +  $\emptyset$  'გა-  
ნათებულის', -VI,4 $\sqrt$ VII,2 $\sqrt$ VIII,3 - otur + muş + lar + a 'მჯდომარეთ'. -IV $\sqrt$ VI,  
5 $\sqrt$ VIII,1 - ara + ma + dik +  $\emptyset$  'დაუქებნელი', -I,1 $\sqrt$ IV $\sqrt$ VI,5 $\sqrt$ VIII,1 - oku + n +  
+ ma + dik +  $\emptyset$  'წაუკითხავი', -II $\sqrt$ IV $\sqrt$ VI,5 $\sqrt$ VIII,1 - unut + ul + ma + dik +  
+  $\emptyset$  'დაღვიწყარი', -III $\sqrt$ IV $\sqrt$ VI,5 $\sqrt$ VIII,1 - bekle + n + me + dik +  $\emptyset$  'მოუ-  
ლოდნელი'.

მეორე ქვეტიპი პირველისაგან განსხვავდება იმიტ, რომ აქ სადემარკაციო  
რანგის მხოლოდ ორი ქვერანგია წარმოდგენილი. ტაბულაში შეტანილია კუთვ-  
ნილებითი აფიქსები, რაც მიმღეობებს, ე. ი. ზმნის უპირო ფორმებს, ერთგვარად  
აპირიელებს. სპეციალურ ლიტერატურაში მეორე ტიპის აფიქსურ მიმღევ-  
რობათა შემცველ ფორმებს „პირიელ მიმღეობებსაც“ (personal participles)  
უწოდებენ<sup>10</sup>. -di<sup>4</sup>k-, -(y)a<sup>2</sup>ca<sup>2</sup>k- და ნაწილობრივ მასდარის -ma<sup>2</sup>k- და -ma<sup>2</sup>-  
აფიქსიანი ფორმების ქართული შესატყვისის მოცემა შეუძლებელია ვრცელი  
კონტექსტის გარეშე, რადგანაც თარგმნისას ეს კონსტრუქციები დამოკიდებულ  
წინადადებებს იძლევიან. საკმარისად მივიჩნით მეოთხე ტიპის მეორე ქვეტი-  
პის აფიქსურ მიმღევრობათა მხოლოდ რანგობრივი სტრუქტურის ჩვენება.

მორფემათა მიმღევრობა ასეთია:

ქვერანგი	რ ა ნ გ ი									
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	XI	X
1	-(i <sup>4</sup> )š-	-t <sup>4</sup> r-	-i <sup>4</sup> l-	-ma <sup>2</sup> -	-a <sup>2</sup> bil-	-di <sup>4</sup> k-	- $\emptyset$ -	-i <sup>4</sup> m-	-i <sup>4</sup> z-	- $\emptyset$
2	-(i <sup>4</sup> )n-				-a <sup>2</sup> ma <sup>2</sup> -	-a <sup>2</sup> ca <sup>2</sup> k-	-la <sup>2</sup> r-	-i <sup>4</sup> n-	-la <sup>2</sup> r. <sup>2</sup> (n)-	-i <sup>4</sup> n
3								-i <sup>4</sup> (n)-		-a <sup>2</sup>
4										-i <sup>4</sup>
5										-da <sup>2</sup>
6										-da <sup>2</sup> n

VIII რანგის აფიქსებით გაშუალებული  $-d1^4k-$  აფიქსი ყველა ბრუნვის ნიშანს ირთავს. ე. ი. პირველი ქვეტიპის შეზღუდვა აქ მოიხსნა, მიზანშეწონილად ჩაეთვალებოდა II სტრუქტურული ტიპის მორფონოლოგიური წესის დაკონკრეტება:

1)  $\{-C(=k')\} + \{V-\} \rightarrow \{-\check{g} (=y)\} + \{V-\}$  gel + ecek + im  $\rightarrow$  gel + eceğ + im / geleğejim/;

2)  $\{-C(=k)\} + \{V-\} \rightarrow \{-\check{g} (=o)\}$  başla + dik + in  $\rightarrow$  başla + diğ + in / başladım/.

მაგალითები: -II  $\wedge$  VI, 2  $\wedge$  VIII, 3 — evlen + dir + eceğ + i, -II  $\wedge$  III  $\wedge$  VI, 1  $\wedge$  VIII, 3 — kal + dir + il + diğ + i, -II  $\wedge$  IV  $\wedge$  VI, 1 ( $\wedge$  VIII, 3)  $\wedge$  IX, 2 — yaz + dir + ma + dik + ları, -I, 2  $\wedge$  III  $\wedge$  VI, 1  $\wedge$  VIII, 3  $\wedge$  X, 3 — gir + iş + il + diğ + in + e, -III  $\wedge$  VI, 2  $\wedge$  VIII, 2  $\wedge$  X, 4 — kullan + il + acağ + in + i, -V, 2  $\wedge$  VI, 1  $\wedge$  VIII, 2  $\wedge$  IX, 1  $\wedge$  X, 1 — ver + eme + diğ + in + iz, -III  $\wedge$  V, 2  $\wedge$  VI, 2  $\wedge$  VIII, 3  $\wedge$  X, 4 — bekle + n + eme + yeceğ + in + i, -11  $\wedge$  III  $\wedge$  VI, 2  $\wedge$  VIII, 3  $\wedge$  X, 6 — bit + ir + il + eceğ + in + den, -IV  $\wedge$  VI, 2  $\wedge$  VIII, 1  $\wedge$  IX, 1  $\wedge$  X, 3 — ayır + ma + yacağ + im + iz + a, -V, 2  $\wedge$  VI, 2  $\wedge$  VIII, 1  $\wedge$  IX, 1  $\wedge$  X, 6 — yakala + yama + yacağ + im + iz + dan, -VI, 2  $\wedge$  VII, 2  $\wedge$  VIII, 1 — oku + yacak + lar + im, -VI, 1  $\wedge$  VII, 2  $\wedge$  VIII, 1  $\wedge$  IX, 1  $\wedge$  X, 4 — konuş + tuk + lar + im + iz + i, -V, 2  $\wedge$  VI, 1  $\wedge$  VII, 2  $\wedge$  VIII, 1  $\wedge$  IX, 1  $\wedge$  X, 4 — söyle + yeme + dik + ler + im + iz + i, -VI, 1  $\wedge$  VII, 2  $\wedge$  VIII, 2  $\wedge$  IX, 1  $\wedge$  X, 4 — oku + duk + lar + in + iz + i.

მასდარის აფიქსთათვის არ ვიძლევიტ მორფმათა მიმდევრობის სქემებს, რადგან ე. წ. შეკვეცილი მასდარის მაწარმოებელი  $-ma^2-$  მორფემის შემცველი მიმდევრობები ემთხვევა მეორე ქვეტიპის  $-d1^4k-$  და  $-(y)a^2ca^2k-$  აფიქსთა მორფემულ გარემოცვას, ხოლო  $-ma^2k-$  აფიქსის შემცველი ჯაჭვი უდრის პირველი ქვეტიპის  $-d1^4k-$  (VI, 5) მორფემის არანაირების მოდელს იმ განსხვავებით, რომ მასდარის  $-ma^2k-$  აფიქსი მრ. რიცხვის ნიშანს (მეოთხე ტიპის პირველი ქვეტიპის VII, 2) არ ირთავს. მორფმათა რანგობრივი სტრუქტურის შედარებისათვის  $-ma^2k-$  აფიქსი პირობითად VI, 6-ით აღვნიშნოთ, ხოლო  $-ma^2-$  VI, 3-ით. მაგალითები: -II  $\wedge$  III  $\wedge$  VI, 6  $\wedge$  VIII, 5 — akset + tir + il + mek + te, -II  $\wedge$  V, 1  $\wedge$  VI, 6 — yaşa + t + abil + mek, -I, 2  $\wedge$  II  $\wedge$  VI, 6 — yat + iş + tir + mak, -II  $\wedge$  VI, 6  $\wedge$  VIII, 6 — gör + dür + mek + ten; -IV  $\wedge$  VI, 3  $\wedge$  VIII, 1  $\wedge$  X, 3 — tanı + ma + ma + m + a, -I, 2  $\wedge$  II  $\wedge$  III  $\wedge$  VI, 3  $\wedge$  VIII, 3 — gel + iş + tir + il + me + si, -III  $\wedge$  V, 1  $\wedge$  VI, 3  $\wedge$  VIII, 3 — nakled + il + ebil + me + si, -I, 2  $\wedge$  III  $\wedge$  VI, 3  $\wedge$  VIII, 3  $\wedge$  X, 3 — anla + ş + il + ma + sın + a, -VI, 3  $\wedge$  VIII, 3  $\wedge$  X, 6 — ısır + ma + sın + dan, -I, 2  $\wedge$  VI, 3  $\wedge$  VIII, 3  $\wedge$  X, 4 — çat + iş + ma + sın + i.

თუ შედგენილი შემასმენლის კონსტრუქციაში ნულოვანი რანგის ლექსიკური მორფემის ნაცვლად ავიღებთ მიმღეობას, უკიდურესი მარცხენა წევრის მორფოლოგიური გაშლის შემთხვევაში მივიღებთ 15 რანგოვან მიმდევრობას:

ქვერანტი	რ ა ნ გ ი														
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	XV
1	-in-	-tir-	-il-	-ma-	-abil-	-an-	-∅-	-∅-	değil-	mi-	-∅-	ise-	-im	-iz-	-dir
2	-ş				-ama-	-ar-	-lar-	-in-			id-		-sın	-lar	
3						-a'ak-		-da-			miş-		-∅-, -dr		
4						-miş-		-dan-							

რეალურად კი ძლიერ იშვიათია რვარანგოვანი მიმდევრობებიც. მაგ.:  
 tut+tur+ul+ama+yan+lar+dan+di+(lar) (-II∧III∧IV∧VI,1∧VII,2∧  
 ∧VIII,4∧IX,2∧XIII,3(∧XIV,2)) 'დაუპერელთავანი იყვნენ'. ამ ხელოვნურ  
 ფორმაში შეიძლება კითხვითი და უარყოფითი მორფემების ჩართვაც შემზღუ-  
 დავი კანონების უქონლობის გამო. ჩანს, რომ ამგვარ შემთხვევებში მოქმედებს  
 სიღრმის ფაქტორი, რაც დაკავშირებულია ე. წ. უშუალო მესხიერებასთან,  
 რომელშიც, ჩვეულებრივ, ინახება  $7 \pm 2$  ერთეული.

შენიშვნები

<sup>1</sup> მ. ჯიქია. სახელისა და ზმნის რანგობრივი სტრუქტურა თურქულში. „მაცნე“, ენისა და  
 ლიტერატურის სერია, № 4, 1973, გვ. 123—140.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 133—134.

<sup>3</sup> R. B. Lees. A compact analysis for turkish personal morphemes. «American Studies  
 in Altaic Linguistics», Indiana University Publications. Uralic and Altaic Series. v. 13, 1962,  
 გვ. 156.

<sup>4</sup> В. Я. Пинец. О моделировании структуры глагольных форм в тюркских языках.  
 «Советская Тюркология», № 3, 1971, გვ. 79.

<sup>5</sup> А. Н. Кононов. Грамматика современного турецкого литературного языка. М.-  
 Л., 1956, გვ. 382.

<sup>6</sup> L. B. Swift. A reference grammar of modern Turkish. Indiana University Publi-  
 cations. Uralic and Altaic Series, 1963, გვ. 154.

<sup>7</sup> Н. Н. Джанашиа. Исследование по морфологии турецкого глагола. Авторефе-  
 рат диссертации на соискание ученой степени доктора филологических наук. Тб., 1970,  
 გვ. 10.

<sup>8</sup> А. Н. Баскаков. Структурные типы словосочетаний и предложений в совре-  
 менном турецком языке. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора  
 филологических наук. Л., 1972, გვ. 20.

<sup>9</sup> Н. Н. Джанашиа. Глагольные имена в турецком языке. თსუ შრომები ტ. 118.  
 1967, გვ. 148.

<sup>10</sup> G. L. Lewis. Turkish Grammar. Oxford, 1967, გვ. 163.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 წევრ-კორესპონდენტმა თ. გამყრელიძემ)

ნანა ღოლიძე

### დღუტუ მეგრელის პუბლიცისტური მემკვიდრეობა

დღუტუ მეგრელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებს. 1888 წლიდან დაწყებული, ჯერ კიდევ ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი, მეტად საინტერესო სტატიებსა თუ წერილებს ათავსებდა ქართული პრესის ფურცლებზე.

იმ პერიოდისათვის პრესის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად გაიზარდა. პრესა აშუქებდა ქართველი ხალხისათვის საჭირობოროტო საკითხებს, სახავდა ამოცანებს, ეძებდა გზებს, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები ბადებდა ჭეშმარიტებას. პუბლიცისტები, ცენზურის სისასტიკის მიუხედავად, აღწერდნენ და ანალიზებდნენ ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებას, იბრძოდნენ უკეთესი მომავლისათვის. „იმ დროის ქართული პუბლიცისტიკა დიდ საერთაშორისო საკითხებს ამუშავებდა, მაგრამ ამასთან მისთვის უცხო არ არის წერილი, ყოველდღიური ცხოვრების ფაქტების აღნუსხავაც, მათი ანალიზი, რადგან ქართულმა პუბლიცისტიკამ იცოდა, რომ დიდი საქმეების განხილვისა და შეფასების საფუძველს წარმოადგენს ცხოვრების ყველა მხარის შემჩნევა და მასზე ყურადღების გამახვილება, მაშინ პუბლიცისტიკა და პუბლიცისტი ქვეყნის ჭირვარამს იზიარებს, კულტურისა და ცივილიზაციისათვის იბრძვის, ცხოვრების შუაგულშია მოქცეული და ამ ცხოვრებას ყოველმხრივ სინჯავს“<sup>1</sup>. ქართული კრიტიკის ძირითადი მიზანი იყო ხალხის ინტერესების დაცვა, მისი გასაჭირის გამოხატვა. იგი მოუწოდებდა მწერლობას ხალხთან დაახლოებას, ხალხის ცხოვრების მხატვრულ ფორმებში ასახვას.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ავალიშვილი, გიორგი წერეთელი, ესტატე მჭედლიძე, კიტა აბაშიძე და სხვანი და სხვანი მწერლობასთან ერთად პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ და ყოველმხრივ გმობდნენ მეფის რუსეთის რეაქციულ პოლიტიკას. მათ არასოდეს მოუხრიათ ქედი გაჭირვების, შიმშილის, სიღატაკის წინაშე და ვაჟაკობით, ქვეყნის სიყვარულითა და მისთვის თავდადებით დაღუპვას გადაარჩინეს ქართული სიტყვა და ქართული სული.

ამ პლეადას ეკუთვნის დღუტუ მეგრელიც. მისი სტატიები აშუქებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენას, ქვეყნის სოციალურ და ეკონომიურ საკითხებს, ქართული კრიტიკის საჭიროებას, ქართველი მწერლისა და ქართველი ადამიანის მოვალეობას საკუთარი სამშობლოსადმი.

ჩვენ შეგვიძინებთ ქართული პრესის ფურცლებზე გაბნეული დღუტუ მეგრელის სტატიები, კრიტიკული წერილები და ჩვენ წინაშე ფრიალ მრავალფეროვანი მემკვიდრეობა გადაიშალა.

<sup>1</sup> ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები, თბ., 1969, გვ. 15.

თემატიკის თვალსაზრისით დღუტუ მეგრელის სტატიები შემდეგ საკითხებს მოიცავს: საზოგადოებრივი და ეროვნული ცხოვრება, ქართული ლიტერატურა, განათლების სისტემა, თეატრი, მოგონებები და სხვ.

პირველი სტატია დღუტუ მეგრელმა 1888 წელს გამოგზავნა ოდესიდან. აქედან იწყება მისი მოღვაწეობა როგორც პუბლიცისტისა და ლიტერატურის კრიტიკოსის. „წერილი ოდესიდან“ ამ რუბრიკით აქვეყნებს იგი ამ პერიოდის წერილებს.

ერთ-ერთ წერილში („სახალწლო“, „ივერია“, 1890, № 10) დღუტუ მეგრელი მოუწოდებს ქართველებს: „მოჰყიდე, მოჰყიდე მეცნიერებას ხელი, შეისწავლე და მით აღჭურვილნი წადით საქართველოში. ეს ყოვლად შემძლებელი ღონეა კაცის გაბედნიერებისა. იქნებ თქვენ მაინც მოეხმაროთ სამშობლოს... მერე რამდენი განძია იქ დამარხული მეცნიერისათვის“. სამშობლოს სიყვარული და მასზე ზრუნვა, მასზე ფიქრი მუდამ თან სდევდა დღუტუ მეგრელს. ყველა სტატიაში თუ წერილში, კრიტიკასა თუ ფელეტონში სამშობლოს სიყვარულია გამოხატული. ყველა საკითხის ამოსავალი წერტილი საქართველოს ბედზე, მის აწმყოსა და მომავალზე ფიქრი იყო.

უპირველესი საზრუნავი იმდროინდელი ქართველი მოღვაწეებისა დედანის შენარჩუნება იყო. „... ჩვენს მდგომარეობაში ჩავარდნილ ერისთავის უმთავრესი იარაღი, გარემო ვითარების საწინააღმდეგოდ ბრძოლაში თვითარსებობის დასაცავად, არის ლიტერატურა, დედაენაზედ მწერლობის განვითარება, გაძლიერება. დაივიწყეთ ქართული ენა, მოსპეთ ქართული ენის განვითარება, და საქართველოც მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინიდა იქნება!“ — წერს დღუტუ მეგრელი („ივერია“, 1893, № 5). 1902 წელს, როდესაც რუსეთთან შეერთების 100 წლისთავთან დაკავშირებით ქართველ თავადაზნაურობას შვილების აღსაზრდელად ებოძა ფული, გაიმართა მსჯელობა, თუ როგორ გამოეყენებინათ ეს ფული რაც შეიძლება უფრო სასარგებლოდ. „ეს ფული, რასაკვირველია, წვეთია ზღვაში და ყოველს ჩვენს მოთხოვნილებას ამ მხრივ ვერ გასწვდება, მაშასადამე, უნდა გამოვარკვიოთ, რა გვარად უნდა დაიხარჯოს იგი, რომ დღეს-დღეობით მთელს საქართველოს მეტი სარგებელი მოუტანოს?“ („ივერია“, 1902, № 111). „დღეს ქართული ენა დიდს საფრთხეშია და, თუ ყურადღება არ ექნა მიქცეული მის განმტკიცებას და განვითარებას, განაგრძობს იგი, ცუდი ბოლო მოელს“ (იქვე). ავტორი მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებას გამოთქვამს ფულის გამოყენებასთან დაკავშირებით. იგი წერს: „უმთავრესი საზრუნავი ჩვენთვის დღეს ქართული ენის განმტკიცება უნდა იყოს, ხოლო ამისათვის საჭიროა ქართველმა დედამ შეისისხლხორცოს თავისი დედა ენა და დაბადებიდანვე შეათვისებინოს იგი თავისს შვილს, მომავალს ქართველს. ამიტომ ვუერთებ ჩემს სუსტ ხმას პატივცემულ აკაკისა და ზოგიერთ სხვა ჩვენს მამულიშვილთა ხმას, რომელნიც იმ აზრისანი არიან, რომ ნაბოძები ფული მოხმარდეს ქართველ დედათა აღზრდის საქმეს!“ (იქვე).

ქართველი დედა ქართველ მამულიშვილს აღზრდის, ნამდვილი მამულიშვილი კი მეტად საჭირო იყო საქართველოსათვის. ამიტომ მოითხოვდნენ ქართველი მოღვაწენი ქალთა სასწავლებლის დაარსებას ნაბოძები ფულით.

დღუტუ მეგრელის ადრინდელი პერიოდის სტატიებიდან აღსანიშნავია 1892 წელს ოდესიდან გამოგზავნილი წერილი „ჩვენთა მწერალთა საყურადღებოდ!“. ეს და მრავალი სხვა სტატია ავტორს გაერთიანებული აქვს რუბრიკით

„ხმა შორიდან“. ჯერ ოდესიდან, ხოლო შემდეგ სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან გზავნიდა ავტორი წერილებს, სტატიებსა და ფელეტონებს ამ რუბრიკით. აღნიშნულ სტატიაში იგი მიმართავს ქართველ მწერლებს, ქართველ საზოგადოებას, ინტელიგენციას — მიხედონ ახალგაზრდებს, შეისწავლონ და აღწერონ მათი ცხოვრება, დაიცვან მათი ინტერესები, გამოიყვანონ ისინი ცხოვრების ასპარეზზე, რომ მათაც თავიანთი ცოდნა სამშობლოს კეთილდღეობას მოახმარონ. „... ის კი არ არის გასაკვირველი, თუ ეხლანდელი ახალგაზრდობა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, არამედ ის, თუ რომელსამე მათგანს მართო თავისის ძალღონით დაუძლევია ყველა ხელის შემშლელი გარემოება და კიდევ ახერხებს რისამე კეთებას. საკვირველია, რა მივიციათ ახალგაზრდებისათვის და რასა სთხოვთ? ერთი მიბრძანეთ, როდის აჩვენეთ გზა, რომელზედაც იმას უნდა ევლო, როდის უდექით მხარში და ამხანაგობდით, როცა იგი, ახალგაზრდობა, ებრძოდა აზვირთებულს, მასზედ მოსულს ტალღებს, როდის აძლევდით იმედს უკეთესის მერმისისათვის? არა მივიციით რა, ამაგი არა გავიწევიათ რა და, ბოდიშის მაგიერ, კიდევაც ზევიდამ დაჰყურებთ საბრალოს და ეუბნებით, არ ვარგიხარ, არ ვარგიხარო“ („ივერია“, 1892, № 20). ბოლოს ავტორი დასძენს: „ჩვენი მწერლები მაშინ გააკეთებდნენ თავის საქმეს, როცა თავის მაგიერებს გაუზრდიდნენ მამულს, როცა ჰნახავდნენ, რომ მათგან დაწყებული საქმე მომავალ თაობისაგან ღირსეულად წარიმართება. მანამდის კი მოვალენი იყვნენ, თუნდ თავიანთი ინტერესების წინააღმდეგ, არ გაჩუმებულიყვნენ, არ შეეწყვიტად წამოწყებული მუშაობა, სათავეში სდგომოდნენ ჩვენს ცხოვრებას და მალლა სჭეროდათ ქართულის ლიტერატურის დროშა, რომელიც მხოლოდ ღირსეულთათვის უნდა გადაეცათ. დიად, ქართული მწერლობა მოვალე იყო და არის, იზრუნოს საზოგადოების ხელმძღვანელობისა და აღზრდისათვის, ახალგაზრდობის მომზადებისათვის...“ (იქვე).

ასეთ მოვალეობას აკისრებს ავტორი ქართველ მწერალს, ხოლო საზოგადოების ყველა წევრს, ვისაც ლიტერატურა და პოეზია უყვარს, მიმართავს თხოვნით, რომ გაიღოს მცირეოდენი წვლილი, რაც ხელს შეუწყობს ლიტერატურული ფონდის დაარსებას. ამ საკითხს ეხება დუტუ მეგრელის ადრეული პერიოდის სტატიათა უდიდესი ნაწილი.

ლიტერატურული ფონდის დაარსება მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი იყო XIX საუკუნის მიწურულისათვის. მატერიალური სიდუხჭირე მუსრს ავლებდა ქართველ მწერლებს. „იმათ (მწერლებს) წერისათვის არა სცალიათ და უმეტესი ნაწილი თავიანთ დროსა იძულებულნი არიან ლუკმა პურის შოვნის ფიქრსა და ზრუნვას მოახმარონ“, — წერს დუტუ მეგრელი 1893 წლის „ივერის“ მე-5 ნომერში. „ის ხომ შესაძლებელია, რომ გაჭირვებაში შემწეობა აღმოუჩინოთ ქვეყნისათვის თავგამოდებულთა და სანამ შესაფერი საქმე უმოვნიათ, შიმშილსა და შეწუხებას გადავარჩინოთ“, — ამბობს იგი (იქვე).

სალიტერატურო ფონდის დაარსებისათვის იბრძოდნენ ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვანი. „მაშ იმედია, — მიმართავს დუტუ მეგრელი ქართველ საზოგადოებას, — ვინც ჯერ კიდევ ქართველს უძახის თავის თავს, ვისაც ოდნავ მაინც უღვივის გულში სამშობლო ქვეყნის სიყვარული და სურს მისი წარმატება, ვისაც სამშობლოს კეთილდღეობა ახარებს და მისი წყლული წყლულად მიაჩნია, განურჩევლად წოდებისა, ხარის-



ხისა, მიმართულებისა და ხნოვანებისა, განავრცელებს ჩვენში სალიტერატურო ფონდის დაარსების მოუცილებელ საჭიროების აზრს თავის ნაცნობთა და მეგობართა შორის და შეუდგება ფულის შეკრებას“ (იქვე). ამ საკითხს აშუქებს სტატიების მთელი წყება, რუბრიკით: „ფიჭი და შენიშენა“, რომლებსაც ავტორი „კვალში“ (1894 №№ 3, 5, 7, 9, 12 15) ათავსებს.

ეს სალიტერატურო ფონდი მართლაც დაარსდა. ამის შესახებ დეტუ მეგრელი ასე წერს თავის ავტობიოგრაფიაში: „კიდევ კარგი, რომ სალიტერატურო ფონდიდან, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან სწორედ იმ ხანებში დაარსდა ჩემი ინიციატივით, ... ასი მანეთი მასესხეს, თვარა სიმშლით უნდა მოემკვდარიყავით მეც და დედუც“<sup>2</sup>.

არა მარტო ლიტერატურული ფონდის დაარსებისათვის იღვწოდა დეტუ მეგრელი, მას აწუხებდა აგრეთვე: საქართველოს კულტურის ძეგლების დაცვის ორგანიზაცია („ივერია“, 1897, № 121), საქველმოქმედო საქმიანობა („კვალი“, 1896, № 4; „ივერია“, 1899, № 121), ოდესის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ბედი („ივერია“, 1901, № 7), დრამატული საზოგადოებისათვის მატერიალური დახმარების აუცილებლობა („ივერია“, 1902, № 175) და სხვ.

დეტუ მეგრელი დიდ მნიშვნელობას ანიბეჭდა მომავალი თაობის აღზრდის საქმეს. ამიტომაც მის პუბლიცისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განათლების მუშაკთა საქმიანობას, სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობას და განათლების სისტემაში მომხდარი ცვლილებების ავკარგიანობას.

დეტუ მეგრელს მიაჩნია, რომ სოფლის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ კონტაქტი ხალხთან, უნდა აკვირდებოდნენ ხალხს, მის ცხოვრებას, უნდა სწავლობდნენ მისგან. „რომელი წიგნის კითხვა ჯობია ხალხის ცხოვრების დაკვირვებას“, — ამბობს იგი („ივერია“, 1889, № 270). ავტორი მოითხოვს ყურადღება მიექცეს სოფლის მასწავლებელთა ჩვილს წიგნების უქონლობის გამო. 1901 წელს, ახალი სასკოლო რეფორმის მოლოდინში, დეტუ მეგრელი იმედს გამოთქვამს, რომ „მეფის რუსეთის განათლების სისტემის მესვეურები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მომავალმა რეფორმამ ქართველი ბავშვებისათვისაც ისეთი კეთილი ნაყოფი გამოიღოს, როგორც მკვიდრ რუს ბავშვებისათვის გამოიღებს“ („ივერია“, 1901, № 153). წერილში „სტიპენდიები თუ სკოლა“ („ივერია“, 1902, № 185) იგი ლაპარაკობს ქუთაისის თავადაზნაურებისათვის ნაბოძები ფულის მოხმარების შესახებ. ავტორის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ფულის სტიპენდიებად დანაწილების ნაცვლად რაიმე ტიპის სკოლის დაარსება.

„ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და მრავალი სხვა დაუცხრომლად იღწვოდნენ, რომ საქართველოში ქართველ ხალხს შერჩენოდა უფლება მშობლიურ ენაზე მეტყველებისა, სასამართლოში რუსული ენის არმცოდნე ქართველს შესძლებოდა თავისი გაჭირვება აეხსნა მოსამართლისათვის და ეკლესიაში ქართულად მოესმინა წირვა-ლოცვა“<sup>3</sup>. დეტუ მეგრელის აზრით, რუსული ენის ცოდნას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აუცილებელიც იყო, რადგან ევროპის კულტურა რუსეთიდან იკვლევდა საქართველოში გზას, მაგრამ ქართველის მშობლიური ენა ქართული უნდა ყოფილიყო. დეტუ მეგრელი თამამად, მოური-

<sup>2</sup> დედუ — პოეტის დედა, მარიამ გაგუა-ხოშტარიი.

<sup>3</sup> ს. ხუციშვილი, ბოსლეველი, ნაწერები, თბ., 1961, გვ. 23.

დებლად აკრავს სამარცხვინო ბოძზე იმათ, ვინც უგულუბელყოფს მშობლიურ ენას, ვინც თავიანთ შვილებს არ აყვარებს ქართულს და მხოლოდ უცხო ენების სწავლება მიაჩნია საჭიროდ მომავალი თაობისათვის.

1903 წლის „ივერიის“ 123-ე ნომერში გამოქვეყნდა ფელეტონი, სადაც ლაბარაკია იმაზე, თუ როგორ მოითხოვა ათმა მშობელმა თავიანთი შვილები გაეთავისუფლებინათ ქართული ენის გაკვეთილებისაგან. ამ ფაქტმა აღშფოთება გამოიწვია იმდროინდელ ქართველ ინტელიგენციაში. თავის გულისწყრომას გამოთქვამს დუტუ მეგრელიც. „ამას აქით წასვლა აღარ შეიძლება ფაქტის გამო — ეს უკანასკნელი წერტილია ადამიანობისა, რომლის იქითაც ყოველივე ადამიანური ისპობა, და მხოლოდ სულმადალნი და ავაზაკნი უარყოფენ ხოლმე თავის ვინაობას; თავის ეროვნების უარის ყოფაც, იგივე ვინაობის უარის ყოფაა, ხოლო ვინაობის უარის ყოფა სრული ზნეობრივი გაკოტრება, ინტელექტუალური სიკვდილია ყოველ ცალკე პიროვნებისათვის! თქვენს თავს რაც გინდათ უყავით ბატონებო, და რა ნება გაქვთ, რომ საუკუნოდ ამახინჯებთ და აუბედურებთ თქვენს შვილებს, რომელნიც იცოდეთ, მადლობას არ გეტყვიან მისთვის“ („ივერია“, 1903, № 128).

ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დუტუ მეგრელი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში საბავშვო ჟურნალს. სტატიაში «ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და ჟურნალი „ჯეჯილი“» („ივერია“, 1897, № 78) ავტორი განიხილავს იაკობ გოგებაშვილის წერილს „ხრიკების ხუხულა ბ-ნ გიორგი წერეთლისა“ („ივერია“, 1897, №№ 54, 57, 59), სადაც იაკობ გოგებაშვილი აკრიტიკებს „კვალისა“ და „ჯეჯილის“ მუშაკთა საქმიანობას. ი. გოგებაშვილი ურჩევს ხსენებული ჟურნალების თანამშრომლებს, გადასცენ ისინი წერა-კითხვის გაძავრცელებელ საზოგადოებას, რადგან ჟურნალები სუსტია და ვერ ამართლებს ხელისმომწერთა იმედებს. დუტუ მეგრელს მიაჩნია, რომ თუ ჟურნალი სუსტია და ჩამორჩება ევროპის საყმაწვილო ჟურნალებს, ამის მიზეზია არა რედაქცია, არამედ თვითონ მწერლები, რომლებიც არ აწვდიან მასალებს ჟურნალს. საჭიროა ყველა მწერალმა, მსგავსად შიო მღვიმელისა და თედო რაზიკაშვილისა, მონაწილეობა მიიღოს საყმაწვილო ჟურნალის ცხოვრებაში და მიაწოდოს მას საჭირო მასალა. «ჩვენში დღეს, როგორც საბავშვო ლექსების მწერალი, ცნობილია მარტო შიო მღვიმელი და ყოველ „ჯეჯილის“ ნომერში ჰხედავთ მის ლექსებს. როგორც საბავშვო ბელეტრისტს ტოლი არა ჰყავს, არამც თუ ჩვენში, ბევრგან სხვაგანაც, თ. რაზიკაშვილის და როგორც კი დასწერს რასმე ამისთანას (აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ხშირად არ ატკობს პატივცემული ავტორი თავისს ჰაწია მკითხველებს, ალბათ ან ვერ იცლის, ან საამისო მასალას ვერ პშოულობს, რაც სამწუხაროა, რასაკვირველია, მაგრამ „ჯეჯილის“ რედაქციას აქ ბრალი არა აქვს) ჰბეჭდავს „ჯეჯილში“», — წერს დუტუ მეგრელი (იქვე). ხელისმომწერთა სიმცირის მიზეზად ავტორი საზოგადოების შეუგნებლობასა და ნაწილობრივ ხელმოკლეობასაც თვლის. ამრიგად, დუტუ მეგრელის აზრით, საჭიროა მწერალმა უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს საყმაწვილო ჟურნალების მუშაობაში, საზოგადოებამ კი მეტი ყურადღება გამოიჩინოს ყმაწვილების აღზრდის საქმეში.

„რუსეთში მწერალთა და საზოგადოდ ბეჭდვითი სიტყვის მსახურთ ერთი მშვენიერი ჩვეულება დასჩემდათ, მე ვამბობ საქველმოქმედო საქმის სასარგებლოდ, ან რომელისამე შესანიშნავ შემთხვევის სასსოვრად შესაფერ კრებულე-

ბის გამოცემის შესახებ, — წერს დუტუ მეგრელი „ივერიის“ 1897 წლის 121-ე ნომერში. ამ შემთხვევაში საქმე ეხება მცხეთის ტაძრის გასაახლებელი ფონდის სასარგებლოდ ქართველ მწერალთა კრებულის გამოცემას. თუ ამ საქმეს ვინმე ითავებს, ავტორს სწამს, რომ ქართველი ისტორიკოსები, მწერლები, პოეტები, კრებულის გამომცემლებს უსასყიდლოდ დაუთმობენ თავიანთ საუკეთესო თხზულებებს.

ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის — აქსენტი ცაგარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დუტუ მეგრელი აბასთუმნიდან „ივერიაში“ (1902 წ., № 175) გზავნის წერილს „აქსენტი ცაგარელის პატივსაცემად“. იგი მოუწოდებს ქართველ ინტელიგენციას შეკრიბოს ფული და დრამატული საზოგადოების გამგეობამ დააარსოს აქსენტი ცაგარის სახელობის ფონდი, რომლითაც პერიოდულად დაჯილდოვდება საუკეთესო დრამატული ნაწარმოები. „მე მგონია, გარდა ძეგლისა, რომლის დადგმაც განუზრახავთ ტფილისში განსვენებულის საფლავზედ, — წერს დუტუ მეგრელი, — ამნაირ ფონდის დაარსება საუკეთესო პატივისცემა იქნება იმ კაცის სახელისა, რომელიც ღირსეულად განაგრძობდა თავის სიცოცხლეში ქართველ მოღიერისაგან<sup>4</sup> დაწყებულ საქმეს“.

საინტერესოა კიდევ ერთი წერილი, რომელიც სოციალურ საკითხებს შეეხება. წერილი შედარებით გვიანდელია (გაზ. „იმერეთი“, 1913, № 136). ავტორს გულს უკლავს სოფლის მიმე მდგომარეობა, გლეხის გაუნათლებლობა, მისი სიბეცე. დუტუ მეგრელი გლეხის მდგომარეობიდან გამოსავალს განათლებაში და ამ განათლების ქართულ ნიადაგზე გადმონერგვაში ხედავს. ავტორი აღმფოთებულია ვოსტოროვის სასწავლო გეგმით, რომელმაც აკრძალა მშობლიურ ენაზე სწავლება, რის შედეგად სამრევლო სკოლების არსებობას აზრი აღარ ჰქონდა. „ცხადია, სოფლის ასეთი მდგომარეობა საზოგადო, უკუღმართი სოციალურ-პოლიტიკური პირობებისაგან გამომდინარეობს და მისი საფასები განკურნება საზოგადო სოციალურ-პოლიტიკური პირობების გარეშე შეუძლებელია, მარა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ თვით ის უფლებები, რაც დღეს ჩვენ განკარგულებაშია, სასარგებლოდ ვერ გამოგვიყენებია. ბევრს ვლაპარაკობთ პრაქტიკულ საქმიანობაზე, სამეურნეო სასწავლებლების ნაცვლად სამოქალაქო სასწავლებლებს და გიმნაზიებს ვაარსებთ, ამით კი — მუშა ხალხის მაგიერ მოხელეებსა და უსაქმო ხალხის რიცხვს ვამრავლებთ“, — წერს დუტუ მეგრელი. მიზეზი სოფლის ასეთი სიდუხჭირისა ავტორისათვის გასაგებია, ხოლო გამოსავალი კი სწორად ვერ დაუნახავს. „ხალხისათვის მოამაგე თვით ხალხში უნდა ტრიალებდეს“, — წერს ავტორი. „სოფელი „დიდი ციხე-კოშკია, დედაბოძია ჩვენი... მაგრამ რა ქნას, როგორ გაუძლოს ამდენ გარეშე და შიგნით მტრებს!“, — სვამს კითხვას, რომლის პასუხი ავტორს ვერ უპოვია. სოციალური საკითხი საუკუნეების მანძილზე აწუხებდა ქართველ ხალხს და მრავალი აზრი გამოთქმულა ამ საკითხზე. დუტუ მეგრელიც სხვადასხვა ქანრში სხვადასხვა კუთხით ეხმაურებოდა მას.

დუტუ მეგრელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ თვითშეგნებას. ყველა ქართველი უნდა აფასებდეს იმას, რომ იგი ერთიანი საქართველოს პირმშოა. „... ვერაფერი სანუგეშოა ფაქტი, რომ დღესაც, ასის წლის შემდეგ, რაც საქართველომ თავისუფლების დაკარგვით მოიპოვა გაერთიანება, არ

<sup>4</sup> იგულისხმება გიორგი ერისთავი.

გვკონდეს შეგნებული, რომ ყოველ ქართველის სამშობლო მთელი საქართველოა და ყველა საქართველოს საზღვრებში მცხოვრები ეროვნებით ქართველია და არა ქართლელი, კახელი, გურული, მეგრელი, იმერელი და სხვა“ („ივერია“, 1902, № 252).

წერილში, რომელიც დაიბეჭდა 1903 წლის № 42 „ივერიაში“, დღუტუ მეგრელი აღშფოთებას გამოთქვამს გრავე უვაროვის მეუღლის მოთხოვნის გამო, რომელსაც მოუსურვებია მარტვილის ტაძრის ძველი სამკაულები გადაეგზავნათ მისთვის მოსკოვს, იქაურ მუზეუმებში შესანახად. ავტორი მოუწოდებს დაიცვან წინაპართა მიერ შექმნილი კულტურის დიდებული ძეგლები, ააგონ სიძველეთსაცავნი, მუზეუმები და შთამომავლობას შეუნახონ ის ძვირფასი და მნიშვნელოვანი, რაც ძველ თაობას შეუქმნია.

თუ თვალს გადავაგვლებთ დღუტუ მეგრელის კრიტიკულ წერილებს, დავინახავთ რა გულისხმიერებითა და მოწინააღმდეგეობით ეპყრობოდა იგი ქართველი მწერლების საქმიანობას, ქართულ კულტურას. საქართველოსათვის იმ მიმე დროს, როდესაც ყოველ ქართულ სიტყვას ცენზურის მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა გაველო, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედების შესახებ ცნობების ფიქსირებას. საჭირო იყო მათი საქმიანობის შესახებ სცოდნოდათ მომავალ თაობებს. დღუტუ მეგრელი მიმართავს ქართველ მწერლებს, ხელი მოჰკიდონ მემუარული ლიტერატურის წერას. „მას აქეთ, რაც მეცხიერებამ შეიგნო, რომ ისტორიას მარტო მეფეების ცხოვრების და ომების აღწერა არ შეადგენს, დიდი ფასი დაედვა ყველგან ესრეთ წოდებულ მემუარებს და მოგონებებს“, — წერს იგი 1894 წ. ჟურნალ „კვალის“ მე-12 ნომერში. „ყოველი თვალსაჩინო ეპოქის, ყოველი ისტორიული პირის შესახებ რამოდენიმე მოგონება იბეჭდება რუსეთის სპეციალურ ისტორიულ და საზოგადო ჟურნალებში, ეს მე-19 საუკუნე მაინც ამ მემუარ-მოგონებათა წყალობით ყველა რუსს ნათლად შეუძლია თვალწინ დაიყენოს და შეიტყოს ყოველთა ბევრად თუ ცოტად ცნობილ კაცთა სურვილები, აზრები, მისწრაფებანი, შთაბეჭდილებანი“. ავტორს გული წყდება, რომ საქართველოშიც იგივე არ ხდება. იგი განაგრძობს: „ჩვენში კი სამწუხაროდ, არამც თუ კერძო კაცნი, თვით საზოგადო მოღვაწენიც კი, და წარმოიდგინეთ, თვითონ მწერალნიც, არ გვიტოვებენ არავითარ მემუარ-მოგონებებს. იმიტომაც არის, რომ ჩვენ არ ვიცით, გუშინ რა ჰხდებოდა ჩვენში და რაკი არ ვიცით, ვერ მოგვიფიქრია დღეს რა მოვიმოქმედოთ და ვართ გზა-დაბნეულნი“. ავტორი აღტაცებით აღნიშნავს აკაკის ავტობიოგრაფიის „ჩემი თავგადასავლის“ ბეჭდვას ჟურნალ „კვალში“. იგი დასძენს: „ვისურვებ, იმათ მაინც, ვინც ვერ კიდევ ცოცხალნი არიან და კალმის ხმარება შეუძლიათ, მიჰმაძონ აკაკის და გვამცნონ თავიანთი წარსული ცხოვრება. განსაკუთრებით მივმართავთ ამგვარი თხოვნით ჩვენს დიდად პატივცემულ და მხცოვან, მრავლის მომსწრე და ბევრის მნახველ მოღვაწეთ, როგორც არიან კონსტანტინე ქრისტეფორის ძე მამაკაშვილი და თავადი რაფიელ ერისთავი“ (იქვე). დღუტუ მეგრელი შემდეგშია მოგვიანებით, თხოვნით მიმართავს საზოგადოებას, აღწერონ გამოჩენილ აღამიანთა ცხოვრება, მათი ღვაწლი, მათი ნაამაგარი. „არიან ისეთნი მწერალნიც, რომელნიც სწერდნენ მხოლოდ თანამედროვე საზოგადოებისათვის და რომელთა მოღვაწეობის შესახებაც შთამომავლობას შეიძლება სრულიად არა ეცოდინოს რა, თუ ჩვენ, ვის თვალწინაც გაიარა ამ მოღვაწეობამ, არათერს ვიტყვიოთ მასზედ. ასეთები არიან მაგალითად, სერგეი მესხი, ევსტათი მჭედ-

ლიძე (ბოსლეველი), მიხეილ ხელთუფლიშვილი და სხვანი მრავალნი, სინდისირნი და თავდადებულნი მუშაკნი მშობლიურ მწერლობისა და საზოგადოებრივ განვითარების სარბიელზე და ჩვენც მოვალენი ვართ, მათი ღვაწლი და ამაგი გავასაუკუნოთ“ („ივერია“, 1901, № 27).

დუტუ მეგრელის ყურადღებას არ გამოორჩენია კულტურული ცხოვრების თითქმის არც ერთი დეტალი. იგი ხან დრამატულ საზოგადოებას საყვედურობს დრამატული ნაწარმოებებისა და მათი ავტორების მიმართ გულგრილობის გამო, ხან მუსიკის მესვეურებს და კრიტიკოსებს მიუთითებს — უფრო ფაქობად და ყურადღებით მოექცნენ ქართულ ჰანგებსა და ქართულ ტექსტებს, ხან ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვებას ურჩევს საზოგადოებას.

მეტად საინტერესოა დ. მეგრელის შენიშვნა „ბ-ნ ავალიშვილის წერილის გამო“, რომელიც არ გამოუქვეყნებია (არქივი № 5). დუტუ მეგრელი ილაშქრებს ნ. ავალიშვილის წინააღმდეგ, რომელიც უარყოფს გიორგი ერისთავის ღვაწლს ქართული თეატრის დაფუძნებაში და ამ ამაგს ვირონცოვს მიაწერს. „ჩვენ გვწამდა და დღესაც გვწამს, რომ გიორგი ერისთავია პირველი ქართველი დრამატურგი, რომელმაც შესაძლებლად გახადა ქართული თეატრის დაარსება და რომ გიორგი ერისთავს თავისი უკვდავი კომედიები არ დაეწერა, არც სული ჩაედგმოდა ქართულ თეატრს და ვერც ვერავინ დააფუძნებდა მას. ან შემოიღებდა“.

საინტერესოა აზრი აქვს მწერალს გამოთქმული თეატრისა და მისი რეპერტუარის შესახებ. მას მიაჩნია, რომ საჭიროა მწერალთა ნაწერების პოპულარიზაცია, რაც გაათავითნობიერებს საზოგადოებას, გაუღვიძებს ეროვნულ ინტერესებს და ამით გაიზრდება მოთხოვნილება თეატრის, როგორც ეროვნული დაწესებულების მიმართ („ივერია“, 1904, № 252). დუტუ მეგრელი 1896 წლის „კვალში“ მოთავსებულ წერილში „სალიტერატურო შენიშვნები“ მიუთითებს კრიტიკის სიმცირეზე ქართულ ლიტერატურაში. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნემ მოგვცა ლიტერატურის მრავალი კორიფე, მაგრამ ვერ მოგვცა ვერც ერთი ნიჭიერი კრიტიკოსი. „სიტყვაკაზმულ ლიტერატურას, — წერს იგი, — თან არ დაჰყვა შესაფერი სალიტერატურო კრიტიკა, რომელსაც უნდა აეხსნა იგი ქართველ საზოგადოებისათვის და დაეფასებია ჩვენი ნიჭიერი მწერალ-მხატვარნი ღირსეულათ, რასაკვირველია, ეს გარემოება თითონ სიტყვაკაზმული ლიტერატურის ღირსებასაც უნდა დატყობოდა, რადგან ის მოაკლდა მაშინვე სალიტერატურო კრიტიკის დახმარებას. რატომ მოხდა ეს ამბავი? ნუთუ იმ ერმა, რომელმაც ერთი საუკუნის განმავლობაში მოგვცა იმისთანა კორიფეები სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში, როგორც გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი, გ. წერეთელი და სხვა, ვერ შეძლო ერთი ნიჭიერი კრიტიკოსის მოცემაც კი? ნუთუ ასე ძნელია კრიტიკა პოეტურ შემოქმედებაზე? თუ ასეა, მაშ რად ამბობენ ფრანგები: წერა ძნელია, კრიტიკა ადვილიო?“ (ჩქვე). იმისათვის, რომ შეგძლოს გააკრიტიკო ლიტერატურული ნაწარმოები, მეცნიერულად დაასაბუთო მისი ნაკლი და ღირსება, საჭიროა ძალიან დიდი განათლება, ერუდიცია, მსოფლიო აზროვნებისა და ლიტერატურის კარგი ცოდნა. განათლების მიღებას დიდი შრომა და მატერიალური ხელისშეწყობა უნდა. საქართველოში იმ დროისათვის არ იყო შექმნილი პირობები სრულყოფილი განათლების მისაღებად. რაც შეეხება მწერლის კრიტიკოსობას, ეს არც შესაძლებელია და არც

სასურველი. მწერალს, რასაკვირველია შეუძლია გამოთქვას ესა თუ ის აზრი ლიტერატურულ ნაწარმოებზე, ისე როგორც ეს შეუძლია ყველა ლიტერატურის მოყვარულს, მაგრამ ეს იქნება არა მეცნიერული, არამედ დილეტანტური კრიტიკა.

მე-19 საუკუნის მიწურულიდან ჩვენში გამოდიან თვალსაჩინო ძალები კრიტიკის დარგში. საკმარისია აქ გაეხსენოთ პროფესიონალი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე, რომლის მეცნიერულ შრომებს დღესაც არ დაუკარგავს ღირსება. დღიურ მეგრელი თავის პუბლიცისტურ წერილებში არასწორ შეფასებას აძლევს გამოჩენილი კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძის შემოქმედებას. კიტა აბაშიძე უაღრესად განათლებული და ნიჭიერი პიროვნება იყო. მისი დამსახურება უდიდესია ქართული ლიტერატურის შესწავლის საკითხში. 1896 წლის № 19 „კვალში“ მოთავსებულ წერილში დღიურ მეგრელი წერს: „ჩვენ გვგონია, რომ ბ. კიტა... საფრანგეთის ლიტერატურის ქართულ ნიადაგზე გადმომწერის როლით დაკმაყოფილებოდა. მარა მარტო ეს არ იქმარა და კრიტიკოსობაც დაიჩემა. დაიჩემა და გვაუწყა თავის პირველ წერილშივე, რომელსაც „ცხოვრება და ხელოვნება“ დაარქვა („ივერია“, 1895, № 150). „... ამ წერილშიაც ისევ ისე ფრანგებზე და ფრანგულ წერილებზე გველაპარაკება. ხოლო ის რამოდენიმე ფრანგული ნაწარმოებიც, რომელსაც მიაქცია ყურადღება, ან თარგმანია ფრანგულიდან და ან მიბაძვია იმავე ფრანგულისა, გარდა არტურ ლეისტის „ვარაპანძიანთ ნინოსი“ და ორიოდ კიდევ სხვისა. გადმოთარგმთ რამე ფრანგულიდან, ან გადმოაკეთეთ და ბ. კიტაც ცამდის აგიყვანთ ქებით“ (იქვე). როგორც აღვნიშნეთ, ავტორი არ არის ობიექტური. კიტა აბაშიძის დიდი ღვაწლი ქართული ლიტერატურის ზრდისა და აყვავებისათვის, მისი სისტემატური შრომა ლიტერატურის ისტორიის შესაქმნელად და კრიტიკული აზროვნების მაღალი ტრადიციების დანერგვა, უკვე ცნობილი იყო მაშინაც, როდესაც დღიურ მეგრელი რატომღაც ცდილობს ჩრდილი მიაყენოს ახალი ქართული კრიტიკული აზრის ერთ-ერთ ფუძემდებელს.

დღიურ მეგრელის წერილი „ორიოდ სიტყვა ჩვენებურ ახლადმოვლენილ პესიმის გამო“ („ივერია“, 1901, № 45) გამოხმაურებაა კიტა აბაშიძის სტატიასზე. („ზოგიერთი მოსაზრება ჩვენს ლიტერატურის შესახებ“). კიტა აბაშიძე, როგორც ბრუნეტერის მიერ ჩამოყალიბებული ევოლუციური მეთოდის მიმდევარი, გამოირიცხავს ლიტერატურის განვითარებაში სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების შედეგად გამოწვეულ ნახტომებს. მას მსოფლიო ლიტერატურა წარმოდგენილი აქვს როგორც ერთი მიმდინარეობის მეორე მიმდინარეობით შეცვლის კანონზომიერი პროცესი. მისი აზრით, ევროპის ლიტერატურა გვევლინება ამ პროცესის ყველაზე ტიპურ ფორმად. ამ მიმდინარეობათა ცვლა ასეთ სახეს ღებულობს: რომანტიზმი იცვლება რეალიზმით, შემდეგ მოდის შეუფერავი ნატურალიზმი და ბოლოს ადგილი ეთმობა ნეორომანტიზმს, რომელიც რეალიზმისა და რომანტიზმის შერწყმის შედეგად მიღებულ ახალ მიმდინარეობას წარმოადგენს. ყველა იმ მწერალს, რომელიც ვერ თავსდება ამ სქემაში, კიტა აბაშიძე არ განიხილავს, ე. ი. არა ცნობს როგორც მწერალს.

როგორც ცნობილია, დღეს ლიტერატურის კრიტიკის მიერ ეს თეორია უარყოფილია. ქართული ლიტერატურა სოციალური და პოლიტიკური მოვლენების გამოძახილია. იგი თავისებურ პირობებში ვითარდებოდა და მისი მიმდინარეობებიც ამ მოვლენათა შესაფერისად ჩამოყალიბდა. ქართული ლიტერა-

ტურა ქართული ყოფის ზედნაშენია. იგი ვერ გახდება ევროპული ლიტერატურის თავისებურებათა გამზიარებელი, რადგან ევროპისა და საქართველოს ისტორიული ვითარება მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

„საქართველო პატარა ქვეყანაა, ის კვლავ ველურს აზიაშია, ჩვენი პესიმისტები კი ევროპულად ბრძანდებიან განათლებულნი და აბა როგორ ეკადრებათ პატარა საქართველოს პატარა ლიტერატურისათვის მოიცალონ“, — წერს დუტუ მეგრელი („ივერია“, 1901, № 42).

დუტუ მეგრელს მიაჩნია, რომ ქართული ლიტერატურა ქართულ ნიადაგზე უნდა იყოს დამყარებული და ეს აზრი განსაკუთრებით გამოკვეთა შიო არაგვისპირელის ეტიუდების განხილვისას. აქ დუტუ მეგრელი გვევლინება როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი. ეს ნარკვევი იბეჭდებოდა „ივერიაში“ 1897 წელს სათაურით: „ბ-ნი შიო არაგვისპირელი და მისი უკანასკნელი ეტიუდები“.

ახალგაზრდა ბელეტრისტის შიო არაგვისპირელის გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე დიდი აღტაცებით შეხვდა მისი თანამედროვე საზოგადოება. შიო არაგვისპირელმა ახალი სუნთქვა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში. მან თავისი ნოველების გმირებად გამოიყვანა უბრალო ხალხი და ოსტატურად აღწერა მათი სულიერი განცდები, გამოააშკარავა საზოგადოების მანკიერი მხარეები.

დუტუ მეგრელი დაწვრილებით აგვიწერს თითოეულ ეტიუდს, გადმოგვცემს შინაარსს და გამოთქვამს საკუთარ აზრს მათზე. „ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში შ. არაგვისპირელმა უკვე თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. მის ნაწერებს ჰკითხულობენ, იმაზე ბაასობენ, სწერენ. ეს არც საკვირველია, რადგან როგორც ნიჟით, ისე ნაყოფიერებით, ჩვენი ახალგაზრდა ბელეტრისტი სწორედ რომ ყურადღების ღირსია“, — წერს იგი. დუტუ მეგრელი სამართლიანად აღნიშნავს ბელეტრისტის შეცდომებს. მისი აზრით, მწერალი ზედმეტად გატაცებულია ეროტიკული სიტუაციების შექმნით, რაც არაა ლამაზი და, რაც მთავარია, არ არის ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი. ქართულ ნიადაგზე შექმნილი ეტიუდები მწერლის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ქართველისათვის არადამახასიათებელი მოვლენებისა და სიტუაციების აღწერა არ იქნება დამაჯერებელი, ვერ მოიპოვებს მკითხველის სიმპათიებს. მთელი ნარკვევი დაწერილია უშუალოდ, დამაჯერებლად; იგრძნობა შიო არაგვისპირელის ნიჟის დიდი მოწონება დ. მეგრელის მიერ და ის გულწრფელი გულისტკივილი, რაც გამოწვეულია ბელეტრისტის მიერ დაშვებული შეცდომებით, რამაც გადაახვევინა მას ერთხელ არჩეული გზიდან. „ვისურვოთ რომ ბ-ნი არაგვისპირელი კვლავ დაჰბრუნებოდეს თავის სფერას და მიეჭლენას ქართველ საზოგადოებისათვის იმისთანა სურათები ჩვენის ხალხის ცხოვრებისა, როგორც „ღმერთო დაილოცოს შენი სამართალი!“, „ის!?“ და პირველის ხანის სხვა მისი ნაწარმოები“.

დუტუ მეგრელმა, პუბლიცისტმა და კრიტიკოსმა, თავისი მოკრძალებული წვლილი გაიღო ქართული საზოგადოებრივი აზრისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგებში.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

## ცნობები და უენიშვნები

თამაზ ნატროშვილი, ვრნა ჯაფარიძე

### ცდა ერთი თარიღის დადგენისა

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ მტკიცე და ერთხმივი ცნობები არ მოგვეპოვება: ერთი წყარო თარიღად 1210 წ. თვლის, მეორე 1191 წ., სხვა წყაროებში კიდევ 1207 წ.... სიმართლის გამორკვევა წყაროების ასეთი უთანხმოების დროს ადვილი საქმე არ არის“<sup>1</sup>.

ცხადია, დაბნეულობა შეიპყრობს მკითხველსაც და მკვლევარსაც, როდესაც თვალს გადაავლებს სხვადასხვა მეცნიერთა შრომებს და ამოიკითხავს თამარის გარდაცვალების სხვადასხვა თარიღს: 1201 წ. (ვახუშტი ბაგრატიონი), 1207 წ. (ს. კაკაბაძე), 1212 წ. (მ. ბროსე, პ. ინგოროყვა), 1213 წ. (თ. უორდანი, ი. ჯავახიშვილი), 1216 წ. (კ. კეკელიძე).

მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიაში თამარის გარდაცვალების თარიღად დამკვიდრდა 1213 წელი<sup>2</sup>, მაგრამ ბოლო ხანებში ხელახლა დაისვა საკითხი აღიარებული თარიღის გადასინჯვის თაობაზე. ს. კაკაბაძის მიერ დადგენილ თარიღს (1207 წ.)<sup>3</sup> გარკვეული არგუმენტაციით მხარი დაუჭირეს ბ. სილაგაძემ<sup>4</sup> და ჯ. ოდიშელმა<sup>5</sup>.

როგორც ჩანს, აღიარებული თარიღი მაინც საჭოჭმანო და სადავო ყოფილა.

იმ საბუთებს, რომელთა საფუძველზე ფიქრობენ, რომ თამარ მეფე გარდაიცვალა 1207 წელს, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი ღირებულება ექნებოდა, სარწმუნო ფაქტად რომ არ გამოიყურებოდეს დავით სოსლანის გარდაცვალება 1207 წელს — ყარსის აღების შემდეგ<sup>6</sup>.

იბნ-ალ-ასირისა და ბასილი ეზოსმოძღვარის მონათხრობი ქართველთა მიერ ყარსის აღებაზე, ჩვენი აზრით, ერთსა და იმავე მოვლენას ასახავს.

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 290.  
<sup>2</sup> უცხოელი მკვლევარნი მეტწილად იმოწმებენ ბროსესეულ თარიღს — 1212 წ.  
<sup>3</sup> ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966, გვ. 229—230, აღრიწდელი ნაშრომების მითითება იხ. იქვე, გვ. 230, შენ. 1.  
<sup>4</sup> ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ-ასირის ცნობათა შუქზე, საქართველო რუსთაველის ხანაში (რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული), თბილისი, 1966, გვ. 124—129.  
<sup>5</sup> მცირე ქრონიკები (კინკლასების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ უ მ ბ ე რ ო დ ი შ ე ლ მ ა, თბილისი, 1968, გვ. 94—96.  
<sup>6</sup> სწორედ ამ თარიღს გულისხმობდა ი. ჯავახიშვილი, როდესაც წერდა: „დავით სოსლანის სიკვდილის თარიღი ცხადად არსად არის აღნიშნული, მაგრამ სხვადასხვა წყაროში მოიპოვება ერთი ქრონოლოგიური ცნობა, რომელიც უეჭველია დავით სოსლანის სიკვდილს უნდა ეხებოდეს“. ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 279.



უპირველეს ყოვლისა, ემთხვევა თარიღები. იბნ ალ-ასირის ცნობით, ყარსის აღება მომხდარა 603 წელს ჰიჯრით<sup>7</sup> (1206 წლის 8 აგვისტო — 1207 წლის 27 ივლისი), ბასილი ეზოსმოდღვარის მიხედვით — ასევე 1206/7 წელს<sup>8</sup>. ემთხვევა მთელი რიგი დეტალებიც.

იბნ ალ-ასირი:ყარსის ციხეს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა შემორტყმული ალყა<sup>9</sup>.

ბასილი ეზოსმოდღვარი: „მრავლით ყამითგან ჰბრძოდეს სარგის თმოგუელი, შალვა თორელი და მესხნი, გარნა ვერარა ღონე ქმნეს ალებისა... გარე შემოუხუტუნეს ყოველნი ციხენი და სოფელნი და იგი მხოლო მარტო ჰქონდათ სპარსთა“<sup>10</sup>.

იბნ ალ-ასირი: საბოლოოდ ყარსის გამგებელი მოუტირგდა ქართველებს და ჩააბარა ციხე<sup>11</sup>.

ბასილი ეზოსმოდღვარი: ყარსელებმა ჩააბარეს კლიტენი ციხისა თამარსა და მის ძეს<sup>12</sup>.

იბნ ალ-ასირის მიხედვით, ყარსის აღებას უშუალოდ მოჰყვა ქართველთა დედოფლის გარდაცვალება<sup>13</sup>.

ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამასვე მოგვითხრობს ბასილი ეზოსმოდღვარიც<sup>14</sup>. მაგრამ გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ბასილი ეზოსმოდღვარის თხზულებას სრული სახით ჩვენამდე არ მოუღწევია<sup>15</sup>. მისი მეორე ნაწილი ი. ჯავახიშვილმა აღადგინა ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ შევსებული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სადაც თამარის მეფობის მომთხრობელი ტექსტი შეუღარა „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტს და რაც ამ უკანასკნელთან შედარებით ზედმეტი აღმოჩნდა შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“, ის მიიჩნია თამარის მეორე ისტორიკოსის (ანუ ბასილი ეზოსმოდღვარის) ნაწარმოებიდან ამოღებულად<sup>16</sup>.

<sup>7</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, ა ლ - ქ ნ ი ლ ქ ი - თ ა ' რ ი ბ, კ ა ი რ, 1929—1938 (ნაჭარის გამოცემა) ტ. IX, გვ. 289. ვარდანი ყარსის აღებას ათარიღებს 1206 წლით. იხ. Всесошная история Варлана Великого, перевел Н. Э м и н, Москва, 1861, გვ. 169.

<sup>8</sup> ბასილი ეზოსმოდღვარი ვაღმრვეცემს: „... ოცდამესამედ, გინათუ მეოთხედ, აღმავლობასა მეფობისა მისისა წელიწადსა ივითხა საქმე კარისა“ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 143). მისივე სიტყვით, თამარი გაუფდა 1183 წელს (იქვე, გვ. 116). მამასადავუ, ავტორის მიერ აღნიშნული ოცდამესამე თუ ოცდამეოთხე წელიწადი თამარს მეფობისა უღრის 1206/7 წ.

<sup>9</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 289.

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 143.

<sup>11</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 289.

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 143—144.

<sup>13</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 289.

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 144.

<sup>15</sup> როგორც ცნობილია, ჰალაშვილისეული ნუსხა, აღმოჩენილი 1923 წელს ივ. ჯავახიშვილის მიერ, შედგება ორი ნაწილისაგან, პირველი ნაწილი (XVI ს. ხელნაწერი) წყდება რუქნ აღდინთან ომის უწინარეს ამბავზე, და დანაკლისი შევსებულია ვახტანგის შემდეგდროინდელი ერთ-ერთი ნუსხიდან. დაწერ. იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 394; ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის შესავალი წერილი, გვ. 016.

<sup>16</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 395, ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 017.

ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, რომ ი. ჯავახიშვილის მიერ მოწოდებული გამოკვლების მეთოდით მიღებული ნაშთი ყოველთვის არ იქნება ბასილი ეზოს-მოდღარის თხზულების ხალასი ტექსტი<sup>17</sup>.

შედარებით შესწავლის შედეგად ი. ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ შემავსებელთ ბასილი ეზოსმოდღარის ყველა ცნობებით არ უსარგებლიათ“... უნდა გვახსოვდეს მუდამ და ვიცოდეთ, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულების დაკარგული ნაწილის ზემოაღნიშნული გზით აღდგენილი ტექსტი დედნის სრულ ტექსტად ვერ ჩაითვლება. მას შეიძლება და უეჭველია ამაზე მეტიც უნდა ჰქონოდა“<sup>18</sup>.

ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ვახტანგის სწავლულ კაცებს თამარის ისტორიაზე რედაქციული მუშაობის დროს შესაძლებლად დაუნახავთ თამარის ორი ისტორიის შერწყმა და ხშირ შემთხვევაში რიგრიგობით არის მოთავსებული თამარის პირველი ისტორიკოსისა და ბასილი ეზოსმოდღარის ტექსტები. „ერთი სიტყვით, ეს ორი ისტორიკოსი ერთიმეორეს ავსებებს თავისი მოთხრობილი ამბებით“<sup>19</sup>.

ბასილი ეზოსმოდღარი ყარსის აღების ეპიზოდში ორჯერ ასახელებს დავით სოსლანს, რომელიც საქართველოს ლაშქარს სარდლობდა. განსაკუთრებით მრავლისმთქმელია მეორე დასახელება: ყარსელებმა უკვე შესწყვიტეს წინააღმდეგობა. „დაშთომილთა მათ ითხოვეს დავითისაგან, რათა თვით თამარ მივიდეს“<sup>20</sup>.

ვახტანგისეულ ნუსხებში ბასილი ეზოსმოდღარის ტექსტს ყარსის აღებაზე მოსდევს ვრცელი თხრობა, ამოღებული „ისტორიათა და აზმათაგან“, რომელიც იწყება დავით სოსლანის გარდაცვალებით<sup>21</sup>.

ამრიგად, საგულეებელია, რომ ყარსის აღების შემდეგ გარდაიცვალა არა თამარ მეფე, არამედ დავით სოსლანი<sup>22</sup>.

მაშასადამე, ორი წყარო, არაბული და ქართული, თითქმის ერთნაირად გადმოგვცემს ყარსის აღებას და ერთნაირადც ათარიღებს. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ არაბულ წყაროში ხსენებული ეპიზოდის შემდეგ აღნიშნულია გარდაცვალება საქართველოს დედოფლისა, ხოლო ქართულ წყაროში — დავით სოსლანისა.

ბუნებრივია, რომ უფრო სანდოდ მივიჩნიოთ ქართული წყაროს ცნობა.

იბნ ალ-ასირის თხზულების ღირებულებაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ გადაჭარბება იქნება, ყოველმხრივ ექვიპოტანულ წყაროდ გამოცეხადოთ იგი.

17 ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 318.

18 ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 395.

19 ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 019—020.

20 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 143.

21 იქვე, გვ. 144, შენ. 1; შდრ., ქართლის ცხოვრება, დასაბამიოვან მეთაცხარამეტე საუყუნემ-დის, ნაწ., I, მ. ბროსეს გამოცემა, პეტერბურგი, 1849, გვ. 326.

22 ბასილი ეზოსმოდღარი, რომელმაც დავითოვან თამარის ავადმყოფობისა და გარდაცვალების ვრცელი აღწერილობა, ცხადია, ორიოდ სიტყვით მაინც აღნიშნავდა მისი მეუღლის გარდაცვალების ფაქტს, მაგრამ შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა შეუტანიათ, რადგან ერთი და იგივე ეპიზოდი ერთნაირად იქნებოდა გადმოცემული. ანალოგიურ შემთხვევას მიუთითებს ს. ყაუხჩიშვილი (დასახ. ნაშრ., გვ. 034—035).

შეცდომას ხომ არ უშვებს იბნ ალ-ასირი?

უშველია, რომ ყარსის ალების შემდეგ გარდაიცვალა დავით სოსლანი ანუ მეფე დავითი (როგორც იხსენიებენ ქართული წყაროები). მაშასადამე, უცხოეთში გავრცელდებოდა ხმა საქართველოს მეფის გარდაცვალებაზე და ადვილი დასაშვებია, რომ ნაულებად ცნობილი დავით სოსლანის გარდაცვალება მიეჩინათ საქართველოს მეფე-ქალის გარდაცვალებად.<sup>22</sup>

ამასთან ერთად, მოიპოვება სხვა ცნობები, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ თამარ მეფე 1207 წელს ნამდვილად არ გარდაცვლილა.

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „... 1207 წ. თამარის გარდაცვალების თარიღად სრულებით შეუსაბამო რამე არის და სხვა მტკიცე ისტორიულს ცნობებს (თუნდ სპარსეთში ქართველთა ძღვეამოსილს ლაშქრობას) ეწინააღმდეგება“<sup>23</sup>.

ირანში ლაშქრობის აღწერას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“<sup>24</sup>. თხრობის დასაწყისში მოცემულია ლაშქრობის გეგმა, რომელიც წამოუყენებიათ თამარის წინაშე საქართველოს მხედართმთავრებს: „აწ ბრძანოს მეფობამან თქუნმან, რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცნეს სადამე სპათა შენთა საქმენი, არამედ აღვამხედროთ ვრაცს, რომ — გურსა ზედა, რომელ არს ხორასანი“<sup>25</sup>.

ისტორიკოსი გვაწვდის ქართული მხედრობის მთელ მარშრუტს, ზედმიწევნით ზუსტად ასახელებს გეოგრაფიულ პუნქტებს, დაწვრილებით გადმოგვცემს საბრძოლო ეპიზოდებს და ბოლოს გვაუწყებს იმასაც, თუ რამდენად განხორციელდა ლაშქრობის დასახული გეგმა: „და უშინავანესისა რომ — გურისა მიმართ. მიიწივნეს, რომელ არს ხორასანი“<sup>26</sup>.

თამარის პირველი ისტორიკოსის მიხედვით, ირანში ლაშქრობა მომხდარა თამარის სიცოცხლეში<sup>27</sup>. ამას ადასტურებს ორი თანადროული ქართული წყაროც.

<sup>22</sup> ალბათ ასევე უნდა იხსნას ვარდანისეული თარიღი (1206 წ.), რომელსაც იმოწმებენ მ. ბროსეს მიხედვით. სხვათა შორის, ნ. ემინის თარგმნით, ვარდანი აღნიშნავს არა თამარის, არამედ მისი მუღლის გარდაცვალებას (ვარდანო, გვ. 171). რაც შეეხება ლაშა-გიორგის დროინდელ მატანესა და კინკლოსურ ქრონიკებში მოცემულ თარიღს, ისიც მიჩნეულია დავით სოსლანის გარდაცვალების თარიღად. (დაწვრ. იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 279—280).

<sup>23</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 279.

<sup>24</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 103—109.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 103; რომ — გურის შესახებ იხ. ვ. გაბაშვილი, ქართული წყაროების „რომ-გური“, მაცნე, 1971, № 4, გვ. 124—130.

<sup>26</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 107; სხვათა შორის, ე. კაენი ასე ახასიათებს ამ ლაშქრობას: „... an almost lunatic escapade which once took a Georgian force up to the very borders of Khorasan“, იხ. C. C a h e n, The Turks in Iran and Anatolia before the Mongol invasions History of the Crusades, ed by. K. M. Setton and M. W. Baldwin, vol. II, Philadelphia, 1962, გვ. 665.

<sup>27</sup> ს. კვაბაძე თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ „სპარსეთზე გალაშქრება“, რომელიც ფაქტობრივად ლაშა-გიორგის დროს შეიძლება მომხდარიყო, შეცდომით თამარის მეფობაშია შეტანილი (საისტორიო მოამბე, ტ. I, გვ. 289). მეკლემარა შემდგომში გადასინჯა თავისი მოსაზრება. იგი აღნიშნავს: „... თამარის დროს 1206 წელს ჩრდილოეთ ირანში მოწყობილი ლაშქრობა“. იხ. ს. კვაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, გვ. 125, ლაშქრობის დათარიღება, ეტყობა,

ი. ჯავახიშვილი წერდა ბასილი ეზოსმოდვარის შესახებ: „... ჩვენს ისტორიკოსს სხვათა შორის ნათქვამი აქვს, რომ თუ მომავალი თაობანი თამარის მეფობის დიდებულების ამბავს არ დაიჭერებენ, ასეთმა ურწმუნობებმა გაისვენონ „ერაყამდის მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარალამდის“ და მაშინ დარწმუნდებიან, რომ ყველაფერი, რაც ნაამბობია, მართალი არისო. ვინც თამარ მეფის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორია იცის, ის რასაკვირველია მაშინვე მიხვდება, რომ ჩვენს ავტორს აქ საქართველოს ლაშქრის სპარსეთში ძლევამოსილი ვალაშქრება აქვს ნაგულისხმევი, როდესაც ზემომოყვანილ წინადადებაში აღნიშნული ამბები მართლაც მოხდა“<sup>28</sup>.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატინე, რომელიც თითქოსდა 1207 წლით ათარიღებს თამარის გარდაცვალებას, ამავე დროს თამარის მეფობის აღწერილობაში მოიხსენიებს ირანში ლაშქრობას: „დალუწნეს სპარსეთისა ქალაქნი, და მარანდი ამოსწყვიდეს და ერანის ქუეყანა. ესდენად სიშორესა შინა მივიდენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა“<sup>29</sup>.

„სპარსეთისა ქალაქნი“ და „ერანის ქუეყანა“ აშკარად მიგვანიშნებს, რომ ლაპარაკია სწორედ იმ დიდ ლაშქრობაზე, რომელსაც აღწერს თამარის პირველი ისტორიკოსი<sup>30</sup>. ამას თვალნათლივ ადასტურებს ქ. მარანდის დასახელება ლაშა-გიორგის დროინდელ მატინეში<sup>31</sup>.

რაც შეეხება ზემოხსენებული ცნობის მეორე ნაწილს, ისიც ემთხვევა თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვებს ირანში ლაშქრობასთან დაკავშირებით: „ქართველთა ნათესავი ვერაგინ მიწევილი იყო ლაშქრად, არა მეფე, არა მთავარი“<sup>32</sup>.

გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ თამარის გარდაცვალების იმ თარიღიდან, რომელსაც ამტკიცებდა ს. კაკაბაძე, 1206 წ. ნამდვილად შეუსაბამო თარიღია და არავითარი საბუთი არ მოეპოვება,

<sup>28</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 395—396. შდრ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 123—124.

<sup>29</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა ლ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 369.

<sup>30</sup> როგორც ცნობილია, „ისტორიანსა და აზმანში“ ჩამოთვლილია კიდევ ქართული მხედრობის მიერ აღებული „სპარსეთისა ქალაქნი“: მარანდი, თავრიზი, მიანა, ზანგანი, ავპარი, ყაზვინი, გურგანი; იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 104—107.

<sup>31</sup> მარანდის აღებას საქმოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ისტორიანსა და აზმანში“. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 104—105. სწორედ ქ. მარანდთან ყოფილა ყველაზე სერიოზული ბრძოლა. ი. ჯავახიშვილის სიტყვით, მარანდის აღებაში ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა თავრიზელებზე, რომ მათ უბრძოლველად დამორჩილება არჩიეს, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 384; შდრ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 105—106. „ისტორიანსა და აზმანში“ ჩამოთვლილ ქალაქთაგან ჩანს, მარანდის აღებას ჰქონია ყველაზე დიდი გამოძახილი, ვინაიდან უცხოური წყაროებიც, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატინის მსავლად, ქართველთა მიერ მარანდის აღებას აღნიშნავენ.

<sup>32</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 107; ანალოგიურ გამოთქმას ვხვდებით ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში, სადაც მოტანილია ლაშა-გიორგის სიტყვა ივანე ათაბაგისადმი (განჯაზე ლაშქრობის დროს), რომელიც არ შემოუნახავთ სხვა ქართულ წყაროებს; კერძოდ აღნიშნულია. „იარსდროს არ გაგონილაო სხვათა საქართველოს მეფეების ყმათაგანო ძველით აქნობამდისინო, რომ ერანი, ერაყი და ზორასანი დაერბოოსო თქვენის მეტსაო, რომ თქვენ დაარბივეთო“... (ციტირებულია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: რ. ბ ი წ ა ძ ე, კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის, საქართველო რუსთაველის ხანაში, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1966, გვ. 99). სხვათა შორის, ფარსადანიც ხაზს უსვამს, რომ ირანში ლაშქრობა მომხდარა თამარის სიცოცხლეში (იქვე).

ამრიგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული ლაშქრობის დათარიღებას.

სამივე ქართული წყარო დუმს თარიღის შესახებ.

თარიღი არაა მითითებული არც იაკუთის გეოგრაფიულ ლექსიკონში, სადაც ვკითხულობთ, რომ ქალაქ მარანდის განადგურება დაიწყო მას შემდეგ, რაც ქართველებმა ააოხრეს ქალაქი და ტყვედ წაიყვანეს დიდძალი მისი მცხოვრები<sup>33</sup>. ვ. მინორსკი იმოწმებს იაკუთის ცნობას და შენიშნავს, რომ ეს არის უაღრესად ძვირფასი საბუთი ქართველთა ლაშქრობაზე ირანში, რასაც დაწვრილებით მოგვითხრობს ქართული წყარო<sup>34</sup>.

კიდევ უფრო ძვირფასი ცნობა მოიპოვება იბნ ხალიქანის ბიოგრაფიულ ლექსიკონში<sup>35</sup>.

იბნ ხალიქანი გადმოგვცემს ცნობილი სწავლულის იზ ად-დინის ბიოგრაფიას. ეს პიროვნება დაბადებულია ქ. არბელაში 534 (1139—1140) წელს, შემდგომში იქიდან გაუქმდებია ქალაქის გამგებელს და იზ ად-დინი დამკვიდრებულა ქ. მოსულში<sup>36</sup>.

იბნ ხალიქანი განაგრძობს: „ეს მოხდა, რამდენადაც ვიცი, 602 ან 603 წელს, მაგრამ იბნ ბატიში ამბობს, რომ ეს იყო 606 წელს. იმავე წელს ქართველები გამოემართნენ და აიღეს მარანდი, ქალაქი, დაქვემდებარებული აზერბაიჯანზე, არბელას მახლობლად; მათ გაძარცვეს იგი; ამოჰკლიტეს მცხოვრებთა ნაწილი და წაიყვანეს ტყვეობაში დანარჩენნი“<sup>37</sup>.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ შესაძლოა იბნ ხალიქანის თარიღი ეხებოდეს ქ. არდებილის აღებას, ხოლო იბნ ბატიშის თარიღი — ირანში ლაშქრობას<sup>38</sup>.

ჩანს, ი. ჯავახიშვილის დასკვნა გამოიწვია დეფრემერის კონიექტურამ, რომელმაც იბნ ხალიქანის მიერ დასახელებული ქ. არბელა რატომღაც მიიხნია არდებილად<sup>39</sup>.

მაგრამ არდებილი აქ არაფერ შუაშია. თავისთავად, ქ. არბელა (ანუ ირბილი) არც ისეა დაშორებული ქ. მარანდს, რომ გვეუცნაუროს იბნ ხალიქანის ნათქვამი („მარანდი, არბელას მახლობლად“). მანძილი მარანდ-არბელას შორის თითქმის იგივეა, რაც მარანდ-არდებილს შორის. მთავარი კი ისაა, რომ სწორედ ქ. არბელადან გააძევეს ზემოხსენებული პიროვნება და იბნ ხალიქანი მარანდის აღებას აღნიშნავს, როგორც იმავე წელს მეზობელ ქალაქში მომხდარ ღირსშესანიშნავ მოვლენას. შემდეგ იმოწმებს იზ ად-დინის შვილის მიერ შეთხ-

<sup>33</sup> აკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე თ ე რ ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე მ, თბილისი, 1964, გვ. 83.

<sup>34</sup> V. Minor sky, Marand, Encyclopaedie des Islam, III. Leiden-Leipzig, 1936, გვ. 290.

<sup>35</sup> ამ ცნობას თავის დროზე ყურადღება მიაქციეს დეფრემერმ და ი. ჯავახიშვილმა.

<sup>36</sup> Ibn Khallikan's Biographical Dictionary, translated from the Arabic by de Slane, vol. I, Paris, 1843, გვ. 489.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 490.

<sup>38</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 287.

<sup>39</sup> Fragments de Géographes et d'historiens arabes et persans inédits, traduits et accompagnés de notes critiques par. M. De fr é m e r y, Journal Asiatique, IV, ser., t. XIII, 1849, გვ. 520, შენ. I.

ზულ ლექსს, სადაც არბელელთა უსამართლობა და სისასტაყე შედარებულია ქართველების ანალოგიურ მოქმედებასთან ქ. მარანდში<sup>40</sup>.

ერთი სიტყვით, იბნ ხალიქანის ტექსტში მხოლოდ და მხოლოდ მარანდის აოჭრება არის მოხსენიებული.

იბნ ხალიქანიც და იბნ ბატიმიც ათარიღებენ იზ ად-დინის გაძევებას ქ. არბელადან. მაგრამ ქართველებს აულიათ ქ. მარანდი „იმავე წელს“ ანდა „სწორედ იმ წელს“. დამოწმებული გამოთქმა, კონტექსტის მიხედვით, იბნ ბატიმის თარიღს უნდა ეხებოდეს, რომელიც უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება, ვინაიდან თვითონ იბნ ხალიქანი ორჭოფულ თარიღს სდებს: 602—603 წწ. (1205 წ. 18 აგვისტო — 1207 წ. 27 ივლისი). მისივე სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი არაა დარწმუნებული მოცემული თარიღის უეჭველობაში და შესაძლოა ამიტომაც იმოწმებს თავის მასწავლებელს, იბნ ბატიმს. ამასთან ერთად, იზ ად-დინის გაძევებისას, იქნება ეს 602 თუ 606 წელი, იბნ ხალიქანი დაბადებულებს არ იყო<sup>41</sup>. ხოლო იბნ ბატიმი, ქ. მოსულის მკვიდრი, იმ ხანებში დაახლოებით ოცდაათ წელიწადს ითვლიდა<sup>42</sup>. ისიც უნდა მივუთითოთ, რომ სწორედ ქ. მოსულში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იბნ ბატიმი, ჩავიდა ქ. არბელადან გაძევებული იზ ად-დინი და მოსულშივე გარდაიცვალა 1222 წ.<sup>43</sup>. მაშასადამე, იზ ად-დინის გაძევების ზუსტი თარიღი იბნ ბატიმს უფრო უნდა სცოდნოდა, ვიდრე იბნ ხალიქანს.

ამრიგად, იბნ ბატიმის მიხედვით, მარანდის აღების თარიღია 606 (1209 წ. 6 ივლისი — 1210 წ. 24 ივნისი) წელი. თუ გავითვალისწინებთ თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობას ლაშქრობის დაწყებაზე: „მოიწია არე სთულისა“<sup>44</sup>, უნდა დავასკვნათ, რომ ლაშქრობა ირანში მომხდარა 1209 წლის შემოდგომაზე. დეფრემერი აღნიშნავს, რომ იბნ-ბატიმის თარიღი უკეთ ეთანხმება სომხურ წყაროებს და იმოწმებს მ. ჩამჩიანის ცნობას (სენ-მარტენის მიხედვით)<sup>45</sup>. მ. ჩამჩიანი მარანდის აღების თარიღად 1209 წელს სდებს<sup>46</sup>.

<sup>40</sup> ი ბ ნ ხ ა ლ ი ქ ა ნ ი, გვ. 490.

<sup>41</sup> იგი უდაბლად 1211 წელს (იხ. იბნ ხალიქანი, გვ. IX).

<sup>42</sup> ი ბ ნ ხ ა ლ ი ქ ა ნ ი, გვ. 187, შენ. 5.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 450.

<sup>44</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 104.

<sup>45</sup> Defremery, დსახ. ნაშრ., გვ. 520, შენ. 1.

<sup>46</sup> Saint-Martin, Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie, t. I, Paris, 1818, გვ. 382; მართალია, მ. ჩამჩიანი XVIII საუკუნის ისტორიკოსია, მაგრამ ლ. ბაბიანის სიტყვით, მისი ნაშრომი დღესაც ინარჩუნებს თავის სამეცნიერო ღირებულებას, ძირითადად იმ მნიშვნელოვან წყაროთა წყალობით, რომელნიც თავის დროზე გამოუყენებია მ. ჩამჩიანს და შემდგომში დაკარგულა. ლ. ბაბიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მ. ჩამჩიანის ნაშრომი ერთგვარად პირველწყაროს წარმოადგენს და შეიცავს ძვირფას ფაქტობრივ მასალას Л. О. Б а б а я н, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV веках, Москва, 1969, გვ. 3, აქვე უნდა დავუმატოთ, რომ კირაკოზ განძაკელიც მოიხსენიებს ქ. მარანდის აღებას (დაუთარიღებლად) და ზაქარია მხარგრძელის მიერ შურისძიების მოტივით ჩატარებულ რეპრესიებს (იხ. Kiracoz de Gantzac, Histoire d'Arménie, traduits par M. Brosset, St.-Petersbourg, 1870, გვ. 91). მის თხრობას თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ვარდანის თხზულებაში აღწერილი აღება — ქ. არღებლისა (ვარდანი, გვ. 171), საფიქრებელია, რომ კირაკოსაც არღებლის აღება ჰქონდეს მოთხრობილი და ქ. მარანდს შეცდომით მიუთითებდეს, ვინაიდან თამარის პირველი ისტორიკოსის თანხმად, შურისძიებით გამოწვეული რეპრესიები ჩატარდა სწორედ არღებელში. იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 102.

მ. ბროსე წერდა, რომ ქართული მხედრობა დაიძრა ირანისაკენ 1209 წლის დამლევს<sup>47</sup>.

ჩვენი აზრით, ირანში ლაშქრობის ყველაზე სარწმუნო თარიღად უნდა ჩაითვალოს 1209 წელი, ხოლო თამარის პირველი ისტორიკოსის, ბასილი ეზოს-მოძღვარის და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატინის ერთობლივი მოწმობით ეს ლაშქრობა მომხდარა თამარის მეფობაში.

მაშასადამე, თამარი ცოცხალია 1209 წელსაც.

#### ნუმიზმატიკური მასალა

ირკვევა, რომ თამარ მეფე ცოცხალია 1210 წელსაც. ამას თვალნათლივ ამტკიცებს 1210 წელს მისი სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები.

1210 წ. თამარის მონეტის დეტალური აღწერა ზედმეტად მიგვაჩნია. ასეთი სამუშაო, უკვე დიდი ხანია, ჩატარებულია მკვლევართა მიერ. მხოლოდ მოვიტანთ ამ მონეტის დამახასიათებელ ძირითად ზედწერილებს, რომლებიც შესრულებულია ქართული ასომთავრულით და არაბულ ენაზე<sup>48</sup>.

Av. მონეტის ცენტრში მოთავსებული თამარის ხელრთვის გარშემო არის ზედწერილი ასომთავრულით (დაქარაგმებულად): „სახელითა ღვთისათა იქნა ქედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა შლ“ (1210 წ.).

Rv. მონეტის ცენტრში მოთავსებულია ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დიდი დედოფალი /დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა/ თამარ ასული გიორგისა /მესიის შემწე/ ანბტკიცოს ღმერთმან ძღვეანი მისი“. გარშემო ასევე არაბულად: „ამრავლოს ღმერთმან დიდება მისი, გაახანგრძლივოს მისი მფარველობა და შემწე იყოს მისი წარმატებისა“.

თამარის 1210 წ. მონეტა ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში იყო ცნობილი მ. ბროსესთვის<sup>49</sup>.

შემდგომში, 1210 წ. თამარის მონეტები გამოცემული და დამოწმებული აქვთ ე. ბართოლომეის<sup>50</sup>, ვ. ლანგლუას<sup>51</sup>, ე. პახომოვის<sup>52</sup>, თ. ლომოურის<sup>53</sup>, დ. კა-

<sup>47</sup> მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნათარგმნი და განმარტებული ს. ლოლობერიძის მიერ, გამოცემა ნ. ლოლობერიძისა, თბილისი, 1895, გვ. 175; დასახელებული ნაშრომი წარმოადგენს თარგმანს მ. ბროსეს ხელნაწერიდან («Очерк критической истории Грузии»), რომელიც დაწერილია 1855 წელს, ე. ი. ოთხი წლის შემდეგ მისივე ცნობილი გამოკვლევის («Additions») გამოქვეყნებიდან, სადაც ირანში ლაშქრობის თარიღად აღნიშნული ჰქონდა 1211 წელი) იხ. M. Brosset, Additions et éclaircissements à l'Histoire de la Georgie, St.-Petersbourg, 1851, გვ. 297.

<sup>48</sup> მონეტის აღწერას ეძლევიტ შემდეგი ნაშრომის მიხედვით: Е. Пахомов, Монеты Грузии, Тбилиси, 1970, გვ. 91, № 57.

<sup>49</sup> ლიტერატურა მითითებულია ე. პახომოვის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 91; გარდა ამისა, 1210 წ. თამარის მონეტა აისახა მ. ბროსეს შემდეგ შრომებში: M. Brosset, Rapport sur l'ouvrage intitulé Numismatique des faits géorgiens du царства et Revue de Numismatique Géorgienne. St.-Petersbourg, 1847, გვ. 67; მისივე Additions... გვ. 298.

<sup>50</sup> J. Bartholomei, Lettres sur la numismatique Géorgienne, Melanges Asiatiques. t. III, 1857, გვ. 83, 89, 99; № 15.

<sup>51</sup> V. Langlois, Essai de classification des suites Monétaires de la Géorgie, Paris, 1860, გვ. 67, № 27.

<sup>52</sup> Е. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 91, № 57.

<sup>53</sup> თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1928, გვ. 289.

პანაძეს<sup>54</sup>, დ. ლენგს<sup>55</sup>. თამარის გარდაცვალების თარიღს დადგენისას ამ მონეტებს ითვალისწინებდნენ მ. ბროსე<sup>56</sup> და მ. ჯანაშვილი<sup>57</sup>.

ეჭვი, 1210 წლით თამარის მონეტის დათარიღებაში, შეიტანა ს. კაკაბაძემ.

საქმე ისაა, რომ არსებობს თამარის 1187 წ. მონეტებიც, რომელთა ძირითადი ნაწილის გარეგნული სახე ისეთივეა, როგორც 1210 წ. მონეტებისა. განსხვავება არის მოჭრის თარიღში. პირველზეა შზ (407) ქორონიკონი, მეორეზე კი — შლ (430) ქორონიკონი.

ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ ეს მონეტები მოჭრილია ერთი და იმავე სიქით და შესაძლებელია შეცდომა თარიღში ქართული ასომთავრულის „ზ“ და „ზ“ — ს. აღრევის გამო (მათი გრაფიკული მოხაზულობის მსგავსების ნიშანზე). ამიტომაც 1210 წ. მონეტები უნდა მივიჩნიოთ 1187 წ. მოჭრილ მონეტებად<sup>58</sup>.

თავის ვარაუდის საფუძველზე ს. კაკაბაძემ უგულებელყო 1210 წ. თამარის მონეტა, რომელიც გადაჭრით უარყოფს თამარის გარდაცვალების თარიღად 1206 თუ 1207 წლის აღიარებას, ხოლო ბ. სილაგაძესა და ჯ. ოდიშელს საერთოდ არ გაუთვალისწინებიათ მისი არსებობა.

რა შეიძლება ითქვას ს. კაკაბაძის ვარაუდის შესახებ?

1210 წ. თამარის მონეტა ითვლება ერთ-ერთ გავრცელებულ სამონეტო ტიპად. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილებაში დაცულია მრავალი მონეტა, რომელთა მოჭრის თარიღად მითითებულია როგორც 1187, ისე — 1210 წლები. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ 4 ზ (ულ), ე. ი. 430 ქორონიკონი (1210 წ.) მშვენივრად იკითხება განძების ფონდის №№ 123, 125, 142, 149, 157 და ქართული ფულის ძირითადი ფონდის №№ 1834, 1856, 1872, 1873, 1880, 1883, 4179, 7716, 7718, 7721, 7728—30, 7747, 7750, 7752 ცალებზე<sup>59</sup>. ამ მონეტების რიცხვი შეიძლებოდა კიდევ გაგვეზარდა, მაგრამ ესეც საკმარისია. თუნდაც იმიტომ არის საკმარისი, რომ ბევრი ეგზემპლარი მოჭრილია სხვადასხვა სიქით. ეს გარემოება კი თარიღის სიზუსტეში ეჭვის შეტანას გამოორიცხავს.

თითო სიქით რამდენიმე ასეული და ათასი მონეტა იჭრებოდა და წარმოუდგენელია, რომ ერთი სიქის თარიღში დაშვებული შეცდომა (4 ზ ნაცვლად 4 ზ — ისა) შეუმჩნეველი დარჩენილიყო და არ შეესწორებინათ მონეტების სხვა სიქით მოჭრის დროს.

ე. პახომოვი სავსებით სამართლიანად მიუთითებდა: „Ошибку в смещении **з** и **л** едва ли можно допустить, так как обе формы выработаны

<sup>54</sup> Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, Москва, 1955, გვ. 64; დ. კაკაბაძე, ქართული ნუმისმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 75.

<sup>55</sup> D. Lang, Studies in the Numismatic history of Georgia in Transcaucasia, The American Numismatic Society, Numismatic Notes and Monographs, No. 130, New York, 1955, გვ. 25.

<sup>56</sup> მ. ბროსე, Rapport, გვ. 69, შტრ. მისივე, საქართველოს ისტორია, გვ. 176.

<sup>57</sup> მ. ჯანაშვილი, თამარ მეფე, თბილისი, 1917, გვ. 74.

<sup>58</sup> С. Н. Какабадзе, Год смерти грузинской царицы Тамары Великой, Известия Тифл. Высших женских курсов, т. I, 1914, გვ. 167.

<sup>59</sup> მონეტებზე მუშაობის ნება დაკვირვებით განყოფილების გამგემ ვ. ლეჭენიძემ. მუშაობაში ყოველმხრივ ვეწყობდა ხელს განყოფილების თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი თ. აბრამიშვილი, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.



очень явно и отчетливо, и видно, что гравер понимал то, что вырезывал...<sup>60</sup>.

ყოველივე ამის გამო, ს. კაკაბაძის სკეპტიციზმი თამარის 1210 წ. მონეტის მიმართ უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. საერთოდ კი, ამ მონეტის თარიღის სიზუსტეში არც ერთ სხვა მკვლევარს არ ეპარებოდა ეჭვი, დაწყებული მ. ბროსეთი და დამთავრებული დ. ლენგით.

სამონეტო საქმის ისტორია იცნობს შემთხვევებს, როდესაც მონეტა იჭრება გარდაცვლილი ან ტანტიდან ჩამოგდებული მონარქის სახელით. ამას განაპირობებს აღნიშნული მოვლენის დაგვიანებით გაგება ცენტრიდან დაშორებულ პროვინციებში, ანდა პოლიტიკური სიტუაცია, ბრძოლა ტახტის მემკვიდრეთა პარტიებს შორის. მაგრამ ასეთი შემთხვევებიც ერთეულია, არ ატარებს მასობრივ ხასიათს და არც ხანგრძლივი დროის მანძილზე ხდება.

ამდენად. შეუძლებელია, რომ თამარის სახელი რაიმე მიზეზით გაჩენილიყო 1210 წელს მოჭრილ მონეტებზე, თუ კი ის 1207 წელს გარდაიცვალა.

დასკვნა შეიძლება იყოს ერთადერთი და უტყუარი:

„დიდი დედოფალი“, „დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა“ და „მესიის შემწე“ — თამარი 1210 წელს ჭერ კიდევ ცოცხალი იყო.

თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის დასადგენად აუცილებელია მისი ეპოქის სხვა ნუმისმატიკური მასალების გათვალისწინებაც. ამჯერად მხედველობაში გვაქვს ლაშა-გიორგის დათარიღებული მონეტები.

ნუმისმატიკებისათვის უკვე XIX საუკუნიდან არის ცნობილი ლაშა-გიორგის მიერ 430 ქორონიკონს, ე. ი. 1210 წელს, სპილენძისაგან მოჭრილი არასწორი ფორმის მონეტები<sup>61</sup>.

კიდევ ერთხელ ვამახვილებთ ყურადღებას ამ მონეტების მოჭრის თარიღზე. ისევე როგორც თამარის მონეტები, ლაშა-გიორგის მონეტებიც დათარიღებულია 1210 წლით.

ლაშა-გიორგის 1210 წ. სპილენძის არასწორი მონეტების მრავალი ტიპი არსებობს. ძირითადად, მათზე მოთავსებული ზედწერილები ასეთი სახისაა<sup>62</sup>:

Av. ცენტრში, ქართული ასომთავრულით (დაქარაგმებულად) იკითხება: „გიორგი ძე თამარისა“. გარშემო კი — ასევე ასომთავრულით: „სახელითა ღვთისათა იქნა ჰედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა ულ“ (1210 წ.).

Rv. ცენტრში ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილია: „მეფეთა მეფე /დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა/ გიორგი თამარის ძე /მესიის მახვილი“/.

გარშემო სპარსულად: „სახელითა ღვთისათა იქნა ჰედაი ამა ვეცხლის 430 წელს“.

გარდა არასწორი ჰედვის მონეტებისა, ლაშა-გიორგის ეკუთვნის სწორი ფორმის სპილენძის უნიკალური მონეტაც, რომელიც პირველად ე. პახომოვმა გამოაქვეყნა<sup>63</sup>.

ძირითადად, გარეგნული სახე ამ მონეტისა ასეთია:

<sup>60</sup> Е. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

<sup>61</sup> ლიტერატურა მოტანილია ე. პახომოვის დასახ. ნაშრომში, გვ. 97.

<sup>62</sup> აღწერილობა მოგვაქვს ე. პახომოვის მიხედვით იხ. Е. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 96; ამ მონეტათა ტიპების სახესხვაობებზე იხ. იქვე, გვ. 97—98.

<sup>63</sup> Е. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 100, № 65a.

Av. ცენტრში მოთავსებულია მეფის გამოსახულება მთელი ფიგურით. აქვე ასომთავრულით (დაქარაგმებულად) იკითხება: „გიორგი ძე თამარისა“, და მოჭრის თარიღი **4 ხ** — ე. ი. 430 ქორონიკონი ანუ 1210 წელი.

Rv. ოთხ ფოთლისებურ როზეტში მოთავსებულია მოჭრის წელი ჰიჯრით, ხოლო როზეტებს შორის სეგმენტებში არაბული ზედწერილი, რომელსაც ე. პა-ხომოვი ასე კითხულობს: „მეფეთა მეფე გიორგი თამარის ძე მესიის მახვილი“.

ფოთლისებურ როზეტებში ე. პახომოვი ჰიჯრის თარიღად კითხულობდა 606 ან 616 წელს, მას ორივე თარიღის წაკითხვა შესაძლებლად მიაჩნდა, თუმცა უფრო სწორად 606 წ. თვლიდა<sup>64</sup>. ამავე თარიღს იზიარებს დ. კაპანაძე<sup>65</sup>.

მონეტის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მისი მოჭრის თარიღი უეჭველად არის 606 (1209—1210) წელი, ხოლო 616 (1219—1220) წ. წაკითხვა გამორიცხულია. ამ შემთხვევაში, ქორონიკონულ თარიღში ასო **ხ**-ს შემდეგ მის დონეზე უნდა ყოფილიყო **მ** და **4ხმ** ქორონიკონი მოგვეცემდა 1219 წელს, მაგრამ მონეტის გაცვეთის მიუხედავად<sup>66</sup>, **ხ**-ს შემდეგ **მ** არავითარ შემთხვევაში არ იკითხება.

ჰიჯრის 606 წელი იწყება 1209 წ. 6 ივლისს და მთავრდება 1210 წ. 24 ივნისს. თუ გავითვალისწინებთ მონეტის ქორონიკონულ თარიღსაც, მისი მოჭრის დრო 1210 წლის პირველი ნახევრით (25 ივნისამდე) განისაზღვრება.

როგორც ვხედავთ, 1210 წელს ლაშა-გიორგის თავისი სახელით მოუჭრია არასწორი ფორმის მონეტები ქვეყნის შიგნით მიმოქცევისათვის და სწორი ფორმის მონეტებიც, რომლებიც მიმოქცევაში იყო საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

ამრიგად, მოგვეპოვება 1210 წლით დათარიღებული როგორც თამარის, ისე მისი ძის ლაშა-გიორგის მონეტები. დედა-შვილის მონეტები დამოუკიდებელი სამონეტო ტიპებია. ერთი თამარს აღიარებს მეფეთა მეფედ და მესიის შემწედ, მეორე კი — ლაშა-გიორგის. აქ არ შეინიშნება რაიმე უბრალო მითითებაც კი თანამეფობაზე, რაც აისახა სხვა, წინამორბედ მონეტებზე. მხედველობაში გვაქვს გიორგი III-ისა და თამარის<sup>67</sup>, აგრეთვე თამარისა და დავითის<sup>68</sup> ერთობლივი მონეტები.

უნდა გავიხსენოთ, რომ შუა საუკუნეებში მონეტის მოჭრა სამეფო ხელისუფლების პრეროგატივს წარმოადგენდა. სასაწესო ირანში მონეტა იჭრებოდა შაჰის გამოსახულებითა და მისი სახელით. ბიზანტიის იმპერიაში — კეისრის გამოსახულებითა და მისი სახელით. კეისრის გვერდით ბიზანტიურ მონეტებზე ზოგჯერ გვხვდება ტახტის მემკვიდრეთა და თანამეფეთა გამოსახულებანი და სახელებიც.

არაბულ აღმოსავლეთში IX ს. 30-იანი წლებიდან მონეტებზე რელიგიური ხასიათის ზედწერილების გვერდით დასაშვებო იყო მხოლოდ ხალიფასა და

<sup>64</sup> იქვე, გვ. 101.

<sup>65</sup> დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 79.

<sup>66</sup> ეს მონეტა აქამდე დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდში, საინვენტარო № 1956.

<sup>67</sup> Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, გვ. 63; მისივე, „გიორგის და თამარის“ სახელით მოჭრილი ფულის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1944, ტ. XII B, გვ. 191—195.

<sup>68</sup> Е. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 94, № 60; Д. Капанадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 65, № 64.

11. „მაენე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1

ტახტის მემკვიდრის სახელების მოხსენიება. რომელიმე მმართველის მიერ მონეტაზე საკუთარი სახელის აღნიშვნა დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნიშნავდა.

მას შემდეგ, რაც ხალიფამ დაკარგა საერო ხელისუფლება (945 წ.), მისი სახელის მოთავსება მონეტებზე ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მისი რელიგიური უზენაესობის აღიარებას ნიშნავდა. მაგრამ ამიერიდან მონეტის მოჭრის უფლება ცალკეული ამირა-სულტნების პრეროგატივი ხდება. „სიქქა“, საკუთარი სახელით მონეტის მოჭრის უფლება, ამა თუ იმ გამგებლის რეალური პოლიტიკური ძალაუფლების დეკლარაცია იყო.

საკუთარი სახელით ჭრიდნენ მონეტებს ქართველი მეფეები: დავით კურაპალატი, ბაგრატ III, ბაგრატ IV, გიორგი II, დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III<sup>69</sup>. ამ მეფეების სიცოცხლეში სხვას არავის მოუჭრია საქართველოში საკუთარი სახელით მონეტა, თუმცა მათ, რა თქმა უნდა, ჰყავდათ ტახტის მემკვიდრეები. მართალია, თამარის სახელი გვაქვს გიორგი III-ის მონეტებზე და დავით სოსლანისა — თამარის მონეტებზე, მაგრამ არც თამარს მოუჭრია მამის სიცოცხლეში საკუთარი ფული და არც დავით სოსლანს გაუტარებია საკუთარი სამონეტო პოლიტიკა.

გამონაკლის წარმოადგენს ლაშა-გიორგის მონეტები და ესეც იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ ამ მონეტების მოჭრა თამარის სიცოცხლეში მოხდა. ასეთი დაშვება კი ეწინააღმდეგება სამონეტო საქმეში არსებულ კანონებს, როგორც ჩვენში, ისე მახლობელი და შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში.

ლაშა-გიორგის 1210 წ. მონეტები გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა იმ მკვლევართ, რომლებიც თამარის გარდაცვალებას 1212 წლით საზღვრავდნენ.

პირველი, ვინც გაოცება გამოხატა ამ მონეტების გამო, იყო თვით მ. ბროსე. მას არაჩვეულებრივ მოვლენად ეჩვენებოდა ლაშა-გიორგის მიერ საკუთარი სახელით მონეტების მოჭრა თავისი დედის სიცოცხლეში<sup>70</sup>. მაგრამ ამაზე შორს მ. ბროსე აღარ წასულა. მისთვის მთავარი და გადამწყვეტი იყო წერილობითი წყარო, რომლის მიხედვით თამარი ცოცხალი ჩანდა 1212 წლამდე.

გაოცება გამოხატა ლაშა-გიორგის 1210 წ. მონეტების გამო ე. პახომოვმაც: „Дата показывает, что матрица была составлена еще при жизни Тамары в 1210 году, однако имя последней отдельно на монете не упоминается, и на первом месте выступает Гиоргий IV — факт очень странный, так как последнему в это время было всего 15 лет от роду и отстранение царицы от управления царством несколько непоширно“<sup>71</sup> (ხაზი ჩვენია — ავტორები).

ე. პახომოვის გაოცება კანონზომიერი იყო. გამოცდილი ნუმისმატი გრძნობდა, რომ ლაშა-გიორგის მონეტაში რაღაც პოლიტიკური ცვლილება იმალებოდა, მაგრამ მან ვერ დაარღვია თამარის ზეობის წლების ბროსესეული ქრონოლოგია, თუმცა მკვლევარი მაინც იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ლაშა-გიორგის მონეტებისათვის და დაასკვნა, რომ 1210 წელს თამარმა ძალაუფლება გადასცა თავის შვილს და თვითონ კი მონასტერში აღიკვეცა<sup>72</sup>!

<sup>69</sup> Е. Пахомов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 52, 55—56, 57—60, 61—70., 75—80, 80—85.

<sup>70</sup> М. Brosset, *Rapport*, გვ. 69.

<sup>71</sup> Е. Пахомов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 98.

<sup>72</sup> იქვე, 87.

ლაშა-გიორგის მონეტებმა ზოგიერთ მკვლევარს უკვე გამოათქმევინა ვარაუდი პოლიტიკურ ცვლილებაზე საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში 1210 წელს.

ასეთი დასკვნა გააკეთა ჯერ კიდევ 130 წლის წინათ მ. ბარათაევმა, ქართული ნუმისმატიკის შესახებ პირველი ფუნდამენტური ნაშრომის შემქმნელმა. ის წერდა, რომ ლაშა-გიორგის 1210 წ. მონეტა: „служит... верным доказательством, что Гиорги IV царствовал в этом году — и один, судя по штемпелям этих монет“<sup>73</sup>.

ასეთივე დასკვნა გამოიტანა ამ მონეტის საფუძველზე ცნობილმა საბჭოთა ნუმისმატიკმა ა. ბიკოვმა: „В 1210 г. Тамара передает престол сыну, номинальному соправителю её после смерти Давида, Георгию IV Лаша“<sup>74</sup>.

ნაწილობრივ ასე ვარაუდობს დ. ლენგიც. მისი აზრით, ლაშა-გიორგის მონეტები მიუთითებენ, რომ „დედამისმა, დაახლოებით ამ ხანებში, გადასცა სამეფო ხელისუფლების დიდი წილი გიორგის“<sup>75</sup>.

ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს ი. ჯალაღანიას სიტყვებიდანაც: „1210 წლიდან, გიორგი IV ლაშას გამეფებასთან ერთად (ხაზი ჩვენია — ავტორები) იწყება ახალი სახის მონეტის მოჭრა, სადაც მეფე თავს უწოდებს „გიორგი ძე თამარისა“<sup>76</sup>.

დასახელებულ მკვლევართა აზრი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ლაშა-გიორგის მონეტები თამარის ზეობის წლების განსაზღვრისას უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე ექცეოდათ თამარის შესახებ არსებულ გამოკვლევებში XIX საუკუნიდან დღემდე.

ლაშა-გიორგის 1210 წ. მონეტა აშკარად ასახავს საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში მომხდარ ცვლილებას.

ლაშა-გიორგის საკუთარი სახელით მონეტის მოჭრა შეეძლო სახელმწიფო გადატრიალების ან დედის სიკვდილის შემდეგ. თამარის სახელმწიფო საქმეებიდან ჩამოშორებისა (ნებით თუ იძულებით) და „მონასტერში აღკვეცის“ თაობაზე ჩვენ არავითარი, არც სარწმუნო და არც საეკლესიო, საბუთი არ გავაჩნია. გვრჩება, ვიგულისხმობთ მხოლოდ და მხოლოდ თამარის გარდაცვალება.

მხოლოდ ეს ფაქტი ხსნის იმას. თუ რატომ გვხვდება ერთსა და იმავე წელს ორი მეფის ტიპოლოგიურად განსხვავებული მონეტები<sup>77</sup>.

<sup>73</sup> М. Баратаев, Нумизматические факты Грузинского царства, СПб. 1844. გვ. 98.

<sup>74</sup> А. А. Быхов, Грузинские монеты XII—XIII вв., Памятники эпохи Руставели, Ленинград, 1938, გვ. 85.

<sup>75</sup> D. M. Lang, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

<sup>76</sup> ი. ჯალაღანია, თამარის ფული, ძეგლის მეგობარი, კრებული ოცდამესამე, თბილისი, 1970, გვ. 22.

<sup>77</sup> ისტორიამ შემოგვინახა ერთი საინტერესო და იშვიათი მონეტა, რომლის ერთი მხარე მოჭრილია თამარის 1210 წ. მონეტის ავერსის სიქით, მეორე კი — ლაშა-გიორგის 1210 წ. მონეტის რევერსის სიქით (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილება, საინ. № 3155; იხ. Е. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 101, 300; დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, გვ. 78). დ. კაპანაძე ამ ვარაუდობას იმით ხსნიდა, რომ ერთსა და იმავე ზარაფხანაში მუშაობის დროს ხელოსნებმა სიქები არიეს. ეს დასკვნა სავსებით რეალური და მართებულია. ხელოსნებს სიქარეში შესაძლოა აჩვენებდნენ ახალი მეფის სამონეტო სიქეზე თამარის მონეტების სიქეებში. მაგრამ, როგორც ჩანს, შეცდომა მაღე გამოსწორდა, რადგანაც თავი მონეტა, რომელაც არავითარ შემთხვევაში დამოუკიდებელი სამონეტო ტიპი არ არის, უნიკლემ წარმოადგინს. . .

დედის გარდაცვალების შემდეგ, ახალმა მონარქმა ლაშა-გიორგიმ, სამონეტო საქმეში არსებული წესის თანახმად, დაუყოვნებლივ განახორციელა საკუთარი მონეტის ემისია — მოკრა როგორც არასწორი ფორმის სპილენძის მონეტები, რომელთაც უნდა დაეკმაყოფილებინათ საშინაო ბაზრის მოთხოვნილება, ისე სწორი ფორმის სპილენძის მონეტები, რომლებიც ვერცხლის კრიზისის პერიოდში საგარეო ბაზარზეც გადიოდა.

როგორც პირველი, ისე მეორე ტიპის მონეტები (ქართულ და არაბულ ენებზე) ქართულ და არაქართულ მოსახლეობას, საქართველოს სახელმწიფოში და მის ფარგლებს გარეთაც, უცხადებდნენ საქართველოს ტახტზე ახალი მეფის ასვლის ფაქტს და წარმოადგენდნენ ახალი მეფის პოლიტიკური ძალაუფლების დეკლარაციას.

მამასაღამე, ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ თამარ მეფე გარდაიცვალა 1210 წლის პირველ ნახევარში.

ამ თარიღს მეტ-ნაკლებად ეთანხმებიან გვიანდელი ხანის ქართული წყაროები: ეპითაღმწერელი<sup>78</sup>, ფარსადან გორგიჯანიძე<sup>79</sup>, ვახუშტი ბაგრატიონი<sup>80</sup>.

„ქართლის ცხოვრების“ ბარათაშვილისეულ ნუსხაში აღნიშნულია, რომ თამარი გარდაიცვალა 1210 წელს<sup>81</sup>.

სწორედ ამ წყაროში დამოწმებული თარიღი შეუწყნარებლად მიიჩნია ი. ჯავახიშვილმა, რადგანაც „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით, თამარ მეფე გარდაიცვალა ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდგომ, „მამასაღამე არა უადრეს 1212 წლისა“<sup>82</sup>. ამავე თხზულებაში ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ აღწერილ მოვლენათა მიახლოებითი თარიღიც არ გაგვანჩინა<sup>83</sup>. მათი სავარაუდო ხანგრძლივობის საფუძველზე ი. ჯავახიშვილმა თამარის გარდაცვალების თა-

<sup>78</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 151.

<sup>79</sup> საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი H—2140, ფ. 33; შდრ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1966, გვ. 9; რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

<sup>80</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შეკვებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ, ნაწილი პირველი, თბილისი, 1885, გვ. 216; მართალია, ვახუშტის სიტყვით თამარი გარდაიცვალა 1201 წელს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ დაახლ. 1211 წ. (შდრ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი. ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. თბილისი, 1892, გვ. 292), XV საუკუნის წინაშე ქართულ ქრონოლოგიაში დამკვიდრებულ რადიკალურ შეცდომას დაახლ. ათი წლის ფარგლებში თავის დროზე მიუთითებდა სენ-მარტენი იხ. Saint-Martin, Memoires, t. II, Paris, 1819, გვ. 257, 292.

<sup>81</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 146, სქოლიო.

<sup>82</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 290.

<sup>83</sup> არ არის გამორიცხული, რომ „ისტორიანსა და აზმანში“ აღწერილ მთელთა ამბოხებასთან გაეაიგივოთ ის არეულობა მთაში, რომელსაც ვადმოკვეცვს იოანე ბაგრატიონი ლაშა-გიორგის მეფობისას. იხ. კ. კეკელიძე, ლიტერატურული წყაროები ლაშა-გიორგის ისტორიისათვის, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, გვ. 294. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ იოანე ბაგრატიონის ნაშრომი ძირითადად მომდინარეობს ვახუშტის თხზულებიდან; და რაც მთავარია, ამ ნაშრომში განსაკუთრებით ზუსტად არის დაცული ვახუშტის ქრონოლოგიური გამოანგარიშებანი და თარიღები (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 284). ვახუშტის ქრონოლოგიაში დაახლოებით ათწლიანი კორექტივას შეტანის შედეგად, საკუთლებულაა, რომ იოანე ბაგრატიონის მიერ აღნიშნული ამბოხება მომხდარიყო 1216—1217 წლებში.

რილად 1213—1214 წწ. აღიარა<sup>84</sup>. თუმცა ამ ორი თარიღიდან უფრო მართებულად მიიჩნევა 1213 წელს<sup>85</sup>.

აღსანიშნავია, რომ მ. ბროსე ეყრდნობოდა მხოლოდ ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების თარიღს და არ ითვალისწინებდა მომდევნო მოვლენებს<sup>86</sup>.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე არ ეთანხმება თამარის პირველ ისტორიკოსს და გვაუწყებს, რომ ზაქარია ცოცხალია ლაშა-გიორგის მეფობაშიც.

ლაშა-გიორგის დახასიათების შემდეგ ვკითხულობთ: „და იყო სამეფო მისი დიდსა დაწყნარებასა შინა, და იყვნეს გამგედ და განმზრახად ყოველთა საქმეთა მისთა მისისავე მშობლისობითგან(!) მხარგრძელი ზაქარია, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, და ივანე ათაბაგი“<sup>87</sup>.

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „მშობლისობითგან“ ორი სიტყვის შეცდომით შენაერთებს წარმოადგენს, მაგრამ „ობითგან“ რომელი სიტყვის დამახინჯებად უნდა იქნეს ცნობილი, ძნელი სათქმელია“<sup>88</sup>.

თუ ვერაწმუნებით ი. ჯავახიშვილის მოსაზრებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ დედანში ალბათ იქნებოდა: „მშობლის მეფობითგან“. ჩვენი აზრით, ეს ვარიანტი ზუსტად შეესიტყვება კონტექსტს. შესაძლოა, იმიტომ შეიკავა თავი ასეთი დასკვნისაგან ი. ჯავახიშვილმა, რომ უფრო მეტად ენდობოდა თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობას. მაგრამ ეს ცნობა საეჭვო უნდა იყოს.

თამარის გარდაცვალებას 1210 წ. ადასტურებს ეპისტოლური მასალა რომელსაც ქვემოთ შევვხებით\*.

<sup>84</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 290. ამავე ცნობების ვითარებისწინებით კ. კეკელიძემ თამარის გარდაცვალების თარიღი 1216 წლისათვის გადაიტანა. იხ. ისტორიანი და აზმანი შარავანდელთან (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941, შესავალი წერილი, გვ. 42, 43.

<sup>85</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 365, ტ. III, გვ. 9.

<sup>86</sup> M. Brosset, Additions, გვ. 297—298; თამარის გარდაცვალების სავარაუდო თარიღად (1212—1214 წწ.) მ. ბროსემ მხოლოდ იმიტომ დასკვნა, რომ მისი აზრით, ზოგიერთ სომხურ წარწერაში ზაქარია ცოცხალი ჩანს 1214 წელს, იხ. M. Brosset, Additions, გვ. 275—276.

<sup>87</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 370.

<sup>88</sup> ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე, გამოსცა ი. ჯავახიშვილმა, თბილისი, 1927, გვ. 8.

\* დასასრული შემდეგ ნომერში.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

### წელი წარმოუდგენელი

#### ჰანს ფოგტის „ქართული ენის გრამატიკა“

გამოჩენილი ნორვეგიელი ენათმეცნიერი, პროფესორი ჰ. ფოგტი ეკუთვნის იმ უცხოელ მკვლევართა რიცხვს, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართველოლოგიის განვითარებაში. ამ დამსახურებისათვის ჰ. ფოგტი 1968 წ. აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

ჰ. ფოგტი პრაქტიკულად ქართულ ენას საქართველოში დაეუფლა.

ჰ. ფოგტს ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევები ქართველურ ენებზე, როგორცაა მაგ., წერილები: „ხმოვანთამონაცვლეობის შესახებ ქართულში“<sup>1</sup> (1939). „ზმნის სუფიქსები ძველ ქართულში“<sup>2</sup> (1947); „ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში“<sup>3</sup> (1947); „ზმნურ ფორმათა კლასიფიკაცია ქართულში“<sup>4</sup> (1969) და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰ. ფოგტის წიგნები: „ახალი ქართული ენის გრამატიკის ნარკვევი“<sup>5</sup> (1936); „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“<sup>6</sup> (1938).

სხვა იბერიულ-კავკასიური ენებიდან ჰ. ფოგტი იკვლევს უბიხურ ენას, რომელიც ამჟამად ტერიტორიულად მოწყვეტილია სხვა მონათესავე ენებს. უბიხურ ენაზე მოლაპარაკეთა მცირე ჯგუფი თურქეთში ცხოვრობს. ჰ. ფოგტს ეკუთვნის „უბიხური ენის ლექსიკონი“<sup>7</sup> (1963), „უბიხური ენის ფონეტიკური სისტემა“<sup>8</sup> (1960).

ჰ. ფოგტის „ქართული ენის გრამატიკა“<sup>9</sup> გამოვიდა 1971 წ. ნორვეგიაში, ქალაქ ოსლოში, ფრანგულ ენაზე. ავტორი წიგნს უძღვნის თავისი მასწავლებლისა და ერთგული მეგობრის ილია აბულაძის სსოვნას.

გრამატიკაში წინასიტყვაობა და შესავალი ერთად არის წარმოდგენილი. აქ ავტორი აღნიშნავს, რომ მისი „ქართული ენის გრამატიკა“ ბევრად განსხვავდება მისივე „ახალი ქართული ენის გრამატიკის ნარკვევისაგან“<sup>10</sup>, თუმცა ძი-

<sup>1</sup> H. Vogt, Alternances vocaliques en géorgien, 1939, NTS, XI.

<sup>2</sup> H. Vogt, Suffixes verbeaux en géorgien ancien, 1947, NTS, XIV. ქართ. თარგმანი იხ. კრებულში „მიმოხილველი“ 4—5, თბილისი, 1968, გვ. 284.

<sup>3</sup> H. Vogt, Le système des cas en géorgien ancien, იქვე, ქართ. თარგმანი, გვ. 252.

<sup>4</sup> H. Vogt, Le classement des formes verbales du géorgien, ქართ. თარგმანი იხ. კრებულში „გიორგი აბულაძის“, თბილისი, 1969, გვ. 32.

<sup>5</sup> H. Vogt, Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, Oslo, 1936.

<sup>6</sup> H. Vogt, Structure phonémique du géorgien, Oslo, 1958, ქართულად თარგმანი ზ. ა. ლ. შ. ა., თბილისი, 1961.

<sup>7</sup> H. Vogt, Dictionnaire de la langue ousbikh, Oslo, 1963.

<sup>8</sup> H. Vogt, Le système des sons de l'ousbikh, XXV congr. orient, 1960.

<sup>9</sup> H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, Oslo, 1971.

<sup>10</sup> H. Vogt, Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, Oslo, 1936.

რითადი შეხედულებები ორივე გრამატიკაში უცვლელიაო. „ნარკვევის გამოცემის დროს, წერს პ. ფოგტი, ქართული ენის შესახებ არსებობდა მხოლოდ ა. შანიძის პატარა გრამატიკა (1930) და რ. მეკელიანის ლექსიკონი (1928). დღესდღეობით მდგომარეობა სრულიად შეიცვალა, გამოვიდა ა. შანიძის გადრმავებული აღწერები: მისი „პრინციპები“ (1942—43) და გრამატიკები (1955 და 1962).

პ. ფოგტი აღნიშნავს, რომ ა. შანიძის (რომელსაც იგი თავის მასწავლებლად და მეგობრად თვლის) გავლენა იგრძნობა წიგნის თითქმის ყოველ ნაწილზე. იქაც კი, სადაც იგი პირდაპირ არ მიუთითებს მასზე და იქაც, სადაც იგი სხვა ინტერპრეტაციას იძლევა. აგრეთვე ავტორი ასახელებს კიტა ჩხენკელის წიგნს *Einführung in die georgische Sprache* (Bern, 1958), თბილისის უნივერსიტეტის შრომებსა და მოამბეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეს“ ჟურნალს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ და ბევრ კრებულსა და მონოგრაფიას, რომლებიც მის მიერ იქნა გამოყენებული. აკადემიის ლექსიკონით ხელმძღვანელობდა პ. ფოგტი თავისი გრამატიკის ხელნაწერის რედაქციის დროს. ლექსიკონი, ავტორისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, ფასდაუდებელი გზის მაჩვენებელი იყო სიტყვათა მნიშვნელობისა და გამოყენებისათვის, ასევე სიტყვათა წარმოებისათვის. პ. ფოგტი აგრეთვე ემყარებოდა ტექსტების კითხვის დროს ჩაწერილ შენიშვნებს.

წიგნი პირველ რიგში განკუთვნილია არაქართველი ლინგვისტებისათვის, რომელთაც სურთ ქართული ენის სტრუქტურას გაეცნონ.

„ქართული ენის გრამატიკა“ 254 გვერდს მოიცავს. დართული აქვს დასახელებულ ავტორთა და ნაშრომთა სია, შემოკლებათა განმარტებები და ინდექსი; ბოლოში საძიებელია.

შესავალში ავტორი გვაძლევს მოკლე ცნობებს ქართველურ ენათა და მათი დიალექტების შესახებ.

ნაშრომის შედგენილობა ასეთია: წინასიტყვაობა და შესავალი (გვ. 1), ფონოლოგია (გვ. 7—17); ბრუნება (გვ. 17—75), თანდებულები (გვ. 75—79); უღვლილება (გვ. 79—225), სიტყვაწარმოება (გვ. 225—254).

პ. ფოგტის ნაშრომი სინქრონიული ხასიათისაა. ავტორი გრამატიკულ კატეგორიებს განიხილავს როგორც სისტემის წევრებს, გამოავლენს მათ შორის არსებულ კავშირებს, ამყარებს იერარქიულ მიმართებებს გრამატიკულ მოვლენათა შორის.

ავტორი ფიქრობს, რომ ლინგვისტის მიზანია, „მისცეს სისტემას, რომელსაც იგი იკვლევს, არაწინააღმდეგობრივი, სრული და რაც შეიძლება მარტივი აღწერა“<sup>11</sup>. მართლაც, თავის „ქართული ენის გრამატიკაში“ ავტორი ცდილობს დაიცვას ეს მოთხოვნა. სტრუქტურული დეფინიციები, რომლებსაც გვთავაზობს იგი, ყოველთვის ფორმალურია, ამასთანავე მკვლევარი ითვისისწინებს გრამატიკული ფორმის (კატეგორიის) ფუნქციონალურ მხარეს.

პ. ფოგტი ზოგჯერ დიარქონიული თვალსაზრისითაც განიხილავს ქართული ენის ფაქტებს. ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას მას მოჰყავს ძველი ქართული ენის ფორმები. რიგ შემთხვევებში მიუთითებს ქართველ ლინგვისტთა

<sup>11</sup> H. V o g t, *Le classement des formes verbales du géorgien*, ზმნურ ფორმათა კლასიფიკაცია ქართულში (შენიშვნები მეთოდის შესახებ და სისტემის ესკიზი), კრებულში „გიორგი ახვლედიანი“, 1969, თბილისი, გვ. 39.



ისტორიული ხასიათის გამოკვლევებზე. აქა-იქ სხვა ქართველურ ენათა მონაცემებსაც ითვალისწინებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნორვეგიელი ქართველოლოგი თავისუფლად ფლობს ქართულ ენას. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ავტორი ითვალისწინებს გრამატიკულ ფორმათა სტილისტურ-სემანტიკურ ნიუანსებს, აღნიშნავს ზოლმე შეუსაბამობის შემთხვევებს ამა თუ იმ გრამატიკულ ფორმასა და შინაარსს შორის.

3. ფოგტს მოპოვებული აქვს დიდძალი საკუთარი საილუსტრაციო მასალა, რომელიც ამოღებულია სხვადასხვა ქართველი მწერლების ნაწარმოებებიდან. ავტორი უხვად და მოხერხებულად გვაწვდის ამ ნიმუშებს. ზოგჯერ იგი იყენებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ილუსტრაციებს, აგრეთვე ა. შანიძის გრამატიკებში მოცემულ მაგალითებს.

ავტორი ითვალისწინებს ქართულის დიალექტების მონაცემებსაც.

„ქართული ენის გრამატიკა“ ძირითადად ქართული ენის მორფოლოგიის საკითხებს ეხება.

დამოუკიდებელი კვლევა-ძიება ჩაატარა ავტორმა ფონოლოგიის<sup>12</sup> სფეროში. მან სპეციალური გამოკვლევაც მიუძღვნა ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის აღწერას, ამიტომ თავისი გრამატიკის პირველ თავში ფონოლოგიის საკითხებს იგი მოკლედ განიხილავს, მიუთითებს, რა თავის ნაშრომზე „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“<sup>13</sup>. ავტორი ახასიათებს ფონემათა ფიზიკურ თვისებებს, გვაწვდის ქართული ენის ფონემათა დისტრიბუციის წესებს, ეხება აგრეთვე მახვილთან დაკავშირებულ საკითხებს. ფონოლოგიაში 3. ფოგტი არ აღწერს ფონემათა ცვლილებებს, მაგრამ მორფოლოგიური საკითხების განხილვისას ითვალისწინებს მორფო-ფონემატურ პროცესებს. იგი ყურადღებას ამახვილებს გრამატიკულ ფორმათა ფონემატურ სტრუქტურებზე და ზოგჯერ ფორმაწარმოებისას მომხდარ ცვლილებებს ამ ფორმათა ფონემატური სტრუქტურით ხსნის. მაგ., სახელის ფუძის სტაბილურობა-არასტაბილურობის ანუ რედუქციის ერთ-ერთ მიზეზად იგი ფუძის ფონემატურ სტრუქტურას ასახელებს.

პირველად ამავე საკითხებს შეეხო ავტორი უფრო ადრე, თავის „ახალი ქართული ენის გრამატიკის ნარკვევში“, სადაც ძალიან მოკლედ განიხილა კონსონანტური ჯგუფების სტრუქტურა, ჩამოაყალიბა ზოგადი კანონი დისტრიბუციის ზოგიერთი შემთხვევის შესახებ<sup>14</sup>.

თანხმოვანთა კლასის დახასიათება ახალ გრამატიკაში შეცვლილია. „ნარკვევში“ ავტორი გამოყოფდა შემდეგ კლასებს: ხმულები, რომლებშიც გარჩეული იყო: ყრუ (პ...); ყრუ ასპირირებული (ფ...); მქდერი (ბ...). ყრუ თანხმოვნებს ის ახასიათებდა როგორც არაფშვინიერებს. თუმცა მათი მკვეთრობა გათვალისწინებული ჰქონდა. სპირანტებში გამოყოფდა სისინებს (ზ, ს), შიშინებს.

<sup>12</sup> ფონოლოგიაში 3. ფოგტის ნაშრომა მნიშვნელობის შესახებ იხ. ვ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, „3ანს ფოგტის შრომები ქართული ენის შესახებ“, კრებულში „მიმოხილველი“ №6—9, 1972, გვ. 219—229.

<sup>13</sup> 3. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა. ნარკვევი ფონემებისა და ფონემათა ჯგუფების კლასიფიკაციისა, ამ ნაშრომში ავტორი ფონემებს აჯგუფებს მათი ფუნქციების მიხედვით.

<sup>14</sup> H. V o g t, Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, გვ. 15.

(ე, შ) და ველარულებს (ღ, ხ). ნ, მ თანხმოვნებს ახასიათებდა როგორც ნაზალებს, ხოლო ლ, რ-ს როგორც ლიკვიდებს<sup>15</sup>.

„ქართული ენის გრამატიკაში“ ავტორი გამოყოფს სამ კლასს: ხშულებს, სპირანტებსა და სონანტებს. ხშულებში ასეთი დაპირისპირება გვაქვს: მქლერი-ყრუ-გლოტალიზებული. ყრუ თანხმოვნებს ჰ. ფოგტი ახასიათებს პოზიტიურად, როგორც ძლიერი ასპირაციის მქონე თანხმოვნებს. სპირანტებსა და ფრიკატივებში გვაქვს ოპოზიცია: მქლერი --- ყრუ. ავტორი გამოყოფს აგრეთვე თანხმოვანთა მესამე კლასს — სონანტებს (მ, ვ, ნ, რ, ლ), რომლებიც ამ დაპირისპირების თვალსაზრისით ნეიტრალურნი არიან, ჰ — თანხმოვანი სისტემის განაპირასაა<sup>16</sup>.

„ქართული ენის გრამატიკაში“ არ არის ცალკე გამოყოფილი სინტაქსი, მაგრამ ჰ. ფოგტი ეხება სინტაქსთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს, როგორცაა მგ., დაქვემდებარება, თანწყობა, სიტყვათა რიგი წინადადებაში<sup>17</sup>. ეს საკითხები ავტორს თავის ძველ გრამატიკაშიც ჰქონდა განხილული<sup>18</sup>.

მორფოლოგიის აგებულება ტრადიციულია, ავტორი პირველად განიხილავს სახელის ფორმაცვალებადობას, შემდეგ ზმნისას, ბოლოში აღწერილია დერევაცია.

რამდენადაც ქართულში ზმნა სახელთან შედარებით მეტი სირთულით ხასიათდება, ზმნასთან დაკავშირებული პრობლემები ყველაზე ვრცლად არის წარმოდგენილი. ავტორი სრულად განიხილავს ზმნურ კატეგორიებს (პირი, რიცხვი, დრო, ასპექტი, გარი, ქცევა, კაუზატივი), აჯგუფებს ზმნებს ფორმალური ნიშნების მიხედვით, გვაწვდის გრამატიკული კატეგორიების ფორმალურ დეფინიციებს.

სახელთან დაკავშირებით ავტორი განიხილავს ბრუნვებსა და მათ ფუნქციებს, ფუძეთანხმოვნიან და ფუძეხმოვნიან სახელებს, მათ რედუქციას, გამოყოფს სრულ (ნართაული ა ხმოვნით) და არასრულ ბრუნვებს. განიხილავს სახელთა ფონემატურ სტრუქტურებს.

საზოგადოდ, ჰ. ფოგტი კარგად იცნობს და იყენებს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურას, მაგრამ განსაკუთრებით ის ემყარება ა. შანიძის „გრამატიკებს“. ჰ. ფოგტი თვითონ აღნიშნავს, რომ ა. შანიძის გავლენას განიცდის იქაც კი, სადაც იგი მასზე არ მიუთითებს. ამიტომ კანონზომიერად გვეჩვენება იმის ჩვენება, თუ რა არის ნორვეგიელ მკვლევართან განსხვავებული ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებთან“ შედარებით. გზადაგზა მითითებული იქნება აგრეთვე, თუ რა მიმართებაშია ჰ. ფოგტის „ქართული ენის გრამატიკა“ მისავე „ქართული ენის გრამატიკის ნარკვევთან“. ეს შესაძლებლობას მოგვცემს თვალი მივაღვეწოთ ავტორის შეხედულებათა ევოლუციას.

1. ერთ-ერთ ძირითად სხვაობას ა. შანიძისა და ჰ. ფოგტის გრამატიკებს შორის, ჩვენი აზრით, ქმნის განსხვავებული მიდგომა გრამატიკის ზოგადი კატეგორიებისადმი. ა. შანიძისთან გრამატიკული კატეგორიების დახასიათებისას ფორმალური განსაზღვრებების გვერდით ვხვდებით მათ ფუნქციურ კვალიფიკაციებსაც. საერთოდ, ავტორი გახაზავს ფუნქციის უპირატესობას ფორმასთან შედარებით. მოვიყვანთ ავტორის მსჯელობას ფორმისა და ფუნქციის შესახებ:

<sup>15</sup> H. Vogt, *Esquisse d'une grammaire du géorgien moderne*, გვ. 10.

<sup>16</sup> H. Vogt, *Grammaire de la langue géorgienne*, გვ. 9, 11.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 195—220.

<sup>18</sup> H. Vogt, *Esquisse d'une grammaire du géorgien moderne*, გვ. 269—277.

„ორნივე ერთად „ფორმა“ და „ფუნქცია“ ერთ მთლიანობას ქმნიან. რადგანაც, საზოგადოდ, ფორმა ფუნქციისათვის არის შექმნილი და არა ფუნქცია ფორმისათვის, ამიტომ საბოლოოდ გადამწყვეტია ფუნქცია“<sup>19</sup>. ამის საპირისპიროდ, ჰ. ფოგტი გრამატიკულ კატეგორიებს ფორმალური პრინციპის მიხედვით გამოყოფს. მას მიაჩნია, რომ ენის აღწერის დროს განსაზღვრებები და წესები უნდა იყოს ფორმალური<sup>20</sup>. გრამატიკულ ფორმათა ფუნქციებს იგი ცალკე განიხილავს.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს იმის საილუსტრაციოდ თუ განსხვავებული ამოსავალი პრინციპის გამო, რამდენად სხვადასხვაგვარ დეფინიციებს გვაწვდის გრამატიკულ კატეგორიებზე მსჯელობისას ავტორები. მაგ., პირთა დახასიათება ა. შანიძესთან ამ კატეგორიის ფუნქციიდან ამოსვლით არის მოცემული: „პირის ნიშნები ქართულში ორგვარია: სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტურია ნიშანი, რომელიც პირს ზმნის ფორმაში სუბიექტად, ანუ მოქმედად სახავს და ობიექტურია ნიშანი, რომელიც ზმნის ფორმაში გამოხატულ პირს ობიექტად, ანუ უმოქმედოდ წარმოგვიდგენს. რადგანაც ერთ რიგს შეთავაზობს პირველი პირის ნიშანი ვ, ხოლო მეორეს — იმავე პირველი პირის ნიშანი მ, ამიტომ სუბიექტურ რიგს ვინის რიგი ვუწოდეთ, და ობიექტურს მანის რიგი“<sup>21</sup>.

ამის საპირისპიროდ ჰ. ფოგტი მხოლოდ ფორმალურ დეფინიციებს გვაწვდის. მისი თვალსაზრისით, სუბიექტისა და ობიექტის ცნებები შეიძლება განისაზღვროს შესაბამისად პირის აფიქსთა ორი სერიის მიხედვით, რომლის თითოეული წევრი ასრულებს ერთსა და იმავე ფუნქციას ბირთვში<sup>22</sup>. მაგ., ზმნური ფორმის სუბიექტი არის სახელური სიტყვა, რომელზეც მიუთითებს პირველი სერიის აფიქსი. ზმნური ფორმის დამატება<sup>23</sup> არის სახელური სიტყვა, რომელზეც მიუთითებს მეორე სერიის აფიქსი. ამ აფიქსებს ობიექტურ აფიქსებს (პრეფიქსებს) უწოდებენ<sup>24</sup>. ზმნის პირი, გრამატიკული სუბიექტი და ობიექტი ჰ. ფოგტს „ახალი ქართული ენის გრამატიკის ნარკვევში“ ისევე აქვს განსაზღვრული, როგორც „ქართული ენის გრამატიკაში“. იქაც ავტორი ადგენს პირის აფიქსთა ორ ფორმალურ რიგს: ვინისა და მანის რიგებს და შესაბამისად უწოდებს მათ სუბიექტურ და ობიექტურ აფიქსებს. ჩოლო სახელებსა და ნაცვალსახელებს, რომლებიც ამ აფიქსებზე მიიმართებიან, — გრამატიკულ სუბიექტსა და გრამატიკულ ობიექტს.

პირებზე მსჯელობისას ჰ. ფოგტი არ იძლევა მათ ფუნქციონალურ დახასიათებას, ამიტომ გაუგებარი რჩება მისი შენიშვნა, რომ ზოგჯერ ამ ნიშნების გამოყენება ეწინააღმდეგება მოლაპარაკის ინტუიციას<sup>25</sup>. აქ იგულისხმება ინვერსიის შემთხვევები, როდესაც სუბიექტური პირის ნიშნით აღნიშნულია

<sup>19</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1953, თბილისი, გვ. 195.

<sup>20</sup> H. V o g t, Le classement des formes verbales du géorgien, კრებულში „გეორგი ახლედ-დიანი“, 1969, გვ. 32.

<sup>21</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 198, შდრ., გვ. 170, 175, 182.

<sup>22</sup> H. V o g t, Grammaire de la langue géorgienne, გვ. 128. ზმნისა და მასთან დაკავშირებული სიტყვებს, რომლებიც აფიქსებით აღნიშნებიან, ჰ. ფოგტი ბირთვის უწოდებს. ბირთვის კატალიზის ცნება ჰ. ფოგტს ლ. იელმსლევის მოძღვრებიდან აქვს აღებული.

<sup>23</sup> ჰ. ფოგტი ობიექტის ნაცვალ დამატებას ხმარობს.

<sup>24</sup> H. V o g t, Grammaire de la langue géorgienne, გვ. 119, 120.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 81.

ობიექტი და პირუკუ. თუ სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ფუნქციებზე არ მივუთითებთ, ისე ამგვარ შემთხვევათა კვალიფიკაციას ვერ მოვახდენთ.

ფუნქციის გათვალისწინებით განსაზღვრავს ა. შანიძე ქცევის კატეგორიას. ეს დეფინიცია ასეთია: „ქცევა ანუ ვერსია არის ზმნის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რა ურთიერთობა კუთვნილება-დანაშინულების თვალსაზრისით სუბიექტსა და ობიექტს შორის“<sup>26</sup>. ფუნქციათა მიხედვით გამოყოფს ავტორი საარვისო (ნეიტრალურ), სათავისო (სასუბიექტო) და სასხვისო (საობიექტო) ქცევებს. „საფუძვლებში“ მას აღარ შეუტანია მის მიერ ადრე გამოყოფილი „სათანაო“ და „საზედაო“ ვერსიები. შესაბამისად აწერილია<sup>27</sup> ტიპის ფორმებს ავტორი თვლის სიტუაციის და არა ქცევის კატეგორიად. იგი აღნიშნავს პრინციპულ განსხვავებას ამ ორ კატეგორიას შორის.

3. ფოგტისეული დეფინიცია ქცევისა ფორმალურია. იგი ვერსიასა და გვარს ზოგადად ერთდროულად განსაზღვრავს: „პირის პრეფიქსები ზმნის თემისაგან გამოყოფილია ეოკალური პრეფიქსებით, რომლებიც ქცევისა და გვარის კატეგორიებს გამოხატავენ“<sup>28</sup>. შემდეგ იგი გვაძლევს ქცევის სპეციალურ განსაზღვრებას, მაგ., „ძირს ან ფუძეს წინ უძღვის ხოლმე ა ი ა უ ხმოვნები, რომლებიც თიშავენ მათ პირის პრეფიქსებისაგან, თუ პირის პრეფიქსები ან პრევერბები წინ უძღვიან უშუალოდ თემას, ავტორი ანალოგიით ნულ-ხმოვნიან პრეფიქსზე ლაპარაკობს“<sup>29</sup>. ფორმალური განსაზღვრების შემდეგ იგი გადადის ქცევათა ფუნქციების განხილვაზე. ავტორი აღნიშნავს, რომ პრეფიქსულ ვნებითებში ქცევის კატეგორია ნეიტრალიზებულია. საინტერესოა, რომ ავტორს შეაქვს ქცევათა სისტემაში ა. შანიძის მიერ ამოღებული „საზედაო“ ქცევა, რომელსაც ეოკალურ ქცევას უწოდებს და ა ხმოვანი პრეფიქსით ახასიათებს. სიტუაციას, როგორც ქცევისაგან დამოუკიდებელ კატეგორიას, იგი არ გამოყოფს.

ქცევა ანუ ვერსია „ახალი ქართული ენის გრამატიკის ნარკვევშიც“ ფორმალური ნიშნის მიხედვით არის განსაზღვრული. ავტორი აღნიშნავს, რომ ზმნურ ხმოვნურ პრეფიქსებს შეუძლიათ გამოხატონ სახელთა შორის მიმართებები: „ზმნური კატეგორია, რომელიც თავის ფორმალურ გამოთქმას პოულობს ამ პრეფიქსებში, არის ვერსია“<sup>30</sup>. ავტორი გამოყოფს ოთხ ქცევას: სუბიექტურს, ობიექტურს, საზედაოსა და ნეიტრალურს.

როგორც ვხედავთ, 3. ფოგტი ცდილობს მოგვაწოდოს რაც შეიძლება ფორმალური დეფინიციები, მაგრამ იქ, სადაც ეს არ ხერხდება, იგი საერთოდ არ იძლევა განსაზღვრებებს, მაგ., არ არის დახასიათებული ზმნის პირველი, მეორე და მესამე პირი, ზოგჯერ კი ავტორი ფუნქციურ დეფინიციებს მაინც ვერ უვლის გვერდს. მაგ., კაუზატივის განსაზღვრებისას<sup>31</sup>.

2. რადგანაც ა. შანიძე გარკვეულ შემთხვევებში ფუნქციას ანიჭებს უპირატესობას. ამიტომ იგი, როდესაც ერთ ფორმანტს რამდენიმე ფუნქცია აქვს, შეპირისპირების საფუძველზე გამოყოფს დამოუკიდებელ კატეგორიებს, რომლებიც მას ადრინდელ შრომებში არ ჰქონია გამოყოფილი. ასეთია, მაგ., გეზი

<sup>26</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 332.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 382, 383.

<sup>28</sup> H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, გვ. 79.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 118.

<sup>30</sup> H. Vogt, Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, გვ. 118.

<sup>31</sup> H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, გვ. 128.

და ორიენტაცი ა<sup>32</sup>; (გეზის სახელით ავტორი აღნიშნავს ზმნით გამოხატული მოქმედების დამოკიდებულებას სივრცეში მდებარე სხვადასხვა პუნქტთან, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ეს დამოკიდებულება უარყოფითია ან დადებითი. მაგ., წერა და ჩაწერა. ორიენტაციის სახელით ავტორი აღნიშნავს გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს მოუბარი პირის დამოკიდებულებას ზმნით გამოხატულ მოქმედებასთან, რომლის მიხედვით ირკვევა, განიხილავს მოუბარი (I პირი) ამ მოქმედებას როგორც ისეთს, რომელიც მიმართულია იმ პოზიციისაკენ, რომელიც თვითონ უპირავს სივრცეში, თუ როგორც ისეთს, რომელიც საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის. ჯერობა<sup>33</sup>; (ჯერობა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ არის მოქმედება ჩადენილი, ერთხელ თუ მრავალჯერ, ანუ ერთგზის თუ მრავალგზის. მაგ., მოიტანა და მოიტანის); აქტი<sup>34</sup> (აქტი ანუ საქმე არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება თუ არა); თანამდევრობა<sup>35</sup> (ეს არის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია დროული მიმართება ორი მოქმედებისა წარსულსა ან მომავალში); სიტუაცია<sup>36</sup> (ეს არის ზმნის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების ლოკალიზაციას ამა თუ იმ საგანთან მიმართებით).

ზემოჩამოთვლილი კატეგორიებიდან გეზი და ორიენტაცია პრევერბთა ფუნქციებთან არის დაკავშირებული, სიტუაცია ქვეყის მაწარმოებლის ერთ-ერთი ფუნქციაა; ჯერობა, აქტი, თანამდევრობა გამოყოფილია დროის კატეგორიიდან სემანტიკური თვალსაზრისით. არც ერთი ამ კატეგორიათაგანი „ქართული ენის გრამატიკაში“ არ გვხვდება. რამდენადაც ეს კატეგორიები ა. შანიძის 1930 წლის გრამატიკაში არ ყოფილა გამოყოფილი, ბუნებრივია, მათ ვერცხვდებით ვერც „ნარკვევში“.

3. ა. შანიძე გამოყოფს მწკრივის კატეგორიას, რომელსაც ძალიან დიდ ღირებულებას ანიჭებს, როგორც ზმნურ მახასიათებელს. იგი მწკრივს<sup>37</sup> განსაზღვრავს როგორც რთულ კატეგორიას, შედგენილს მარტივი ელემენტებისაგან, კერძოდ, დროსა და კილოსაგან. ზოგჯერ იგი ვართულებულია სხვა კატეგორიებით: ჯერობით, აქტით, თანამდევრობით. 3. ფოგტი არ მსჯელობს მწკრივზე, როგორც დამოუკიდებელ კატეგორიაზე.

ახლა განვიხილოთ ის საკითხები, რომლებიც ორიგინალურად დასვა 3. ფოგტმა. ამ რიგისა, მაგ., მეტყველების ნაწილთა გამოყოფის კრიტერიუმი. ავტორი აღნიშნავს, რომ ფორმალურად ქართულში მკაფიოდ უპირისპირდება ერთმანეთს სახელი და ზმნა. მათ განსხვავებული კატეგორიები ახასიათებს, სახელი იბრუნვის, ხოლო ზმნა იუღვლება, ამდენად ისინი ფორმაცვალებად სიტყვებს წარმოადგენენ და უპირისპირდებიან ჰეტეროგენულ არაცვალებად სიტყვებს (ზმნიზედებს, კავშირებს, ნაწილაკებსა და შორისდებულებს)<sup>38</sup>.

სახელთა ჯგუფში ავტორი გამოყოფს არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელებს, რომელთა გამიჯვნასაც ფორმალური სინტაქსუ-

<sup>32</sup> ა. შანიძე, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, გვ. 244.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 214.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 215.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 217.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 382.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 217, 220.

<sup>38</sup> H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, გვ. 17.

რი ნიშნის მიხედვით ცდილობს. ასე მაგ., ზოგი ფუძე უპირატესად მსაზღვრელის როლში გამოიყენება, ზოგი კი საზღვრულის როლში, შესაბამისად გამოიყენება ზედსართავი და არსებითი სახელი; ჰ. ფოგტი იქვე მიუთითებს, რომ მორფოლოგიური თვალსაზრისით არსებითი სახელისა და ზედსართავი სახელის დაპირისპირება არ არის ნათელი<sup>39</sup>. ავტორი იყენებს სიტყვათა რიგს სახელურ ჯგუფებში ზედსართავულ სიტყვათა (ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ნაცვალ-სახელები) გამოყენისათვის. წინადადებაში „ეს ჩემი ორი კარგი მეგობარი“ ზედსართავულ სიტყვებში დაცულია თანმიმდევრობის იერარქია, რომელიც, მისი აზრით, საფუძველია ამ სიტყვათა სხვადასხვა მეტყველების ნაწილებად მიჩნევისათვის<sup>40</sup>. ჯერ ნაცვალსახელია, მას მოსდევს რიცხვითი სახელი, ამ უკანასკნელს კი — ზედსართავი სახელი.

მეტყველების ნაწილთა ფორმალურად (სინტაქსური ნიშნის მიხედვით) გამოიყენას პირველად „ქართული ენის გრამატიკაში“ ვხვდებით, „ახალი ქართული ენის ნარკვევში“ ავტორი ამ საკითხზე არ მსჯელობს.

როგორც ვხედავთ, ჰ. ფოგტს მეტყველების ნაწილები თავისი ზოგადი პრინციპის შესაბამისად ფორმალური ნიშნების მიხედვით აქვს განსაზღვრული და არა ტრადიციულად. ჰ. ფოგტმა მართებულად შენიშნა, რომ ქართულში არსებითი სახელის კლასი და ზედსართავი სახელის კლასი მორფოლოგიურად არ განსხვავდებიან<sup>41</sup>. ის მაინც შეეცადა გაემიჯნა ერთმანეთისაგან ეს ტრადიციული მეტყველების ნაწილები ფორმალურად და ამისათვის გამოიყენა სინტაქსური ნიშანი.

ზმნის განხილვისას ჰ. ფოგტის ნაშრომში ყურადღებას იქცევს: 1. ზმნათა კლასიფიკაცია<sup>42</sup> ფორმალური ნიშნების მიხედვით. ჰ. ფოგტი გამოყოფს ზმნათა შვიდ ჯგუფს. აქედან პირველია ძირეული ზმნები, ხოლო დანარჩენი ექვსი ჯგუფი დაპირისპირებულია აწმყოში გამოყენებული თემატური ნიშნებით. ავტორი გრამატიკულ კატეგორიებს ამ ჯგუფებთან შინაგან კავშირში განიხილავს, ამ ჯგუფებს უდებს იგი საფუძველად ზმნათა უღვლილებას, აღნიშნავს, როგორი აორისტი შეესაბამება ამ ჯგუფებს. ძლიერი აორისტი (უნიშნო), თუ სუსტი აორისტი (ნიშნინანი). იგი აღწერს ჯგუფებში შემავალი ზმნების სტრუქტურებს<sup>43</sup>.

აქ, შესაძლებელია, პარალელი გაგვევლო ნ. მარის მიერ ჩატარებულ კლასიფიკაციასთან, რომელსაც ავტორმა საფუძველად დაუდო აორისტის ფუძეთა სხვაობა და სამი უღვლილება გამოყო: ა.-ნიშნინანი (ვ-კალ), ე.-ნიშნინანი (ვ-ქმენ) და ი.-ნიშნინანი (ვ-კრიბე<sup>44</sup>). (ხმოვანი ნ. მარისათვის ფორმანტია იმისდა მიუხედავად, ფუძეშია იგი თუ ფუძის გარეთ).

2. საინტერესოდ გვეჩვენება ჰ. ფოგტის ცდა, გამოყოფს აწმყოს, აორისტისა და პერფექტის ჯგუფთა ანუ სერიათა განმასხვავებელი ნიშნები. ქართულ

<sup>39</sup> Grammaire de la langue géorgienne, გვ. 18.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 220.

<sup>41</sup> ამის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I პროპედევტიკული ნაწილი, II გამოც. 1939, გვ. 133.

<sup>42</sup> იხ. ჰ. ფოგტი, ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში, მიმოხილველი 4—5, 1968, გვ. 284.

<sup>43</sup> H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, გვ. 180.

<sup>44</sup> Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 146.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად ზმნის სერები ერთმანეთს უპირისპირდება დროითა და კილოთი. ნორვეგიელი ავტორი აწმყოს, აორისტისა და პერფექტის ჯგუფთა დისტინქციურ ნიშნებად იღებს დროსა და ასპექტს. ჰ. ფოგტის აზრით, უპირველეს ყოვლისა ასპექტით ხდება როგორც თხრობითი, ისე კავშირებითი კილოს შემცველ ფორმათა დაპირისპირება სერიათა მიხედვით. ასე მაგ., წერს და დაუწერია ორივე აწმყოა (აწმყოსთან მიმართებაში იმყოფებიან), მათ შორის განსხვავებას ქმნის ასპექტი: პირველი ფორმა დიურატიული ასპექტისაა, მეორე — რეზულტატიურისა. სამივე კავშირებითი უპირისპირდება ერთმანეთს ასპექტით: კავშ. I — დიურატიული ასპექტისაა, კავშ. II — წერტილებრივი ასპექტისა, ხოლო კავშ. III — რეზულტატიური.

ჯგუფების შიგნით ავტორი ფორმებს უპირისპირებს ერთმანეთს განსაზღვრულობა — განუსაზღვრელობის (defini — indefini იგივე სრული — არასრული) ოპოზიციით და აღნიშნავს, რომ ეს ოპოზიცია არ არის ყოველთვის ნათელი<sup>45</sup>.

აქ რამდენიმე თავისებურება გვაქვს: ა) იმას, რასაც ახალი ქართულისათვის ასპექტს უწოდებენ და რაც ზმნისწინის დართვა-დაუბრუნებლობით აღინიშნება, ჰ. ფოგტი განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობას (= სრული — უსრული ასპექტი) უწოდებს.

ბ) ჰ. ფოგტი ახალ ქართულში გამოყოფს დიურატიულ ასპექტს, რომელიც ახასიათებს პირველი სერიის ფორმებს, ხოლო წერტილებრივი ასპექტი II სერიის ფორმებისათვის არის დამახასიათებელი. საყურადღებოა, რომ ავტორი მეორე სერიაში არ განიხილავს II ხოლმეობითს, რომელიც დიურატიული ასპექტისაა<sup>46</sup>.

გ) ზემოხსენებულ ასპექტთა გვერდით ჰ. ფოგტი გამოყოფს მესამესაც — რეზულტატიურ ასპექტს, რომელიც თურმეობითის ჯგუფს შეესაბამება.

დ) ასპექტის მიხედვით დაპირისპირებას მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე კილოთა მიხედვით: დაპირისპირებას.

აწმყოს, აორისტისა და თურმეობითის ჯგუფებს შორის განსხვავება, „ნარკვევშიც“ ასპექტზეა დაფუძნებული. ხოლო ამ ჯგუფებს შიგნით ავტორი გამოყოფს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის ოპოზიციას<sup>47</sup>.

ყურადღებას იქცევს გარდამავლობის საკითხი „ქართული ენის გრამატიკაში“. გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა გვერდით ჰ. ფოგტი გამოყოფს გარდამავლობის თვალსაზრისით ნეიტრალურ ზმნებს. მისი აზრით, გარდამავალია<sup>48</sup> ის ზმნები, რომლებსაც აორისტში სუბიექტი ერგატივში შეეწყობათ, გარდაუვალია ის ზმნები, რომლებსაც აორისტში სუბიექტი ნომინატივში შეეწყობათ. ავტორი ითვალისწინებს აგრეთვე ობიექტების ბრუნვებს, ამგვარად, ფორმის გარდამავლობა მკაფიოდ ჩანს აორისტის ჯგუფში, გადამწყვეტია ბირ-

<sup>45</sup> H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, გვ. 180, 181.

<sup>46</sup> ქართულში ისტორიულად დიურატიული და მომენტობრივი ასპექტის დაპირისპირების შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, „პერმანსიის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილებს სისტემაში (ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით) სამპ., ტ. IV, № 1, 1943, მ. ს. ე. ვ. „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“, თბილისი, 1948.

<sup>47</sup> H. Vogt, Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, გვ. 233.

<sup>48</sup> H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, გვ. 88.

თვის სიტყვათა სინტაქსი აორისტში. ამასთანავე, ზმნებს ერთი და იმავე ფუძისაგან უნდა ჰქონდეთ საპირისპირო ფორმები გარდამავლობა-გარდაუვლობის თვალსაზრისით. ხოლო ის ზმნები, რომლებსაც აორისტის ჯგუფი (ე. ი. II სერია) არა აქვთ, ჰ. ფოგტის აზრით, ნეიტრალურია<sup>49</sup>.

გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა დასაპირისპირებლად ჰ. ფოგტი კონვერსიის მოვლენას იყენებს და აღნიშნავს, რომ ამ საკითხში ის ა. შანიძეს ემყარება. მაგრამ ამ ავტორებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: ა. შანიძესთან კონვერსია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა გამოსაყოფად არის გამოყენებული, ჰ. ფოგტთან კი გარდამავალ და გარდაუვალ წყვილთა შესაპირისპირებლად.

საერთოდ, ჰ. ფოგტი არ მიჯნავს მკაცრად ერთმანეთისაგან გარდამავლობა-გარდაუვალობასა და მოქმედებით-ვნებით გვარებს. ასე მაგ., გარდაუვალობის აფიქსად ავტორი ასახელებს ყველა ვნებითი გვარის აფიქსს, იგი გარდაუვალობის აფიქსებისა და ვნებითი გვარის მაწარმოებელთა იდენტიფიკაციას ახდენს. თუმცა ავტორი აღნიშნავს, რომ გარდამავლობა და გვარი არ ფარავს ერთმანეთს და გარდამავლობის მიმართ გამოიყოფა ნეიტრალური ზმნები, მაგრამ ფაქტობრივად, ჰ. ფოგტი გარდამავალ ზმნებში განიხილავს ყველა მოქმედებითი გვარის ზმნას, გარდაუვალებში — პრეფიქსულ, სუფიქსურ და უნიწონო ვნებითებს, ხოლო ნეიტრალურ ზმნებში იგი განიხილავს ე. წ. საშუალო გვარის ზმნებსა და სტატიკურ ვნებითებს, რომლებსაც შესაბამისად უწოდებს ფსევდო-აქტიურებს (ა. შანიძის ტერმინით — მედიო-აქტიურს), ფსევდო-პასიურებს (=მედიო-პასიურს) და მდგომარეობის ვნებითს (=სტატიკურ ვნებითს). გვარის მიხედვით ეს ზმნები აქტივებსა და პასივებს შორის ნაწილდება.

სხვაობას ვპოულობთ „ქართული ენის გრამატიკასა“ და „ახალი ქართული ენის გრამატიკის ნარკვევს“ შორის გარდამავლობის, გვარისა და ინვერსიის გაშუქებისას. სამივე მოვლენა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ამდენად ერთ-ერთის სხვაგვარი ინტერპრეტაცია იწვევს დანარჩენების რეინტერპრეტაციას. ასე მაგ., „ნარკვევში“ განსხვავებით „ქართული ენის გრამატიკისაგან“ გარდამავლობის ძირითად ფორმალურ კრიტერიუმად ითვლება ინვერსია, რომელიც მოუღდის ზმნათა ჯგუფს მესამე სერიაში. გარდაუვალი ზმნები კი განისაზღვრებიან ინვერსიის არქონით მესამე სერიაში<sup>50</sup>. ავტორი გარდამავალ ზმნათა დამატებით (და არა ძირითად!) ნიშნად ასახელებს სინტაქსურ მოვლენას. კერძოდ, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვაცვალებადობას სერების მიხედვით. „გარდამავალია ყველა ზმნა, რომელიც აორისტში მოითხოვს თავის სუბიექტს მოთხრობითში (ნარატივში). აორისტში განსხვავებულია ორი დამატება: დამატება, რომელიც აწმყოში მიცემითშია, აორისტში კი გადადის სახელობითში, ესაა — პირდაპირი დამატება — და დამატება, რომელიც როგორც აწმყოში, ისე აორისტში რჩება უცვლელად მიცემითში — ესაა — არაპირდაპირი დამატება“.

გარდამავლობის მიმართ ნეიტრალურ ზმნათა გამოყოფასთან არის დაკავშირებული ახალ გრამატიკაში ინვერსიის შეფასებაც. თუ „ახალი ქართული ენის გრამატიკის ნარკვევში“ ჰ. ფოგტი ა. შანიძეს ემყარებოდა და ინვერსიას მხოლოდ გარდამავალი ზმნების მახასიათებლად თვლიდა მესამე სერიაში, „ქართული ენის გრამატიკაში“ იგი ინვერსიას ნეიტრალურ ზმნათა ერთ-ერთ

<sup>49</sup> H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, გვ. 133.

<sup>50</sup> H. Vogt, Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, გვ. 116.



დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს და აწმყოში „მიყვარს“ ტიპის ზმნებსაც ინვერსიულად თვლის. „ნარკვევში“ ავტორი ზმნის რიცხვზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ არსებობს ზმნათა ჯგუფი, რომლებთანაც რეალური სუბიექტი წარმოდგენილია როგორც არაპირდაპირი დამატება. ასეთ შემთხვევებში — თ (მრ. რ-ის) აღნიშნავს დამატების მრავლობითობას: უ ყ ვ ა რ ს; უ ყ ვ ა რ / ს / თ-ის გვერდით და სხვ. მაგრამ ჰ. ფოგტი ამ მოვლენის შეფასებას არ იძლევა.

განსხვავებულია ამ ორ გრამატიკაში გვარისა და გარდამავლობის თვარდობა. „ნარკვევში“ ზმნები გარდამავლობის თვალსაზრისით ორ ჯგუფად არის გაყოფილი: გარდამავალი — გარდაუვალი (არ ჩანს ნეიტრალური ზმნები გარდამავლობის თვალსაზრისით). ხოლო გვარი სამია: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო (ეს უკანასკნელი აღარაა შეტანილი ახალ გრამატიკაში). ყველა გარდამავალი ზმნა აქტიურია (რელატ.), გარდაუვალი ზმნები შეიძლება იყოს აქტიურიც და პასიურიც (რელატ. ან აბსოლუტ.), გარდაუვალი აქტიური ზმნა შეიძლება იყოს საშუალო.

სახელის ფორმათა განხილვისას „ქართული ენის გრამატიკაში“ შემდეგი საკითხებია აღსანიშნავი:

1. თავისებურად აქვს ჰ. ფოგტს დალაგებული ბრუნვები. პირველ ადგილზე იგი ათავსებს წოდებით ბრუნვას<sup>51</sup>. მოთხრობითი ბრუნვა მოსდევს მიცემითს. სახელობითის შემდეგ მიცემითი ბრუნვის მოთავსება და არა ერვატივისა, როგორც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშია, გამოწვეულია ალბათ იმით, რომ როგორც ავტორი აღნიშნავს, სახელობითი, მიცემითი და მოთხრობითი ბრუნვებით დახასიათებული სახელები ზმნასთან ერთად ქმნიან წინადადების ბირთვის. გარდა ამისა მიცემითსა და სახელობითს აქვს აგრეთვე ბირთვის გარე ფუნქცია. ამიტომ ავტორი მათ არ აცალკევებს, თუმცა სპეციალურად იგი არ მსჯელობს, თუ რატომ გვაძლევს ბრუნვათა ასეთ რიგს. ჰ. ფოგტი თავისებურად ალაგებს ბრუნვებს ჯერ კიდევ „ახალი ქართული ენის გრამატიკის ნარკვევში“. ბრუნვათა თანმიმდევრობა აქ ასეთია: სახელობითი, მიცემითი, ნარატივი (მოთხრობითი), ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი<sup>52</sup>.

2. წოდებითი ბრუნვის ფორმებად თვლის ავტორი სიტყვათა მცირე ჯგუფს, რომლებიც აღნიშნავენ ოჯახის წევრებს, ვისაც ველაბარაკებით. მაგ., წოდებითის ფორმებია **ო** — ნიშნით: მამი!, რომელიც, ჰ. ფოგტის აზრით, სრული ფორმის შემოკლებით არის მიღებული (მამილო!). იზოლირებულ წოდებითი ბრუნვის ფორმად მიიჩნევს ავტორი ძამია! ფორმასაც<sup>53</sup>.

3. ჰ. ფოგტი გამოყოფს ბრუნვათა სრულ და არასრულ ფორმებს, აღნიშნავს რამდენიმე ბრუნვის ალომორფებს, კერძოდ: სახ. — ნული, ნათ. -სა და -სი; მოქმ. — -თ და -თი; ვით. -დ -და.

4. საერთოდ, ბრუნვათა გამოყოფისას ჰ. ფოგტი ა. შანიძეს ემყარება. ა. შანიძე გამოყოფს სამ ლოკალურ ბრუნვას: გამოსვლითს (დაწყებითს) — **იდან** ფორმანტით; მიწვევითს — **ამდე** ფორმანტით და სადაობითს — **ში, ზე** ფორმანტებით. ავტორი მათ ბრუნვებად თვლის იმის საფუძველზე, რომ ეს ფორმანტები მჭიდროდ შეეზარდა ბრუნვის ფორმებს. თანაც ფონეტიკური წესების გავ-

<sup>51</sup> H. V o g t, Grammaire de la langue géorgienne, გვ. 20.  
<sup>52</sup> H. V o g t, Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, გვ. 19.  
<sup>53</sup> იხ. ჰ ა ნ ს ფ ო გ ტ ი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში, კრებულში „მიმომხილველი“ 4—5, თბილისი, 1968, გვ. 252.

ლენით ისეთი ცვლილება მოხდა, რომ წაიშალა ზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის. ჰ. ფოგტი ა. შანიძის მსგავსად გამოყოფს ლოკალურ ბრუნვებს, რომლებსაც მეორეულ ბრუნვებს უწოდებს, მაგრამ ა. შანიძისაგან განსხვავებით იგი კიდევ უფრო შორს მიდის და მეორეულ ბრუნვებში შეაქვს თერთმეტივე თანდებულნი ბრუნვა<sup>54</sup>.

განსხვავება თანდებულებსა და მეორეულ ბრუნვებს შორის ისაა, რომ თანდებულებს შენარჩუნებული აქვთ საკუთარი მახვილი და თავის დამატებასთან ერთად ორ სიტყვად იწერებიან, საპირისპიროდ მეორეული ბრუნვებისა.

არ გვეჩვენება გამართლებულად მეორეული ბრუნვების გამოყოფა. სრულიად აშკარაა, რომ საქმე გვაქვს თანდებულებთან, რომლებიც ბრუნვის ფორმებზეა დართული, ხოლო ჰ. ფოგტის მიერ გამოყოფილი თანდებულები ზმნისართებია, რომლებიც მართავენ სახელს ბრუნვაში.

„ნარკვევი“ ავტორი არ გამოყოფს ლოკალურ ბრუნვებს. იგი ისევე როგორც ა. შანიძის ადრინდელ გრამატიკაში იყო, მათ განიხილავს როგორც თანდებულებს.

ჩვენ შევადარეთ ჰ. ფოგტის „ქართული ენის გრამატიკა“ ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებს“, რათა გვეჩვენებინა, თუ რა არის ორიგინალური ნორვეგიელ ავტორთან. აგრეთვე გზადაგზა ჰ. ფოგტის ახალ გრამატიკას ვუდარებდით 1936 წელს გამოსულ მისსავე გრამატიკას და აღვნიშნავდით, თუ რა ვითარება გვექონდა „ახალი ქართული ენის გრამატიკის ნარკვევში“. ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ „ნარკვევა“ და „ქართული ენის გრამატიკა“ შორის სხვაობა საკმაოდ დიდია, თუმცა ავტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ძირითადი დოქტრინა ორივე გრამატიკაში ერთია. ესაა, კერძოდ, ფორმალური ნიშნის მიხედვით გრამატიკული კატეგორიების გამოყოფა. ჰ. ფოგტის ორ გრამატიკას შორის განსხვავებას ისიც ქმნის, რომ „ნარკვევი“ ძირითადად ა. შანიძის 1930 წლის „ქართული ენის გრამატიკას“ მიჰყვება გრამატიკული მოვლენების შეფასებისას. „ქართული ენის გრამატიკა“ კი იმავე ავტორის „გრამატიკის საფუძვლებს“ ემყარება. გარდა ამისა ისიც უნდა აღვნიშნოს, რომ „ქართული ენის გრამატიკაში“ მეტია ორიგინალური, მთელი რიგი საკითხები პირველად ამ გრამატიკაში არის დასმული ჰ. ფოგტის მიერ (მაგ., მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია), ზოგიც ახლებურად არის გაშუქებული (მაგ., გარდამავლობა, გვარი, ინვერსია, ბრუნვები, ზმნათა კლასიფიკაცია).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ცნობილი ნორვეგიელი ლინგვისტის ჰ. ფოგტის „ქართული ენის გრამატიკა“ ზნიშვნელოვანი შენაძენია ქართველოლოგიაში. თავისი ნაშრომის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ მისი გრამატიკა უპირველეს ყოვლისა განკუთვნილია ქართული ენით დაინტერესებულ უცხოელ მკვლევართათვის. ეს ნაშრომი სრულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ქართული ენის რთული სტრუქტურის შესახებ და ამდენად იგი ფასეული და ანგარიშგასაწევეა არა მხოლოდ უცხოელთათვის, არამედ ქართველურ ენათა ყველა სპეციალისტისათვისაც, მიუხედავად იმისა, რომ მასში ზოგი საკითხის ინტერპრეტაცია სადავო შეიძლება იყოს.

<sup>54</sup> H. V o g t. Grammaire de la langue géorgienne, გვ. 95, 106.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა არნ. ჩიქობავამ)

### სპარსული ლიტერატურის 150 წლის ისტორია\*

ირანში მწერალთა პირველი კონგრესის (1946 წ.) შემდეგ განსაკუთრებული ინტერესი დასტურდება XIX—XX საუკუნეების სპარსული ლიტერატურისადმი. ამის უმთავრესი მიზეზი ისიც არის, რომ ხსენებულმა კონგრესმა, რომელიც ქვეყნის პროგრესულ-დემოკრატიული ძალების ინიციატივით ჩატარდა, სპარსული მწერლობის შემდგომი აღმავლობისათვის წარსულის რეალისტური ტრადიციების შესწავლისა და მისი კრიტიკულად ათვისების აუცილებლობის ამოცანა დასახა. აღსანიშნავია ისიც, რომ ირანის საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის ორგანომ „ფაიაჲ ნავინმა“, რომლის ფურცლებზე იბეჭდება როგორც თარგმანები რუსული და საბჭოთა ლიტერატურიდან, ისე სამეცნიერო-პოპულარული სტატიები მის შესახებ, ირანელებში ხელი შეუწყო თანამედროვე და უახლოესი პერიოდების მშობლიური მწერლობის მეცნიერული შესწავლისადმი ინტერესების კიდევ უფრო გაღვივებას. პროგრესული ირანელი მეცნიერებისათვის (ფარჯიზ ხანლარი, საიდ ნაფისი, მალექ აშ-შოარა ბაპარი და სხვ.) სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ XIX საუკუნიდან სპარსულ ლიტერატურაში დაიწყო ახალი ქროლვა. უცხოური კაპიტალის ინტერესების გარემოცვაში მოქცევის გამო ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იწყებოდა ახალი ძვრები; დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა აღვივებდა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ისახებოდა ისეთი იდეოლოგიური მიმდინარეობანი, როგორიცაა: განმანათლებლობა, პანისლამიზმი, ბეჰაიზმი და სხვა. წინა პლანზე იწევდნენ სოციალური პრობლემები. საუკუნის მეორე ნახევრიდან ირანში დაიწყო „გამოღვიძების“ ეპოქა, რომელიც ფართო მასებს ამზადებდა 1905—1911 წლების ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური რევოლუციისათვის. ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ეს მოვლენები ასახავს პოეებდნენ სპარსულ ლიტერატურაში, რომლის წიაღში წარმოიშვა რეალიზმი რომანტიზმის ნაკადით, განვითარება დაიწყო რომანმა, გამარტივდა სამწერლო ენა, მკვიდრდებოდა პროზაული ჟანრები, პოეზიაში ფეხი მოიკიდა სამოქალაქო თემატიკამ, საუკუნეების მანძილზე განმტკიცებული არუზის გვერდით დაისვა „თავისუფალი ლექსის“ („შერე ნოუ“) საკითხი... ერთი სიტყვით, XIX—XX საუკუნეებმა მრავალი ისეთი სიახლე მოიტანეს დიდი წარსულის მქონე სპარსულ ლიტერატურაში, რომელიც უკვე საგანგებო კვლევასა და შესწავლას საჭიროებს. ამ პრობლემატიკას ირანში უკანასკნელ ათეულ წელიწადში მიეძღვნა არა ერთი და ორი

\* از صبا تا نیما، تاریخ ۱۵۰ سال ادب فارسی، تألیف یحیی آریں  
 یور، تهران، ۱۳۵۱.

ნაშრომი, რომელთა შორის ი. არინფურის ორტომიანი ნაშრომი, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, განსაკუთრებით საყურადღებოა თავისი მოცულობით, განხილულ საკითხთა მრავალფეროვნებითა და აქტუალობით.

წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „ეს წიგნი (იგულისხმება ორივე ტომი — კ. ფ.) გამოკვლევაა სპარსული ლიტერატურის ისტორიიდან მხოლოდ ერთი ეპოქისა — „ბაზგაშიდან“ „შერე-ნოუს“ დასაწყისამდე (საბადან ნიმაძე), რომელიც ერთ-ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტ ხანს შეიცავს და უშუალოდ ებმის ჩვენს დროს. ხსენებულ პერიოდში ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მწერლობაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა დიდი გავლენა იქონიეს შემდგომ სპარსულ ლიტერატურაზე“ (ტომი I, გვ. 6). ამიტომ, — შენიშნავს შემდეგ ავტორი, — „მე საფუძველი მოვამზადე და ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე ნაშრომი დაეხმარება ყველას, ვინც ამიერდან განიზრახავს საფუძვლიანად შეისწავლოს ირანის თანამედროვე ლიტერატურა“ (იქვე).

სპარსული ლიტერატურის აღნიშნულ პერიოდს, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს ასორმოცდაათ წელიწადს, დაწყებულს XVIII საუკუნის დასასრულიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე, ავტორი ჰყოფს ოთხ უმთავრეს მონაკვეთად: პირველში იგი ათავსებს მწერლობას, აღნიშნული დროიდან მოყოლებულს, ვიდრე XIX საუკუნის შუა წლებამდე. ამ ხანას იგი უწოდებს „დაბრუნებას“ («تجدید»). მეორე მონაკვეთში მკვლევარი მოაქცევს დროს ნასერ ად-დინ შაჰის გამეფებიდან (1848 წ.) საუკუნის დასასრულამდე და მას, როგორც უკვე დამკვიდრებულია, ისიც უწოდებს „გამოდებიებას“ («رشد»). მესამე მონაკვეთია „განთავისუფლება“ («آزادی»), რომელიც მოიცავს პერიოდს მოზაფერ ად-დინ შაჰის ტახტზე ასვლიდან (1896 წ.), კერძოდ, ირანის 1905—11 წლების რევოლუციის წინა ხანებიდან პირველ იმპერიალისტურ ომამდე და ოქტომბრის რევოლუციამდე. ხოლო ამ დროიდან მოკიდებული, როდესაც „დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და მის შემდეგ მოხდა საუკუნის უდიდესი ისტორიული მოვლენა დიდი ოქტომბრის რევოლუცია, რომელმაც ირანის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს“ (გვ. 507), 40-იან წლებამდე მონაკვეთს ავტორი უწოდებს „განახლებას“

(«تجدید»). პირველი ორი განხილულია ნაშრომის პირველ ტომში, მესამე და მეოთხე მონაკვეთი — მეორეში.

როგორც ზემოთ ვთქვით, აღნიშნული ასორმოცდაათწლიანი პერიოდი მრავალსაუკუნოვან სპარსულ ლიტერატურაში ფრიად საყურადღებოა, არა ერთსა და ორ სიახლეს შეიცავს იგი და ძირითადად რეალისტურად ასახავს ირანის საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის იმ მტკივნეულ პროცესებს, რომლებიც დასტურდება ამ ქვეყნის ნახევრად კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნის პირობებში. ნაშრომში თითოეული დასახელებული მონაკვეთი დაწვრილებითაა შესწავლილი; მოცემულია ისტორიული ვითარების მიმოხილვა, წარმოდგენილია დამახასიათებელი ნიმუშები განხილული პოეტებისა და მწერლების შემოქმედებიდან, რომელთაც წინ უძღვის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, და გზადაგზა მოცემულია შეფასება საანალიზოდ მოტანილი ლიტერატურული

ფაქტებისა. ამასთანავე მეორე ტომს ბოლოში ერთვის მოკლე დასკვნები თითოეულ განხილულ მონაკვეთზე ცალ-ცალკე. ნაშრომს ახლავს თემატური, გეოგრაფიულ სახელთა და პირთა საძიებელი, აგრეთვე ციტირებული წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების სია. ერთი სიტყვით, ი. არინფურის ორივე ტომი გამოირჩევა მდიდარი სამეცნიერო აპარატით.

ავტორი „ბაზგაშთ“-ის შესახებ სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ პერიოდის პოეზიის მიზანი იყო, რათა „ძველი პოეტების (იგულისხმება კლასიკური პერიოდის წარმომადგენლები — კ. ფ.) შემოქმედების ტრადიციებზე მიბაძვით აელორძინებინათ სპარსული ლიტერატურა, რომელიც სეფიანთა ეპოქიდან მოკიდებული გაღარიბებისა და დეკადანსის გზაზე იღვა“ (გვ. 506). მაგრამ ამ მიმდინარეობის დასაწყის ხანად იგი, განსხვავებით ი. რიპკასაგან, თვლის XIX საუკუნის დამდეგს. ვფიქრობთ, უნდა გავიზიაროთ ხსენებული ჩეხი მეცნიერის აზრი, რომლის მიხედვით „ბაზგაშთი“ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო<sup>1</sup>.

განსაკუთრებული ინტერესის აღმძღვრელია „გამოღვიძების“ ეპოქისადმი განკუთვნილი ნაწილი სარეცენზიო წიგნისა (გვ. 221—422, ტომი 1). შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ირანის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის შესახებ ასე უხვი მასალების შემცველი ნაშრომი არც ირანში, არც ჩვენში და არც უცხოეთში აქამდე არ დაწერილა. ამ ნაწილის ისტორიულ მიმოხილვაში ავტორი სრულიად მართებულად ამახვილებს ყურადღებას ხსენებული ეპოქის განმსაზღვრელ ისეთ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე, როგორც იყო ნასერ ად-დინ შაჰის დესპოტური მონარქია, ინგლისისა და მეფის რუსეთის კონკურენცია ირანში გაბატონებისათვის, ქვეყნისათვის კაბალური ხასიათის კონცესიები და მისთ. ავტორი ხსენებულ ხანას „უცოდინარობის ეპოქას“ («يك دورهٔ بختیاری») უწოდებს (გვ. 222) და შენიშნავს, რომ ამ დროს ევროპის ქვეყნებში მოხდა დიდი მნიშვნელობის რევოლუციები (იგულისხმება 1848—49 წლების ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციები — კ. ფ.), გამოქვეყნდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, ყოველივე ამის გამო ბევრი რამ შეიცვალა ქვეყანაზე, მაგრამ ირანი სრულიად განზე დარჩა საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების პროცესისაგან. (გვ. 223). ამის შემდეგ ავტორი დაწვრილებით ეხება ირანელი განმანათლებლების მოღვაწეობას, განიხილავს ირანულ პრესას, განსაკუთრებული ყურადღებით — საზღვარგარეთულს. აღნიშნავს „დარ-ოლ-ფონუნის“ როლს ქვეყნის ევროპეიზაციის საქმეში. მიუთითებს თარგმნილი ლიტერატურის მნიშვნელობაზე საზოგადოებრივი აზრის განვითარებისა და სპარსული პროზის გამარტივებისათვის. საგანგებოდ ეხება საერთოდ პროზას, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა „გამოღვიძების“ პერიოდში პროგრესული იდეების პროპაგანდისათვის. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ახლად ფეხადგმული დრამატურგიის საკითხებს. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი ეხება სხვა, მეტ-ნაკლები მნიშვნელობის საკითხებსაც და მკითხველს ნათელ წარმოდგენას აძლევს რევოლუციის წინა-დროინდელი ირანის საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების სინამდვილეზე.

<sup>1</sup> Ян. Рипка. История персидской и таджикской литературы М., 1970, гв. 300.

ი. არინფური შრომის მესამე ნაწილში (გვ. 2—196, ტომი II), როგორც აღვნიშნეთ, განიხილავს სპარსული ლიტერატურის მდგომარეობას რევოლუციური პერიოდიდან თითქმის 20-იან წლებამდე. მკვლევარი ვრცლად ეხება ამ დროის სპარსულ ლიტერატურაში მძლავრი რევოლუციური პათოსით აყდრებულ პოლიტიკურ და სოციალურ მოტივებს — ანტიფეოდალურს, ანტიიმპერიალისტურს, პატრიოტულს, სამოქალაქოს, ქალის ემანსიპაციის საკითხს და მისთ. მართებულად იქცევა იგი, როდესაც მკითხველის ყურადღებას მიაქცევს რევოლუციის წლებში პრესის მრავალრიცხოვნობასა და აქტივიზაციაზე. გამოჰყოფს ორ პერიოდს და მიუთითებს, რომ განსაკუთრებით შემტევი და შეუპოვარი ხასიათის იყო იგი პირველ პერიოდში, რევოლუციის აღმავლობის ხანებში. ამასთანავე ავტორი სათანადო ადგილს უთმობს ლიტერატურული ხასიათის გაზეთების „ნასიმე შემალისა“ და „სურე ესრაფილის“ განხილვას, რომელნიც გამოირჩეოდნენ რევოლუციური ხასიათით. ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება პოეზიის კლასიკურ საღეჭსა ფორმებში სამოქალაქო მოტივების დამკვიდრების პროცესზე, სპარსულ ლიტერატურაში, კერძოდ პროზაში, ფელეტონის წარმოშობაზე. სამწერლო ენის შემდგომ გამართვება-გასადაგვებასა და მის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოვებაზე და მისთ. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ შრომის დასახელებულ ნაწილში შესანიშნავადაა ნაჩვენები ზემოაღნიშნულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული ირანის საზოადოებრივი ცხოვრების პირობებში სპარსული მწერლობის განვითარებაში მომხდარი ცვლილებანი. მაგრამ ამასთანავე სამართლიანადაა შენიშნული ისიც, რომ ლიტერატურაში ისეთი ღრმა გარდატეხა და ცვლილებანი მაინც ვერ მოხდა, რომ მას შესძლებოდა მხარდამხარ გაჰყოლოდა რევოლუციასო (გვ. 121). ვრცლადაა განხილული აგრეთვე მაშინდელი ლიტერატურის ისეთი ცნობილი წარმომადგენლების შემოქმედება, როგორც იყენენ ბაჰარი, ადიბ ოლ-მამალეჟი, არეფი და ლაჰუთი. ეხება რა მათ დამოკიდებულებას რევოლუციისადმი, ავტორი ცდილობს ობიექტურად განიხილოს აღძრული საკითხი. ასე, მაგალითად, ბაჰარის შესახებ წერს: „მისი დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად კლასიკური პოეზიისადმი მიდრეკილებისა, მან შესძლო თავისი ხმა შეერთებინა თანამემამულეთა რევოლუციური სულისკვეთებისა და მიმდინარე მოვლენებისათვის“ (გვ. 127).

ნაშრომის მეოთხე ნაწილში (გვ. 199—480, ტომი II) განხილულია სპარსული ლიტერატურის მდგომარეობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ 40-იან წლებამდე. ამ პერიოდს მკვლევარი, როგორც აღვნიშნეთ, უწოდებს „განახლებას“. ავტორის თქმით: „ამ ეპოქაში პრესას კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ლიტერატურულმა ყურნალებმა და საზოგადოებებმა შემოიკრიბეს მწერლები და პოეტები. ლიტერატურა უფრო დაუახლოვდა რა ცხოვრებას, სოციალურმა და პოლიტიკურმა თემებმაც მეტად პოვეს ასახვა რომანებში, მოთხრობებში და ნოველებში... ამიერიდან პროზაული ნაწარმოებები და ლექსები გასართობად აღარ იწერებოდა. ამ დროის მწერლები და პოეტები უკვე ახალი თემებისა და შემოქმედების ხერხების ძიებაში არიან“ (გვ. 507). ამის შესაბამისად წიგნში დაწვრილებითაა განხილული სოციალური რომანები (მოშფეყ ქაზემის, ხალილის, დოვლეთ აბადისა და სხვათა), ნოველები ჯემალ-ზადესი, დრამატურგიული თხზულებანი (მაჰმუდის, ალი ნავრუზის, შეჰრზადის და სხვათა). ავტორი ამ ნაწილში აგრძელებს ბაჰარის, არეფისა და ლაჰუთის პოე-

ტური შემოქმედების განხილვას, ეხება აგრეთვე მირზადე ეშყის, ირეჯ მირზასა და სხვების პოეტურ მემკვიდრეობას. ამის შემდეგ შრომაში ლაბარაკია ლიტერატურულ საზოგადოებებზე, რომლებიც მრავლად იყო ირანში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სპარსული პოეზიის განვითარებაში. დაბოლოს მკვლევარი განიხილავს ცნობილი სპარსელი პოეტის, სპარსული ლექსის ნოვატორის ნიმა იუშიჯის (1897—1960) შემოქმედებას. როგორც ცნობილია, ამ სახელთანაა დაკავშირებული დიდი რეფორმის დასაწყისი სპარსულ ლიტერატურაში — ლექსის განთავისუფლება ტრადიციული არაბული ჩარჩოებისაგან, რათა პოეზია უფრო ახლოს მივიდეს ცხოვრებასთან და იქცეს ეფექტურ ქმედით ძალად მისი გარდაქმნისათვის. ავტორის აზრით, „ნიმა იუშიჯის გავლენა ირანის თანამედროვე და მომავალ პოეტებზე უეჭველია“ (გვ. 480).

1973 წლის მისში თეირანში ყოფნის დროს ირანელმა პროფესორმა საფამ, კლასიკური სპარსული ლიტერატურის მკვლევარმა, მასთან საუბრის დროს მითხრა, რომ ჩვენთან უნივერსიტეტებში ირანის თანამედროვე ლიტერატურის კურსი საერთოდ არ იკითხებაო. ალბათ ამით აიხსნება, რომ ი. არინფურის ეს მნიშვნელოვანი ნაშრომიც იხურება XX საუკუნის 40-იანი წლებით.

ირანელი მეცნიერის ი. არინფურის ამ ორტომიან ნაშრომში ბუნებრივი იქნება, მკითხველმა ყველაფერი არ გაიზიაროს; ჩვენ, მაგალითად, არ მიგვაჩინია მართებულად, რომ ავტორი მირზა ფათალი ახუნდოვს არ განიხილავს ირანის ისეთ განმანათლებელთა შორის, როგორც იყვნენ მალქომ-ხანი, მარაღაი, ტალიბოვი და სხვანი. დღეს საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობაში ცხადყოფილია ის დიდი გავლენა, რომელიც ახუნდოვმა მოახდინა ირანის „გამოღვიძების“ ეპოქაზე. გაუგებარი რჩება, თუ რატომ არ ეხება ავტორი 30-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოსულ თაობას, რომელთა შორის აღინიშნება ისეთი სახელები, როგორცაა: სადეყ ჰედაიათი, ბოზორჯ ალაფი, საიდ ნაფისი და სხვანი. ეს ხანა ხომ მოქცეულია სპარსული ლიტერატურის იმ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, რომელიც განხილულია წიგნში! მსგავსი შენიშვნები კიდევ იბადება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ი. არინფურის ეს ორტომიანი ნაშრომი, ჩვენს მიერ ზოგადად განხილული, უაღრესად მდიდარი მასალის შემცველია და ამიტომაც ძვირფასი არამალანია ყველასათვის, ვინც დაინტერესებულია სპარსული ლიტერატურის ისტორიით, განსაკუთრებით მისი მდგომარეობით XIX—XX საუკუნეებში.

## მაცნიერთა იუბილე

### პიორპი ჯიბლაძე

გიორგი ჯიბლაძეს უკვე სტუდენტს ვიცნობდი. 1936 წელს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დავიწყე ლექციების კითხვა. გიორგი ჯიბლაძე მაშინ, ასე ვთქვათ, დამწყები ლექტორიც იყო, საკმარისად ცნობილი ახალგაზრდა მწერალი-კრიტიკოსი და ყურნალისტი, ქუთაისის გაზეთის ხელმძღვანელი. იმ დროიდან მოკიდებული გ. ჯიბლაძის მოღვაწეობა ჩემს თვალწინ მიმდინარეობდა. მე მხიბლავდა მისი არაჩვეულებრივი, პირდაპირ საარაკო ენერჯია, იშვიათზე იშვიათი შრომისმოყვარეობა, ენთუზიაზმი, დაუღლეობა. გაზეთის გამოშვებასთან დაკავშირებით ღამენათევს მას ხშირად უხდებოდა დილით ლექციის კითხვა ძალიან მომთხონი და გაჭედელი აუდიტორიის წინაშე. ლექციას მაინც ხალისით კითხულობდა და თავის დაღლილობას მსმენელებს არ აგრძნობინებდა.

მე აღარაფერს ვამბობ გიორგი ჯიბლაძის ბუნებრივ ნიჭზე. ათასჯერ თქმულა და მეც ათასმეერთეჯერ გავიმეორებ, რომ ნიჭი უქმია, ფუჭია, თუ მას შრომა არ ასაზრდოვებს და არ აძლევს სასიცოცხლო ძალას, თუ ნიჭს არ აცხოველებს მუდმივი გონებრივი ვარჯიში. დიახ, შრომა სასწაულს ახდენს.

მე არ გამიკვირდა, ხოლო ნამდვილად აღტაცებული დავრჩი, როცა ამ ზაფხულს. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პერიოდში, გაზეთ „კომუნისტში“ (7.8.73) წავიკითხე გ. ჯიბლაძის მშვენიერი წერილი „შრომის ჰიმნი და დიდება“ (იგი იმავე დღეს გამოქვეყნდა რუსულადაც გაზეთ „Заря Востока“-ში — „Гимн и слава труду“). ეს წერილი თავისთავად შრომის საუცხოო საგალობელია და დროული, საქმიანი, სასარგებლო რჩევადარიგება აბიტურიენტებისა და მათი მშობლებისათვის. ორიოდ ამონაწერი ამ წერილიდან: „ვისაც შრომა დაუფასებია და შრომით მიღებული სიამოვნება უგრძნია. მას ცხოვრების აზრიც ბოლომდე შეუცვნია“; „ვისაც შრომისა და ოფლის სიმწარე არ უგრძნია, ის ვერც ცხოვრების სიტკბოს იგემებს“.

ქეშმარიტად განმაცვიფრებელია ის მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი და უხვად მოწეული ნაყოფი, რომლითაც გ. ჯიბლაძე ეგებება თავისი დაბადების მესამოცე წლისთავს.

გ. ჯიბლაძეს გამოქვეყნებული აქვს ორათეულზე მეტი სქელტანიანი წიგნი, მრავალი ათეული სამეცნიერო ნარკვევი და ბევრზე ბევრი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის საყურნალო-სავაზეთო წერილი. ყოველივე ამას გ. ჯიბლაძემ შეუთავსა დიდი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი საქმიანობა. საკმარისი იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ 17 წლის განმავლობაში იგი პირნათლად ემსახურებოდა ქართულ საბჭოთა პრესას კორექტორის თანამდებობით დაწყებული და რესპუბლიკური გაზეთის ხელმძღვანელის პატივით დასრულებული. დიდხანს იყო გიორგი ჯიბლაძე ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე — საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისა და



ცენტრალური კომიტეტის მდივანი. ერთ დროს ასრულებდა საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობას. 1953—1960 წლებში მეთაურობდა სახალხო განათლების სამინისტროს, 1963 წლიდან დღემდის არის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი. საქართველოს უმაღლესი საბჭოს მრავალი მოწვევის დეპუტატია. 1935 წლიდან გ. ჯიბლაძე უწყვეტლევ კითხულობს ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებში, ქუთაისსა და თბილისში. ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია (შეთავსებით). გ. ჯიბლაძე დახელოვნებული ლექტორია და მკვერმეტყველი ორატორი, სიტყვის გრძნობის მახვილი უნარით დაჯილდოებული მწერალი-კრიტიკოსი, მკვლევარი-ლიტერატურათმცოდნე, ესთეტიკოსი, პედაგოგიკის თეორეტიკოსი, პუბლიცისტი-ჟურნალისტი. 1939 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1948 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1959 წელს აირჩიეს რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 1960 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია. მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ასეთ უჩვეულო წარმატებებს გ. ჯიბლაძემ მიაღწია თავდადებული ბეგითი შრომით და თვითდისციპლინით. ვიმეორებთ, მან საკუთარ შრომით და გარჯით გაიკაფა გზა შემოქმედებითი ცხოვრებისა და სასახელო მოღვაწეობის ფართო სარბიელზე. ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ გ. ჯიბლაძე გამოვიდა ღარიბი ოჯახიდან, ის აღზარდა უკიდურესად ხელმოკლე პაპამ, სწავლასთან ერთად ბავშვობიდანვე ეწეოდა მძიმე ფიზიკურ შრომას.

გიორგი ჯიბლაძის როგორც მკვლევარი-მეცნიერის ხასიათის ჩამოყალიბება ბევრ რიგად შეაპირობა მისმა ხანგრძლივმა მოღვაწეობამ ქართულ პრესაში. გაზეთ „თბილისის“ კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა მისცა მას ჟურნალისტიკამ, გიორგის სხვათა შორის უპასუხნია: „ბევრი რამ. შემაჩვია სწორ, ზუსტ აზროვნებას, ზრუნვას გამოთქმის ლაკონურობასა და სინათლეზე ურთულეს საკითხებშიც კი...“<sup>1</sup> ჩვენთვის ცხადზე უცხადესია, რომ ყოველდღიურ პრესაში მუშაობის სპეციფიკამ გიორგი ჯიბლაძეს იმთავითვე გაუმახვილა მოვლენებზე სწრაფი რეაგირების ჩვევა, სწრაფი აზროვნებისა და სწრაფი წერის სამაგალითო უნარი. ასეა, თუ ისე, ცოცხალი ფაქტია გიორგი ჯიბლაძის შრომის უჩვეულო ხეავი და ბარაქა.

ყველაფერთან ერთად გიორგი ჯიბლაძე სანიმუშო მეოჯახეა — მოყვარული, უზრუნველი მამა და პაპა.

გიორგი ჯიბლაძე ფართო პროფილის სწავლულია, ერუდირებული მკვლევარი. თუმცა საასპირანტო განათლებით იგი ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალისტია (პროფ. მ. ზანდუჯელის მოწაფე), აროდეს შეზღუდულა ამ სპეციალობის ფარგლებით. საგულისხმოა, რომ ორივე დისერტაცია დაიცვა ესთეტიკის პრობლემატიკაზე („პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“, „ხელოვნება და სინამდვილე“). გ. ჯიბლაძე პირველია ჩვენში, ყოველ შემთხვევაში ერთი პირველთაგანი, ვინც ნამდვილი მეცნიერული საფუძვლიანობით ამუშავებს ესთეტიკური თეორიის ურთულეს საკითხებს და ამ თეორიის პოზიციებიდან იხილავს ქართული მწერლობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფაქტებს და მოვლენებს. გამოჩენილი რუსი მეცნიერის დიმიტრი ბლა-

<sup>1</sup> „თბილისი“, 10. V. 73 წ.

გოს სიტყვით, გ. ჯიბლაძის ეს დამსახურება საერთო საბჭოური მასშტაბისაა. ესთეტიკის აქტუალური პრობლემატიკის გარკვევას ისახავს მიზნად გ. ჯიბლაძის მონუმენტური „ხელოვნება და სინამდვილე“, რომელიც ორჯერ გამოიცა ქართულად, და რუსულადაც გამოქვეყნდა მისი თარგმანი. მთლიანად ესთეტიკის პრობლემატიკას მიუძღვნა გ. ჯიბლაძემ თავისი ისეთი სოლიდური ნაშრომები, როგორცაა „ესთეტიკური თეორიის საკითხები“ (1962, 741 გვ.) და „რუსთველის ესთეტიკური სამყარო“ (1966, 378 გვ.). პირველის საგანია სოციალური ესთეტიკის ბუნება, სისადავის პრობლემა მხატვრულ შემოქმედებაში, რენესანსის ესთეტიკური იდეალები, თეატრალური ხელოვნების სახეები, პლენარის ესთეტიკური შეხედულებანი, თანამედროვე იდეალისტური ესთეტიკის კრიტიკა და სხვ. მეორე ნაშრომი აშუქებს შოთა რუსთველის ესთეტიკას, პოეტიკასა და ეთიკას. ძალიან საინტერესო მოსაზრებებში აქვს გამოთქმული გიორგი ჯიბლაძეს XVI—XVIII საუკუნეების ქართველ მწერალთა (სერაპიონ კედელაურის, ფეშანგის, თეიმურაზ პირველისა და მეორის, არჩილის, მამუკა ბარათაშვილის, იოვანე ბატონიშვილისა და სხვათა) ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების თაობაზე (ხელოვნება და სინამდვილე, 1, 1955, გვ. 88—123).

გ. ჯიბლაძის მეცნიერულ-შემოქმედებით ინტერესთა ფართო დიაპაზონის მაუწყებელია მისი ნარკვევები „ხელოვნების შორეულ ძეგლებთან“ (ესთეტიკური თეორიის საკითხები, გვ. 423—735), „ლადო გუდიაშვილი“ და სხვ. რამდენიმეჯერ დაუბრუნდა გ. ჯიბლაძე პირველი ქართველი მარქსისტი კრიტიკოსის ალექსანდრე წულუჭიძის ლიტერატურული მოღვაწეობის საკითხს და მართებულად შეაფასა მისი ადგილი ქართული კრიტიკული აზრის განვითარების ისტორიაში. ამჟამად გ. ჯიბლაძის თაოსნობით მზადდება ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. ესთეტიკური აღზრდის პრინციპებს აშუქებს გ. ჯიბლაძე თავის პედაგოგიურ ნარკვევში „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი“ (თბილისი, 1968), რომლისთვისაც იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. შარშან დაიბეჭდა ქართულსა და რუსულ ენებზე გ. ჯიბლაძის ორიგინალური პედაგოგიური ნააზრევი „უმადლესი სკოლის პედაგოგიკა როგორც მეცნიერება“. წელს კი გამოვიდა მისი ვრცელი მონოგრაფია „Философия Коменского“ (1973, 252 გვ.), რომლის ძირითადი დებულებანი მის ავტორს მოხსენების სახით წაუკითხავს 1972 წლის 8 ივნისს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითს პრაპის ინსტიტუტში. მრავალრიცხოვანი პედაგოგიკური ნაშრომებისათვის სსრკ განათლების სამინისტრომ გ. ჯიბლაძე დააჯილდოვა ნადეჟდა კრუპსკაიას სახელობის მედლით. ეს მედალი მას პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე საზეიმო ვითარებაში გადასცა ამ აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა სტოლეტოვმა. ბარემ იმასაც დაეძნო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გ. ჯიბლაძე დააჯილდოვა ივანე ჯავახიშვილის მედლით.

გიორგი ჯიბლაძე უპირატესად ქართული მწერლობის დაუცხრომელი მკვლევარია, რევოლუციამდელი ქართული ლიტერატურის პირთუნელი ისტორიკოსი და მიმდინარე ლიტერატურული პროცესის დაკვირვებული მონაწილე. გ. ჯიბლაძე მკვეთრი ანალიტიკური ნიჭის პატრონია, რომელიც იმავე დროს ფართო სინთეტიკური განზოგადების უნარით არის დაჯილდოებული:

<sup>2</sup> «Литературная газета», 23. V. 73, № 21, стр. 6.

მისი ნაშრომები ქართული მწერლობის საკითხებზე ჩვეულებრივ უხვია კონკრეტული, საგნობრივ-ფაქტობრივი მასალებით, მკაფიო და ნათელი დასკვნებით. ნათელი აზროვნება გ. ჯიბლაძის დამახასიათებელი სახარბიელო თვისებაა. გ. ჯიბლაძე კეთილსინდისიერად და სიფრთხილით იყენებს პირველ წყაროებსა თუ საგნის ლიტერატურას. ავითარებს გაბედულ, თამამ, ზოგჯერ საცილობელ, მაგრამ ყოველთვის საინტერესოდ არგუმენტირებულ მოსაზრებებს. ამ შემთხვევაშიც მინდა დავიმოწმო დიმიტრი ბლაგოის შემდეგი სიტყვები: „Мне нравятся его горячность, его страстность в споре и непреклонное стремление к истине, упорство при постановке и решении многих вопросов литературоведения, критики и эстетики“. გ. ჯიბლაძე გამობრძმედილი პოლემისტია, მართლაც ცხარე, მგზნებარე, შეუპოვარი, ოღონდ შეუფერებელ რამეს, მით უფრო პირადულად შეურაცხყოფელსა და დამამცირებელს ადრესატს არაფერს აკადრებს. წინამორბედთა ნაღვაწის ობიექტური დამფასებელია. აღტაცებული რეცენზია მიუძღვნა გიორგი ჯიბლაძემ, მაგალითად, გიორგი ნადირაძის საკვალიფიკაციო შრომას „რუსთველის ესთეტიკა“, თუმცა რიგ მის დებულებას არ იზიარებს და ეკამათება. გ. ჯიბლაძემ იცის მეცნიერული ამაგის დაფასება. გულწრფელი მადლიერების გრძნობებით არის გამსჭვალული მისი წერილები კორნელი კეკელიძისა და მიხეილ ზანდუკელის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის თაობაზე („ქართული ფილოლოგიის პატრიარქი“, „ლიტერატურის ისტორიის გზებზე“). მეტად გრძნობიერი, თბილი სიტყვებით იფონებს იგი დაწყებითი და საშუალო სკოლის თავის მასწავლებლებს („თბილისი“, 10.V.73).

გ. ჯიბლაძის ნაფიქრ-ნააზრევი ქართული მწერლობის საკითხებზე თავმოყრილია უმთავრესად მის კრიტიკულ ეტიუდებში. ჟღერავრებით დაბეჭდილია ეტიუდების ოთხი დიდი ტომი (1958—1963 წლები). საფუძვლიანად აქვს გ. ჯიბლაძეს შესწავლილი XIX საუკუნის ქართული მწერლობის სახელოვანი კლასიკოსები — ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ვგნატე ნინოშვილი, ყურნალისტი და პუბლიცისტი სერგეი მესხი. ზოგიერთ კლასიკოსზე საგანგებო ვრცელი მონოგრაფიებიც დასტამბა. ამ მხრივ გამოირჩევა „ბარათაშვილის პოეტური გენია“ (1968, 488 გვ.) და განსაკუთრებით კი ვეებერთელა ნაშრომი „ილია ჭავჭავაძე“ (1966, 760 გვ.). გ. ჯიბლაძე ამომწურავი სისრულით იხილავს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყოველ მხარეს, მოხდენილად აანალიზებს მწერლის როგორც მხატვრულ შემოქმედებას, ისე ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებსა და მის დიდძალ პუბლიცისტურ მემკვიდრეობას. ჩინებული ნარკვევი მიუძღვნა გ. ჯიბლაძემ დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს („ტრავაგიული პოეტი“, ეტიუდები, IV, 1963, გვ. 5—62). გ. ჯიბლაძე საგანგებოდ და სავსებით საბუთიანად ამბობს, რომ „გურამიშვილი ქართული რომანტიზმის წინამორბედი ია. მძაფრ რეალისტურ შეგრძნებასთან ერთად, თავდაპირველად მასაც რომანტიკული სული ჰქონდა“ (გვ. 28; დაყოფა ავტორისაა, — ა. ბ.).

სანაქებო პირუთენელობითა და პრინციპულობით არის აღბეჭდილი გ. ჯიბლაძის კრიტიკული წერილები თანამედროვე საბჭოთა მწერლობაზე. ამ წერი-

ლებს ზოგჯერ აცხოველებს ლირიკული პასაჟები. სანიმუშოდ დავასახელებთ ნარკვევს „ლადო ასათიანის დღეები და ლექსები“ (ცისკარი, 1972, XII). გ. ჯიბლაძეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ერთი თანამედროვე მოწინავე საბჭოთა მწერალი, პოეტი, პროზაიკოსი თუ დრამატურგი. ხშირად ეხმაურება საბჭოთა მწერლობის მიმდინარე აქტუალურ პრობლემებს.

გ. ჯიბლაძე არის წვერი ქართული მწერლობის ისტორიის ექვსტომეულის ავტორთა კოლექტივისა და მთავარი სარედაქციო კოლეგიისა (ექვსტომეულს სცემს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი).

ბევრი უწერია გ. ჯიბლაძეს დიდ რუს მწერლებზე და მოაზროვნეებზე (პუშკინზე, გრიბოედოვზე, ტურგენევეზე, ნეკრასოვზე, ტოლსტოიზე, ბლოკზე, ბაგრიცკიზე, ბელინსკიზე, ჩერნიშევესკიზე, დობროლუბოვზე, პისარევეზე, პლექანოვზე).

გ. ჯიბლაძე არაერთგზის შეხებია რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების კეთილისმყოფელ ზემოქმედებას მოწინავე ქართული ესთეტიკურ-ლიტერატურული აზრის განვითარების ისტორიაზე.

ფრიალ საქირო და სასარგებლო საქმიანობას ეწევა გიორგი ჯიბლაძე ქართული მწერლობის გასაცნობად რუსულის მცოდნე მკითხველისათვის. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია „Романтики и реалисты в грузинской литературе XIX века“ (თბილისი, 1963, 428 გვ.). ეს ნაშრომი მომზადებულია რუსი მკითხველი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. რუსულადვე გამოაქვეყნა მან ნარკვევები ვაჟა-ფშაველასა და იოსებ გრიშაშვილზე.

გ. ჯიბლაძის ღვაწლი ღირსეულად არის დაფასებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ, იგი დაჯილდოებულია ორდენებით (მათ შორის ლენინის ორდენით), მედლებით და საპატიო სიგელებით.

დაბადების მე-60 წლისთავს გ. ჯიბლაძე ხვდება თავისი კოლოსალური ენერჯის სრული მობილიზებისა და შემოქმედებითი ძალების ნამდვილი გაფურჩქვნის ვითარებაში. გაზეთ „თბილისის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს ამ ცოტა ხნის წინათ მას უთქვამს, რომ უახლოეს დროში გამოაქვეყნებს რიგ ახალ ნაშრომს. ეს დაპირებანი უკვე რეალურად ხორციელდება. ჯიბლაძისეული სიტყვა საქმიანია და საქმე სიტყვიანი.

ვუსურვოთ ჩვენ კეთილ მეგობარსა და გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს ხანგრძლივი სიცოცხლე და ახალ-ახალი წარმატებანი თავისი ცხოვრების ასე სასახლოდ გაწაღდულ გზაზე.

ალექსანდრე ბარამიძე

### ოთარ ცქიტიშვილი

#### რამდენიმე სიტყვა პროფესორ ვლადიმერ მინორსკის შესახებ\*

ჩემი დღევანდელი ხანმოკლე გამოსვლა მსოფლიოში ცნობილ და სამეცნიერო წრეებში უდიდესი ავტორიტეტის მქონე აღმოსავლეთმცოდნეზე ვლადიმერ მინორსკიზე მინდა მოგონებით დავიწყო, რამდენადაც დღევანდელი ჩვენი შეკრება ამ შესანიშნავი პიროვნების მოგონებისა და მისი ნათელი ხსოვნისადმი არის მიძღვნილი.

ეს იყო 1960 წელს. მაშინ ის-ის იყო თბილისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო-ორგანიზაციული ცენტრი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სახით.

დაახლოებით თვე-თვენახევრის შემდეგ კი, აგვისტოში, მოსკოვში ჩატარდა აღმოსავლეთმცოდნეთა მსოფლიო XXV კონგრესი. ორიენტალისტთა ამ დიდი საერთაშორისო ფორუმის პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა კემბრიჯის უნივერსიტეტის მსკოვანმა პროფესორმა ვლადიმერ მინორსკიმ. თავისი სიტყვა მან ფრანგულად დაიწყო. ხოლო რამდენიმე წინადადების შემდეგ მე გავიგონე შესანიშნავი რუსული ენა, რომელიც ასე კარგად შეიძლება სკოდნოდა ისეთ კულტურულ პიროვნებას და ინტელიგენტს, როგორც პროფესორი მინორსკი იყო.

კონგრესის დამთავრების შემდეგ ვლ. მინორსკიმ შემოიარა ამიერკავკასიის რესპუბლიკები, რომელთაც იგი კარგად იცნობდა არა მარტო წიგნებიდან, სპეციალური ლიტერატურიდან თუ წყაროებიდან: რევოლუციამდელი რუსეთის დიპლომატიურ სამუშაოზე ყოფნისას მას მკიდრო კავშირი ჰქონდა ამიერკავკასიასთან და იგი აქ არაერთხელ ყოფილა სხვადასხვა სპეციალური დავალებით. საერთოდ კი ეს მისი პირველი და უკანასკნელი ჩამოსვლა იყო სამშობლოში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

ბაქოსა და ერევნის მონახულების შემდეგ ვლ. მინორსკი თბილისში ჩამოვიდა. ახლა უკვე ბედნიერება მქონდა პირადად გავცნობოდი მას და მისი ცხოვრების ერთგულ თანამგზავს, მოჭირნახულეს, მეგობარსა და მარჯვენა ხელს ტატიანა ალექსის ასულ შებუტინა-მინორსკაიას.

ჩემს თვალწინ წარმოდგა ჰარმაგი მოხუცი, საშუალოზე ოდნავ მაღალი, მეტად ცოცხალი და ჰკვიანი თვალებით. მთელი მისი არსება იმაზე მეტყველებდა, რომ მას ცხოვრება ღრმა შინაარსიანად, მუდამ შრომასა და გარჯაში ჰქონდა გატარებული. ყველაზე უფრო მიმზიდველი მასში მაინც მისი შინაგან მადალი კულტურა და ფართო ერუდიცია, დიდი მწიგნობრობა, ინტელექტი და აზროვნების სიღრმე და ფართო ჰორიზონტი იყო.

ყოველივე ამასთან ერთად მომაჯადოებლად მოქმედებდა მოსაუბრეზე ვლ. მინორსკის სისადავე, უბრალოება და უშუალოება, რომელსაც იგი ყველასთან, დიდთან და პატარასთან, იჩენდა და რომელიც მას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. იგი ყოველმხრივ ცდილობდა არაფრით არ გამორჩეულიყო

\* მოხსენება — წაკითხული საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების აღმოსავლეთმცოდნეობის სექციისა და სსრკ-ირანის საზოგადოების საქართველოს განყოფილების სხდომაზე 1973 წ. 19 აპრილს, რომელიც მიეძღვნა პროფ. ვლ. მინორსკის ხსოვნას.



გაცნობოდა რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის მიღწევებს მათ მშობ-  
 ლიურ ენაზე. ამ დარგში ვლ. მინორსკის დიდ დახმარებას უწევდა მისი მეუღ-  
 ლე ტატიანა მინორსკაია.

პროფ. ვლ. მინორსკის ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობაზე ლაპარაკობს  
 თუნდაც უბრალო სტატისტიკური მონაცემები. საკმარისია აღნიშნოს, რომ იგი  
 ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა მნიშვნელოვანი ნა-  
 წილი ალბათ არასოდეს დაკარგავს თავის შემეცნებით ღირებულებას და ამ  
 ნაშრომებში წამოყენებული და გადაჭრილი მრავალი საკითხი მუდამ დარჩება  
 აღმოსავლეთმცოდნეობის ოქროს ფონდში.

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირსსახსოვარია  
 ვლ. მინორსკის ის ნაშრომები, რომელნიც უშუალოდ ამიერკავკასიის, კერძოდ  
 საქართველოს, წარსულს ეხება.

ამიერკავკასიაში მიიბჟრო ვლ. მინორსკის ყურადღება 20-იანი წლების და-  
 საწყისში. მაგრამ მაშინ მისი ნაშრომები ძირითადად ეხებოდა თანამედროვე  
 ამიერკავკასიას, კერძოდ საქართველოს, ისტორიულ წარსულში ერთგვარი  
 ექსკურსით. პროფ. ვლ. მინორსკის პირველი გამოკვლევები შუა საუკუნეების  
 ამიერკავკასიის შესახებ გამოქვეყნდა 1930 წ., როცა მან ფრანგულ სამეცნიერო  
 ორგანოში „Journal Asiatique“ გამოსცა ცნობილი ნაშრომი „Transcaucasica“.

ამ წლიდან მოკიდებული სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ვლ. მინორს-  
 კი ნაყოფიერად მუშაობდა შუა საუკუნეების ამიერკავკასიის ისტორიის სხვა-  
 დასხვა საკითხებზე, ხმარებაში შემოქმონდა მეცნიერებისათვის მანამდე უცნო-  
 ბი მასალები, ახლებურად აშუქებდა რიგ საკითხებს და ამით ავსებდა იმ ხარ-  
 ვეზებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის ისტორიის შესახებ არსე-  
 ბულ სპეციალურ ლიტერატურაში.

დროის სიმცირის გამო ამჯერად დამსწრე საზოგადოების ყურადღება  
 მივნიდა შევამჩირო მხოლოდ ორ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, რომლებიც  
 უშუალოდ ჩვენი სამშობლოს ისტორიულ წარსულს ეხებოდა. პირველი სა-  
 კითხთაგანი ვლ. მინორსკის გაშუქებული აქვს ზემოთ აღნიშნული ნაშრომის  
 ერთ-ერთ ნაწილში. იგი ეხება დღევანდელი თბილისის 26 კომისრის სახელობის  
 რაიონის ძველი სახელწოდების „სოლდებილის“ ეტიმოლოგიას. ეს სახელწო-  
 დება გვხვდება ადრეული შუა საუკუნეების არაბ ისტორიკოსებთან და გეოგრა-  
 ფებთან. მკვლევარი სავსებით სამართლიანად უკავშირებს სახელწოდება „სოლ-  
 დებილის“ წარმოშობას ქართულ „საგოდებელს“, ანუ სასაფლაოს, რომელიც  
 იმ ადრეულ ხანაში მდებარეობდა მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, იქ, სადაც  
 მოგვიანებით მეტეხის ციხე გაშენდა.

შუა საუკუნეების არაბ ავტორთა ცნობები თბილისში მტკვრის მარცხენა  
 ნაპირზე თითქოსდა სოლდის ტომით დასახლების შესახებ ხოსრო ანუშირვან-  
 ნის დროს (531—579 წწ.), საიდანაც იმავე არაბ ავტორთა მტკიცებით უნდა  
 წარმოშობილიყო „სოლდებილის“ სახელი, სავსებით სამართლიანად უარყო  
 ჯერ კიდევ ი. მარკვარტმა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, ზოლო ვ. ბარ-  
 ტოლდმა ამ ცნობებს ლეგენდაც კი უწოდა. ამავე დროს ბარტოლდმავე სწო-  
 რად მიუთითა, რომ არაბ ავტორებს მტკიცება მტკვრის მარცხენა ნაპირზე სოლ-  
 დის ტომით დასახლების თაობაზე დასჭირდათ მხოლოდ იმისთვის, რათა გამო-  
 ენახათ ეტიმოლოგიური განმარტება გეოგრაფიული სახელწოდებისათვის.

ამრიგად, ი. მარკვარტისა და ვ. ბარტოლდის თვალსაზრისს აღნიშნულ სა-  
 კითხთან დაკავშირებით ვლ. მინორსკიმ სათანადო მასალა გამოუნახა თავის

გამოკვლევაში და მანაც არსებითად უარყო არაბ ავტორთა ცნობების სისწორე ჩვენი წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნეში მტკვრის მარცხენა ნაპირზე შუა აზიიდან წარმომავალი სოლდის ტომით დასახლების შესახებ. თბილისის აღნიშნული რაიონი რომ ქალაქის დაუსახლებელ გარეუბანს წარმოადგენდა, სადაც მხოლოდ „საზოგადო სასაფლაო“ და „სადილეგო“, ანუ სატუსალო იყო ჩვენი წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნეშიც კი, დასტურდება ქართველი მწერლის იოანე საბანისძის თხზულებით.

სამწუხაროდ, ამ სწორმა თვალსაზრისმა ვერ მოიკიდა ფეხი ქართულ ისტორიოგრაფიაში და ყველა ნაშრომი ერთხმად აღნიშნავს, რომ მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე დასახლება თბილისში დაიწყო ჯერ კიდევ მე-6 ს-ში ჩვენი წელთაღრიცხვით. სწორედ ამ გარემოებამ გვაძულა ჩვენ 1963 წ. კიდევ ერთხელ გავვემხვილებინა ქართველ მკვლევართა ყურადღება ამ საკითხთან დაკავშირებით და ჩვენს წინამორბედ მეცნიერთა კვალდაკვალ ერთხელ კიდევ აღგვენიშნა არაბ ავტორთა თვალსაზრისის მცდარობა.

ორმოციან-ორმოცდაათიან წლებში პროფ. ვლ. მინორსკი აქვეყნებს რიგ ნაშრომებს, მიძღვნის შუა საუკუნეების ამიერკავკასიის ისტორიისადმი. ამ ნაშრომთაგან ოთხი გამოკვლევა გამოქვეყნდა სერიაში, რომელსაც მკვლევარმა „Caucasica“ უწოდა. ქრონოლოგიურად და თავისი სამეცნიერო მნიშვნელობით ამ სერიაში პირველი ადგილი უჭირავს ვლ. მინორსკის ნაშრომს „Caucasica in the History of Mayyāfāriqin“. ამ ნაშრომში მეცნიერის ძირითადი მიზანი იყო გამოქვეყნებინა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ორი ხელნაწერის მიხედვით XII ს. ავტორის იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარაყის თხზულების ის ნაწილი, რომელიც ეხება დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრის დიმიტრი I-ის ხანის ამიერკავკასიას, კერძოდ კი საქართველოს.

იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარაყის ნაშრომი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ჰ. ფ. ამედროზის დროიდან, რომელმაც პირველმა მოგვცა აღწერილობა და მოკლე შინაარსი ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ხელნაწერებისა. ქართველ მკვლევართა ყურადღება ამ ნაშრომმა მიიპყრო ორმოციანი წლების დასაწყისში, როცა ვლ. ფუთურძემ გამოაქვეყნა წერილი „არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ“. ამავე ნაშრომში მკვლევარმა გამოთქვა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ორმოცი წლის მანძილზე თბილისში, ვიდრე მის განთავისუფლებამდე 1122 წ. დავით აღმაშენებლის მიერ, არსებობდა საქალაქო წყობილება, რომელიც თავისი სტრუქტურით მოგვაგონებდა შუა საუკუნეების საქალაქო კომუნას. ახლა არ შეგვხვებით იმას, თუ რამდენად მისაღები ჩანს ამგვარი დებულება. აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ვლ. ფუთურძის ეს თვალსაზრისი შემდგომში არა ერთხელ იქნა განმეორებული ქართველ სპეციალისტთა მიერ, ხოლო აწ განსვენებულმა პროფესორმა შოთა მესხიამ სპეციალური მონოგრაფია უძღვნა საქალაქო კომუნის საკითხს შუა საუკუნეების თბილისში.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი არაბული ტექსტის ინგლისური თარგმანის პუბლიკაციას უძღვნა თავისი ნაშრომი პროფ. ვლ. მინორსკიმ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმავე 1949 წ. აკად. გ. წერეთელმა გამოაქვეყნა ამავე ძეგლის არაბული ტექსტი.

ძნელი არ არის დაერწმუნდეთ მინორსკისეული ინგლისური თარგმანის მაღალ მეცნიერულ ხარისხში, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარაყის ტექსტი დაწერილია უწერტილოდ და საკმაოდ რთული



საკითხავია. მიუხედავად ამისა, ტექსტის მინორსკისეული წაკითხვები ოდნავ განსხვავდება გ. წერეთლის წაკითხვისაგან.

ამჟამად იზნ ალ-აზრაყ ალ-ფარის წყაროს მნიშვნელობა XII ს. საქართველოს ისტორიისათვის ცხადზე უცხადესია. ქართული ისტორიოგრაფია პირველად გაეცნო არაბულ წყაროს, რომლის ავტორი იზნ ალ-აზრაყ ალ-ფარისი შედარებით დაწვრილებით აღწერს მის თანამედროვე მოვლენებს. იგი ხომ სამსახურში იყო მეფე დიმიტრი პირველთან 1152—1154 წწ.

მოტანილი ორი მაგალითით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება პროფ. ვლ. მინორსკის დიდი დამსახურება ამიერკავკასიისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში, ისევე როგორც უდავოდ დიდი მისი ღვაწლი აგრეთვე მახლობელი აღმოსავლეთისა და, კერძოდ, ირანის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიისა და სხვ. საკითხების შესწავლაში. ამ დიდი ღვაწლით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1964 წ., ე. ი. გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, თეირანის უნივერსიტეტმა ცალკე წიგნად საერთო სათაურით „Iranica“ გამოსცა პროფ. ვლ. მინორსკის 20 სამეცნიერო სტატია. ირანელმა მკვლევარებმა ნაშრომს წარუძღვარეს ვლ. მინორსკის შესანიშნავი ფოტოსურათი, ავტორისვე კრებულისათვის სპეციალურად დაწერილი მოკლე წინასიტყვაობა და სამეცნიერო ნაშრომთა სრული ნუსხა.

ვფიქრობ, გადაკარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ვლ. მინორსკის ისეთი ნაშრომები, როგორცაა, მაგალითად, ანონიმი ავტორის წყაროს „ჰუდუდ ალ-ალამის“ გამოცემა ვრცელი კომენტარებითურთ, ანდა მისივე „Studies in Caucasian History“ და „История Ширвана и Дербенда X—XI веков“, გამოქვეყნებული რუსულადაც 1963 წ., საქმარისი იქნებოდა ყოველი მეცნიერისათვის, რომ იგი ვალმოხდელი წარმდგარიყო მსოფლიო ორიენტალისტიკისა და მშობელი ხალხის წინაშე. ასე ვალმოხდელი წავიდა იგი ამ ქვეყნიდან 1966 წ. 25 მარტს, 89 წლის ასაკში. არც უკვე ღრმა მოხუცებულს დავიწყებია თავისი მშობლიური ერი, რომელსაც სიკვდილის წინ უანდერძა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკის უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული წიგნები. ამჟამად ვლ. მინორსკის წიგნები, როგორც ცნობილია, სათუთად ინახება საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ბიბლიოთეკაში.

პროფ. ვლ. მინორსკის მეცნიერული დამსახურება მის სიცოცხლეშივე იქნა დაფასებული. იგი იყო სამი ოქროს მედლის მფლობელი. მათგან უკანასკნელი მას მიანიჭა დიდი ბრიტანეთის სამეფო სააღმოსავლეთმცოდნეო საზოგადოებამ 1962 წ. იგი იყო ბრიუსელისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, ბრიტანეთის აკადემიის ნამდვილი წევრი, საფრანგეთის ინსტიტუტის (წარწერებისა და მხატვრული ლიტერატურის აკადემიის) წევრი, საპატიო წევრი „the School of Oriental and African Studies“, სააღმოსავლეთმცოდნეო საზოგადოებებისა საფრანგეთსა და გერმანიაში. ვლ. მინორსკის პატივსაცემად დაბადებიდან 75 წლისთავისა და კემბრიჯის უნივერსიტეტში მისი მოღვაწეობის 20 წლისთავთან დაკავშირებით 1952 წ. გამოცემულ იქნა „Bulletin of the School of Oriental and African Studies“ სპეციალური ნომერი.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეული პატივი სცა ვლ. მინორსკის ხსოვნას და მისი სურვილის თანახმად მისი ნეშტი ინგლისიდან გადმოსვენებულ და დაკრძალულ იქნა მოსკოვში ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

14/3  
ფანო 1 მან.

Индекс 76 198

